CMYK

# საერთო გაზეთი

№23 (207) ● 16-22.V.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.ge; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა"...

27 მაისს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება

ამ კანონით, შეიძლება, საქართველოს პარლამენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებით დაკომპლექტდეს...

ახლო მომავალში მწერლების გაერთიანებას ვქმნით, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერის ინიციატივით გამოვა

რა კავშირია დავით გარეჯის ინცინდენტსა და პუტინის მესამედ მოსვლას შორის?

დაიმახსოვრეთ, ქართველებო! მიშა გიჟი არ არის, მისი სიგიჟე ნიღაბია და იმისთვის, რომ ყველაფერი ეპატიოს, სახიდან არ იხსნის...

ბიზნესმენი ივანიშვილი თუ ფულს „აკეთებდა" რუსეთში, ეს დანაშაულია და ბიზნესმენი გულუა თუ დღესაც ფულს „აკეთებს" იმავე რუსეთში, უფლის ნებაა?

დავით ხარჩილავა, „საერთო გაზეთის" რედაქტორის ვახტანგ ხარჩილავას ვაჟი, ღამით შეია-რაღებულმა ადამიანებმა გაიტაცეს და კოჯრის ტყე-ში დატოვეს

ISSN 2233-3983



















## „პერედოზიროვკა" სააკაშვილით

როგორ „ამხელს" თავისუფლებაალკვეთილ გენერალ-მაიორს „მტრედი, რომელსაც გათხოვება უნდა"

გამოუცხადოს „ქართულმა ოცნებამ" 27 მაისს იმპიჩმენტი სააკაშვილს და ყველანი მის გვერდით დავდგებით!

დღევანდელი ხელისუფლება შევარდნაძისდროინდელი ბანდიტებითაა გატენილი...

კოალიციის გარეთ მყოფმა პარტიებმა პროცესებს ხელი არ უნდა შეუშალონ

პოლიციური სისტემით გამოცდების ჩაბარება სკოლებში დიდი დანაშაულია

პოლიციის ეკიპაჟები მოსახლეობას აიძულებენ „გლობალ-ტივის" ანტენები მოხსნან!

რატომ ვერ ვმრავლდებით ქართველობა და როგორ გაგვილაღდნენ მიწა-წყალზე უცხოტომელები

რა სარგებლობა მოაქვს ნაცმოძრაობას საქართველოსთვის?

„...და ღმერთმა შექმნა" ... ქართველი ქალი...

terori grZeldeba

# daviT xarCilava, `saerTo gazeTis~ redaqtoris vaxtang xarCilavas vaJi, RamiT SeiaraRebulma adamianebma gaitaces da kojris tyeSi datoves




*14 მაისს, დაახლოებით 03 საათზე, პოლანდია-საქართველოს ფეხბურთის მატჩის საყურებლად მეგობართან სტუმრად მყოფი და უკვე შინისაკან მიმავალი დავით ხარჩილავა, „საერთო გაზეთის" რედაქტორის, ვახტანგ ხარჩილავას ვაჟი, იარაღის მუქარის ქვეშ, სამმა ნიღბიანმა კოჯრის ტყეში გაიტაცა. სიტყვიერ შეურაცხყოფას მუქარა მოჰყვა, რომ თუ თვით დავითი საზოგადოებრივ მოძრაობა „ეროვნულებს" არ ჩამოშორდება, ხოლო მისი მამა ნორმალურ წერას არ ისწავლის და ერთ ადგილს არ დააყენებს, უმკაცრესად გაუსწორდებიან.*

*არცერთ მშობელს არ დაავიწყდეს, რომ დღეს იმ საქართველოში ცხოვრობს, სადაც საკუთარი ხალხის მკვლელი ხელისუფლება თავისუფლად დანავარდობს და ვინც თვალში არ მოუვა, კი არ დაუკაკუნებს კარზე, ჯიქურ შეუვარდება...*

**ზაურ კალანდია, მწერალი:** — „რა სქემითაც სანდრო გირგვლიანის ტრაგიკული ამბავი მოხდა, იგივეა ეს, უბრალოდ, ღმერთმა გადაგვარჩინა და მთლად ისე არ მოხდა. რაღაცნაირად, რამდენადმე იმ დიდმა ტრაგედიამაც შეუშალათ ხელი, თორემ ესენი ყველაფრისთვის მზად რომ არიან და აი, ასე უნდათ ხალხის დაშინება და ძალაუფლების შენარჩუნება, ხომ ვხედავთ.



ტრაგედიაა, რომ ყველა რაიონში ჰყავთ ჭორების დამგდებებიც კი, ვთქვათ, ასეთი, რომ წუხელ სააკაშვილი და ივანიშვილი ერთად ქეიფობდნენ. უბნის ისეთი ყოჩები რომ არიან, ვითომ ძლიერები და ავტორიტეტულები, ასეთ რაღაცებზე მიდიან.

ასობით ლტოლვილი ვნახე ამ დღეებში და ყველა გამწარებულია, სულში ჩაფურხებულია სააკაშვილის სიტყვებით, რომ სოხუმი არასოდეს ყოფილა ქართული ქალაქიო. 1903 წელს მხოლოდ ორი აფხაზური ოჯახი ცხოვრობდა სოხუმში, რას ჰქვია, სოხუმი ქართული ქალაქი არ ყოფილაო!

ჩვენ, ყველას, შვილები გვყავს და იმაზე, რაც დავით ხარჩილავასთან დაკავშირებით მოხდა, ყველამ ერთად უნდა ვიყვიროთ, ვერ უნდა დაგვაშინონ!

**კობა არაბული, პოეტი:** — „ეს არის საგანგაშო ამბავი! ეს არის მიმართული ჩვენი კულტურის, ნათელი გონიერებისა და ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართული ქმედება. კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი საშიშნი არიან იმ ხელისუფლებისათვის, რომელსაც თვითონ არ აქვს ინტელექტი, არ აინტერესებს საკუთარი კულტურა და ტრადიციები.



ბატონი ვახტანგი არის მწერალი, პოეტი, შემოქმედი ადამიანი, შესანიშნავი გაზეთის რედაქტორი, სადაც მხოლოდ პოლიტიკა არ არის. იქ არის პოლიტიკა ეროვნული, წერილები შემოქმედებაზე, კულტურაზე. ის, რომ მის ვაჟს არ მოწონდეს რაც დღეს საქართველოში ხდება და ეროვნული ცნობიერების გაღვიძება უნდოდეს, რა გასაკვირია.

ქვეყანა არ გვაქვს, აგერ, გარეჯი მიაქვთ... ჩვენმა ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ გარეჯი არ ყოფილა ჩვენი, სოხუმი არასდრის ყოფილა ჩვენი, სამაჩაბლო, ახალგორი, კოდორი და რა დაგვრჩა? ამაზე ვინ იტყვის — უნდა ისაუბროს ინტელიგენციამ, ამაზე საუბრობს „საერთო გაზეთი" და ამისკენ იყო ეს მიმართული, გასაჩუმებლად. შვილით ზემოქმედება ბარბაროსობაა! ამას მონღოლებიც არ აკეთებდნენ, ცოტნე დადიანის საქციელი რომ დაინახეს, მათ გაიგეს და ეს ახალი დროების მონღოლოიდები საიდან მოდიან, რა რასაა, რომ საკუთარ ქვეყანაში საკუთარ ხალხს ებძვიან — წარმოუდგენელი ამბავია!

წეღან ვამბობდი, უნდა გვქონდეს საგანგაშო ცენტრი, სადაც საქართველოს ყველა კუთხიდან შემოვა ზარები და გვექნება ინფორმაცია, რა ხდება, ვის დევნიან, რატომ ებრძვიან. მხოლოდ აქ არ ხდება ასე, სოფლებიდან მოდის ხმები, რომ ვიღაცას დაემუქრნნენ, იჭერენ მასწავლებლებს, დევნიან აქედან, იქიდან, საერთო ტერორი მიმდინარეობს.

ეს უნდა ვთქვათ და სასწრაფოდ გავაგებინოთ მსოფლიოს!

**ბადათერ არაბული, პოეტი** — „ახლოვდება არჩევნები და ხელისუფლება თანდათანობით უფრო ნათლად გრძნობს, რომ მათი პოზიციები უკვე კატასტროფულად შეცვლილია. აშკარად გრძნობენ, რომ მოდის ახალი ძალა და ყველაფერზე წამსვლელები მიდიან კიდეც. ის პიროვნებები, რომლებიც აქტიურობენ დღეს, მწერლობა იქნება ეს, კულტურა თუ საზოგადოების ნებისმიერი ფენის წარმომადგენელი, ქალაქში იქნება თუ სოფლად, უნდა დაატერორონ — ეს არის ტერორისტების ხელწერა!



ჭორები არ არის და ეს თქვენც კარგად იცით, რომ ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს საკუთარი ჩამოყალიბებული ზონდერბრიგადები ჰყავს, რომლებიც გეგმაზომიერად მუშაობენ სხვა და სხვა უბნებზე, ვთქვათ, აღმაშენებელზე, ჩუღურეთში, თავისუფლების მოედანზე და ა.შ მათ კარგად იციან, კონკრეტულ რაიონში, რეგიონში, ბინაში, ვინ არის აქტიური — არ აქვს მნიშვნელობა, ახალგაზრდა იქნება, ხანშიშესული, ქალი თუ კაცი. ისინი მუშაობენ, რომ ამ აქტიურ პირებში, რომლებიც გამოხატავენ თავიანთ პოზიციას ამ ხელისუფლების და ამ ტოტალური რეჟიმის წინააღმდეგ, დააშინონ ეს ხალხი, დააშინონ მათი მშობლები და მათი ოჯახის წევრები. ეს არის ერთი მიზნისკენ მიმართული, მთლიანად ქვეყანა ჰყავდეთ შიშის ქვეშ.

ხელისუფლებამ უნდა იცოდეს და იცის კიდეც, რომ მათი დღეები დათვლილია და სწორედ ამის გამო, რომ დაეშინებინათ ვახტანგ ხარჩილავა, „საერთო გაზეთის" რედაქტორი, მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც აკეთებს მართლაც ერთ-ერთ პრინციპულ გაზეთს, სადაც იწერება სიმართლე და არაფერი სხვა, მის შვილს ასეთი რამ მოუწყვეს.

**მერაბ შათირიშვილი, მწერალი:** — „რა კომენტარი უნდა გავაკეთო, გარდა იმისა, რომ ეს არის დემონსტრირება ხელისუფლების მხრიდან იმისა, რომ ბანდიტების მმართველობაა გვაქვს საქართველოში და თუ მაგარი ბიჭები ხართ, გაუძელით ამასო. რა სპეცოპერაციაც მათ ვახტანგ ხარჩილავას ვაჟთან ჩაატარეს, ამას დავარქმევდი „შპინგალეტის" სპეცოპერაციას, რაც იყო, ფაქტობრივად, გამეორება იმ ქმედებისა, რაც დამთავრდა გირგვლიანის ტრაგედიით. ხარჩილავა, უბრალოდ, გადარჩა, ბედმა გაუღიმა, რომ სადმე არ გადავარდა იმ სიბნელეში და არ გადაიჩეხა. ისევე გააშიშვლეს, წაართვეს ყველაფერი, მოუსპეს კომუნიკაციის საშუალება სამყაროსთან და შუაღამისას დატოვეს ტყეში...



ელემენტარულად, ხომ უნდა უთხრას ვინმემ ამ სააკაშვილს, „გეყოფა, ბიჭო! რა შავ ქვად გინდა ასეთი მეთოდებით პრეზიდენტობა, აუცილებლად დადგება დრო, როცა ღმერთი და ხალხი ამაზე პასუხს გაგებინებს!"

დაფიქრდეს ეს კაცი იმაზე, რომ არ შეიძლება შექმნას ერთი ფრთა ახალგაზრდებისა გაბრწყინებული სახეებით და მეორე ფრთა ჩაღამებული თვალებით და რომ ეს ყველაფერი უკან მიუბრუნდება ძალიან მკაცრად"

**დავით მხეიძე, ჟურნალისტი:** — „ყოველგვარი კომენტარი, ამ ამბავთან დაკავშირებით, ეს არის ლირიკა. ერთი რამის თქმა შემიძლია მხოლოდ, ეს არის კიდევ დასტური იმისა, რომ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა შევიდა საშიშ ფაზაში, ფაქტიურად, ახლა ომია, ომია ყველა საშუალების გამოყენებით.



მე მინდა მოვუწოდო ყველას, მათ შორის „ქართულ ოცნებას", რომელსაც, დღიდან მოსვლისა, მხარს ვუჭერ, რომ უნდა შეიქმნას ერთიანი ფრონტი, ყველა — მინუს ერთი და ის ერთი, უნდა იყოს სააკაშვილი, სხვანაირად, ამ მონსტრს ვერ დავამარცხებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი რაღაცები კიდევ ბევრი იქნება და შეიძლება ლეტალური შედეგებითაც...

**ნათია ავსაჯანიშვილი, პოეტი:** — „მე შემიძლია ვთქვა, რომ რაც ხდება, არახალია. პრინციპში, გასაკვირი არ იყო, იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებისგან, ამ რეჟიმისგან, სხვას არაფერს მოელის ადამიანი. ეს საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც, აი, ახლა ყალიბდება და კაცმა არ იცის, ამ შიშის ფონზე ვინ მოვა, ვინ წავა და რა იქნება საბოლოოდ, მაინც ჩანასახშივე აპირებენ ნაყოფის განდევნას ორგანიზმიდან, რაც ამ ხელისუფლების დამახასიათებელი ხერხია. რატომ ვახდენ ასეთ რთულ შედარებას — როგორცკი გამოჩნდა ლიტერატურული ძალა (იმიტომ, რომ რასაც ესენი წლების განმავლობაში გამალებული ცდილობენ და თითქოს მიაღწიეს კიდეც, რომ მწერლობა, რაზეც იდგა საქართველო ყოველთვის, აღმოფხვრან), ისევ დაიწყო შეკრება მწერლობამ და აღმოჩნდა, რომ ცოცხლები ვართ და ეს ხალხი იტყვის თავის სათქმელს, ეროვნულს, მართლმადიდებლურს და რწმენით აღსავსეს, ვისზე გავიდოდნენ, ვახტანგ ხარჩილავას შვილზე კარგი „ნადავლი" ვინ იქნებოდა? თითქოს, შეაშინებდნენ რა, დათო ხარჩილავას, თავისებური ჯაჭვია, გადმოვიდოდა ყველაზე, მაგრამ არ არის ასე. მე არ ვიცი, რამდენად მოათვალიერა კამერამ, აქაურობა რომ სავსე იყო მართლა ერონული ხალხითა და საზოგადო მოღვაწეებით, მაგრამ ხელისუფლების მცდელობები სასაცილოა უკვე. არ მინდა სიტყვა „პროვინციალიზმი" გამოვიყენო, სხვანაირად ესმით ხოლმე — ეს არის მდაბიო დონეზე გადაწყვეტილი სასჯელი ამათგან.



**სანდრო ბრეგაძე, „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფის" თავმჯდომარე:** — „მოხდა აღმაშფოთებელი ფაქტი. „აღმაშფოთებელი" არ არის ის სიტყვა, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, მაგრამ ცოტა ძნელია იმ ეპითეტის მოძებნა, რაც შეიძლება უწოდო ახალგაზრდა, პატრიოტი ადამიანის ასეთ რეპრესიაში მოყოლას. მე ვთვლი, რომ რა თქმა უნდა, ეს გასაკვირი არ არის იმ რეალობის გათვალისწინებით, რომელ რეალობაში და პოლიტიკურ სისტემაშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ეს დაახლოებით არის იგივე, რაც ხდებოდა, ვთქვათ, კადაფის რეჟიმის დროს ლიბიაში, სადამ ჰუსეინის დროს ერაყში, ჰიტლერის რეჟიმის დროს გერმანიაში, სტალინის რეჟიმის დროს საბჭოთა კავშირში.



ის, რაც მოხდა, კიდევ ერთხელ არის იმის მანიშნებელი, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ ვცხოვრობთ ავტოკრატულ და დიქტატორულ სახელმწიფოში, სადაც ადამიანის პატივი, ღირსება და რაც მთავარია, სიცოცხლე, არაფრად არ ღირს.

მე ღმერთს ვწირავ მადლობას, რომ დათო გადარჩა ფიზიკურად, თორემ დარწმუნებული ვარ, ადვილი შესაძლებელია, ფატალური შედეგით დამთავრებულიყო.

ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ XXI საუკუნის საქართველოში ჩვენ გვაქვს ყოფა, რომელიც ანაქრონიზმია და არავითარი საერთო არ აქვს დემოკრატიულ ღირებულებებთან. შინაური იქნება, უცხოელი, პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე, რომელიც სააკაშვილს დემოკრატიის შუქურას უწოდებს, მინდა, კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რომ ეს არანაირი დემოკრატიის შუქურა არ არის, ეს არის დიქტატურის შუქურა კავკასიაში და მთლიანად მთელ ევროპაში.

**შალვა ხაჭაპურიძე, ადვოკატი:** — „ჩვენ მსგავსი ერთხელ უკვე გვაქვს ნანახი, გირგვლიანის საქმე, როგორც დამთავრდა და რანაირად..

როგორც ჩანს, ეს ხელისუფლება კვლავ აგრძელებს თავის საქმიანობას და არ აპირებს შეცვალოს თავისი, ასე ვთქვათ, „შავრაზმული" პოლიტიკური დამოკიდებულება ნორმალური მოვლენებისადმი, მაგრამ არც ჩვენ ვაპირებთ ამ ყველაფრისადმი წყნარად შეგუებას და არც ამ ფაქტის მხოლოდ ფაქტად დარჩენას ვაპირებთ.



საზოგადოებას მოვუწოდებ, ბევრ ტელევიზიებს, რომლებიც დღევანდელ ბრიფინგზე არ მოვიდნენ, სააგენტოებს (თითქმის ყველა სააგენტოსთვის იყო გადაცემული ეს ინფორმაცია), რომ მეტი აქტიურობაა საჭირო.

რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი არის: პირველი, თვით ამ ადამიანის, როგორც პიროვნების მიმართ განხორციელებული ძალადობა პოლიტიკური ნიშნით; მეორე ის გახლავთ, რომ ეს ადამიანი თავად პოლიტიკაში არის, პოლიტიკურ პროცესებშია და ამ ორგანიზაციის წინააღმდეგაც განხორციელდა და იყო მუქარა მამამისზე, გაზეთის რედაქტორის წინააღმდეგ, რაც მასმედიაზე შეტევის ფაქტია.

**მაია ჭელიძე**

**„საერთო გაზეთი" მომხდარზე კომენტარს მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ**

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# `peredozirovka~ saakaSviliT



ბოლო პერიოდში მიხეილ სააკაშვილი აშკარად თავისმოსულელების გზას დაადგა.

ამ მიმართულებით ადრეც არ აკლებდა ხელს პატივცემული მიშა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა და თავის მოსულელება ერთადერთ საქმედ გაიხადა.

ბატონ სააკაშვილს, როგორც ჩანს, ქართველები დიდი ხანია წმინდა წყლის სულელები და იდიოტები ჰგონია, რომლებიც ყველაფერს იჯერებენ და ტყუილს და სიმართლეს ერთმანეთისგან ვერ არჩევენ, ამიტომაც ისულელებს თავს ეს ამხელა კაცი და ჰგონია, რომ მისი თავმოსულელებით ჩვენც ვსულელდებით.

აგერ, გასულ კვირას, თავმოსულელების მორიგი „მასტერკლასი“ ჩაგვიტარა პატივცემულმა მიშამ და უცებ აღმოაჩინა, რომ მთავრობის წევრები, მსხვილფეხა და წვრილფეხა ჩინოვნიკები ძალიან დიდ თანხებს ხარჯავენ თურმე მივლინებებზე.

— უნდა გადავხედო ამ მივლინების ხარჯებს... თქვენ მართლა არაბი შეიხების შთამომავლები ხომ არ გგონიათ თქვენი თავი? ბიჭები და გოგონები ძალიან ბევრს დაფრინავენ მთელ მსოფლიოში... ახლა ბრაზილიაში მიფრინავენ თურმე რაღაც გამოფენაზე... ჯობს საქართველოში იფრინოთ, ბიჭებო და გოგონებო... ვერ ხედავთ, როგორ გაჭირვებაში ცხოვრობს ხალხი, თქვენ კიდევ დაფრინავთ და დაფრინავთ აქეთ-იქით.



ჩემი წინამორბედი 160-კაციანი ჯგუფით დაფრინავდა, მე კიდევ 4-5 კაცი მიმყავს ხოლმე... ძალიან შევამცირე ხარჯები, ძალიან. ახლა თქვენს მივლინებებსაც გადავხედავ — დაემუქრა სააკაშვილი „ბიჭუნებს და გოგონებს“, ანუ სახელისუფლებო ელიტას.



ეხ, თქვენო აღმატებულებავ, რვა წელია ეს ბიჭუნები და გოგონები სულ ფრენაში რომ არიან და სახელმწიფო ბიუჯეტის ფულს რომ ჰაერში ფანტავენ, თქვენ ახლა გაიგეთ ეს ამბავი?

„ბიჭუნებს და გოგონებს“ თავი დავანებოთ, პირადად თქვენ იმდენი ფული გაქვთ დახარჯული აქეთ-იქით ფრენაში, ხუთ ლაზიკას ააშენებდა...

თუმცა ეს ამბავი, ეტყობა, ჯერჯერობით თქვენ არ იცით...

თქვენ ისიც არ გეცოდინებათ, პატივცემულო, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ გაჭირვებულ ქვეყანაში რამდენი



ასეული მილიონი იხარჯება უფასო კონცერტებზე, მოწვეულ მომღერლებზე, უაზრო და იაფფასიან გართობებზე, ეს იმ დროს, როცა ადამიანები უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობენ.

თქვენ ისიც არ გეცოდინებათ, რამდენი მილიონი დაიხარჯა თქვენი ახალი თვითმფრინავის შეძენაში, თქვენი საპრეზიდენტო რეზიდენციის მშენებლობაში, თქვენს გრიალში და დროსტარებაში, ეს იმ დროს, როცა ადამიანებს პურის ფული ენატრებათ.

რა თქმა უნდა, თქვენ იმაზეც არ გექნებათ წარმოდგენა, რომ, როგორც თქვენი ოპონენტები იუწყებიან, კარგა ხანია რამდენიმე მილიარდის პატრონი ხართ, ეს იმ დროს, როცა თქვენი საპატრონო ქვეყნის მოქალაქეები ნაგვის ბუნკერებში იქექებიან.

თქვენ მილიარდების პატრონი ხართ, თქვენი მინისტრები და ნამინისტრალები მილიონების, თუმცა, ალბათ, არც ეს იცით თქვენ, თორემ თქვენისთანა გულალალი კაცი როგორ იტყოდით, ჩემი მინისტრები ისეთივე გაღლეტილები არიან, როგორებიც თავიდანვე იყვნენო.

არ დაიღალეთ, პატივცემულო, ამდენი თავმოსულელებით, ამდენი უტიფარი ტყუილით, ამდენი სიყალბით?

თქვენ თუ არ დაიღალეთ, ჩვენ დავიღალეთ.

გადაღლა სააკაშვილით ჰქვია ამასო, — თქვა ერთმა ექსპერტმა.

მე ამას უფრო სააკაშვილით „პერედოზიროვკას“ დავარქმევდი...

და ბოლოს: ძალიან მიკვირს, 4 მილიონი ადამიანიდან 2 მილიონი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრების, ანუ მათხოვრის სტატუსის მინიჭებას რომ ნატრობს, იმ ქვეყნის პრეზიდენტი და მისი გუნდი საერთოდ როგორ ბედავს ხალხში თავის გამოყოფას და ახალ-ახალი ტყუილების ფრქვევას?

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# saakovma afxazeTis damoukidebloba, faqtobrivad aRiara!




დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ დიდი გალაქტიონის ლექსი „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი, ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია“ მიხეილ სააკიანს ან „ზუმბასი“ ჰგონია, ანდა დავით „დეფი“ გოგიბედაშვილის, რადგან თავისი თანამედროვე მოპოეტო მოკომპოზიტორო არსებების გარდა, იგი ვერც პოეზიაში, ვერც მხატვრობაში, ვერც მუსიკაში და ზოგადად, ვერც ზოგადქართულ კულტურულ სივრცეში აფხაზეთს, როგორც საქართველოს შემადგენელ ნაწილს ვერ ხედავს და მეტიც, მთელი მსოფლიოს გასაგონად იძახის „გულზე ხელი დაიდეთ და აღიარეთ, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილი არასოდეს არ ყოფილა, სოხუმზე ერთი სიმღერაც კი არ დაუწერიათ ჩვენს კომპოზიტორებსო!

ვაი შენს პატრონს და ვუი საქართველოს დაუძინებელ მტრებს ჯიშით ჰაოსელო სააკიან-სააკაშვილო! ვინც შენ სკოლაში საქართველოს ისტორიაში ხუთიანი დაგიწერა — ჯერ იმის მკვდარი და ცოცხალი... და მერე თვითონ შენი, ასეთი ვერაგული, შორსგამიზნული, აშკარად მოღალატებრივი ღვარცოფი რომ ამოგდის პირიდან, ყოველდღე, გამიგე?

ჯერ ერთი, შენ მუსიკის ან სიმღერის რა გაგეგება და მეორეც, ვინ ჩაგჩურჩულა ყურში — „დავაი მიშა, სწორედ ახლა მჭირდება შენგან ამის გაგონება და არ გამაწბილოო“.

მოიცა, შენ ის „ახალგაზრდა დემოკრატი პრეზიდენტი“ არ იყავი, 2003 წელს ქართველებს რომ ჰპირდებოდი: ჩემი პრეზიდენტობის უპირველესი ამოცანა აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებააო? ვიმეორებ, შენ ის მიშიკა არა ხარ, რომელიც იძახდი: „აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და ჩემი, როგორც პრეზიდენტის ღირსების საკითხია, ამ ორი ძირძველი ქართული კუთხის დაბრუნებაო?“

**თუ მაშინვე იცოდი, რომ აფხაზეთი საქართველოსი არასოდეს არ ყოფილა, მაშ, სად აპირებდი წასვლას და მითუმეტეს იმის დაბრუნებას, რაც საქართველოსი, თურმე, ნუ იტყვი და, არ ყოფილა?**

**იქნებ იმიტომ, რომ შენებური გამრუდებული ცოდნა გქონდა აფხაზეთზეც და სამაჩაბლოზეც, სწორედ ამიტომ დააკანონებინე შენსავით მოღალატე პარლამენტს ჯერ „ზემო აფხაზეთის“, ხოლო მოგვიანებით, „სამხრეთ ოსეთის“ აბსოლუტურად მიუღებელი ტერმინები?**

რა მაგის პასუხია და... შენს „დამკვრელებს“, კერძოდ კი „კომპოზიტორ“ ზუმბას „მაშ, რატომ დაუკვეთე ის კლიპი, სადაც ყოველი მეორე შენი მასხარა, ერთმანეთს ეკითხება — „მე სოხუმში მივდივარ, შენო? და რას გულისხმობით იმ კლიპში — მე კი მოვდივარ, მაგრამ არავინ მცნობს იქ და ხედავთ, აფხაზების მხრიდან, აკი ამიტომაც არავინ მეგებებაო? ისე, რეჟისორულად და პოლიტიკურად, რა „სწორად გაარტყით“ მაშინ მიზანს? ვისაც ეს კლიპი „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“ ახსოვს, უეჭველად გაახსენდება ის, რომ საქართველოს ყველა კუთხიდან დაძრულ ადამიანებს, აფხაზების მხრიდან არავინ ეგებება და „ეს მცირე დეტალი“, რაღა დაგიმალოთ და, მაშინვე არ მეპიტნავა!

ახლა დავუბრუნდეთ საქართველოს ე.წ. პარლამენტის მიერ „ზემო აფხაზეთის“ და „სამხრეთ ოსეთის“ მცნებების დაკანონებას და ვიფიქროთ იმაზე, ვისი დაკვეთა შეასრულა მაშინ სახელმწიფო გადატრიალებით მოთრეულმა დამნაშავეთა ხროვამ? ამერიკელების? — არა! ფრანგების? — არა! გერმანელების? — არა! დიდი ბრიტანეთის? — არა! აბა, მაშ ვისი? — ჩვენი — ქართველების თუ ჩინელების? „ნურას უკაცრავად“, როგორც ამას „კოკაინშიკი“ მიშა იტყოდა, ვისი და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, რუსების! ანუ, პუტინის, ლავროვის, ივანოვის და ა.შ. რადგან ეს ბანდა თავად მოიყვანეს ხელისუფლებაში და დღემდე ისე აბზრიალებენ თავის ჭკუაზე, როგორც მათ მიაჩნიათ სწორად!

მარტივი ლოგიკაა — თუკი არსებობს „ზემო“, უეჭველად არსებობს „ქვემოც“- თუკი არსებობს „სამხრეთი“, არსებობს „ჩრდილოეთიც“ და ახლა, ქაღალდზე რომ დაგიკანონებს ამ „ჭეშმარიტებას“, ერთი უბედური ქვეყნის ძალიან ბედნიერი ხელისუფლება, ფიზიკურად ამ ტერიტორიების წაღებას რაღა შეუშლიდა ხელს? დღეს რომ დიდ „ოპოზიციონერობას“ „დიდ პოლიტიკოსობას“ და „კვალიფიციურ იურისტობას იბრალებს ერთი ქალი, აბა, გამოჩნდეს მიკროფონებთან და თავისი სირინოზისებრი ხმით გვაუწყოს — რა აუცილებლობით იყო განპირობებული პარლამენტში დაჩქარებული წესით „ზემო აფხაზეთის“ და საბჭოეთის დროინდელი „სამხრეთ ოსეთის“ ტერმინთა დაკანონება? გუშინდელ დღესავით მახსოვს ყველა ის დეპუტატი და ყველა ის პარტია, რომლებმაც ხმა მისცეს ამ კანონს და ისიც კარგად მახსოვს, ამოდენა „ეროვნული“ პარლამენტიდან ვინ იყო ის ერთადერთი დეპუტატი, ვინც ხმამაღლა თქვა — რა იყო მიზეზი ამ კანონის მიღებისა და რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამგვარ „დაუფიქრებელ“ გადაწყვეტილებას! გოჩა ჯოჯუას თავისი ცოდვები ეყოფა, მაგრამ სწორედ იგი გახლდათ ერთადერთი დეპუტატი, ვინც ხმა წინაალმდეგ მისცა, ხოლო „ნაც.მოძრაობამ“, „რესპუბლიკელებმა“, „მემარჯვენეებმა“ და სხვებმა, თავისი სადეპუტატო ხმა მაშინ საქართველოს დაქცევას მისცეს.

**ისიც კარგად მახსოვს, მაშინ პარლამენტის ამ გადაწყვეტილების გამო გამწარებულმა გუბაზ სანიკიძემ და კაკო ასათიანმა სულ „ორჯონიკიძეები“ რომ ეძახეს ჩემთან ინტერვიუებში ნინასაც და დანარჩენებსაც, მაგრამ მერე რა რო?**

ჰოდა, იმას ვამბობდი, „ზემო“ და „სამხრეთის“ შემთხვევაში, თქვენ რომ „ქვემო“ და „ჩრდილოეთი“ ყოფილიყავით, არ წაიღებდით იმას, რაც მოგცეს? მაგრამ წაღება ეს კიდევ ერთი მიზეზი ხომ სჭირდებოდა, არა?

არადა, მაშინაც პირველი ვიყავი და დღესაც ხმამაღლა ვამბობ, რომ აფხაზეთის და ცხინვალის საბოლოოდ ჩასაბარებლად მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის 7 აგვისტოს, გამთენიისას, პროვოკაციულად განახორციელა კრემლის გეგმა, სახელწოდებით „კონსტიტუციური წესრიგი“ და ცხინვალის მისამართით, „გრადის“ ტიპის ბომბები მძინარე ქალაქს თავზე დააყარა! რამდენიმე წუთში კი თავისი ყურმოჭრილი გენერალი მამუკა ყურაშვილი „რუსთავი 2“-ით გამოიყვანა და „ისტორიული“ სიტყვები ათქმევინა: „საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა სამხრეთ ოსეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა დაიწყოო“ „სამხრეთ ოსეთი“ 3 დღეში კი არა, ნახევარ საათში ჩააბარა მოღალატე სააკამ რუსებს, ხოლო რაც შეეხება „ზემო აფხაზეთს“, როგორც გვახსოვს, საერთოდ უბრძოლველად, ერთი ტყვიის გასროლის გარეშე მუხანათურად ჩააბარა იქ ყველაფერი ასევე რუსებს! აგრეთვე ყველას გვახსოვს, ისიც ამ ყველაფრის შემდეგ ჩასვრილ-შეშინებული ე.წ. „მთავარსარდალი“, ცხვირით მიწას როგორ ჩიჩქნიდა გორში, ხოლო მისი „ძლევამოსილი“ ხელისუფლება, როგორ ასკდებოდა საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის საზღვრებს, ასევე ჩასვრილ-აქოთებული.



ჰო, მართლა... „ბიბისის“ კამერის წინ საკუთარ ჰალსტუხს რომ ცოხნიდა, ისიც მახსოვს, მაგრამ იცით, რაც ახლა უნდა გაუწყოთ, სააკაშვილს, როგორც მხდალ, მშიშარა და უმართავ პოლიტიკანად კი არ წარმოგიჩენთ, არამედ პირიქით, მიზანსწრაფულ, საკმაოდ ვერაგ, მაგრამ მოსულელო ნიღბით პირდაფარულ ადამიანად და თუ ვცდები, კი, ბატონო, შეგვიძლია ვიკამათოთ!

მაშ, ასე, ვინ არის სინამდვილეში მიხეილ სააკაშვილი? პროამერიკელი თუ პრორუსი რენეგატი, რომელიც საქართვე-

## daimaxsovreT, qarTvelebo! miSa giJi ar aris, misi sigiJe niRabia da imisTvis, rom yvelaferi epatios, saxidan ar ixsnis...

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ლოს სხეულში ჯერ კიდევ ყრმობისას ჩააკერეს მავანთ?

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ახალგაზრდა მიშა იმიტომ, რომ აქ, თბილისში, უმაღლესი სასწავლებლის მისაღებ გამოცდაზე ჩაიჭრა, უკრაინაში გადაახვეწეს მისმა „კგბ“-სთან დაახლოებულმა ოჯახის წევრებმა. იქ პატარა მიშა ასევე „კგბ“-ს ელიტარულ ბატალიონშიც მსახურობდა და მისი ერთ-ერთი ოფიცერი, შევარდნაძისდროინდელი სასაზღვრო ჯარების მინისტრი ვალერი ჩხეიძე იყო! ყოფილი ეფრეიტორი სააკა, ერთ-ერთი ნაციონალური შეხლა-შემოხლის დროს ამ თავის ყოფილ უფროსს დაუპირისპირდა და ვალერი ჩხეიძემაც უბის ჯიბიდან ის ფოტო „დაუძრო“ სააკაშვილს, სადაც მწვანე სამხრეებით ბეჭდამშვენებული ყურებამდე გაკრეჭილი მიშა სხვა სამხედროებთან ერთად ბედნიერი პოზირებდა! ეს ფაქტი მცირე, რამდენიმედღიანი გარჩევის საგანი გახდა, მაგრამ ცოტა თუ მიხვდა მაშინ ამ ფოტოს გამომზეურებით, რაზე მიანიშნა გენერალმა ჩხეიძემ და ახლა, როცა „დემოკრატიის შუქურა“ სააკაშვილი თითქოსდა ამერიკელების მხარდამჭერი პრეზიდენტების ნიღაბს ეფარება, ვფიქრობ, დაფიქრებად ნამდვილად ღირს, სინამდვილეში ვისი მსახურია და ვის სასარგებლოდ მოქმედებს 9 წლის განმავლობაში?!

**არსებობს ასეთი გამოთქმა — „ყოფილი კაგებეშნიკები არ არსებობენო“ და ეს გამოთქმა უკლებლივ ყველას ეხება, ვისაც კი ოდესმე ამ ორგანიზაციასთან რაიმე შეხება ჰქონია, გნებავთ, სამსახურებრივად და გნებავთ „დავერბოვკებულის“ სტატუსით! ის, ვინც ამ „მშობლიური ბუდიდან“ აფრენას საკუთარი სურვილით ცდილობს, ან კლავენ, ანდა ისეთ დღეში აგდებენ, თავად იკლავს თავს და ამდენად, ასი პროცენტით შეგვიძლია იმის თქმა, რომ — მიშამ თუ კრემლის გეგმას მცირედ მაინც გადაუხვია, მას რუსები ან თავად მოკლავენ, ანდა თავის თავს თვითონვე გამოუტანს განაჩენს!**

ახლა იმაზეც ვისაუბროთ, მიშიკას კრემლის საზიანოდ რაიმე ქმედება თუ განუხორციელებია ამ წლების განმავლობაში? — არცერთი! ახლა ვინმე თუ მეტყვის, რომ რუსეთის საელჩოს „ჯაშუში“ თანამშრომლები, აბა, ვინ გააძევებინა საქართველოდანო? გამეცინება, რადგან ცოტამ თუ იცის, რომ მთელი „ჯაშუშური“ აფიორა, მიშამ რუსეთთან ერთად გაითამაშა მაშინ და ის „ჯაშუშებიც“, ფუი ეშმაკს და, თურმე მიშას ჯარის ძმაკაცები ყოფილან „კგბ“-ს ბატალიონიდან, მაააშ!!!

**ამას წინათ „საერთო გაზეთის“ საშუალებით შემოგთავაზეთ სააკაშვილის გულწრფელი, აღიარებითი ინტერვიუ, რუსულ გაზეთ „იზვესტიასთან“, სადაც ის ამბობს, რომ: „პუტინს სიკეთით სავსე თვალები აქვს, მე მას ვენდობი“ და მეორე ფრაზა: „მსოფლიოს ბევრი ქალაქი მინახავს, მიცხოვრია, მაგრამ ყველაზე კომფორტულად თავს მოსკოვში ვგრძნობო!“**

ახლა როგორ ფიქრობთ, ამასწინათ რუსებთან მოლაპარაკებაზე, საიდუმლო ზრახვებით გაგზავნილი მიშა თავხელიძე, აკუ მინაშვილი, მიშა მაჭავარიანი და კიდევ 2 უცნობი პიროვ-



ნება — კლინიკურად შეურაცხადი ადამიანის დავალებით და მისი „გიჟური“ გამოხტომის გამო გაემგზავრა ქვეყნის ფარგლებს გარეთ? იქნება „გიჟი“ კაცის მუდმივი ბოდვებია — წინასაომარი რიტორიკა? ლარსის და ირანის საზღვრების გახსნაც თავისი კაპრიზებით განახორციელა „ერთმა გიჟმა“?

**კარგი, ვთქვათ, ეს ყველაფერი მართლაც მიშას „გიჟურ“ ტვინში მოიხარშა, მაგრამ ნუთუ არ უნდა დავფიქრდეთ ყველა სტრატეგიულ თუ არასტრატეგიულ ობიექტებთან მიმართებაში, მაინცდამაინც რუსებს რატომ ანიჭებს უპირატესობას სააკაშვილი და ე.წ. ტენდერების მეშვეობით მაინცდამაინც ის ჯგუფები რატომ ხდებიან უპირატესნი, რომლებიც რუსული „კგბ“-ს, ანუ „ეფესბეს“ მაღალჩინოსნების სახელთან არის დაკავშირებული.**

ვისია, უფრო სწორად კი ვინ განაგებს საქართველოს ელექტროენერგიას? — რუსები ხომ? ვისია „ჯორჯიან უოთერ ენდ პაური“ — რუსების ხომ? ვისია ე.წ. „ყაზტრანსგაზი?“ — ყაზახების? ნურას უკაცრავად, ყაზახები მხოლოდ შირმაა და სინამდვილეში მათ უკან რუსები დგანან! ვისია სასტუმროთა ქსელის უმრავლესობა? უცხოელი ინვესტორების? — არა, ბატონებო, ეს სასტუმროებიც რუსული კაპიტალით აშენდა და დღემდე შენდება საქართველოში და ბოლოს თუკი სააკაშვილი და მისი „ნაც.მოძრაობა“ დილიდან-დილამდე გაჰყვირის — ბიძინა ივანიშვილი „ეფესბეს“ (ყოფილი „კგბ“-ს) ხელშეწყობით ნაშოვნ, რუსული წარმომავლობის ფულს ხარჯავსო, რა გამოდის? ჯარი, პოლიცია, ქვეყნის ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი და კულტურულ-რელიგიური ობიექტებიც მთელი 8 წლის განმავლობაში რუსეთს გაუძლიერებია და აუშენებია, ხომ? აქედან გამომდინარე კი, მაშ რა შუაშია ამერიკა და ზოგადად დასავლური ორიენტაცია?

მართალია, 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები „ნაც.მოძრაობამ“ მასიურად გააყალბა, მაგრამ ეს ფაქტი რუსეთიდან ჩამოსულ დამკვირვებლებს რომ არ გაუპროტესტებიათ, შემთხვევით მოხდა?

ანდა, შემთხვევით იყო ის, რომ ამ ბედოვლათ ოპოზიციას მაშინ საკუთარი ხმები არ დაუცვია? მართალია, მაშინ საზოგადოება ქუჩაში ყვირილით კი გამოვარდა, მაგრამ მიშას ძმაკაცებმა „ოპოზიციიდან“ როგორ გაგვისტუმრეს სახლებში ესეც ხომ გვახსოვს?

საერთოდ, ძალიან საყურადღებოა ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი — „ნაცები“ რომ კრემლის ორბიტაზე ბრუნავენ, გასაგებია, მაგრამ ყოველთვის მიშას, ანუ „კგბს“ სასარგებლოდ რატომ ირჯება ოპოზიციად წოდებული ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ქართულ პოლიტიკურ სივრცეს, მიუხედავად ათწლეულებისა და მრავალჯერ ჩასვრისა, ვერა და ვერ ჩამოშორდა? ძვირფასო მკითხველო! აბა, დააკვირდით, ასევე უმნიშვნელოვანეს ფაქტს, ამ „ოპოზიციონერებისგან“ არცერთი არ მუშაობს, მაგრამ ფული თავზე საყრელი აქვთ და ნეტავ საიდან? მიშასგან? არა! აბა, მაშ ვისგან? რა თქმა უნდა, იმათგან, ვინც მიშა მოათრია, ანუ კრემლმა და თუ თვალებს კარგად გაახელთ, სმენას დაძაბავთ და რამდენიმე უტყუარ ფაქტსაც გაიხსენებთ, დარწმუნდებით, რომ უკვე დღეს ყველა რუსეთთან, მოსკოვთან ურთიერთობას ესწრაფვის, მაგრამ იქვე „ამერიკელობასაც“ არ ივიწყებს, ემანდ ბოლომდე არ გავიშიფრო და ორჯონიკიძეობა არ დამაბრალონო! არ გჯერათ? კი ბატონო, მივყვეთ ფაქტებს...

**მიშამ, რომ რუსებს სოხუმი და აფხაზეთი უფეშქაშა 2008 წლის აგვისტოში, მორატორიუმი რატომ გამოუცხადა მაშინ ოპოზიციამ და რატომ მაშინვე არ გამოვიდნენ ინიციატივით ან რეფერენდუმით, ანდა იმპიჩმენტის გზით მოეშორებინათ მოღალატე პრეზიდენტი? 2007-2008 წლების მღელვარების პიკზე, იპოდრომზე რატომ გარეკეს ნახირივით ხალხი და რატომ არ შევიდნენ პარლამენტში?**

გალიების, ზოოპარკების და ტერარიუმების მოწყობით რატომ იყვნენ გართული რუსთაველის გამზირზე და რატომ „დაავიწყდათ“ მთავარი — „ხვარაზმელები არიან თბილისში და გავრეკოთ ძმებოო?“ მოგვიანებით 2009-10-11 წლებშიც ასე მოხდა, ხალხი დაზარალდა, დაიხოცა, მაგრამ მიშა ისევ შენარჩუნებული!

ჩემი ღრმა რწმენით, ამდაგვარი მოღალატეობრივი ქმედებებით, „ჩვენმა ოპოზიციონერებმა“ ხალხის კი არა, კრემლის დაკვეთა შეასრულეს და იმიტომ, რომ პუტინის ხელისუფლებას მიშაზე უკეთესი შემსრულებლის მოძებნა ამ ეტაპზე გაუჭირდა, უვადოდ გაუგრძელეს არსებობა, რამაც არამარტო საზოგადოება, არამედ მთლიანად ქვეყნის სუვერენიტეტიც, კარგა გვარიანად დააზარალა!

„სოხუმი არასოდეს არ ყოფილა ქართული ქალაქიო“, — ბრძანა სააკაშვილმა ამას წინათ,



მაგრამ ამ შემთხვევაშიც მხოლოდ მცირე რეპლიკებით რომ შემოიფარგლა ე.წ. „ოპოზიცია“, არ არის ნიშანდობლივი?

ნებისმიერი ერი, ნებისმიერი ღირსეული საზოგადოება, ანდა თუ გნებავთ, ოპოზიციური პარტიები ამდაგვარ გამონათქვამს აპატიებდა თავის პრეზიდენტს? განა უმალ იმპიჩმენტის მოთხოვნით არ გამოფენდა ხალხს ქუჩაში?

**ხმამაღლა ვკითხულობ და ვეკითხები გუბაზ სანიკიძეს „ეროვნული ფორუმიდან“, შალვა ნათელაშვილს „ლეიბორისტული პარტიიდან“, კახაბერ კუკავას, ზვიად ძიძიგურს, კახაბერ შარტავას (სოხუმში დახვრეტილი გმირი კაცის შვილს), რატომ არ მოუწოდეთ, არ მოსთხოვეთ, არ აიძულეთ პარლამენტარები, სასწრაფოდ იმპიჩმენტის პროცედურა დაეწყოთ და რატომ არ გაამაგრეთ ეს მოთხოვნა პარლამენტთან ხალხმრავალი აქციების მოწყობით?**

**ჩვენ თუ მივხვდით, მიშამ ეს ფრაზები რისთვის ან ვისთვის თქვა შეგნებულად, თქვენ ვერ მიხვდით, „პატრიოტო პოზიციონერებო“?**

მაიცა, ხვალ რომ თქვას, ახალციხე ქართული ქალაქი არასოდეს არ ყოფილა, მასზე სიმღერები არ დაწერილაო, მართალი არ იქნება? მასე არც ლაგოდეხზე, არც ყაზბეგზე, არც ცხინვალზე და არც ლენტეხმესტიაზე შექმნილა სიმღერები და როცა მიშა, უკვე ასე დაკონკრეტდება და მთლიან საქართველოზეც მალე იტყვის: „დამოუკიდებელი საქართველო“, როგორც ასეთი, ბუნებაში არ არსებობსო, იქამდე უნდა იყოთ გატრუნულები და უნდა დაელოდოთ, ამ ქვეყანას საბოლოოდ როდის მოუღებს ბოლოს?

ვინ რა თავში იხლის თქვენს ოპოზიციონერობას მაშინ, თუკი ყველა მოქმედებას და ყველა შეგნებულად ნათქვამ სიტყვას „გაუპრავებთ“ სააკაშვილს?

ერთხელ ჩემმა მეგობარმა, ლიტერატორმა თემურ ქორიძემ ასეთი სიტყვები მითხრა: „ბევრისთვის სამშობლო მარადიული ნეტარებაა, არადა სამშობლო ჭეშმარიტი პატრიოტისთვის ხშირ შემთხვევაში ტკივილი და თვით სიცოცხლის შეგნებულად გაწირვააო!“

ძვირფასო მკითხველო! აბა, დამისახელეთ თუნდაც ერთი თანამედროვე ოპოზიციონერი, რომელსაც თავი გაუწირავს ანდა გაწირავს სამშობლოსათვის?

დაიმახსოვრეთ ქართველებო! მიშა გიჟი არ არის, პირიქით ძალიან ვერაგი და ჭკვიანი მტერია! მისი სიგიჟე „მასკაა“ და იმიტომ, რომ ყველაფერი ეპატიოს, სახიდან არ იხსნის! ამიტომაც, გამონათქვამები: „მოიცა, კაცო, ეგ ხომ გიჟია“, — ამართლებს მის ნებისმიერ მოქმედებას და ხშირ შემთხვევაში, ღალატის გზით მიმავალ სააკაშვილს, ამდაგვარი გამონათქვამები, მიზანთან მიახლოებას უადვილებს.

მიზანი კი — „ევრაზიის კავშირია“ და სულ მალე მიშა, ანდა მისთანები ამ კავშირში უეჭველად შეიტანენ საქართველოს.

სიტყვა „შეიტანენ“ კი იმიტომ ვიხმარე, რომ საქართველო, ფაქტიურად, უგონო მდგომარეობაშია, კომაშია და სიკვდილისწინა აგონიაში.

სამწუხაროა, მაგრამ ეს ფაქტია.

**ირინე გოგოლაშვილი**



# am kanoniT, SeiZleba, saqarTvelos parlamenti ucxo qveynis moqalaqeebiT dakompleqtdes...

***გვესაუბრება ბიძინა ივანიშვილის ადვოკატთა ჯგუფის წევრი ალექსანდრე ბარამიძე:***

**— ბატონო სანდრო, კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები მუდმივი განსჯის საგანია. თქვენ აღნიშნეთ, რომ ცვლილება საფრთხის შემცველია ქვეყნისთვის, კონკრეტულად რას გულისხმობდით?**

— საბოლოო რედაქცია ჯერ არ არსებობს. ერთ-ერთი შუალედური რედაქცია ასეთია — 2014 წლის 1 იანვრამდე ამ კანონით გათვალისწინებული პასიური და აქტიური საარჩევნო უფლებით, საქართველოს მოქალაქეებთან ერთად ასევე, სარგებლობენ პირები, რომლებიც დაბადებული არიან საქართველოში, 10 წელი ცხოვრობდნენ და ბოლო 3 წლის განმავლობაში მუდმივად იმყოფებიან საქართველოში და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა აქვთ. მოდით, ერთი წამით დავივიწყოთ ბიძინა ივანიშვილი და იმაზე მსჯელობა, არის თუ არა ეს ცვლილება მასზე მორგებული. წარმოვიდგინოთ, რომ ივანიშვილის ფაქტორი საერთოდ არ არსებობს და პარლამენტს ამ კანონის მიღება ისე სურს. წესით, ნებისმიერი ქვეყნის ბედ-იღბალს მისივე მოქალაქეები განაგებენ. ამ ტრადიციის, პრაქტიკის, საკანონმდებლო წესით განმტკიცების ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ არავინ აყენებს. ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა განაგონ, ამას ისტორიულად იმპერია, მეტროპოლია და ა.შ. ჰქვია. ამის დრო საბოლოოდ წარსულს ჩაბარდა. ამიტომ, დღევანდელ სამყაროში სახელმწიფოს მოქალაქეები თავად განაგებენ ბედ-იღბალს. რა თქმა უნდა, ასევე არ არსებობს არცერთი დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეების საკუთარ მოქალაქეებად მიღების საკითხს არ განიხილავს. აქაც ერთიანი მიდგომა არ არსებობს, არის ნატურალიზაციის სხვადასხვა წესი. არსებობენ ქვეყნები, რომლებიც ნატურალიზაციის შემთხვევაში ითხოვენ, ესა თუ ის პირი სხვა ქვეყნის მოქალაქე არ იყოს. არიან ქვეყნები, რომლებიც ორმაგ მოქალაქეობას უშვებენ და ა.შ. ასეა თუ ისე, კონკრეტული პირი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათ შორის არჩევნებში მონაწილეობის გზით, მას შემდეგ და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩაებას, როცა იგი მოცემული ქვეყნის მოქალაქე გახდება. არჩევნებში მონაწილეობის უფლება უცხო ქვეყნის მოქალაქეს თუ ექნება, გამოვა, რომ ქვეყნის პარლამენტი — უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც კანონებს იღებს, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს, შეიძლება მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებით დაკომპლექტდეს, რაც სრული ანომალია იქნება. მივიღებთ შემდეგ ვითარებას — საქართველოს მოქალაქეებს საკუთარი ქვეყნის ბედის განსაზღვრის შესაძლებლობა წაერთმევათ. ძირითადად, ამ საფრთხეს ვხედავ. ჩემს მიერ ნახსენებ შემოთავაზებულ რედაქციაში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ეს შეიძლება, ასე არ მოხდეს. შეიძლება, პრაქტიკულად, ეს ასე მართლაც არ მოხდეს, ძნელია ივარაუდო, რომ ქვეყნის ამომრჩეველი ხმას მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მისცემს, რათა უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა საკანონმდებლო ორგანო დააკომპლექტონ. იმის წარმოდგენაც ძნელია, რომ ამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქე მოისურვებს საქართველოს პარლამენტის წევრობას, მაგრამ საკანონმდებლო წესით ასეთი შესაძლებლობა გამორიცხული არ არის. საერთოდ, საინტერესოა, რა ლეგიტიმური მიზანი გააჩნია იმას, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეები ჩვენს პარლამენტში დასხდნენ და თუ არ გადაწყვეტენ, მონაწილეობა მაინც მიიღონ ქვეყნის ბედის გადაწყვეტის საკითხების კენჭისყრაში. ეს ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, ამის ლეგიტიმურ მიზანს ვერ ვხედავ. კი, ბატონო, მათ შეუძლიათ მოქალაქეობასთან დაკავშირებით კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, ამის სრული სუვერენული უფლება აქვთ. ასევე შეუძლიათ ორმაგი მოქალაქეობაც დაუშვან, რათა შემდგომში მოქალაქეობამიღებული პირებისთვის არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა შექმნან, მაგრამ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის არჩევნებში მონაწილეობის დაშვება, სრულიად გაუგებარი რამაა.

**— რაც შეეხება ამ ცვლილების ივანიშვილზე მორგების საკითხს. გამოდის, რომ ეს ივანიშვილისთვის კი არა არჩევნებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მონაწილეობისთვის კეთდება?**

— რამდენიც არ უნდა ამტკიცოს ხელისუფლებამ, რომ ეს კონსტიტუციური, საკანონმდებლო ცვლილება ივანიშვილზე გათვლილი არ არისო, რეალობა სწორედ ასეთ საფუძვლიან ეჭვს წარმოშობს, რისი გამაქარწყლებელი არგუმენტიც ვერ მოვისმინე. ეჭვებს კიდევ რამდენიმე გარემოება აღრმავებს: პირველი — როდესაც გამოირკვა, რომ ივანიშვილს საქართველოში ბოლო 10 წელია არ უცხოვრია და იგი ამ ცვლილებით ვერ ისარგებლებდა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 10-წლიანი ბინადრობის ცენზს 5 წლამდე შევამცირებთო; მეორე — ეს კონსტიტუციური ცვლილება 2014 წლის 1 იანვრამდე იქნება ძალაში. ამბობენ, ევროკავშირის მოქალაქეების მოზიდვა საქართველოს პარლამენტში იმიტომ, რომ იქ კარგი სპეციალისტები, განათლებული ხალხი ცხოვრობენ და შეუძლია ქართული სახელმწიფოს განვითარებაში წვლილის შეტანა. ვთქვათ, მართლაც ამიტომ გინდა, მაგრამ ჩნდება კითხვა — მაშინ, რატომ მხოლოდ 2 წლით?! ამ ორი წლის მანძილზე მოახერხებენ ვილაცების მოზიდვას და მერე აღარ დასჭირდებათ, თუ რაშია საქმე?! ამიტომ, ეს ორწლიანი პერიოდი კიდევ უფრო ადასტურებს იმას, რომ ეს ბიძინა ივანიშვილისთვის კეთდება.

ეჭვები იმის შესახებ, რომ ეს ყველაფერი ივანიშვილისთვის კეთდება, თუ მართებული და საფუძვლიანია, მაშინ ისმის მარტივი კითხვა — რად გვინდა ასეთი ცვლილების შეტანა, მითუმეტეს, რომ იგი ქვეყნისთვის რისკების მატარებელია, თუ ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილისთვის კეთდება.

**— თქვენ, ალბათ იმას გულისხმობთ, რომ ამ პრობლემის მოგვარება მარტივად, მოქალაქეობის დაბრუნებით შეიძლებოდა, არა?**



— დიახ. გაუგებარია, რატომ არ შეიძლებოდა ივანიშვილის მოქალაქედ მიღების თაობაზე მისი განცხადების დაკმაყოფილება. მით უფრო, რომ ამ განცხადებაზე უარის თქმის არავითარი კანონიერი საფუძველი არ არსებობდა. ივანიშვილი კანონით განსაზღვრულ ყველა პირობას აკმაყოფილებდა, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს პირმა, ვისაც ნატურალიზაციის გზით სურს მოქალაქეობის მიღება. ასევე არ არსებობს არცერთი დამაბრკოლებელი წინაპირობა, მაგალითად, მას არ ჩაუდენია საერთაშორისო დანაშაული კაცობრიობის წინაშე, მონაწილეობა არ მიუღია სახელმწიფო დანაშაულში ქვეყნის წინააღმდეგ და ა.შ. მიზეზები, რითაც უარი იყო ახსნილი, ძალიან სასაცილოა. სამოქალაქო რეესტრის დასკვნაში ნათქვამი იყო, თითქოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს არ შეუძლია მიმართოს პრეზიდენტს მოქალაქეობის მიღების თხოვნით, და თურმე შეუძლია მხოლოდ მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე მიმართოს განცხადებით, რაც სრული აბსურდია იმიტომ, რომ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის 33 მუხლის ა პუნქტში პირდაპირაა ნათქვამი — პრეზიდენტი განიხილავს განცხადებებს მოქალაქედ მიღების თაობაზე, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. ეს, უბრალოდ, ვიღაცის ახირება და კაპრიზია, რომ ივანიშვილს არ მიეცეს მოქალაქეობა. ამ კაპრიზს ეწირება კონსტიტუციის მთლიანობა, ეროვნული ინტერესები, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე არ შეიძლება იყოს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წევრი და ა.შ.

**— გარკვეულწილად გეთანხმებით, რომ არსებობს გარემოებები, რის გამოც კონსტიტუციური ცვლილებები ივანიშვილის გამო კეთდება, თუმცა თქვენვე აღნიშნეთ, რომ ამის მოგვარება მარტივად, მოქალაქეობის მინიჭებით შეიძლებოდა. როგორ ფიქრობთ, რით არის განპირობებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების პარლამენტის წევრად გახდომის სურვილი? ან იქნებ არჩევნებს უკავშირდება ეს ყველაფერი?**

— არ გამოვრიცხავ ამგვარ შესაძლებლობასაც, რომ ხელისუფლებას სჭირდებოდეს დამატებითი ხმები. თუმცა ეს საკითხი არ შემისწავლია და კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით.

**— ბატონმა ბიძინამ თავად განაცხადა, რომ 10 წელი არ აქვს საქართველოში ნაცხოვრები. ეს რომ მას თავად არ განეცხადებინა, შესაძლოა სასაცილო ვითარებაში აღმოვჩენილიყავით. რას შეიძლება ველოდოთ ხელისუფლებისგან და რატომ არ მიაქციეს იურისტებმა ამ საკითხს ყურადღება?**

— მოვლენათა ლოგიკა გვაძ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლება ბინადრობის ცენზს ისეთ რიცხვამდე დაიყვანს, რაც ივანიშვილს მონაწილეობის უფლებას მისცემს, ხელისუფლება კი იტყვის — რატომ ტეხთ ხმაურს ამის გამოო.

**— როგორ წერია ზუსტად კონსტიტუციურ ცვლილებაში — ყველა ევროკავშირის წევრს შეუძლია არჩევნებში მონაწილეობის მიღება თუ მხოლოდ საქართველოში დაბადებულ ქართველს?**

— არა, ეთნიკურობას მნიშვნელობა არ აქვს. რამდენიმე პირობაა ჩადებული პირველი — პირი საქართველოში დაბადებული უნდა იყოს. აქ კი, შეიძლება დაბადებული იყოს არა მარტო ეთნიკურად ქართველი, არამედ სხვა ეროვნების წარმომადგენელი. მეორე — ვინც ბოლო 10 წელია ცხოვრობს საქართველოში. მესამე — პირი უნდა იყოს ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე. სამივე პირობიდან გამომდინარე, პირი, რომელმაც საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად შეიძლება მონაწილეობა მიიღოს საქართველოში, შეიძლება იყოს ეთნიკურად არაქართველი, უბრალოდ აქ დაბადებული, უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ბოლო 10 წელია საქართველოში ცხოვრობს. ეთნიკურად ქართველი იქნება თუ არა, ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს დისკრიმინაციული მიდგომა იქნებოდა რომელიმე ეთნიკური, ნაციონალური კუთვნილების მქონე ადამიანის მიმართ. მაგრამ ლაპარაკია შემდეგზე — შეიძლება დაიბადე საქართველოში, ბოლო 10 წელი ცხოვრობდი საქართველოში, მაგრამ ძალიან ბევრი წელი ცხოვრობდი უცხოეთში და ასე თუ ისე დაშორდი იმ მენტალობას, რომელიც ამ ქვეყანასთანაა დაკავშირებული. დაშორდი ამ ქვეყნის ინტერესებს, შეიძინე და გაითავისე სხვა ქვეყნის ინტერესები, განა გამორიცხულია ასეთი რამე?! თუ მხედველობაში გვაქვს ჩვენი თანამემამულეებიც, მაშინ სხვა მეთოდებიც არსებობს. ვიმეორებ, პირველი მეთოდი იმისა, რომ გარკვეული კატეგორიის ადამიანებს საშუალება მისცე ამ ქვეყნის ბედის წარმართვის, არის ის, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეებად მიიღო. საქართველოს მოქალაქედ რომ მიიღო, მათ გარკვეული პირობები უნდა დააკმაყოფილონ, რომელთა შორისაა იგივე ბინადრობის ცენზიც, ქართული ენის გარკვეულ დონეზე ცოდნა, საქართველოს ისტორიის და სამართლის ცოდნა, მუშაობა ან ქონების ფლობა ქვეყანაში. რატომ ადგენს კანონი ასეთ პირობებს? — მარტივი მიზეზის გამო. იმიტომ, რომ მოქალაქე რაღაცნაირად დაკავშირებული უნდა იყოს ამ ქვეყანასთან. იგი დაკავშირებული უნდა იყოს, როგორც მოგახსენეთ, ენის, ისტორიის ცოდნით, ქონებით, გარკვეული ინტერესით.

**— როგორც ივანიშვილის ადვოკატთა გუნდის ერთ-ერთმა წევრმა გააჟღერა, ივანიშვილს ამ ცვლილებით არ შეუძლია პრემიერ-მინისტრი გახდეს. მაშინ რატომ უხარია კოალიციას და რატომ გრძნობს მშვიდად თავს, როცა იცის, რომ კანონი არ ითვალისწინებს ივანიშვილის სურვილს გახდეს პრემიერ-მინისტრი?**

— კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1 პრიმა პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა. ევროკავშირის მოქალაქე, რომელიც საგამონაკლისო წესით იქნება საქართველოს პარლამენტში არჩეული, მას ამ თანამდებობების დაკავების უფლება თავისთავად არ ექნება იმიტომ, რომ იგი არ არის საქართველოს მოქალაქე. ამისთვის საქართველოს მოქალაქეობაა საჭირო. ასევე, ამ თანამდებობების დაკავება არ შეუძლია იმ პირს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა და საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭე და ამდენად ორმაგი მოქალაქეა. ამ კუთხით ეს ნორმა დისკრიმინაციულია იმიტომ, რომ თუ საქართველოს მოქალაქე ხარ, რატომ არ ხარ სრულფასოვანი და გათანაბრებული ყველაფერში იმ მოქალაქეებთან, რომლებიც არ არიან ამავე დროს უცხო ქვეყნის მოქალაქეები?! ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავებას ვერ შეძლებს იმიტომ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეა, უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**— მაშინ კვლავ რჩება ერთადერთი გზა — მოქალაქეობის დაბრუნების მოთხოვნა. არადა, ბატონმა ბიძინამ 21 აპრილის მერე განაცხადა, რომ იგი არ მოსთხოვს პრეზიდენტს მოქალაქეობას. მისი კოალიციის წევრებიც ამბობდნენ — რაღა საჭიროა მოქალაქეობის მიღება, პარლამენტი დაუშვებს კანონში ცვლილებას და იგი არჩევნებში შეძლებს მონაწილეობასო. არადა, ხელისუფლებამ თქვა სწორად შემოგეტანათ განცხადება და პრობლემა არ იყოო?**

— განურჩევლად იმისა, კონსტიტუციური ცვლილება შევა თუ არა, რა სახით შევა, ჩათვლის თუ არა ივანიშვილი საჭიროდ ამ ცვლილებით ისარგებლოს, განურჩევლად იმისა, დააკმაყოფილებს თუ არა საბოლოო ჯამში პრეზიდენტი ივანიშვილის განცხადებას მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე, ჩვენ სამოქალაქო რეესტრის უარი სასამართლოში გავასაჩივრეთ და მოვითხოვეთ, დაევალოს პრეზიდენტს ივანიშვილის მოქალაქედ მიღება. ამ ყველაფრის მიუხედავად, თუ არჩევნებში ეს პოლიტიკური ძალები გაიმარჯვებენ, ვინც ივანიშვილის კოალიციაში არიან, მაშინ, სავარაუდოა, რომ ისინი მიიღებენ შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს, რაც შესაძლებელს გახდის ივანიშვილმა სათანადო თანამდებობა დაიკავოს.



**— ამის იმედადაა ივანიშვილი, რომ მისი კოალიციის წევრები გაიმარჯვებენ, თუ პრიორიტეტი მოქალაქეობის დაბრუნება უნდა იყოს? გასაჩივრებას რა აზრი ჰქონდა, ხომ თქვა ხელისუფლებამ ასეთი კანონი ჩვენ არ გვაქვსო, ეს წყლის ნაყვას ხომ არ ჰგავს?**

— პრიორიტეტი ყოველთვის იყო და რჩება შემდეგი — ბიძინა ივანიშვილს, დაბადებით ქართველს, პირს, რომელმაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი საქართველოში გაატარა, უამრავი სიკეთე გააკეთა ქვეყნისთვის, აკმაყოფილებს კანონით დადგენილ ყველა პირობას არ არსებობს დამაბრკოლებელი გარემოება — იგი უნდა გახდეს საქართველოს მოქალაქე.

**— ბოლოს მინდა გკითხოთ, ხომ არ შეიცავს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილება დისკრიმინაციულ ხასიათს, რა დააშავეს სხვა ქვეყნებში მცხოვრებმა მოქალაქეებმა, თუნდაც რუსეთში მცხოვრებლებმა?**

— ასეთი კითხვა არსებობს — თუ ევროკავშირის მოქალაქეებისთვის არის ეს წესი დაშვებული, რა დააშავეს სხვებმა?! მაგრამ მეორე კუთხიდან რომ მივუდგეთ ამ საკითხს, ამით კიდევ უფრო გაფართოვდება არეალი იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა, რომლებმაც შეიძლება, ამ ქვეყნის ბედიღბალი გადაწყვიტონ. საერთოდ, ასეთი შესწორება არავისთვის არ უნდა იყოს დაშვებული.

**თამარ შველიძე**

## facebook

## xa l xis az r iT

ავადმყოფი, კრიმინალი, მასხარა, ნარკომანი, კომპლექსიანი სააკაშვილი: იმ დღეს სანდრამ მითხრა: რა კარგია, როცა თვითმფრინავში ადიხარ და ბიზნესკლასში ოპოზიციონერები ზიან და შენ კიდევ ეკონომ-კლასშიო;))) ეს ოჯახი შემოესია საქართველოს;)) იმ დღეს მაკდონალდსში, ვიყავი მეგობართან და მის შვილთან ერთად, და უცბად შემოვარდნენ დაცვის 7 წევრი და სანდრას და მის პატარა ბავშვს გაუნთავისუფლეს ადგილები, გარე პერიმეტრზე კიდე 5 კაციანი დაცვა იცავდა 2 ტოიოტა-200 და შუაში სანდრას ჰეჩბეკი აუდი ეყენა, სანდრა რულოვს, მარტო ესეიგი 12-კაციანი დაცვა დაყვება, მისი მომსახურების ვალდებულებას კი მთლიანად ქართული საზოგადოება იხდის, მოკლედ, სანდრა და მიშა თანამედროვე საქართველოს მეფე-დედოფალი არიან...)) ეს ოჯახი დასცინის საქართველოს!!!

დავით გარეჯიც დასაბრუნებელია ,ჰერეთიც, ტაო-კლარჯეთიც, აფხაზეთიც ,სამაჩაბლოც, ლაზეთიც, ჯიქეთიც, მაგრამ რაც მთავარია ჯერ უნდა დავიბრუნოთ თბილისი. და რაც კიდევ უფრო უმთავრესია ღმერთს უნდა შევევედროთ რომ დაგვიბრუნოს გონება. სანამ თბილისსა და სრულიად საქართველოს მართავს სააკიანი, რომელ დავით გარეჯის დაბრუნებაზეა საუბარი. არა და მოსახლეობის დიდი უმრავლესობა (ვთქვათ სიმართლე), არ იმსახურებს, სააკიანზე უკეთეს მართველს ! მწარეა, მაგრამ, ასეა!

ქსენია სობჩაკს რუსეთის პრეზიდენტობას უწინასწარმეტყველებენ...რუსეთში - ქსენია, საქართველოში - შორენა და აშენდა "კომუნიზმი" :))

ისე, ვინ აგებს იმ ხალხის დაღუპვაზე პასუხს!!! სანიაღვრეები, ჭები და სადინრები რომ გამართულად მუშაობდეს, ასეთი ამბავი მოხდებოდა??? ჰესი ბოლომდე გახსნილია და წყალს ატარებენ მთლიანად???

აზერბაიჯანის სასაზღვრო ნაწილებმა რამდენიმე დღის წინ დაიკავეს გარეჯის ქედის თხემი. ამრიგად, უდაბნოს სამონასტრო კომპლექსი მათ მხარეს დარჩა და იქ საქართველოს მოქალაქეებს აღარ უშვებენ. აზებაიჯანელებმა უფრო ადრე დადგნენ ჩიჩხიტურში, ახლა კი მთლიანად აკონტროლებენ მთელ ქედს. სახეზეა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კულტურულ–ტერიტორიული დანაკარგი, თუმცა, ვითომც არაფერი მომხდარა, მხიარულება და ტაშ-ფანდურა გრძელდება!

ამ დორბლიანმა ავადმყოფმა იმდენი ტყუილი ილაპარაკა გუშინ ბათუმში, რომ უფლის რისხვა დაგვატყდა თავს... რომელ ეკონომიკურ ზრდაზე, წარმატებებზე და აღმავლობაზე ლაპარაკობს ეს ნარკომანი? კიდევ ითხოვს სახელისუფლებო ვადებს, რომ ბოლომდე გააჩუქოს საქართველო, ყველა დააკმაყოფილოს, ყველას მიუგდოს თავისი წილი საქართველოს ნაგლეჯი, ბოლომდე გადააგვაროს ახალგაზრდობა, ბოლომდე დათრგუნოს და მონობაში ამყოფოს ერი... წაეთრიე ))) ყველას ეზიზღები შე მტარვალო, შენს გარემოცვასაც კი.

ნორმალური ერი, დღესვე გაუშვებდა მოუსავლეთში უგულავას.... ვიმეორებ: ნორმალური ერი. და ვიმეორებ, დღესვე!!!! ხვალ დილიდან ნახე სტიქია როგორ იქცეს წინასაარჩევნო კამპანიის წარმატებულ ნაწილად:(

ვერ გავიგე, რატომ უარყოფენ თვითმმართველობის კანდიდატები თავიანთ პოლიტიკურ სიმპათიებს. ვინმემ პოლიტიკური უფლებები ჩამოგართვათ თუ ეს ახლებური ქურდული მენტალიტეტია, რომ პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერობა სტუდენტისთვის "გრეხია"?

მაესტროზე იყო გამოკითხვა, ეფექტური იქნება თუ არა ელექტრონული მთავრობა. ერთმა კაცმა დარეკა და ასე თქვა: თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მთავრობა ნაგავია, მაშინ ელექტრონზე მაგათი მიბმა, ნამდვილად ეფექტური იქნებაო.

სააკაშვილს რომ გეოგრაფია არ უსწავლია, ამაში მთელი საქართველო კარგა ხანია, დარწმუნდა. მან არც პოლიტიკა იცის. ერთადერთი დიპლომი, რომელიც მას დადასტურებულად აქვს, ადამიანის უფლებების გავლილ კურსს ასახავს. რაში დაეხმარა მას ეს ცოდნა, იმ 45 ათას პატიმარს უნდა ვკითხოთ, რომელთა შორისაც სიკვდილიანობამ (წამებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) კატასტროფული მასშტაბები მიიღო.



# biznesmeni ivaniSvili Tu fuls `akeTebda~ ruseTSi, es danaSaulia da biznesmeni gulua Tu dResac fuls `akeTebs~ imave ruseTSi, uflis nebaa?

თითქმის ერთი კვირის განმავლობაში სარეკლამო რგოლი გვატყობინებდა, რომ უნდა დაფუძნებულიყო საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, რომელიც დაეხმარება საკუთარ სამშობლოშივე დევნილებს, რომ 12 მაისი გამოცხადდებოდა ოსთა, აფხაზთა და ქართველთა შერიგების დღედ. ყველაზე უკეთესი კი ის ინფორმაცია იყო, რომ ფონდის დამფუძნებლები აფხაზი, ოსი და ქართველი ბიზნესმენები იქნებოდნენ.

ფონდს ჯერ არაფერი დაუწყია, ორიოდე დღის წინ დაიბადა, მაგრამ მიზნები კეთილშობილური აქვს.

მომავალი გვიჩვენებს, შეპირებული „პუნქტებიდან" რომელს შეასრულებს ფონდი, მაგრამ რაც აქციაზე თვალშისაცემი იყო, ეს გახლდათ ახალგაზრდების სიმრავლე. როგორც შევნიშნე, ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, რომ „განახლებული საქართველოსთვის" თეთრ-ცისფერი და „ნაცმოძრაობის" ხუთჯვრიანი დროშები სრულ ჰარმონიაში ფრიალებდნენ. აქცია აქციას ჰგავდა ექსცესებიანად, მაგრამ ეს ნაკლებად მნიშვნელოვანი ჩანდა იმ ფონზე, რაც გასულ ღამეს, 11 მაისს ითქვა.

არაერთი სატკივარით შეწუხებული საქართველოს არაერთი მოქალაქე ყველაფერს ვერ მიადევნებს თვალს, მითუმეტეს, შუაღამისას, ამდენად, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება კიდევ ერთი პარტიისა და მისი ფაქტიურ-ფიქტიური თავმჯდომარეების პოზიციის განვრცობა, რომელიც სტუდია „ობიექტივის" ღამის ეთერში გაიფრქვა.

პარტიის „განახლებული საქართველოსთვის" თავმჯდომარე ნანა გულუა გახლავთ, სოხუმიდან დევნილი, რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენის მინდია გულუას და, სოხუმის უნივერსიტეტის ინფორმატიკის სრული პროფესორი.

როგორც მან აღნიშნა, პარტიას კავშირი არ აქვს საქველმოქმედო ფონდთან, უბრალოდ, ახმოვანებენ — ვერაფერი გავიგე. არა, ნათქვამი როგორ ვერ გავიგე, ის ვერ გავიგე, ეს ღია „კუკუდამალობანა" რას ემსახურება.

მინდიას უარყოფით აქტივში უთვლიან იმას, რომ რუსეთის ხელისუფლებასთან კარგ დამოკიდებულებაშია. თუკი რამ ჩემი ქვეყნის სასარგებლოდ შეიძლება იქნეს გამოყენებული, მე უარყოფით აქტივში არ ვუთვლიო. მოკლედ რომ ვთქვათ, მინდიას დამ ბრძანა, ჩემი ძმა „რუსული პროექტი" არ არის, უბრალოდ, ახლობლობს რუსეთის ხელისუფლებასთან და საერთოდაც, მხოლოდ პოლიტიკური მრჩეველია პარტია „განახლებული საქართველოსი" და ისიც, საერთაშორისო საკითხებშიო.

რაც შეეხება ცნობილ ადამიანებს, ჩვენს გუნდში არიან ცნობილ-ცნობადი სახეები, რომელთათვისაც, როგორც ჩემთვის, სიტყვა და საქმე ერთია, მაგრამ ვუფრთხილდებით და არ ვაჩენთო. როგორც ჩანს, ახალ პარტიას „სიახლე" მოჰყვა, — რომელიმე პარტიის თავმჯდომარისგან ასეთი უცნაურობა არასდროს მსმენია. ისე, გამოსაჩენები თუ არ არიან, გასაგებია, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ფონდში პირველი 25 მლნ დოლარის შეტანას მინდია გულუა აპირებს.

აბა, ვნახოთ, როგორ?

საქართველოს კანონის მიხედვით „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" თუ ხელისუფლებამ უფლება არ მისცა ოკუპირებულ ტერიტორიებზე (რატომ ოკუპირებულზე, მათ დამოუკიდებელი ქვეყნების სტატუსი აქვთ — ესეც ვერ გავიგე) ფონდის ფილიალების გახსნისა, მერე როგორ იქნება ფონდის საქმე? ანდა, რომ მისცეს საქართველოს ხელისუფლებამ ეს უფლება, როგორ ჰგონიათ გულუებს, რას შეიძლება ნიშნავდეს, რაღაც გარიგების წინაპირობას ხომ არა? — ხელისუფლებას რომ დევნილების ბედ-იღბალი ანაღვლებდეს, თვითონვე მოაგვარებდა მათ პრობლემებს კარგა ხნის წინ და ახლა, რატომღაც, „ოპოზიციონერი" გულუების „შეგონებანი" რომ შეისმინოს, დევნილების დახმარება გვინდა, მიგვიშვიო და მიუშვას მართლა, სხვას ვერაფერს იფიქრებს კაცი...

აღდგომა და ხვალეო...

„ხვალემდე" აქციაზე მყოფ მანანა გაბელიას გავესაუბრე, ვკითხე, დევნილთა ერთ-ერთი ცნობილი სახე ბრძანდებით და გეცოდინებათ, რა ფონდი უნდა დაარსდეს და საერთოდ, ეს ახალგაზრდული ხალხმრავლობა რას მივაწერო-მეთქი.

**მანანა გაბელია:** — „საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება და თურმე, ვიღაც გულუა, ბიზნესმენი, სოხუმში ნაცხოვრები კაცი ძალიან შეწუხებულა დევნილების ბედით. მე თვითონ დევნილი ვარ აფხაზეთიდან, შრომადან, ცეცხლის ხაზი ჩვენზე გადიოდა, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთი კი არა, მთლიანად საქართველო მტკივა. როგორც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი, ძალიან შევიწროვებული და დევნაში ვიყავი. მქონდა იმის საშუალება, რომ საქართველო დამეტოვებინა და პოლიტიკური თავშესაფარი მომეძებნა, მაგრამ ისევ საქართველოს სიყვარულის გამო, არ გავაკეთე ეს. მინდა მივმართო გულუებს: სად ბრძანდებოდით, როცა დაუნდობლად გვყრიდნენ ქუჩაში ისე, რომ არც ჩვილ ბავშვებს ზოგავდნენ და არც ავადმყოფებს მოსეული ზონდერბრიგადები, რატომ ერთხელ მაინც არ ამოიღეთ ხმა? ის სულგაყიდული ხალხი, ვინც დღეს გახვევიათ გარს, ფულის გამო არიან შემოხვეულები, ხომ იცით? ერთხელ მაინც რომ დამდგარიყავით დევნილების გვერდზე,





ახლა ხომ ამ სულგაყიდული ხალხის ნაცვლად ჩვენ ვიდგებოდით თქვენს გვერდზე?

მინდა მივმართო ქალბატონ ნანას: მე არ ვამბობ რომ დიდი ვიღაც ვარ, მაგრამ რომ არ მიცნობთ, ეს თქვენი პრობლემაა და არა ჩემი. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ეროვნული მოძრაობიდან მოვდივარ, რადგან ეს, თქვენთვის ბუნდოვანი და უცხო თემაა, მაგრამ წვიმაში და თოვლში ჩემს დევნილებთან ერთად „დუბინკები" რომ მხვდებოდა და დაჭერაც არ ამცილებია, დევნა და შევიწროება, თქვენ სად იყავით? ერთხელაც არ მდგარხართ ჩვენს გვერდით, იმიტომ, რომ გეშინოდათ, ან სამსახური არ დაგეკარგათ, ან პრივილეგიები, ან სულაც იმიტომ, რომ რაღაცისთვის გამზადებდათ ეს ე.წ ხელისუფლება. სწორედ იმიტომ, რომ არასდროს გაგხსენებიათ აფხაზეთიდან დევნილები, ჩემთვის და ჩემისთანებისთვის ამ ხელისუფლების სატელიტები ხართ. თქვენთან მოვიდნენ დევნილები და გითხრეს, თუ მართლა გააკეთებთ საქმეს, მხარში ამოგიდგებითო, მაგრამ თქვენ ისე პრეტენზიულად შეხვდით, ისეთი წინადადებები წამოუყენეთ და ისეთი ფორმით გააცანით თავი, რომ ის ჭეშმარიტი პატრიოტი დევნილები გამოიქცნენ. ვინც თქვენთან დარჩა, მაგათ ბევრს ვიცნობ კარგად და მაგათი იმედით, ჩემს ქვეყანას არაფერი ეშველება. ეს ჩემი კაპრიზი არაა ვიცნობ და ვიცი რა მედროვეებიც არიან, სადაც ფულია, ყველგან მივლენ...

არის თქვენთან ფული და მოგიწოდებთ, ახლა მაინც ნორმალურად მოიხმაროთ. შეგეძლოთ, გქონდათ ამის შანსი, რომ ყველაზე გაჭირვებული დევნილებიდან რამდენიმე მაინც ამოგერჩიათ და ერთხელ მაინც ხელი მოგემართათ, მაგრამ დღემდე არ გაგიკეთებიათ ეს. იძახით, ძალიან ფული გვაქვსო. ჩემზე და ჩემს დევნილებზე უკეთ არავინ იცის როგორ ავსებთ ათ-ათ ლარებში ხალხის რიგებს. ეს ნაცადი ხერხია, ეს ბინძური ხერხია, ამას აკეთებს ეს ე.წ ხელისუფლებაც გაჭირვებული ხალხის გასარყვნელად და ამაში, ვერაფრით ამოგიდგებით მხარში. ბატონი მინდია უცბად რომ შეიჭრა პოლიტიკაში და თავისი დაც შეაგდო, ძალიან საშიშია, რადგან ეს შეუძლებელია ვინმეს ზურგის გარეშე. ხომ არის საკითხავი ვინაა ის „ვინმე." ხომ უნდა ვიკითხოთ, რამ აიძულა ასეთ ჟამს ქალბატონი ნანა, რომ პოლიტიკაში შემოვარდნილიყო?"

როგორც უკვე ითქვა, 12 მაისი აფხაზთა, ოსთა და ქართველთა შერიგების დღედ უნდა გამოცხადებულიყო. გასაგებია, რომ მომდურებული ახლობლები უნდა შერიგდნენ და მიუტევონ ერთმანეთს შეცდომები, მაგრამ, საინტერესოა, ვისთანაც ჯერ არაფერი სჭირს ვინმეს ვინმესთან შესარიგებელი, რატომ უნდა გაიხადოს შემდგომში შესარიგებლად ჭკუათამყოფელმა კაცმა?

დიახ, 12 მაისის შემობიჯებისთანავე ისეთი ცეცხლი დაანთო ბატონმა მინდიამ მოსკოვიდან, 12 ბრანდსპოიტი ვერ ჩააქრობდა.

**მინდია გულუა:** — „მე, „ქართულ ოცნებას" და მიხეილ სააკაშვილის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" ვთვლი, როგორც ერთ ჯგუფს, ამიტომ მე არ ვყოფ მათ დღეს. ეს არის კარგად გათამაშებული ინსპირირებული სცენარი, ჩემი თვალსაზრისით და არა მარტო ჩემი თვალსაზრისით, ვინაიდან, აქ იმყოფება ყველა ის ხალხი, ვინც სააკაშვილი მოიყვანა ხელისუფლებაში და დღეს ვითომ არიან ესენი ოპოზიციონერები. ვითომ, 2008 წლიდან ის ცუდ ურთიერთობაში არის სააკაშვილთან, მე მხედველობაში მყავს ბატონი ბიძინა ივანიშვილი. თქვენ იცით, რომ მისმა მოსვლამ ფაქტიურად, მოშალა ოპოზიციური სპექტრი, მაგრამ ამან, ჩვენთვის ძალიან კარგად იმოქმედა. ჩვენ მოგვეცა საშუალება, ახალ პარტიას, ვიმოქმედოთ და ე.ი ჩვენ ვისარგებლეთ ამ მომენტებით და გავხსენით და თითქმის დავასრულეთ ყველა რეგიონში ჩვენი დაფუძნება. რა თქმა უნდა, ოთხი თვის განმავლობაში ჩვენ ვერ გავაკეთებთ მყარ და ძლიერ პარტიას, მაგრამ ჩვენი პროგრამით და ჩვენი მიდგომით საკითხის, ჩვენი ე.ი ცნობადობით, რომელიც გვაქვს, პირადად მე, მინდია გულუას, როგორც რუსეთის ხელისუფლებაში, ასევე შეერთებულ შტატებში, რომელსაც თქვენ არჩევნების დროს იხილავთ ამას საქართველოს ტელევიზიებში, მოგვცემს იმის საშუალებას მოსახლეობას, რომ გააკეთოს ე.ი სწორი არჩევანი, ე.ი მიხეილ სააკაშვილი და „ქართული ოცნებას" მისცეს ხმა, თუ ე.ი „განახლებული საქართველოსთვის."

ბატონ მინდიას მივუტევოთ ცოტა არეულად რომ მეტყველებს, მაგრამ ოთხ თვეში პარტიის გამყარებას ვერ შევძლებთო რომ ბრძანებს, ამ შემთხვევაში კი, სათვალავიც არევია — ოქტომბრამდე, ანუ საპარლამენტო არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე ფონდს აარსებენ (რომლის ბედიც საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებაზეა ჩამოკიდებული) და არა პარტიას, რომელიც უკვე შექმნილია.

**მინდია გულუა:** — „კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დღეს, ჩემთვის „ქართული ოცნება" არის მიხეილ სააკაშვილის პარტია, როგორც არის „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია" — ესენი არიან ერთი ჯგუფი. სატელიტი, ძნელია, რომ ბიძინა ივანიშვილს დაუძახო, მაგრამ ის ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მიხეილ სააკაშვილს შეუნარჩუნოს ხელისუფლება.

თქვენი (წამყვანს მიმართავს) და ზოგიერთების აზრი არის, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ვითომ ძალიან პოპულარული პიროვნება და მოდის გადასარჩენად საქართველოსი. ბიძინა ივანიშვილი არ მოდის საქართველოს გადასარჩენად, ბიძინა ივანიშვილი აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის კურსს. (წამყვანმა ძლივს მოახერხა სიტყვის ჩაკვეხება, ბატონო მინდია, მე ნუ მეჩხუბებითო) ვინაიდან, ის არის ძლიერი ბიზნესმენი, მას უნდა გაეგრძელებინა თავისი საქმე ბიზნესში და მეცენატობაში და პოლიტიკაში მას არ უნდა მიეღო მონაწილეობა და მითუმეტეს, არ უნდა გამხდარიყო მიხეილ სააკაშვილის ე.ი ხელში იარაღი." (მე ნუ მეჩხუბებით, აქ იმიტომ ვარ, კითხვები დაგისვათო, — ისევ ჩაეკვეხა წამყვანი, მაგრამ ვინ მოუსმინა.)

საინტერესოა, სხვისი შემძახებელი კაცი, დღემდე რუსეთში „მოღვაწე" ბიზნესმენი, რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებუ-

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ლი და რუსეთში მცხოვრები პირი, რატომ ეძებს ადგილს ქართულ პოლიტიკაში და ასე ნაუცბათევად? განა იმდენი „ახლობლობა“ არ აქვს იმავე რუსეთის ხელისუფლებასთან, რომ რუსეთშივე დაიკმაყოფილოს პოლიტიკური ამბიციები და იქიდან გააკეთოს კარგი საქმე საქართველოსთვის კი არა, თუნდაც მხოლოდ თავისი აფხაზეთისთვის? — გამიჩნდა შეკითხვის დასმის სურვილი.

**მინდია გულუა:** — „ჩემსა და ბიძინა ივანიშვილს შორის არის ძალიან დიდი განსხვავება. მე ვარ პრინციპული ადამიანი, მე ვარ აფხაზეთელი, მე ნაომარი ვარ! როდესაც მე ვომობდი, სააკაშვილი და მისი ჯგუფი ამერიკაში, იქა, დროს ატარებდნენ. ბიძინა ივანიშვილი, თვითონ აღიარა, რომ ელცინთან ამხანაგობდა და კრასნოიარსკში ფულებს აკეთებდა.“

ცალკეულ პირებს ნამდვილად რაღაც პრობლემა უჩნდებათ ხოლმე დრო და დრო მეხსიერებასთან დაკავშირებით, ოცი წლის წინანდელი „ივანიშვილის ამბები“ ახსოვთ (არაფერიც არ ახსოვთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ



წარმოდგენაც არ ჰქონდათ, ასეთი ვინმე თუ არსებობდა, მხოლოდ იმეორებენ იმავე პირის ნათქვამს საკუთარ თავზე) დღევანდელი საკუთარი კი, ავიწყდებათ. 2008 წლის აგვისტო აგერ, ახლახან იყო, როცა საქართველოს კიდევ ერთი გვარიანი ლუკმა მოაკბიჩა იმ რუსეთმა, საიდანაც ამ სიტყვებს ბატონი მინდია ბრძანებდა; იმ რუსეთმა, რომლის ხელისუფლებასთანაც დღემდე აგრერიგად ჩახუტებულია და ბიზნესს უპრობლემოდ აწარმოებს; იმ რუსეთმა, რომელმაც საკუთარი დაბადების ადგილი, სოხუმი წაართვა და დევნილად აქცია. (ისე, ზოგი ჭირი, გამოდის, მართლაც მარგებელი ყოფილა, უსახლკაროდ დარჩენილი უპოვარი დევნილი რუსმა მტერმა მილიონერობისთვის „გაწირა“ რუსეთში.)

უკაცრავად და, ბიზნესმენი ივანიშვილი თუ ფულებს „აკეთებდა“ რუსეთში, ეს დანაშაულია და ბიზნესმენი გულუა თუ დღესაც ფულებს „აკეთებს“ იმავე რუსეთში, ოღონდ სხვა მხარეში, უფლის ნებაა? — რა ლოგიკაა, ვერაფრით მიხვდება ამ პრეტენზიის არსში ჩაწვდომის მოსურნე ადამიანი. ბიზნესმენი კაცი მეორე ბიზნესმენს ფულის „კეთებაში“ ადანაშაულებდეს, თანაც, იმავე არეალში, სადაც თვითონ „აკეთებს“ და ამას კომპრომატად უდებდეს, რა ვქნა, არ მესმის.

როგორც ბიზნესმენს ბიზნესმენისადმი, რა პრეტენზია აქვს ბატონ გულუას ბატონი ივანიშვილის მიმართ, გაუგებარი დარჩა...

ბატონი გულუა მილიონერად იყო ცნობილი, ახლა კი, მისი ნათქვამიდან გაირკვა, რომ მილიარდები დაუგროვებია. (წამყვანი ჩაეძია მილიარდერობაზე და პასუხად მივიღეთ, ეს საკითხი რატომღაც ბევრს აწუხებს და არჩევნებში მონაწილეობის საშუალება თუ მომეცა ახალი კანონის თანახმად, რომ ევროკავშირის მოქალაქეებს ექნებათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება, გამოვაქვეყნებ დეკლარაციასო) ვის აწუხებს მისი ფული, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, მაგრამ რა არის ის დიდი განსხვავება, რაც ამ ორ ბიზნესმენს შორისაა, მით უფრო, მილიარდების ფონზე, გაუგებარია. ერთი განსხვავება, რაც რეალური ფაქტია, ისაა, რომ გულუა სოხუმელია, ივანიშვილი — ჭორვილელი;

საინტერესოა, ბატონი გულუას მიერ სააკაშვილის ჯგუფის წევრად გამოცხადებული ბიძინა ივანიშვილი რასაც ვერ ახერხებს იმავე სააკაშვილის ხელისუფლების მიერ არაერთი ხელოვნურად შექმნილი საკანონდებლო ბარიერის გამო, როგორ უნდა მოახერხოს ნეტავ, „ოპოზიციონერმა“ ბატონმა გულუამ?

პოლიტიკაში დღეს მოსვლის მსურველმა კაცმაც და ქალმაც იმდენი უნდა ხომ იცოდეს, რომ რუსეთში „საქმიანობა“ კი არ არის „უარყოფითი პასივი,“ არამედ, ხალხის სულისკვეთების, ხალხის განწყობის, ხალხის რწმენის წინააღმდეგ წასვლა...

ვუსმენდი გულუების საუბარს და ვერაფრით მოვისმინე საქართველოს ხელისუფლების აუგი, ივანიშვილი ყოფილა საქართველოს დამაქცევარი — ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს ამგვარი არაკოლეგიალურობა „ფულის მკეთებელი“ კაცის მხრიდან მეორე „ფულის მკეთებელი“ კაცის მიმართ?




ივანიშვილი თავის მილიარდებს ხარჯავს იმიტომ, რომ სააკაშვილს შეუნარჩუნოს ხელისუფლებაო, პირდაპირი ბრალდებაა, ხოლო, „მე დავხარჯავ იმიტომ, რომ გავანთავისუფლო საქართველოო“ — ამას რა ჰქვია, აღარ ვიცი.

კიდევ უკეთესი, — „მე გამაჩნია სხვა რესურსები, ამ ფულის გარდა, რომელიც მაძლევს იმის საშუალებას, რომ არჩევნებში გავამარჯვებიო პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ და ის იქნება მმართველი პარტია, უახლოეს ხანებში დარწმუნდება ამაში ხალხიო.“

სამწუხარო და ძალიან ცუდია, თუ ის „რაღაც რესურსი“ აქვს ბატონ გულუას, რადგან არჩევნებში კეთილსინდისიერი გამარჯვების ერთადერთი რესურსი ხალხის ნებაა, თორემ, რესურსებზე თუ მიდგა საქმე, ხელისუფლებას რომ რესურსი აქვს, იმისთანა უნდა.

არა, რესურსების გაერთიანებაც შეიძლება, თუნდაც იმავე ხელისუფლებასთან, რომელსაც ალმაცერად უყურებ, მაგრამ ცალკე ერთი კაცის რესურსი, ხალხის ნდობის მანდატის გარეშე, ხელისუფლების რესურსს აჭარბებდეს, ძალიან ბევრ საეჭვო კითხვის ნიშანს ბადებს.

„ქართული ოცნება“ და ე.ი მიხეილ სააკაშვილი, ეს არიან ერთი მხარე და ჩვენ, „განახლებული საქართველოსთვის“ არის მეორე მხარეო, — ბრძანა ბატონმა გულუამ.

აშკარაა, მხარი ექცა ბატონ მინდიას!

ვნახოთ, რა ბრძანა ივანიშვილის ხსენებით გაალმასებულმა ბატონმა მინდიამ პირდაპირი ჩართვის დროს საკუთარი პიროვნების ზოგადი შეფასების კუთხით. და დრო და დრო კითხვებით ჩავერთოთ.

**მინდია გულუა:** — „მინდია გულუა არის ის ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც იარაღით ხელში იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“.

ვისი დაპყრობისგან იცავდა, ქართველების თუ მეგობარი რუსებისგან?

„მინდია გულუა არის ის პიროვნება, რომელიც ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში, სადაც იშოვა ფული ისევე, როგორც იშოვა ბიძინა ივანიშვილმაც;

ბოლო ფრაზას გამოვედევნოთ — რატომ ედრება ბატონი გულუა კონკრეტულად ივანიშვილს და არა, ვთქვათ, კობა ნაყოფიას და სხვა არაერთს, რომლებმაც სწორედ რუსეთში „იშოვეს“ ფული და ოფიციალურად წარმოადგენენ, ასე ვთქვათ, მისთვის მიუღებელი „ნაცმოძრაობის“ სახეებს? რატომ ამოიჩემა კონკრეტულად ეს ერთი კაცი?

„მინდია გულუა არის პირი, რომელიც დაახლოებული არის, რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლებასთან;“



გაუგებარია, რას ნიშნავს „რა თქმა უნდა“ და რატომ არის საამაყო პუტინ-მედვედევის ხელისუფლებასთან სიახლოვე 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მაინც?

„მინდია გულუა არავის „პროექტი“ არ არის! მინდია გულუა არის ქართველი ხალხის „პროექტი!“

ქართველმა ხალხმა, რასაც ხალხი ჰქვია, ჯერ კიდევ არ იცის და წარმოდგენა არ აქვს, თუ არსებობს ვინმე მინდია გულუა და ნეტავ, სად არის ის სხვა საქართველო, რომლის „პროექტიც“ ის არის? — ასეთი ამბიციური არაფერი მსმენია.

„მინდია გულუას ვერავინ ვერასოდეს მოაწერინებს ხელს იმაზე, რომ განასხვისონ საქართველოს ტერიტორიები, ოკუპირებული ტერიტორიები, სოხუმი და ოკუპირებული ტერიტორია ცხინვალი.“

ეტყობა, მართლა ძალიან შორიდან უმზერს ბატონი მინდია საქართველოს — მოწერილია უკვე! გასხვისებულია უკვე! და არა მხოლოდ ეს ქალაქები, ტერიტორიები, აფხაზეთი და ე.წ სამხრეთ ოსეთი, საქართველოს ერთიანი სხეულის ნაწილები.

მინდია გულუა: „ქართულ ოცნებას“ არ ჰყავს დევნილები! „ქართულ ოცნების“ გვერდით არ დადგება დევნილები! თავმოყვარე დევნილები მათ გვერდით არ იქნებიან!, ვინაიდან ამ ადამიანს ბევრი აქვს გაკეთებული საქართველოსთვის, მაგრამ არაფერი გაუკეთებია ჩვენი დევნილებისათვის. მას არაფერი არ გაუკეთებია ჩვენი სოხუმისათვის, როცა ჩვენ ვიბრძოდით, როგორც არ გაუკეთებია სააკაშვილს და მის ჯგუფს, როდესაც ჩვენ ვიბრძოდით, საზღვარგარეთ იჯდნენ და ქეიფობდნენ. ჩვენ იქ „აკოფში“ ვიჯექით, ვიბრძოდით და სისხლს ვღვრიდით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის.“

ეს იყო ოცი წლის წინ და აფხაზეთი ოფიციალურად არ იყო დაკარგული.

მას შემდეგ მინდია „აკოფიდან“ ამოვიდა და მტერს, დიდ რუსეთს მიაშურა; სააკაშვილი და მისი ჯგუფი მორჩნენ საზღვარგარეთ ქეიფს და ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ; ივანიშვილი საქართველოში დაბრუნდა.

**მინდია გულუა:** — „ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდა ვის — ხელოვნების მუშაკებს — გამოაქვეყნეს სია, ჩვენ ეს კარგად ვნახეთ. აბა, რომელი დევნილი დააფინანსა! აბა, რომელი უბრალო ადამიანი დააფინანსა! აბა, რომელი პროექტი დააფინანსა მან, რომელიც გამოადგებოდა ე.ი მშიერ ხალხს! მან ე.ი ეკლესია გააკეთა — დიდი მადლობა მას! მან ბევრ ხელოვანს ფული მისცა — დიდი მადლობა მას, მაგრამ როგორ დავიჯერო, რომ 2008 წლიდან მაგი ემიჯნებოდა სააკაშვილს და ეს ვერ გაიგო საზოგადოებამ — ეს არის ტყუილი! ეს არის ფარსი!

არ არის არავითარი სამი პოლუსი! კახა კუკავამ თქვა, ჩვენ მესამე ძალა ვხდებითო ნინო ბურჯანაძესთან ერთადო — ეს არის ტყუილი ყველაფერი! რატომ — არავითარი სამი პოლუსი, არის ორი. ერთი არის ივანიშვილი-სააკაშვილი და მისი გუნდი მთლიანად და მეორე პოლუსი არის გულუა და სუფთა ხალხი, რომლებიც მოვლენ ხელისუფლებაში.“

შეიძლება ნამგზავრ და აღელვებულ ბატონ გულუას გამორჩა, წამყვანმა კი ვერ იმარჯვა და ამიტომ გაურკვეველი დარჩა მისი ღვაწლი, მაგრამ მსმენელსაც და მაყურებელსაც კითხვა დაებადა, ბატონო მინდია, თვით თქვენ რითი შეეწიეთ საქართველოს, საქართველოში მცხოვრებ უბრალო ადამიანებს ან „არაუბრალოებს“, ანდა, სულაც დევნილებსო?

ბატონი გულუა 26 მაისსაც გადასწვდა და შესაბამისად, ნინო ბურჯანაძესაც, ხელისუფლებას კანონიერი უფლება მისცა მომიტინგეების დარბევისაო. საინტერესოა, 26 მაისისთვის ძალიან შორიდან რომ არ ემზირა და თავის ზურგზე გადაეტანა იგივე, რაც იქ მყოფებმა ყველამ მეტნაკლებად გადავიტანეთ, იგივეს იტყოდა? მისი ნათქვამიდან უარესი გამოდის, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლებამ დაარქვა „ძალის გადამეტება,“ ძალის გადამეტება კი არა, გულუას პოზიციით, კანონიერი ყოფილა ხალხის ცემა, დამცირება, გატაცება, ციხეში გამომწყვდევა და მოკვლაც კი.

აზრი, რაც გულუების საუბრიდან გამოვიტანე ასეთია, ივანიშვილი სააკაშვილის ჯგუფის ამბიციური წევრია, რის გამოც ვერ თანხმდებიან ის და ასევე ამბიციური, განათლებული, მაგრამ რევანშისტი ნინო ბურჯანაძე, ხოლო ბურჯანაძე და განათლებული კუკავას მესამე ძალად ჩამოყალიბება უტოპიის სფეროს განეკუთვნება. რაც შეეხება თვით ბატონ გულუას და პარტია „განახლებული საქართველოსთვის“, მისი სადარი არავინაა.

გასული წელი გამახსენდა, როდესაც ხმად გამოვიდა, ოპოზიციური პარტიები ახალ პოლიტიკურ ფიგურას ეძებენ, ისეთს, პოლიტიკაში მცირე გამოცდილება და დიდი ფული რომ ჰქონდესო. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ბატონი გულუა და განაცხადა, რომ პოლიტიკური პარტიის შექმნას აპირებდა.

მოკლედ, წაიღო დამ დრო და ძმამ ყურთასმენა, მაგრამ არცერთს არ გახსენებია პრეზიდენტის სიტყვები, რომ სოხუმი არასდროს ყოფილა საქართველოს ქალაქი...

„მე მართალი თვალები მაქვს, შეგიძლიათ, მენდოთ,“ — ამ ფრაზით დამამახსოვრდა შარშან ვინმე მინდია გულუა. მისი არ ვიცი, მაგრამ ბენ ლადენს როგორი უმწიკვლო თვალებიც ჰქონდა, იშვიათია...

**მაია ჭელიძე**

# ra kavSiria daviT garejis incidentsa da putinis mesamed mosvlas Soris?

**ვესაუბრებით კოალიცია ”ქართული ოცნების” პოლიტიკური საბჭოს წევრს, რესპუბლიკელ დავით ბერძენიშვილს.**

**— ბატონო დავით, რა პროცესებს შეიძლება ველოდოთ?**

ინფორმაცია მწირი მაქვს. საერთოდ, ამდენი წლის განმავლობაში საქართველო-აზერბაიჯანს შორის ეს პრობლემა მოუგვარებელია. ნებისმიერ მეზობელს ნებისმიერ მეზობელთან ხანდახან აქვს პრობლემები, მათ შორის სტრატეგიული მნიშვნელობის მეზობლებთან. მეზობლებს ისტორიულად ღრმა პრობლემები ჰქონიათ, ხშირად სხვადასხვა პერიოდის აქტუალიზება ხდება ცნობიერებაში. საბჭოთა სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ქართული საბჭოთა პატრიოტული დამოკიდებული იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიის მიმართ, მთავარი პერიოდი - დავითის და თამარის რუკები, ჩვენს წარმოდგენაში, მთელი კავკასიის მომცველი, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე საქართველო იყო.

სომხეთში - სომხური სახელმძღვანელოები ორიენტირებული იყვნენ სხვა პერიოდზე, ძირითადად ტიგრან პირველზე, სადაც დიდი სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა სამხრეთ საქართველოს ნაწილი, აზერბაიჯანის, ირანის და თურქეთის ნაწილები, გარდა ამისა, არსებობდა მცირე სომხეთი. მათ ცნობიერებაში ეს პერიოდებია აქტუალიზებული. ერთმანეთს რომ დავადოთ სხვადასხვა პერიოდის საქართველოს და სომხეთის რუკები, 80-90% ერთმანეთს გადაფარავს.

აზერბაიჯანს ისტორიის ნაკლები აქტუალიზება ჰქონდა, იქ ალბანელები ცხოვრობდნენ, სწორედ საკუთარი ისტორიის დაძველების მოთხოვნილების გამო, კავკასიის ალბანელების საკუთარ წინაპრებად გაცნობიერების სურვილის გამო, აზერბაიჯანი აძველებს საკუთარ ისტორიას. მათ რუკებშიც დღევანდელი კახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი მათი ცნობიერებიდან გამომდინარე, გადაფარულია, ისტორიულად საინგილო ჩვენს ცნობიერებაში ქართული მიწაა, ქართულია კახის, ზაქათალის ეკლესიები. აზერბაიჯანის ცნობიერებაში ეს მათი ტერიტორიაა, სადაც ქართველები კი ცხოვრობდნენ, მაგრამ იქ ლეკები, აზერბაიჯანელები, ალბანელები დასახლდნენ.

ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ დავით-გარეჯი სადაც არის, ზუსტად ამ ტერიტორიაზე საბჭოთა პერიოდში გაივლო პირობითი საზღვარი აზერბაიჯანის და საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის.



**— აქვე ავღნიშნოთ ისიც, რომ საქართველოს სადემარკაციო ხაზი მხოლოდ თურქეთთან გააჩნია.**

— დიახ. 20 წელზე მეტია, დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და დღემდე საზღვარი სრულფასოვნად მხოლოდ ყოფილ სსრკ-თურქეთს შორის გვაქვს, ყველა დანარჩენ მეზობელთან მოუწესრიგებელი გვაქვს საზღვრის საკითხი. ამიტომ ის პირობითი საზღვარი — საქართველო-აზერბაიჯანის სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის, არ ქმნიდა იმ ტიპის პრობლემას, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გაჩნდა. გარეჯი ჩემი თაობის, მომდევნო თაობის — 80-იანი წლების ბოლოს სტუდენტობისათვის, ძირითადად, ასოცირდება რუსულ პოლიგონთან, უკვე დღეს — გარეჯის პრობლემა ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებთან ასოცირდება.

**— რატომ წამოიწია ამ პრობლემამ დღეს?**

— თანამედროვე აზერბაიჯანი კავკასიის ალბანეთის მემკვიდრე ხალხად და სახელმწიფოდ განიხილავს თავს. მართალია, ალბანელები თურქული ტომები არ იყვნენ, მაგრამ ეს ტერიტორია გაიყვეს თურქული მოდგმის ტომებმა, ქართველებმა და სომხებმა. დასავლეთ ალბანეთის გარკვეული ნაწილი საქართველოს შემადგენლობაშია, სამხრეთ-დასავლეთი-სომხური მოსახლეობის კონტროლის ქვეშ - ყარაბაღი და 6 რაიონი, თანამედროვე აზერბაიჯანი ყოფილი ალბანეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა. ტერმინი აზერბაიჯანი ადარაბანიდან მოდის, ცენტრი თავრეზი იყო, ჩვ წ. მდე-მას ატრაპატენა ერქვა 20-ე საუკუნის დასაწყისამდე, რუსული აზერბაიჯანი არ ითვლებოდა ნამდვილ აზერბაიჯანად. ირანის ტერიტორიაზე დღესაც არსებობს დასავლეთ და აღმოსავლეთ აზერბაიჯანის უზარმაზარი პროვინციები. ირანის პრეზიდენტი ახმადინეჯადი სწორედ აქედანაა. აზერბაიჯანელებს 20-ე საუკუნის დასაწყისში ბაქოელ თურქებს ეძახდნენ. ტერმინ აზერბაიჯანის მიკუთვნება თანამედროვე აზერბაიჯანთან მოხდა 1918-21წწ, როცა გამოაცხადა დამოუკიდებლობა

**— ხელისუფლების მხრიდან დავით გარეჯთან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არავის არ გაუკეთებია.როგორ ფიქრობთ, რატომ?**

— ეს პროცესი საკმაოდ დიდხანს გრძელდება, ზვიად ძიძიგურის ინიციატივით, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გვყავდა მოწვეული წინა მოწვევის პარლამენტში, თითქოს მაშინ უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ ვერ გადაწყდა.

**— შესაძლოა, რომ ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობა კონფლიქტამდე მივიდეს?**

— არა, მაგრამ ერთგვარი დაძაბულობა იქნება. ეკლესიისათვის, კულტურული იდენტობისათვის, ქართული ცნობიერებისათვის მნიშვნელოვანია დავით გარეჯი.

**— სამხრეთის საფრთხეებზე ხმამაღლა საუბარს ერიდებიან ხოლმე, თუ ხედავთ რაიმე კავშირს გარეჯის ინციდენტსა და ირანის გლობალურ საფრთხეს ან .პუტინის მესამედ მოსვლას შორის?**

— არ მყოფნის ინფორმაცია. იმ ინფორმაციის საფუძველზე, რაც გამაჩნია, არ დავუკავშირებდი ირანის პრობლემატიკას გარეჯის საკითხს. რადგან ეს დღეს არ დაწყებულა, ეს ჩვენი ბრალია, რომ სახელმწიფო საზღვრები ვერ დაადგინა მეზობელთან ეს უნიათობის შედეგია. ჩემი მეგობარი ნათელა მირიანაშვილი ავტორია დისერტაციისა ”საქართველოს თანამედროვე საზღვრები”, ეს შრომა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ სათანადოდ არ არის გამოყენებული. პრობლემის გადაწყვეტა ადვილი არაა - მოთხოვნა, მომეცი გარეჯი მთლიანად, ნიშნავს სამაგიეროდ რაღაცის გაცემას.



აზერბაიჯანის მოტივაცია გასაგებია, რადგან მას თავი ალბანეთის მემკვიდრედ მიაჩნია. ეს მას სჭირდება არა ქართველების მიმართ, არამედ სომხებთან მიმართებაში-რომ ისინი ამ ტერიტორიაზე წინა ათასწლეულიდან ცხოვრობდნენ. ბუნებრივია, აზერბაიჯანში გამოჩნდნენ ურა-პატრიოტი მეცნიერები, რომლებმაც ალბანური კულტურის ძეგლად დაიწყეს გარეჯის გამოცხადება. ეს ყველგან ხდება, ჩვენც გვყავდა ფსევდო-მეცნიერები ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური კონფლიქტების დროს რუკებით დადიოდა ის ხალხი, რომელიც გუშინ და გუშინწინ იყო აფხაზეთში ჩასახლებული.

**— ყველასათვის ცნობილია თურქეთ-აზერბაიჯანის კეთილ მეზობლური ურთიერთობის შესახებ. ხომ არ უკავშირებთ გარეჯის საკითხის გამწვავებას ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებულ საპროტესტო გამოსვლებს?**

— საქართველოსთან ტერიტორიული პრობლემები ვერ ექნება ვერც თურქეთს და ვერც აზერბაიჯანს. თუმცა, ორივე ეცდება, რომ გავლენის ბერკეტები უფრო მეტი ჰქონდეს. როცა 75 მილიონიან თურქეთთან გვაქვს საქმე, რომლის საგარეო ორიენტაცია უფრო პრეტენზიული ხდება, საგარეო საქმეთა მინისტრი მეცნიერ-იდეოლოგი ისტორიკოსია... რაც ზუსტად არ ვიცი, ვერაფერს ვიტყვი იმის შესახებ, რაც ზუსტად ვიცი, ხშირად სჯობს, რომ ისიც არ ვთქვა. ქუჩაში გამოსული პოლიტიკოსი მიკროფონთან, ხშირად, გამწარებული, ისეთ რამეს იტყვის...

ძალიან ფრთხილი ვარ, არა მგონია, გარეჯის თემა რაიმე კავშირში იყოს აზიზიეს მეჩეთის მშენებლობასთან. არანაირი საბუთი არ მიჭირავს, მაგრამ ვერც გამოვრიცხავ. რამდენიმე დღის წინ ინტერრელიგიური ჯგუფის შეხვედრაზე მუსულმანური აღმსარებლობის წარმომადგენელმა დატოვა. ბევრი თუ არსებობს. ამიტომ მოგვეთხოვება, კი არ გავამწვავოთ, რაც გაჩნდა ის საფრთხეები, არამედ მაქსიმალურად ვეცადოთ, რომ მოვაწესრიგოთ ურთიერთობები. გამოვრიცხავ დაძაბულობას საქართველო-აზერბაიჯანს შორის, ეს არც საქართველოს და არც აზერბაიჯანის ინტერესებში არ შედის. აზერბაიჯანისათვის ერთადერთი პარტნიორი ქვეყანა ვართ - ყარაბაღი სომხეთმა წაიღო, რუსეთს ბაქოში 9 აპრილი აქვთ მოწყობილი, რუსეთთან მიმართებაში საკმაო დაძაბულობაა, ამდენად აზერბაიჯანს პრორუსულ ქვეყნად ვერ განვიხილავთ. ამასთან, მას ირანთანაც მძიმე ურთიერთობა აქვს.

აზერბაიჯანის გაერთიანების იდეა ელჩიბეის ჰქონდა... საქართველო-აზერბაიჯანისათვის ერთადერთი კარგი მეზობელია, ისევე, როგორც სომხეთისთვის. ჩვენი უპრობლემო მეზობელი მხოლოდ შავი ზღვაა. გამოვრიცხავ აზერბაიჯანის მხრიდან ანტიქართულ ქმედებებს, უნდა გამოინახოს პრობლემის გადაჭრის გზა. გარეჯი არის ქართული! ფიქსირებულია, როდის აშენდა, როდის ჩამოვიდნენ მამები. მთავარია, საქართველოს ხელისუფლების, ქართველი ხალხის კონტროლქვეშ იყოს მთელი ლავრა.

**ნინო ფირცხალავა**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# dRevandeli xelisufleba SevardnaZis droindeli banditebiTaa gatenili...

*პატივცემულო მკითხველო, ამჯერად პოლიტოლოგ **ჰამლეტ ჭიპაშვილთან** დიალოგისას მე შევეცადე მისთვის ოპონირება გამეწია ნაციონალების ერთ-ერთი იდეოლოგისა და აპოლოგეტის მიხეილ თავხელიძის პოზიციებიდან, რითაც, პირადად ჩემთვის ძალზე საპატივცემულო ადამიანი ბატონი ჰამლეტი, როგორც ჩანს, ცოტა ავაღელვე, თუმცა მგონი, საუბარი საინტერესო გამოვიდა.*

**— ბატონო ჰამლეტ, ნაციონალური მოძრაობა გადაჭრით აცხადებს, რომ ივანიშვილი რუსეთის ფულით ცდილობს საქართველოს ხელისუფლებაში შემოჭრას. აშშ-ი, მსოფლიოს ზესახელმწიფო, დათმობს მიხეილ სააკაშვილს და დაუშვებს, რომ ძალაუფლება „რუსეთის კაცმა“ ჩაიგდოს ხელთ?**

— დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ისეთი სიტუაციაა, რომ, მოსალოდნელია, საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატ ობამას რესპუბლიკელმა მიტ რომნიმ აჯობოს, რაც სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველი „რესპუბლიკელები“, უსუფაშვილები და მისნაირები აქედან სარგებელს ნახავენ. ამერიკისთვის მიხეილ სააკაშვილი უფრო ძვირფასია, ვიდრე მთელი კავკასიის რესპუბლიკელები. და მან ეს ნდობა მოიპოვა არა გუშინ და გუშინწინ. იქ ყოფნის პერიოდში 1994 წლიდან სააკაშვილმა შეძლო ურთიერთობა დაემყარებინა უმაღლეს წრეებთან, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ კი პარლამენტის წევრი გახდა, მერე იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე და ა.შ. ასე, რომ მას კარგად იცნობენ აშშ-ში და აქედან გამომდინარე, მასთან დაჭიდება იოლი საქმე არ არის. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც სააკაშვილი მმართველობაშია, არასდროს ჩაჭრილა თავისი დამრიგებელი ამერიკელების წინაშე. ხომ ნახეთ, ომიც კი დაიწყო აშშ-ის წაქეზებით. მოკლედ მიშას ტესტები შესანიშნავად აქვს გავლილი და როცა აშშ-ს საქართველოში ასეთი კადრი ჰყავს — რევოლუციაგამოვლილი, რევოლუციით მოსული, ამერიკისთვის სასურველი კანდიდატურა, „დემოკრატიის შუქურა“, რაც ახლახან ობამამაც დაადასტურა, ეს ნიშნავს, რომ აშშ-ი ბოლომდე დაუჭერს მხარს სააკაშვილის პოლიტიკურ ფიგურას.

რაც შეეხება ივანიშვილს, რომელზეც ნაცმოძრაობა აცხადებს, რომ მას, თითქოს, რუსული ფულით სურს პოლიტიკაში მოსვლა, სინამდვილეში

**ბიძინა ივანიშვილს არავითარი კავშირები არ აქვს რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან, ის თავის დროზე თავისი შრომით შოულობდა ფულს რუსეთში,**

მაგრამ, როცა ხშირად იმეორებენ ივანიშვილზე საუბრისას რუსული ფულით მიდისო, ეს არის მესიჯი აშშ-სკენ: არ დაიჭიროთ მასთან საქმე, რადგან ის არის რუსეთის კაცი.

**— ბატონო ჰამლეტ, ახლახან გამოქვეყნდა აირაის კვლევების შედეგები, სადაც რეიტინგებში ნაციონალური მოძრაობა ლიდერობს. ეს რეიტინგები სარწმუნო არ არის?**

— რაც ხდება ქვეყანაში, უკვე ყველა კარგად ხედავს. მეზობლებმა, მეგობრებმა ვიცით, საერთო განწყობა როგორია, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით, ვთქვათ, რას ფიქრობენ რაჭაში? არც მათ იციან, თბილისში ხალხი ისე ფიქრობს თუ არა, როგორც თვითონ, ამიტომ არჩევნების დროს არ სურთ ე.წ. „წითელი კოჭი“ იყონ და ძალაუნებურად აძლევენ ხმას. ნაციონალები კი ყველაფერზე მიდიან. ერთ მაგალითს მოგიტანთ. ჩელუსკინელების ქუჩაზე ივანიშვილის „ქართული ოცნების“ ოფისი გაიხსნა. ვიდრე ოფისი გაიხსნებოდა, მანამდე იქ ტროტუარის გასწვრივ იყო მანქანების სადგომი, „სიტი პარკის“ მიერ დაშვებული. როგორც კი ოფისი გაიხსნა, მანქანების სადგომი გაქრა — ხალხმა რომ არ იმოძრაოს. წარმოიდგინეთ, რა დონემდე არიან დასული, როგორ იბრძვიან სკამების შენარჩუნებისთვის. აღარაფერს ვამბობ, ივანიშვილთან მიკარებაზე. ასეთ შემთხვევაში ისმის მუქარა — თქვენი შვილი, შვილიშვილი, ახლობელი საფრთხეში აღმოჩნდება!...

ამ მენტალიტეტით საქართველო ვერასდროს გახდება ევროკავშირის წევრი.

საფრანგეთში არჩევნები პოლიციამ ჩაატარა. წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოში არჩევნებს ღიად ატარებდეს პოლიცია. ვის ექნება ნდობა მერაბიშვილის ან პოლიციის და ვინ აღიარებს ამ არჩევნებს საქართველოში? სარკოზი არ აირჩია ხალხმა, რადგან მან ვერ შეასრულა დანაპირები 5 წლის განმავლობაში, მაგრამ ამ ბოლო წლებში მხოლოდ სარკოზი კი არ წასულა პოსტიდან, 11 მმართველმა დატოვა ევროპაში უმაღლესი პოსტები ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე.

საქართველოში ასეთი რამ, რაც საფრანგეთში არჩევნების



დროს მოხდა, არ იქნება, სანამ არ მოხდება ჩვენი აზროვნების შეცვლა.

**— ამას ამბობს სააკაშვილიც — უნდა შეიცვალოს ქართველი ადამიანის აზროვნებაო და რას ვერჩით მაშინ მიშას?**

— სააკაშვილი, თქვენი ჭირიმე, დიქტატორული მეთოდებით ახორციელებს ადამიანებზე ზეწოლას. ის დიქტატურას აშენებს დემოკრატიის სახელით.

**— რატომ არის დიქტატურა? ორიოდე დღის წინ ფიცრებს ათრევდა მშენებლობისთვის, ეგერ ცემენტი მოზილა.**

— გასაგებია თქვენი შეკითხვა. როდესაც სააკაშვილი ფიცრებს ათრევს, ცემენტს ზელს, ამას აკეთებს იმისთვის, რომ ვიღაცამ დაინახოს და თქვას, არ ეთაკილება შავი სამუშაოო. არადა, იმ ერთ ფიცარს რომ აიღებს ხელში, მეორე დღეს დაჯდება 60 მილიონიან თვითმფრინავში, ჩაფრინდება რომელიმე ქვეყანაში და რაც საქართველოს ბიუჯეტია, იმდენს დახარჯავს დროსტარებაში. რასაც არავინ გვაჩვენებს.

სააკაშვილი საზღვარგარეთ აპარტამენტებში 24 საათში, ზოგჯერ 30 000 დოლარს იხდის, ეს ნიშნავს, რომ მის ქმედებებს არ აქვს კავშირი დემოკრატიასთან, ვისი ფულით ცხოვრობს სააკაშვილი საზღვარგარეთ ფუფუნებაში?

სააკაშვილი უაღრესად დიდ ფულს „ყლაპავს“ საზღვარგარეთული ვოიაჟების დროს. როდესაც პრეზიდენტი ხარ, კეთილი უნდა ინებო და ფეხი იმდენზე უნდა გასწიო, სანამდეც საბანი გაგწვდება. ასეთი გაჭირვებული ქვეყნის პრეზიდენტი ასე არ უნდა ცხოვრობდეს.

**— გაკეთებულ საქმეებს შევხედოთ: ლაზიკის პროექტი შემუშავებულია, ქალაქებში აღმშენებლობა მიდის, სიღნაღი აშენდა, ქუთაისი დამშვენდა, ბათუმი ლამაზდება, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?**

— ყველაფერი ეს კეთდება კრედიტებით, რომელსაც გადაიხდის თქვენი შვილი, შვილიშვილები, და თუ არ გადაიხდიან, საქართველო აღარ იარსებებს, მას წაართმევენ ტერიტორიებს ვალში. მოკლედ, რაც შენდება, ყველაფერი კეთდება ხალხის ზურგზე, ჩვენს ჯიბეებში ხელის ფათურით.

**— რაზე ლაპარაკობთ? ქვეყანა გაივსო ინვესტიციებით, ბათუმი სავსეა თურქი ბიზნესმენებით, აზერბაიჯანული კომპანიები აშენებენ შენობებს, დებენ ინვესტიციებს სხვადასხვა სფეროებში, ჩინელების პატარ-პატარა მაღაზიებს თუ არ გავითვალისწინებთ, დონალდ ტრამპით მაინც უნდა ვიამაყოთ. ბევრი, ალბათ, ოცნებობს მისი ინვესტიციების თავის ქვეყანაში დაბანდებაზე.**

— თქვენი ჭირიმე, დამიგდეთ ყური: ეს არის ნაციონალური პროპაგანდა. ტრამპს კაპიკი არ ჩაუდვია და არც აპირებს ჩადოს რაიმე სახის ინვესტიციაში. რა თანხებზეც არის საუბარი, ის თანხა ტრამპის სახელით „სილქ როუდ გრუპმა“ უნდა ჩადოს, რომელიც სავსეა მხედრიონელებით, ამ მძარცველებით და მკვლელებით, ისინი სააკაშვილის დახმარებით დღესაც ჭამენ ამ ქვეყანას. საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას წარმოდგენაც კი არა აქვს, რა არის გაყიდული და რა არა საქართველოში. ამ შენობებს, ქალაქებს, ვინ აშენებს, არავინ იცის, ქუთაისში პარლამენტის შენობის მშენებლობას ვინ აფინანსებს — დაფარულია, ვინ აშენებს და რის საფასურად? დადგება ის დრო, როცა სააკაშვილი აღარ იქნება სათავეში და ის მოვალე დააღრჩობს საქართველოს. ეს ვალად აღებული ფულია, რომელსაც აშენებს თქვენ რომ დემოკრატად მიგაჩნიათ, ის ადამიანი, ვოლუნტარისტულად. დაესიზმრა ერთ დღეს ფიცრის ატანა მაღალ სართულებზე, დაავლო ხელი — მიაქვს... ლაზიკის აშენება დაესიზმრა, გაიღვიძა და ამბობს: საღამოს ლაზიკა აშენებული იყოსო. ჰკითხა ვინმეს ამის შესახებ რაიმე? ან თბილისელებს ჰკითხა ვინმემ გმირთა მოედანზე რომ საშინელება გაჩხირეს? ეს იყო სააკაშვილის პროექტი. რომლის შემსრულებლები არიან შევარდნაძისდროინდელი ბანდიტები, მარტო თამაზ შილაკაძე რად ღირს?! გზათა მშენებლობის სამინისტროში მუშაობდა ათას ცხრაას ხუთ წელში და იმის მერე აქაა. 80 წლის კაცი იმდენად გადარეულა ფულზე, შესთავაზა ახალ ბანდიტებს ახალი პროექტები. ის არის ამ პროექტების ხელის წამკვრელი და ფულის გამნაწილებელი.

შევარდნაძის კადრები ისევ არის დღეს ხელისუფლებაში და ასრულებენ ძალიან ბინძურ საქმეს.

**— ასე თუ ვილაპარაკეთ, მაშინ გამოდის, რომ საქართველოში 8 წლის განმავლობაში არაფერი სასიკეთო არ გაკეთებულა. ასე ლაპარაკი შეიძლება?**

— საქართველოში რაც გაკეთდა, თუ გაკეთდა საერთოდ, იმისთვის, რომ ამათ ფული იშოვნონ.

**— გასაგებია, რომ ცვლილებების მომხრე ხართ. თქვენი პროგნოზით, მაინტერესებს — არის შეცვლის პერსპექტივა?**

— არაფერი არ შეიცვლება, სანამ არ გარდაიქმნება ჩვენი აზროვნება.

ხომ ხედავთ, კონსტიტუციას როგორ ცვლიან თავიანთი სექსუალური მგრძნობელობის შესაბამისად? როცა უნდათ და როგორც უნდათ, მაშინ აუპატიურებენ და ამის შედეგია ბოლოდროინდელი ინიციატივები დეპუტატობის ასაკის 21 წლით განსაზღვრასთან დაკავშირებით. მიხეილს აწყობს ეს, რადგან მისი შვილი, თუ არ ვცდები, 5-6 წელიწადში 21 წლის გახდება.

**სააკაშვილი აქედან წასვლას არ აპირებს და წერტილსაც დაუსვამს ამ ქვეყნის არსებობას.**

რაც შეეხება არჩევნებში ვინმეს გამარჯვება-არგამარჯვებას, ისე იქნება, როგორც სააკაშვილი მოისურვებს.

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# soso jaWvliani:
# gamoucxados `qarTulma ocnebam~ 27 maiss impiCmenti saakaSvils da yvelani mis gverdiT davdgebiT!

**ინტერვიუ „სახალხო კრების“ სპიკერთან, რეჟისორ სოსო ჯაჭვლიანთან**

**— სოსო, ბოლო-ბოლო, როდის და სად იკრიბება „სახალხო კრება“ 26 მაისის წლისთავთან დაკავშირებით?**

— სანამ გიპასუხებდეთ, უნდა გითხრათ, რომ ამას წინათ კიდევ ერთხელ აღვფრთოვანდი სააკაშვილის ინტელქტუალური რეკლამით — აეროპორტში მისვლამდე მგზავრი თვითმფრინავიდან განათებული ვენახის ზვრებს უნდა ხედავდეს და რომ ჩამოვა, თითო ბოთლი ღვინო უნდა ვაჩუქოთო, რომ თქვა. ანალოგიურად ვფიქრობდი მეც,სოფელში რომ ვცხოვრობდი. ჩვენი ძროხა ცოტას იწველიდა და ვნატრობდი: ონკანი რომ მოვუშვა და რძე რომ მოდიოდეს, რა კარგი იქნება და მეორე ონკანში ლიმონათი იყოსმეთქი, მიყვარდა ბავშვობაში ლიმონათი. აღარ მინდა რა ამაზე ლაპარაკი.

26 მაისი ახლოვდება და შეუძლებელია ამ თარიღს გვერდი ავუარო. ჩვენი მართლაც ე.წ. ოპოზიცია უმნიშვნელო რამეებზე რომ ატეხს ჟრიამულს, 40-ზე მეტი პოლიტპატიმარი იხდის სასჯელს 26 მაისის მიტინგზე დასწრებისთვის და ამაზე მეტი რა უნდა იყოს?

„სახალხო კრება“ 21-ში შეიკრიბება, ყველა მსურველს ვეპატიჟებით, რათა განვიხილოთ რა, როგორ და რატომ მოხდა გასული წლის 26 მაისს. 26-ში კი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით სამების ტაძარში გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებელ პარაკლისს გადავიხდით. 23 მაისს ბათუმში ჩავალთ. მოგეხსენებათ, შარშან რაც მოხდა ბათუმში. ასე, რომ ჩვენ ბრძოლას ვაგრძელებთ. ზოგიერთი მხოლოდ კრიტიკის ხასიათზეა, მაგრამ ჩვენ არ გვსურს ასეთი რაღაცები. „სახალხო კრება“ უნდა იყოს მედიატორი და არავინ არავის არ ეხვეწება, არც კოალიციაში შესვლაზე, არც სიებზე. მთავარი მიზანია, ეს ჭირი მოვიშოროთ და მერე ხალხი გადაწყვეტს, ვის მისცემს ხმას.

თქვენ იცით, 26 მაისს ფილარმონიის დარბაზი გვქონდა დაჯავშნილი. მერე იცით, რომ „ქართულმა ოცნებამაც“ დააანონსა მსგავსი ღონისძიებები. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი მხარს არ უჭერს „ქართული ოცნების“ კოალიციაში შემავალ ზოგიერთ პარტიას, მაგრამ მივიდოდნენ მათთან ბიძინა ივანიშვილის გამო. ხალხის ნაწილი წამოვიდოდა აქეთ, ჩვენსკენ, ამიტომ, წყალი რომ არ დავასხათ სააკაშვილის წისქვილზე, „სახალხო კრებამ“ გადაწყვიტა 21 მაისს გადმოგვეტანა შეხვედრა, თუმცა ფილარმონიის დარბაზისთვის ბე უკვე გადახდილი იყო. ჩვენ არ ვართ მომხრე ოპოზიციამ ერთმანეთს ებრძოლოს, ჩვენ ვებრძვით სააკაშვილს!

ცხადია, ჩვენ გაგვიხარდებოდა, 26-შიც რომ შეკრებილიყვნენ და 27-შიც, მაგრამ გადაიტანეს და რა ვქნათ, არა აქვს მნიშვნელობა, ვისაც უნდა, რომ პატივი მიაგოს შარშან 26 მაისს გარდაცვლილებს, დასახიჩრებულებს და პოლიტპატიმრებს, პარაკლისი იქნება სამებაში და იქ მობრძანდნენ 12 საათზე.

**— წეღან თქვით, რომ „სახალხო კრება“ მედიატორის როლს ირჩევს. ნებაყოფლობით აირჩიეთ ეს მისია თუ სხვა გზა არ გქონდათ? ვის და ვის შორის აპირებთ მედიატორობას?**

— ჯერ ერთი, რომ „სახალხო კრება“ პარტიული ორგანიზაცია არაა, მამულიშვილთა კრებულია და კიდევ, ახლა ყველა არ მახსენდება, მაგრამ ბოლო წლებში ყველაზე დიდი მედიატორი გია აბესაძე იყო, თავი რომ დაიწვა — ქართველებო, ერთმანეთს ნუ ემტერებითო.

მედიატორობას რომ ვლაპარაკობთ, ვგულისხმობ ოპოზიციასთან შეთანხმებას და არამც და არამც ხელისუფლებასთან. ეს არც გაიფიქროთ.

**— ნინო ბურჯანაძეს მაინცდამაინც არ ენდობა ხალხი და შესაბამისად, მას მედიატორადაც არავინ აირჩევს.**

— მომისმინეთ ახლა, ნინო ბურჯანაძე ამ კაცებს ყველას ერთად აღებულს მირჩევნია. რაც მან 26-ში გააკეთა, ეს იყო გმირობა. მაგრამ, ეტყობა, ვერ მოიგებ ხალხის გულს. იმ ღამეს მომიტინგეები სახლში რომ გაგვეშვა, 100-ჯერ მეტად დაადანაშაულებდნენ ბურჯანაძეს და იმ ხალხმა, ვინც იქ იყო 26 მაისის ღამეს, ფაქტობრივად, თავი გაწირეს, წესიერად ილაპარაკოს ყველამ, ვინც ამაზე ლაპარაკს დაიწყებს. ვინც 26 მაისზე კრიტიკულად ლაპარაკობს, ყველას იმხელა „გრეხები“ აქვს და მათ მიმართ იმდენი კითხვებია, როგორც „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა“. პიროვნულად არავის ვეხები, მაგრამ როცა პიროვნულად გეხებიან, ე.ი. უნდათ, რომ კონფლიქტში შეხვიდე, ჩვენ არავის ვესხმით თავს და თვითონ რატომ გვესხმიან? ჩვენ უნდა გვებრძოლონ თუ რეჟიმს?

**— სხვათა შორის, ამ რეჟიმს ნინო ბურჯანაძე ამყარებდა წლების განმავლობაში და თქვენ, სოსო ჯაჭვლიანს, ისევე, როგორც „სახალხო კრებაში“ შემავალ ბევრ პატივსაცემ ადამიანს იმის გამო გკიცხავენ სააკაშვილის ყოფილ მარჯვენა ხელს დღეს გვერდით რომ უდგახართ.**

— გასაგებია კითხვა. ახლა თქვენ მიპასუხეთ, ოპოზიციაში არის ვინმე, ვინც სააკაშვილის გვერდით არ იდგა გარკვეულ დროს?

რაც შემეხება მე. რატომ ვდგავარ ნინო ბურჯანაძის გვერდით და იმიტომ, რომ მე დავინახე თავდადება. ნინო ბურჯანაძე ქალია და ქალის კვალობაზე ამ კაცებს ჯიბეში ჩაისვამს თავისი ვაჟკაცობით.



რომ ლაპარაკობდნენ, ქუჩა არ გვინდაო, ქუჩაში ხომ გამოდიან 27 მაისს?

შარშან ჩვენ ვთხოვდით საარჩევნო კანონის გაუმჯობესებას. წაიკითხეთ მაშინდელი ბანერები, რომლებიც შემდეგ მოგვპარეს ნაცმოძრაობის ნაძირლებმა. რა რევოლუციაზეა ლაპარაკი? ყველამ კარგად იცის, ჯოხებით რომ არ მოეწყობა რევოლუცია. რა ამბავიც მოხდა 26 მაისს შარშან, იმდენი ხალხი დაიღუპა, დაიკარგა, დაიჭრა, დააპატიმრეს, რატომ არ გამოვიდა არავინ იმ ხალხის დასაცავად?

ახლა გეტყვით ერთ რამეს და ეს სერიოზული საკითხია: ხომ იკრიბებიან 27-ში?

**— კი, იკრიბებიან.**

— ჰოდა, **იცით, რამხელა საფუძველი აქვთ, რომ იმპიჩმენტი გამოუცხადონ სააკაშვილს იმის გამო, რაც მან თქვა აფხაზეთზე?**

ხალხო, აფხაზეთი არასდროს არ ყოფილა საქართველოს შემადგენლობაშიო, ლექსები და სიმღერები არ იწერებოდა აფხაზეთზეო. მერე რას შვრებით, თქვე ჩასვრილებო, პირველ რიგში, ჩემს თავს ვეუბნები, ამაზე დიდი მიზეზი რა გვინდა? კაცმა ჩააბარა აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი და ახლა აღიარა კიდეც, რომ, თურმე, ჩვენი არასდროს ყოფილა. ქართველმა მეფეები ახლა, ალბათ, საფლავში ტრიალებენ. ამაზე დიდი თავზე ლაფის დასხმა რაღა გვინდა, გამოვიდა პრეზიდენტი და ყველას კიდევ ერთხელ გვითხრა — დამაჯექით ერთ კარგ ადგილასო. დედამიწის ზურგზე რომელიმე ქვეყანაში ასეთი რამე რომ პრეზიდენტმა თქვას დილას, საღამოს უკვე პრეზიდენტი აღარ იქნება.

**— კი, ასეა, მაგრამ...**

— *(მაწყვეტინებს).* მისმინე, ეტყობა, შენც ეჭვი გეპარება და იმიტომ ამბობ „მაგრამ“. რა მაგრამ, ახლა მე ცოტა გავცხარდი, თუმცა სხვანაირად არ შეიძლება ამაზე ლაპარაკი.

ჩვეულებრივი მოღალატე ადამიანი გვეუბნება: რას გამომიჭედეთ ყურები აფხაზეთით და სამაჩაბლოთი. ეს ტერიტორიები ჩვენი არც იყო და არც იქნება.

კაცი, რომელიც გამოვიდა და თქვა, მე გავეცი ბრძანება ადამიანის ლიკვიდაციაზეო, მეტი რა უნდა ჰქნას, მეტი რა გითხრას?!

აღიარა პრეზიდენტმა და სხვა ქვეყანა თუ აღიარებს, ჩვენ რაღა გვექნება სათქმელი.

სადაა ახლა 300 000 ლტოლვილი, გამოვიდეს და ერთი რომ დასჭყივლონ, ამათი „დუხიც“ არ იქნება. სადაა ეს ხალხი?

სად ვართ ჩვენ? ანუ სააკაშვილს თანხმობა მივეცით და მართლა ვაღიარეთ აფხაზეთი დამოუკიდებელ ერთეულად?

**— „სახალხო კრებას“, ალბათ, აქვს გეგმა აფხაზეთთან დაკავშირებით, მაგრამ ოპოზიციის ერთმა ახალმა წარმომადგენელმა ამას წინათ თქვა — ვინც აფხაზეთის საკითხის მოსაგვარებლად რუსეთში დადის, რუსეთში აფხაზეთის დაბრუნების გასაღები არ მოიძებნება. ტყუილად ნუ ირჯებიანო.**

— **გთხოვთ დამიწერეთ დიდი შრიფტით, ძალიან გთხოვთ, — ვინც ლაპარაკობს, რომ აფხაზეთის დაბრუნება შეიძლება რუსეთის გარეშე, ყველა არის სააკაშვილის ფეხების მბანელი და საქართველოს მოღალატე. აი, ასე ვიტყვი მე.**

**— ბიძინა ივანიშვილსა და „ქართული ოცნების“ კოალიციას და ნინო ბურჯანაძესა და „სახალხო კრებას“ შორის წყალგამყოფი სწორედ ის ხომ არ არის ბიძინა ივანიშვილი პროდასავლურ კურსს რომ ირჩევს, ხოლო ნინო ბურჯანაძე რუსეთზე აკეთებს ორიენტაციას?**

— წეღან გითხარით სვანეთში ონკანში რძის და ლიმონათის გადმოსვლას ვნატრობდი-მეთქი. მე, სვანეთში გაზრდილი კაცი, დღემდე სიზმრებით მესტიაში ვარ. მე იმის იმედი მაქვს, რომ ბიძინა ივანიშვილი ჭორვილელი კაცია და რაც არ უნდა იყოს, ყოველთვის ქართულ საქმეს გააკეთებს და ყველაფერს აქვს თავისი დრო. შეთანხმებებს, მოლაპარაკებებსაც და ყველაფერსაც, საერთოდ. ბიძინა ივანიშვილი ჭორვილაშია დაბადებული და გაზრდილი და მე კარგად მესმის მისი, იმიტომ, რომ მეც მისნაირი ვარ.

**— ამიტომაც ამბობენ, ჭორვილელობა პოლიტიკაში პრიორიტეტული სულაც არ არისო.**

— ამას ვინც ამბობს, თვითონ არის ნაბო...არი. ჭორვილა რა, ცუდია? იქ არის პატიოსნება და პატიოსნება არის ნაბო...რების საქილიკო? ბატონო ბიძინა, დარჩით ჭორვილელად, ძალიან გეხვეწებით და ვისაც ჭორვილელობა პრესტიჟულად არ მიაჩნია, იმათნაირი „პროსტიტუტკების“ დედაც...

**— დავანებოთ ამას თავი, ბოლოს და ბოლოს, ხალხს აინტერესებს — შეიძლება ბურჯანაძე და ივანიშვილი ერთად ვიხილოთ?**

— კარგით რა, ხალხო, არ დაიღალეთ. არავითარ ერთობაზე არაა ლაპარაკი. ჩვენ ვლაპარაკობთ საერთო ფრონტზე, ვიბრძოლოთ და არ შევუშალოთ ხელი ერთმანეთს. მოდით, გავისტუმროთ ეს რეჟიმი და მერე დავჯდეთ და გავარკვიოთ რაღაც-რაღაცები. მაგრამ, ვინც „ქართულ ოცნებაშია“ დღეს, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს ვგულისხმობ, ბურჯანაძის ხსენებაზე ტანზე აყრით, კომაში ვარდებიან, რადგან ქალბატონი ნინოს სახით დიდ მეტოქეს ხედავენ, მაგრამ „კაცი ვერსაით წაუვა, თავისსა ბედისწერასა“. *(იცინის).*

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

*მიმდინარე სასწავლო წელს მასიურად ხდება მოსწავლეების გასვლა სკოლებიდან მეათე-მეთერთმეტე კლასებიდან. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ სკოლის დამთავრების შემთხვევაში ისინი ვერავითარ პერსპექტივას ვერ ხედავენ, მათი მომავალი გაურკვეველია. ეს შედეგი გამოიღო სკოლებში საგნების ტრიმესტრულმა სწავლებამ, რომელმაც ფუნდამენტალური მეცნიერებისადმი სწრაფვა მოსწავლეებს საბოლოოდ დაუკარგა.*

საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით ქალბატონ **ნინო გოგუაძეს**

**— ქალბატონო ნინო, სასწავლო წლის ბოლოა და მოსახლეობის დიდი უმრავლესობის აზრით, სასკოლო რეფორმამ უმძიმესი შედეგები გამოიღო, მათი ოჯახები იმდენად დაუცველი და შემოსავლისუუნაროა, რომ სწავლის გაგრძელებაზე ფიქრიც კი არარეალურია დღევანდელ პირობებში. მასწავლებლები დაშინებულნი არიან, თორემ, ბევრი მათგანის აზრით, ისინი მოსწავლეთა პერსპექტივას ვერ ხედავენ, საზოგადოება დუმს, თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?**



# policiuri sistemiT gamocdebis Cabareba skolebSi didi danaSaulia

— ფაქტია, რომ ასეთი განათლების სისტემა ამ საოცარი რეფორმების შედეგად კატასტროფულ მდგომარეობაშია და ამ ხელისუფლების ხელში რაიმეს გამოსწორება შეუძლებელია, რადგანაც არაკომპეტენტური ადამიანები მართავენ სამინისტროს.

***განათლების სისტემაში ორი ურთიერთსაპირისპირო რეფორმა გატარდა ხელისუფლების მიერ და თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ორივე ჩავარდა!***

ჯერ კიდევ 2003 წლიდან დაიწყო განათლების დიდი რეფორმა რომელიც წარმატებულად იქნა გამოცხადებული და ეს დაიწყო ლომაიას დროს. ამავე პერიოდიდან ძალაში შევიდა და დამკვიდრდა უმაღლესში მისაღები გამოცდების ახალი სისტემა, რომელიც მანამდე იქნა შემუშავებული — რომლის ფარგლებში შეიქმნა ,,განათლების გარდაქმნისა და განმტკიცების“ პროექტი. ამით იმის თქმა მინდა, რომ მისაღები გამოცდების სისტემა ადრე იქნა დამუშავებული, ლომაიას დროს ის უბრალოდ განხორციელდა, მაგრამ იმის გამო, რომ სისტემის გამოყენება და ორგანიზება სწორად ვერ განხორციელდა, ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესები განვითარდა. იმ პერიოდშივე დაიწერა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმები, რომელიც არ განხორციელდა, სინამდვილეში ამ ახალი სასწავლო გეგმების მიხედვით უნდა ხდებოდეს მასწავლებელთა გადამზადება, გამოცდების ტესტების შექმნა. მანამდე არსებული ეროვნული სასწავლო გეგმები ვერ უძლებდა ვერანაირ კრიტიკას და სავსე იყო ენობრივი და აზრობრივი შეცდომებით. გარდა ამისა, მივიღეთ საშინელი სასკოლო სახელმძღვანელოები, მაგალითად შესწავლილი მაქვს ქიმიის სახელმძღვანელო, რომლის სერიოზულად წაკითხვაც კი სხვა ჟანრში გადაგვიყვანს, იმდენად კურიოზული შეცდომებით არის სავსე. თვითონ სისტემაში იყო დაშვებული უამრავი შეცდომები. მაგალითად, იმისათვის, რომ გაგეგრძელებინა უმაღლეს სასწავლებელში სწავლა, საჭირო იყო მხოლოდ 3 ან 4 გამოცდაში მომზადება, ამიტომ, სწორედ ამ პერიოდში სკოლამ დაკარგა საგანმანათლებლო ფუნქცია, იმიტომ, რომ არც ატესტატს, არც მასწავლებლის შეფასებას, მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამ პერიოდიდან მოსწავლეები სკოლაში თითქმის არ დადიოდნენ და ზოგადი განათლება იყო დაკანონებული, სწორედ ამ რეფორმის გამო სკოლა მოსწავლეებისაგან თითქმის დაიცალა. ეს იყო არაორგანიზებული და არასტრუქტურული სწავლების ბრალი.

ასევე კურიოზული შემთხვევა იყო ტრიმესტრული სწავლების მეთოდის შემოღება. სამი თვე სწავლობდნენ ქიმიას, მერე სამი თვე ფიზიკას, შემდეგ სამი თვე ბიოლოგიას. ამის გამო მოხდა ის, რომ განათლების ხარისხი უკიდურესად დაეცა. ***ფიზიკის ფაკულტეტზე შეიძლება მოხვედრილიყო მოსწავლე, რომელმაც ალბათ ნიუტონის კანონიც კი არ იცოდა.***

ასეთი ცოდნით როგორ უმაღლეს დამთავრებულ ადამიანს მივიღებდით, ცხადი იყო წინასწარ.

**— დღეს უკვე განათლების სისტემას ახალი მინისტრი ჰყავს შაშკინი, მან უკვე ახალი რეფორმები გაატარა, არ არის ეს რეფორმები უკეთესი ძველთან შედარებით?**

— მოვიდა მინისტრად შაშკინი, მაგრამ მოხდა მეორე უბედურება, სკოლები გადაიქცა საკონცენტრაციო ბანაკად, სადაც მოსწავლის დამაგრება სკოლაში მოხდა ძალადობრივი, პოლიციური გზით. მან სკოლაში შემოიღო მანდატურების სისტემა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს მანდატური არ ემორჩილება არც სკოლის დირექტორს, არც სამეურვეო საბჭოს, არც არავის და მისი უშუალო ხელმძღვანელია მხოლოდ განათლების მინისტრი. ის ასევე ესწრება სამეურვეო საბჭოს სხდომებს, მონაწილეობს შიდა სასკოლო პროცესებში. მანდატურები ჩადგნენ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის და გახდნენ ცენტრალური ფიგურა სკოლაში. ასეთი რამ არცერთ ქვეყანაში არ ხდება.

ის, რომ სკოლაში მოსწავლე გამოცდებს უნდა აბარებდეს, სწორია, მაგრამ ამ გამოცდამდე ჯერ სასწავლო პროცესი უნდა იყოს გამართული და ჩამოყალიბებული და მერე უნდა მოხდეს გამოცდების შემოღება. აქ მოხდა პირიქით, ჯერ პოლიციური სისტემა დამკვიდრდა სკოლებში, არ იციან მოსწავლეებმა, რა ისწავლონ და როგორ, და გამოცდას კი აბარებინებენ. ამიტომაც არის, რომ გამოცდებს ასეთი მძიმე შედეგები აქვს. მოსწავლეები გადიან სკოლებიდან ***იმიტომ, რომ იციან, გამოცდებს ვერ ჩააბარებენ, არ აქვთ სათანადო ბაზისი, რაც, ყველა შემთხვევაში, თავად სკოლის ბრალია.***

გასულ წლებში, საბუნებისმეტყველო საგნებში იყო ისეთი ტესტები, რომელიც რას ამოწმებდა, გაუგებარი იყო, ის ცოდნის შემოწმებაზე გათვლილი არ იყო. ეს ტესტები უფრო ბელეტრისტიკა იყო, ვიდრე ტესტები.

**— თუ წინა წლებში მოსწავლეებს ცოდნა არ მიუღიათ, შეიძლება, რომ უკვე ერთი წლის შემდეგ კვლავ ჩააბარონ გამოცდები ისე, როგორც წელს ხდება?**

— ცხადია ერთი რამ, რომ ერთ ან ორ წელიწადში, თუნდაც საბუნებისმეტყველო საგნებში ცოდნის მიღება არ ხდება. ეს მცირე დროა იმისათვის, **რომ მოსწავლემ გამოცდა ჩააბაროს. ამიტომ ასეთი პოლიციური სისტემით და ძალით გამოცდების ჩაბარება ჩვენი მოსწავლეების წინაშე დანაშაულია!** ის, რომ მოსწავლეებს ეშინიათ გამოცდების ჩაბარების, იმით არის გამოწვეული, რომ მთლიანად განათლების სისტემა შაშკინმა ააგო შიშზე, ამიტომ მოსწავლეები თავს გრძნობენ დათრგუნულად.

***საერთოდ, განათლების სისტემა იქმნება მოსწავლისათვის და არა მინისტრისათვის.*** დღეს კი საქართველოში შეშინებულია მოსწავლეც, მასწავლებელიც და მშობელიც. ყველა მათგანს აქვს უპერსპექტივობის განცდა, არ აქვთ მომავლის იმედი.

შაშკინის მიერ გამოცემულ ბროშურაში ვკითხულობთ: ,,საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველო დაასახელეს იმ ქვეყნების ხუთეულში, სადაც განათლების მიღება ყველაზე ხელმისაწვდომია“. ეს არის სრული ტყუილი, ხარისხიანი განათლების მიღება დღეს საქართველოში შეუძლებელია.

**ეთერ კასრელიშვილი**

# koaliciis gareT myofma partiebma procesebs xeli ar unda SeuSalon

**ინტერვიუ ნუკრი ქანთარიასთან**



**— ბატონო ნუკრი, 27 მაისს ,,ქართული ოცნების“ მიერ დაიგეგმა მანიფესტაცია. თქვენ პირადად და ,,ქართული აკადემია“ თუ შეუერთდებით აქციას?**

— დიდი ხანია გაცხადებული მაქვს, როგორც პირადად, ასევე ,,ქართული აკადემიის“, რომ არა მხოლოდ მხარს ვუჭერს, აქტიურადაც ვართ ჩართული პროცესებში. გახსოვთ, რომ ბოლო შეხვედრაზე ,,ქართულმა აკადემიამ“ საკონსტიტუციო საკითხებზე მუშაობის ფუნქციებიც შეითავსა. პირადად მგონია, რომ 27 მაისის აქცია პრინციპულად მნიშვნელოვანია, რათა მართლაც ბევრი ხალხი მივიდეთ, იმიტომ რომ ეს გახლავთ დიდი ბრძოლის დაწყებისთვის მოთელვა, სპორტული ტერმინი რომ მოვიშველიოთ, აქამდე იყო შექმნა მოედნის, ფირმის, მონაწილეობის, ანდა, როგორც გითხარით, არის პირველი მოთელვა. მართალია, ბრძოლა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ამ ბრძოლის წინ პირველი საჯარო დათვალიერება, რომელიც უნდა იყოს შთამბეჭდავი, დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება, ამავე დროს ამ აქციამ უნდა გააქეზოს ჩვენი მორიდებული მხარდამჭერები, თანამოაზრეები, რომლებიც ჯერ ფანჯარასთან დგანან და ფრთხილობენ, ელოდებიან მოვლენების განვითარებას. ასეთი ხალხი ცოტა როდია. ნაწილი ამ ხალხის გარანტირებულ გამარჯვებას უერთდება ხოლმე, ნაწილს რაღაც წაქეზება სჭირდება.

**— თქვენი პროგნოზით, თუ მოვა ხალხის დიდი რაოდენობა ამ აქციაზე?**

— უნდა მოვიდეს. ამაზე ჩვენც და თავად ორგანიზატორებიც იზრუნებენ. თბილისელები ინფორმაციის ნაკლებობას არ განიცდიან, ამიტომ ვამბობ, რომ უნდა გამოვიდნენ, თუ ინერტულობის ბაცილა არ შეეყარათ. მიუხედავად ნებისმიერი ცუდი ამინდისა, ჩვენ იქ უნდა მივიდეთ. აქ ხალხს არავინ ეპატიჟება, იმიტომ რომ მერე რაღაც დავაქციოთ, ყველაფერი დავამთავროთ იმავე დღეს, პირიქით, გვეუბნებიან, რომ გარკვეული დროის მანძილზე პრიციპულად აუცილებელია მივიდეთ და ჩვენი სიმრავლე ერთად დავანახოთ მტერსაც და მოყვარესაც. ეს არის და ეს. ამისთვის საჭიროა გამოვიდეს ხალხი.

**— ბატონო ნუკრი, ალბათ, ახლა მთავარია ქართველი ხალხის ერთობა. თქვენ როგორ მიგაჩნიათ, სხვა პარტიები თუ დაუჭერენ მხარს ბიძინა ივანიშვილს, მხედველობაში მაქვს კოალიციის გარეთ მყოფები?**

— პარტიები, რომლებიც კოალიციის გარეთ არიან, პროცესებს არ უნდა შეუშალონ ხელი. კი, ბატონო, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, მაგრამ აჯობებს იყოს კოორდინაცია. ვგულისხმობ იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც მართლაც ოპოზიციურად არიან განწყობილი და მათ გულწრფელობაში ძნელია ეჭვის შეტანა, მაგრამ არიან პარტიები, რომლებიც ქულების მოსაპოვებლად თუ სხვა მიზეზებით პირდაპირ გაავებულები არიან, კომპასი აქვთ დაკარგული. მაგალითად, ლეიბორისტები. იციან ახლა სააკაშვილის ლანძღვა და კრიტიკა მოდაში აღარ არის და არც ეფექტურია. ამიტომ ასე კბილის გაკვრით ცდილობენ ფონს გასვლას. ერთის მხრივ, თავიანთ თავსაც ვნებენ და პროცესსაც აზარალებენ. სულ მცირე მათ ის მაინც უნდა გააკეთონ, რომ დაელოდონ პროცესების განვითარებას და გაჩერდნენ. ამ პირობებში, როდესაც არის რეალური შანსი ხელისუფლების ცვლილების, ეს პროცესი ვიმეორებ, არ უნდა დააზარალოთ, თუნდაც თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე. თუ არაფერში გამოადგებიან ,,ქართულ ოცნებას“ უნდა შეწყვიტონ ზღვარგადასული ბრალდებები და ლანძღვები. მათ ყოვლათ სტაბილური ელექტორატი, რომელიც დაკარგეს ასეთი განცხადებების შემდეგ.

**— 26 მაისს ,,სახალხო კრებასაც“ ჰქონდა დაგეგმილი აქციები, მაგრამ გადადეს, თქვენ როგორ შეაფასებდით ასეთ ნაბიჯს?**

— აქციის გადადება მათი შინაური საქმეა. ალბათ, საერთო საქმიდან გამომდინარე ჩათვალეს, რომ ორი აქცია, მით უფრო ,,სახალხო კრება“ რეიტინგით ჩამოუვარდება ,,ქართულ ოცნებას“, შეიძლება ხელი შეეშალათ ერთმანეთისთვის. თუმცა ხალხის ძირითადი აქცენტი მაინც ,,ქართული ოცნებისკენ“ იქნებოდა გადართული. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ყველამ თავის პარტიული გეგმით არ იმოქმედოს. გარკვეულ ეტაპისთვის, ვიმეორებ კორდინაცია აუცილებელია, თუმცა ,,სახალხო კრებასა“ და ,,ქართულ ოცნებას“ შორის მოლაპარაკებები არ ყოფილა.

**— და ბოლოს, როგორია თქვენი პროგნოზი, როგორ დასრულდება ეს პერიპეტიები?**

— თუ რაიმე სერიოზული შეცდომა არ დავუშვით, არ გამოვიჩინეთ სულისწრაფობა, დღემდე საბედნიეროდ არ ხდება, ვფიქრობ ჩვენ უნდა მოვახერხოთ საზოგადოების მობილიზება, მივიდნენ საარჩევნო ყუთებთან და მერე ამ ხმების დაცვა, რაც გარდაუვალი იქნება, გავიმარჯვებთ ამისთვის ყველანაირი პირობა და განწყობაც არის. თუ ეს არ გამოვიდა, მაშინ ჩვენი საზოგადოების ბრალი იქნება.

**გია ბურდული**

# axlo momavalSi mwerlebis gaerTianebas vqmniT, romelic biZina ivaniSvilis mxardaWeris iniciativiT gamova

# ივანიშვილის გზა ის გზაა, რომელიც საქართველოს ტაძრამდე მიიყვანს!






**გვესაუბრება მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პოეტი ბალათერ არაბული**

**— ბატონო ბალათერ, სისხლისღვრას და თავპირისმტვრევას, რა თქმა უნდა, კანონიერი არჩევნების გზით გამარჯვება სჯობს, მაგრამ მაშინ, როცა ხელისუფლება ბრძოლის მთავარ ხერხად, მხოლოდ უკანონობას იყენებს, მათ კანონიერი გზით როგორ ვებრძოლოთ?**

— სრულიად გეთანხმებით, ხელისუფლება ყველა უკანონო მეთოდს იყენებს, რათა საკუთარი მმართველობა გაახანგრძლივოს და არ დათმოს ქართველი ხალხისგან ნაძარცვი ქონება. მათ კარგად უწყიან, რომ ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ამ ყველაფერს დაკარგავენ, უკანონოდ მიტაცებული ქონება ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს. აშკარაა, რომ ეს ხელისუფლება, ბოლო პერიოდია, აგონიაშია და შეცდომებს ყოველდღიურად უშვებს, თითოეული მათგანი ბიძინა ივანიშვილის სასარგებლოდ მოქმედებს. ივანიშვილი საკუთარ ფინანსებს წლების მანძილზე უხმაუროდ ახმარდა ქვეყნის განვითარებას. მან სამშობლოსთვის, ხალხის კეთილდღეობისთვის, გაჭირვებულთა დასახმარებლად. მილიარდ სამასი მილიონი გაიღო. ამ დროს გავავლოთ პარალელი, რას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება — იგი საქართველოში უცხოეთიდან შემოსული თანხების დიდ ნაწილს, რომელიც წესით ქვეყნის განვითარებას უნდა მოხმარდეს, თავად ითვისებს. სწორედ ამიტომაცაა, რომ ,,ნაციონალებიდან" პოლიტიკაში მოსული პირები, რომლებმაც აქ ფეხი ცალ-ცალი კალოშით შემოდგეს, დღეს მილიონერები არიან. ივანიშვილს ფული არ აინტერესებს, მას უნდა დემოკრატიული წყობის შექმნა, რათა საქართველოს ყველა მოქალაქეს თავი ღირსეულად მიაჩნდეს.

**— ხელისუფლება კი პირიქით, ქვეყანაში ღატაკი ფენის გაზრდას უწყობს ხელს. უპრეცედენტო ფაქტია — მოსახლეობა თავად იხვეწება ღატაკად მაღიარეთო.**

— დიახ, მილიონ რვაასი ათასი ადამიანი ითხოვს ღატაკთა სიაში შეყვანას. ეს კატასტროფული ციფრია.

**ხელისუფლებამ არჩევნების მოახლოებასთან ერთად საფრთხე იგრძნო და ამ ადამიანებს, ათას ადამიანს, ვისაც განცხადება აქვს დაწერილი, ყველას სექტემბრიდან სოციალური დახმარების მიღებას დაჰპირდა. ეს ხომ ამ ხალხის მოსყიდვის მცდელობაა და მეტი არაფერი.**

წინა არჩევნებზე 100 დოლარიან პენსიასაც დაჰპირდნენ პენსიონერებს, მაგრამ შეასრულეს?! 8 წლის მანძილზე ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ვერც ერთი დანაპირები ვერ შეასრულა და საქართველოს მთელი მოსახლეობა დაპირებებში აცხოვრა და ახლაც იგივეს აპირებს. ამის პარალელურად არის ივანიშვილი, რომელიც არ ფიქრობს ხალხის ხარჯზე საკუთარი ქონების დაგროვებას, გამდიდრებას, ქვეყნის ქონების მიტაცებას.

**— წელან საერთაშორისო მხარდაჭერა ახსენეთ. თუმცა, როგორც საუბრობენ აშშ სულაც არ უჭერს მხარს სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლას.**

— ვფიქრობ, სააკაშვილმა ბოლო წლებში თავისი არაადეკვატური, ავანტურისტული პოლიტიკური მოღვაწეობით სრული დისონანსი შეიტანა კავკასიურ, მსოფლიო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომ აშშ, ევროპა დარწმუნებულია, რომ სააკაშვილისადმი მხარდაჭერა უკვე დაუშვებელია. აშშ წინა არჩევნებში მართლაც უჭერდა სააკაშვილს მხარს. ბუშების პერიოდში საქართველოს ,,ვარდების რევოლუცია" მათ მონაპოვრად მიიჩნეოდა, მაგრამ ბარაკ ობამას აბსოლუტურად სხვა ხედვა, დამოკიდებულება აქვს. ბარაკ ობამას გუნდი კარგად ხედავს, რომ ივანიშვილის სახით ღირსეული ცვლა ხდება, მოდის გაწონასწორებული პოლიტიკოსი, რომელსაც ძალუძს პოლიტიკური ცხოვრება, სახელმწიფოებრივი მოწყობა უკეთესად დაალაგოს, როგორც საერთაშორისო არენაზე, ისე ქვეყნის შიგნით. ამ მიმართულებით ამერიკის სენატში არაერთი განცხადება გაკეთდა; ერთ-ერთმა სენატორმა ერთი თვის წინ შეიტანა განცხადება საქართველოსთვის დახმარებების შეწყვეტა-არშეწყვეტის თაობაზე: თუ საქართველოს ხელისუფლება ოქტომბერში სამართლიან არჩევნებს არ ჩაატარებს, ამერიკამ საქართველოს ფინანსური დახმარება უნდა შეუწყვიტოს, — ნათქვამია განცხადებაში. ეს ნიშნავს, რომ საქართველო გაკოტრების, ფინანსური კრახის წინაშე აღმოჩნდება.

**— ანუ სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენის შემთხვევაში აშშ დახმარებას შეგვიწყვიტავს?**

— დიახ. ასევე, ეს გაცხადებულია ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოების მხრიდანაც. სააკაშვილი უკვე ისეთ სვლებს და განცხადებებს აკეთებს, რაც ყველასთვის მიუღებელია; მან ბათუმში ტრამპი ჩამოიყვანა, რომელიც აშშ-ში ავანტიურისტადაა მიჩნეული. სააკაშვილმა განაცხადა, არც სენატის გადაწყვეტილება მაინტერესებს და არც ევროპის, აგერ არ მყავს ტრამპი, რომელიც საქართველოს პასპორტიაო. ეს იმის მანიშნებელია, რომ სააკაშვილი ხავსს ებღაუჭება, მას აღარ აქვს შესაბამისი მხარდაჭერა არც სენატიდან, არც დასავლეთიდან და არც არსაიდან. ამიტომ დარბის ასე გამწარებული. სადაც კი ორი-სამი კაცი მუშაობს, სპორტული არენა იქნება ეს თუ რაიმე საწარმო, ყველგან მიდის, ლენტს ჭრის და თვითრეკლამას ეწევა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობაში ეწევა პროპაგანდა-აგიტაციას, ხალხს უკვე ჰყავს ალტერნატივა.

**წინა არჩევნებში, მოსახლეობას, ფაქტობრივად, ალტერნატივა არ ჰყავდა, არ გვყავდა გამოკვეთილი ლიდერი, რომელსაც ხალხი ბოლომდე ენდობოდა. ამიტომაც იყო, რომ მოსახლეობა 20 ლარიან ვაუჩერებზე იყიდებოდა. ხალხს ერჩივნა ეს 20-30 ლარი აეღო, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მაინც სააკაშვილი გაიმარჯვებდა. მოსახლეობა, რომელიც მაშინ ფულზე გაიყიდა, დღეს აღარ გაიყიდება იმიტომ, რომ მან იცის, ახლა რეალური ალტერნატივა არსებობს — ბიძინა ივანიშვილის სახით, რომელიც ყოველთვის და ახლაც ქართულ, ეროვნულ საქმეს აკეთებს.**

სააკაშვილმა, ფაქტობრივად, დააქცია სოფლის მეურნეობა, რომელიც წამყვანი დარგი უნდა იყოს, ივანიშვილისთვის ეს პრიორიტეტი იქნება. კარტოფილი და ხახვიც კი, რომელიც ექსპორტზე გაგვქონდა, დღეს უცხოეთიდან შემოაქვთ. სააკაშვილი ხავსს ეჭიდება და ახალ-ახალ რაღაცებს იგონებს — დარიალში, სვანეთში ჰესის მშენებლობა დაიწყო, გამოიგონა ლაზიკა, შექმნა, ვითომ საბრძოლო მანქანები— ,,ლაზიკა" და ,,დიდგორი", რისი პროექტებიც თურმე რუსებს მოუპარიათ. ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური ზემოქმედებაა მოსახლეობაზე — თითქოს იგი იმდენად მაგარია, რომ მისი რუსებსაც კი შურთ. ეს ხომ სასაცილოა. ლაზიკაში 500 ათასი ადამიანი უნდა ცხოვრობდესო, საიდან მოჰყავს ეს ხალხი? — ალბათ ჩამოიყვანს თურქ-მესხებს, სომხებს და ა.შ. შექმნის სხვადასხვა ერების კონგლომერატს, რაც ილუზია, ზღაპარია. სვანეთში ჰესის მშენებლობის საძირკველი გაიხსნა, 2 საათის შემდეგ არცერთი ტრაქტორი აღარ მუშაობდა იქ, უბრალოდ პიარი გაიკეთა. დარიალში ჰესს აშენებს, რომ რუსები გაალიზიანოს. მისი არაადეკვატური მოქმედებები მოსახლეობაში უკვე გაღიზიანებას იწვევს. გახსოვთ, ალბათ, როგორ იქცეოდა იგი მახათას მთაზე, ეს იყო პრეზიდენტი, რომელიც საკუთარ თავს ვერ ფლობდა, პატივს არ სცემდა საკუთარ ერს, გუნდს, რომლის წევრიცაა. ვიცნობ, ბევრ მის ახლობელს და ვიცი, რომ მისი საქციელი მათშიც კი ღიმილს იწვევს. პრეზიდენტი აცხადებს, რომ ნატოში უნდა შევიდეს, მაგრამ თითოეულ ნაბიჯს სერიოზული გათვლა სჭირდება. ახალქალაქელმა სომხებმა განაცხადეს, თუ საქართველო ნატოში შევა, ჩვენ მას ცალკე გამოვეყოფითო. ქვეყანას საკუთარი პოზიცია უნდა ჰქონდეს მეზობლების მიმართ და გამოკვეთილი საგარეო პოლიტიკა, რაც ჩვენი ხელისუფლების შემთხვევაში შეუძლებელია. ფაქტობრივად, აშშ ავღანეთიდან გამოსვლას აპირებს, ამ დროს კი სააკაშვილი ამბობს ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების რაოდენობა უნდა გავზარდოო. ეს არის ვაჭრობა საკუთარი ჯარისკაცებით ნატოსა და აშშ-ს ხელისუფლების წინაშე — თქვენ კი გადიხართ, მაგრამ მე ისეთი მაგარი ვარ, ჩაგანაცვლებთო. ამ დროს კი საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი დაკარგული აქვს, საკუთარი პრობლემები ვერ მოუგვარებია და ამ დროს ავღანეთში ჯარისკაცების გაგზავნით ლიდერები უნდა ვიყოთ?!

**— რაც შეეხება ივანიშვილის ბოლოდროინდელ განცხადებას — 6 თვის შემდეგ მან პოზიცია შეცვალა და ხალხს 27 მაისს თავისუფლების მოედანზე შეკრებისკენ მოუწოდა. როგორ უყურებთ ამ ყველაფერს, რა მოლოდინი გაქვთ, როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები?**

— ამით მოხდება ხალხის მობილიზება, მოსინჯვა იმისა, თუ რამდენადაა საზოგადოება დღეს მომზადებული, რომ ამ მოძრაობაში აქტიურად ჩაერთოს. ხალხმა უნდა დაძლიოს ის შიში, რომელიც ხელისუფლებამ გააჩინა. მან საკუთარ მოქალაქეებზე არაერთი ძალადობრივი ექსპერიმენტი ჩაატარა, თუ რამდენს გაუძლებდა ჩვენი მოსახლეობა. 26 მაისს 4 გარდაცვლილი, ასევე ნაცემი, დასახიჩრებული და 300-მდე დაპატიმრებული ადამიანი მივიღეთ. ეს დაშინების მცდელობა იყო, რასაც ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც. დღეს, თანდათანობით შიშის გადალახვა ხდება. ბიძინა ივანიშვილი მიხვდა, რომ მოსახლეობაში შიშის გადალახვას მხოლოდ და მხოლოდ კაბინეტებში ჯდომით და აკადემიური ქმედებებით ვერ მიაღწევს. ამისთვის აუცილებელია ხალხის ქუჩაში გამოყვანა.

**ვფიქრობ, სწორედ 27 მაისს მოხდება „დათვალიერება" იმ ხალხის, ვინც ივანიშვილს მხარს უჭერს. მწამს, რომ მთელი საქართველო გამოვა. 27 მაისის მერე ხელისუფლებას და მის გუნდს უკვე ნამდვილი შიში გაუჩნდება ბიძინა ივანიშვილისა და მისი მოძრაობის მიმართ.**

თუმცა ხელისუფლება დღესაც უკვე აგონიაშია, კონტროლის პალატის სპეციალური სტრუქტურა მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილზე მუშაობს და მის ყველა ქმედებას აკონტროლებს მაშინ, როცა მისი პირდაპირი მოვალეობა საბიუჯეტო ორგანიზაციების შემოწმებაა. ამ დროს კი ივანიშვილის მხარდამჭერების, მისი ოფისების მეპატრონეებზეა ჩასაფრებული და მათ დაკითხვებს აწარმოებს. ეს მოსახლეობის მხრიდან უკურეაქციას, პროტესტს იწვევს.

**— რა ფორმას მიიღებს ეს მანიფესტაცია, ხალხი ისევ სახლში დაბრუნდება?**

— ვფიქრობ, ეს იქნება ერთჯერადი აქცია და გაცხადდება საბრძოლო გეგმები, რასაც ,,ქართული ოცნება" ოქტომბრის ჩათვლით განახორციელებს. თუმცა, არჩევნებამდე შეიძლება კიდევ მოხდეს მოსახლეობის მობილიზება და მათი კონსოლიდაცია. ადრე როცა ოპოზიციას ხალხი გამოჰყავდა, ისინი ამბობდნენ, რომ მიშა უნდა გაექციათ ხელისუფლებიდან. ამჯერად ხალხი დასახულ, საბრძოლო გეგმებს გაეცნობა, თუ როგორ, რა ფორმით იმოქმედებს ,,ქართული ოცნება". ამაში მთელი მოსახლეობა ჩაერთვება.

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**— კონკრეტულად, ქართველი მწერლები რას აპირებთ, რა ფორმით გამოხატავთ მხარდაჭერას?**

— ხელისუფლებამ საზოგადოების ყველა ფენას მიაყენა შეურაცხყოფა— პენსიონერებს, მეცნიერებს, მწერლებს და ა.შ. 40 წლის ზევით, ხელისუფლებამ მოსახლეობა ჩარეცხილად გამოაცხადა. დღეს იგი იმ დონემდე მივიდა, რომ პარლამენტში 21 წლის გოგო-ბიჭების შემოყვანას აპირებს. ამ ასაკში ახალგაზრდა ჯერ კიდევ სტუდენტია.



**მოდის თაობა, რომელმაც მენტალიტეტი შეიცვალაო — აცხადებს სააკაშვილი. მას უნდა იმ მენტალიტეტის თაობა ჰყავდეს, როგორიც თვითონ არის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ გართობაზე, ბარებზე, მომღერლებზე ფიქრობს. საქართველოში მხოლოდ გართობის ობიექტების მშენებლობა მიმდინარეობს. ბოლო დროს არ მინახავს არცერთი გახსნილი საწარმო, თუკი გაიხსნა იგი უკვე დახურულია, ინვესტორები ან გაქცეულია, ან დაჭერილი და ა.შ.**

მას ამ ახალი მენტალიტეტის თაობის იმედი აქვს და ამიტომაც აიღო აქცენტი 21 წლის ახალგაზრდებზე. ახლა, უნდა სტუდენტებს შორისაც დაპირისპირება მოახდინოს და ერი დაშალოს, რაც ყოვლად მიუღებელია. უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობისთვის 900 ათასი ლარია გამოყოფილი და ცხადია ბავშვები იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ აითვისონ ეს ფული და აქედან პირდაპირ მინისტრის მოადგილეებად ინიშნებიან. მათ შორის ვინც ყველაზე მეტად დაზარალდა ქართველი მწერლები არიან. ხელისუფლებამ საქართველოს მწერალთა კავშირი საკუთარი სახლიდან გამოაძევა. ის, რაც კომუნისტებს არ გაუკეთებიათ, „ნაც.მოძრაობამ“ გააკეთა. დღესაც მწერლების 500 კაციან რაზმს საკუთარი ჭერი არ გვაქვს, შეკედლებული ვართ ერთ-ერთ შენობაში და კაცმა არ იცის ხვალ ან ზეგ რა იქნება. ამიტომ, ვფიქრობ, ქართველმა მწერლებმაც უნდა ამოვიღოთ ხმა. ახლო მომავალში მწერლების გაერთიანებას ვქმნით, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერის ინიციატივით გამოვა, რათა ერთიანი ძალით შევცვალოთ ხელისუფლება და საქართველო ნორმალური განვითარების გზას დაადგეს.

**— ხელისუფლება ივანიშვილს ფულის ხარჯვის საშუალებას არ აძლევს, თუმცა თავად მათ მოსახლეობის მოსყიდვას არავინ უშლის.**

— ხელისუფლება მოსახლეობის ტოტალურ მოსყიდვას ახორციელებს — 20 ათას სტუდენტს, რომელთაც აგვისტო-სექტემბერში 500 ლარს გადაუხდის და ამას დასაქმებას უწოდებს. 30 ათასი ადამიანი სექტემბერში რეგიონებში პროფესიული გადამზადების კურსებს გაივლის — ასწავლიან კომპიუტერს და მერე მოატყუებენ, დაგასაქმებთო!.. ეს ხალხი, ამით ივანიშვილის პასიური და სააკაშვილის აქტიური ამომრჩეველი ხდება. ალასანიას განცხადების შემდეგ, ხელისუფლებამ რეზერვისტების მობილიზება გამოაცხადა. თუ გახსოვთ, 2008 წლის პერიოდში, დაახლოებით 100 ათასი რეზერვისტი ჰყავდა საქართველოს, მათი ფუნქცია გაურკვეველი დარჩა. ახლა, რეგიონებში და რაიონებში 50 ათასი რეზერვისტის მობილიზებას აპირებს, რაც ნიშნავს, რომ ყველა ახალგაზრდა მამაკაცი, ჩართული ეყოლება რეზერვში. რა უნდა ისწავლოს რეზერვისტმა 5 დღეში?! ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ იმისთვისაა, რომ ამ ხალხის სია ჩამოწერონ, მათი აღრიცხვა მოახდინონ და არჩევნების წინ დაურეკონ. ეს ფაქტები ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება ღიად ახორციელებს მოსახლეობის მოსყიდვას. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, მოსახლეობა საკუთარ თავზე კონტროლს არ დაკარგავს და თეთრს და შავს კარგად გაარჩევს.

**არის ბარაბას და ქრისტეს გზა, სიცრუის და სიმართლის გზა. თუ უპერსპექტივო, გაჭირვებაში, სიცრუეში ცხოვრება გვინდა ეს სააკაშვილის გზაა. თუ ნამდვილ საქართველოში, ქართველი ცნობიერებით ცხოვრება გვინდა ეს ივანიშვილის გზაა. არჩევანი ამ ორ გზას შორისაა, ვფიქრობ, ივანიშვილის გზა ის გზაა, რომელიც საქართველოს ტაძრამდე მიიყვანს!**

**თამარ შველიძე**

# policiis ekipaJebi mosaxleobas aiZuleben `global-tivis~ antenebi moxsnan!

არცთუ დიდი ხანია თბილისსა და მის შემოგარენში „გლობალ-ტივის“ ტექნიკური სამსახურის წარმომადგენლები უბან-უბან დადიან, მოსახლეობას საკუთარი მომსახურების საეთერო პაკეტს აცნობენ და სთავაზობენ, რომელიც შემდგომში მდგომარეობს: ე.წ. თეფშის დაყენება უფასოდ და მისი ტექნიკური გამართვა რაც მთავარია, უფასო მომსახურების ვადა 12 თვე გაგრძელდება, ხოლო შემდგომ, ანუ ერთი წლის შემდეგ, სააბონენტო გადასახადი სულ რაღაც 4 ლარი ეღირება თვეში!

თბილისსა და მის შემოგარენში მოსახლეობა ამ ინფორმაციას სიხარულით შეხვდა, რადგან „გლობალ-ტივის“ მეშვეობით, ისინი თავისუფლად შეძლებდნენ იმ ტელეკომპანიების მაუწყებლობის მიღებას, რომელსაც მხოლოდ საკაბელო მომსახურებით იღებენ თბილისელები, ანუ ტელეკომპანია „მაესტროს“, „მე-9 არხის“, „5-ე არხის“ და სხვა ქართული არხების ყურებას (გარდა „რუსთავი-2“ და „იმედისა“) და კომპანიის წარმომადგენლებთან შეთანხმებით, მრავალმა თბილისელმა მართლაც ისარგებლა ამ სიკეთით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „გლობალ-ტივის“ უფასო სერვისით სარგებლობას, ასევე მრავალი თბილისელი ვერ შეძლებს და თუ რატომ, ამაზე ქვემოთ დაწვრილებით გიამბობთ, კერძოდ: დაახლოებით თვენახევრის წინ ვაზისუბნიდან ჩემმა ახლობელმა დამირეკა და მითხრა — ირინა, ახლა „გლობალ-ტივის“ ხალხია მოსული, ანტენების უფასოდ დაყენებას გვთავაზობენ, მაგრამ ამათი მოსვლა იყო და... საპატრულო პოლიციის 4 მანქანა და ეკიპაჟიც უმალ გაჩნდნენ კორპუსებთან. დაუწყეს ხალხს დაშინება, მუქარა და „კეთილი რჩევების“ მიცემა, ნუ დააყენებთ მაგ ანტენებს, თორემ მერე თქვენს თავს დააბრალეთო! ვიღაც დაიბნა, რა ხდება, 21 საუკუნეში ინფორმაციის მიღებას გვიკრძალავენო? მაგრამ მთავარი, შემდეგ, უკვე საღამოს მოხდა, როცა პოლიციის თანამშრომლებმა ოჯახ-ოჯახ დაიწყეს სიარული და ყველას აღმაშფოთებელი შეკითხვების დასმა დაგვიწყეს. გვეკითხებოდნენ —„საჯარო სამსახურში ვინმე თუ მუშაობდა ჩვენი ოჯახებიდან?“ ეგ კიდევ არაფერი, პირდაპირ გვემუქრებოდნენ —„სამსახურებს დავატოვებინებთო“ და რა მინდა იცი, გთხოვო? მიდი, ერთი, დაწერე შენებურად, რა დღეში გვაგდებენ იმ ხალხს, ვისაც საკაბელო ტელევიზიით სარგებლობის ფინანსები არ გაგვაჩნია (თვეში (15-20 ლარი) და ვისაც ძალიან გვაინტერესებს, რა ხდება რეალურად ქვეყანაში. რას უნდა ვუყურო „რუსთავს“ თუ „იმედს“? იქნებ „მაესტრო“ ანდა „მეცხრე არხი“ მინდა, ვინ გდია პოლიცია გემოვნება მიკონტროლოს ახლა?“

ძვირფასო მკითხველო! თავიდან მეგონა, ის ჩემი ახლობელი რაღაცას აზვიადებს-თქო, მაგრამ თურმე ნუ იტყვით და, ცამდე მართალი ყოფილა, რადგან იგივე რეალობას, სულ რაღაც 2 დღის წინ თავად შევეჯახე და რა ჰქვია იმას, რასაც ახლა მოგიყვებით, თავად განსაჯეთ.

ოქროყანის აგარაკებზე, სადაც მე ვცხოვრობ, მეზობელმა მახარა: „მალე მე-9 არხს“, „მაესტროს“, ბათუმის „25-ე არხს“ და კიდევ ბევრ არხებს უპრობლემოდ ვუყურებთ, ხვალ „გლობალ-ტივის“ ხალხი ამოდის და ვისაც გვენდომება მათი ანტენების დადგმა, მალაზიასთან ვიკრიბებით 3 საათზეო!

რა თქმა უნდა, მეც იმ ადამიანების ჩამონათვალში ვიყავი, ვისაც ასე თუ ისე ოპოზიციური არხების ცქერა ჰაერივით მჭირდება და დათქმულ დღეს, დათქმულ საათზე „შეკრების“ ადგილზე მივედი. მართლაც ამოვიდნენ „გლობალტივის“ წარმომადგენლები და „საჩვენო“ ტელე-პაკეტის შესახებ სრული ინფორაცია მოგვაწოდეს. მსურველი ბევრი აღმოჩნდა, რადგან ჩვენთან, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სატელევიზიო ანძის მიმდებარედ ვცხოვრობთ, ტელეარხების ხარისხიანი ტრანსლაცია პრობლემაა და ხშირად, საშინელი ხარვეზებით მოგვეწოდება საეთერო სიგნალი. მეტიც, ასევე ხშირად, განსაკუთრებით კი ცუდ ამინდში, საერთოდ იკარგება გამოსახულება და ხალხსაც რა უნდოდა მეტი? მოკლედ, ჩამოწერეს სიები და „გლობალ-ტივის“ წარმომადგენლები შეგვპირდნენ, ორშაბათს აქ ვართ და დავიწყოთ „თეფშების“ დამონტაჟებაო.

მაგრამ, მაგრამ, მაგრამ... ამათი წასვლა იყო და, პოლიციის 2 ეკიპაჟიც მოვარდა თავისი „სირენებით“. დაიწყეს ეზოებში გადმოხედვები, „რჩევა-დარიგების“ ჩამორიგებები, დაშინებები და ა.შ. რასაც ჩვენდა სავალალოდ არავინ შეწინააღმდეგებია ჩემს გარდა და როცა პოლიციელს ვუთხარი: „კი, მაგრამ, თქვენ ვინ მოგცათ უფლება მიკონტროლოთ, რომელ არხს ვუყურებ და რომელს არა-თქო?“ — ასე მიპასუხა: „ქალბატონო, თქვენ მუშაობთ?“-ო. „რა თქმა უნდა, ვმუშაობ, თანაც საჭირო სამსახურში“, — მოვიტყუე მე. „აბა, ერთი გვითხარით, სად მუშაობთ?“ — გაუხარდა მას. „საერთო გაზეთში“ ვმუშაობ, ჟურნალისტი გახლავართ, კიდევ გაინტერესებთ რამე? ერთი წუთი დამელოდეთ, ახლავე გამოგიტანთ ჩემს „სივს“ და დარწმუნდებით“, — ვუთხარი და ეზოდან სახლში შემოვედი. ავიღე ფოტოაპარტი, ჩავრთე, კიბის ბაქანზე გავედი სურათის გადასაღებად, ხელი ავწიე და ამ დროს, მიყვირის ერთ-ერთი მათგანი: „გადაგვიღებ და ნახავ, რაც დაგემართება, შენ ჩვენ ვინ გგონივართო?“ ჩემდა სამწუხაროდ, ფოტოაპარატმაც მიმტყუნა, მაგრამ ეგ არაფერი, კიდევ მოვლენ, ანუ მაშინ როცა „გლობალ-ტივის თეფში“ ეზოში მექნება და აი, მერე კი უეჭველი აღარ „გავმაზავ“, გპირდებით! „ვინ მგონიხართ და ვინც თქვენი თავები გგონიათ, ისინი“, — მივაძახე მანქანაში ჩამხტარ პოლიციელებს და მრავალმნიშვნელოვნად გავუღიმე.



სასწრაფოდ დაძრეს მანქანა და მოსახვევში ასევე სწრაფად გაუჩინარდნენ, მაგრამ მეორე დღეს უკვე სოფელ ოქროყანიდან შევიტყვე, რომ ამავე სოფლის სკოლის ერთ-ერთი პედაგოგი ქალბატონისთვის მართლაც შეუქმნიათ პრობლემები პოლიციელებს და შვილის დაპატიმრებით დამუქრებიან, თუკი „გლობალტივის“ ახდენას, სასწრაფოდ არ გაუკეთებდნენ დემონტაჟს!

ოქროყანელები გაოგნებულები მეკითხებიან: „ღირს კი ამდენ მუქარად ამ „თეფშის“ დაყენებაო?“ — და ამ შეკითხვაზე პასუხი, დამეთანხმეთ, რომ ჩემი გასაცემი არ არის, რადგან თითოეულმა ადამიანმა საკუთარ სინდისს, ღირსებას და თავმოყვარეობას თავად უნდა გასცეს პასუხი! ერთი რამ, დანამდვილებით ვიცი — მე, აუცილებლად ვისარგებლებ „გლობალ-ტივის“ სერვისით, რადგან მომბეზრდა სხვისი მონაყოლი „ახალი ამბები“, ექსკლუზიური ინფორმაციები და შეკითხვა: „ნახე, „მაესტროზე“ ახლა რა აჩვენესო?“ ვიმეორებ, ჩვენთან არც ინტერნეტის კაბელია, არც საკაბელო ტელევიზიები და რა ვქნათ ახლა ვანო მერაბიშვილო, მიხეილ სააკაშვილო და ზოგადად სააკაშვილებო“, თქვენ გიყუროთ მხოლოდ და ისიც თქვენივე კონტროლირებადი ტელევიზიების მეშვეობით?

ანდა რა უბედურებაა, რაიონებში „ქართულ ოცნებას“ ვინც საკუთარ სახლს საოფისედ აძლევს და აქირავებს, ეგრევე კონტროლის პალატაში რომ მიერეკებით და აშანტაჟებთ?

**მე არ ვიცი, ვინ განაგებს ოფისების ქირაობის საკითხს „ქართულ ოცნებაში“, მაგრამ დღეს, მე, ჟურნალისტი ირინე გოგოსაშვილი სახალხოდ ვაცხადებ: არც თქვენი პალატის „საგამომძიებო განყოფილების“ ოფიცრების რიდი მაქვს, არც ვანო მერაბიშვილის მეშინია და არც მითუმეტეს მიხეილ სააკოვის — ლაგოდეხში, ვაჟა ფშაველას №80, საკუთარი ორსართულიანი სახლი აქვს დაკეტილი, არ მინდა თქვენი ქირა, თუ სურვილი გაგიჩნდებათ დამიკავშირდით და გასაღებსაც გადმოგცემთ.**

ამოვიდა უკვე ყელში ამდენი მშიშარის, მლიქვნელის და სამშობლოს ბედით მოთამაშე „ტიპების“ პარპაში ყელში.

დალოცვილო, 21 საუკუნეში სირცხვილი არ არის მუდმივი შიშის და მუდმივი მონობის უღელი გედგათ კისერზე?

რაც შეეხება „გლობალ-ტივის“ ანტენებს და ოქროყანის აგარაკებზე მათ მონტაჟს — მობრძანდით ბატონებო!

თითო-ოროლა „ნაცის“ და მათი უსინდისო, გაქსუებული დამქაშების ნუ მოგერიდებათ, მოსახლეობა გელოდებათ და რაც მალე ასარგებლებთ ხალხს თქვენი სერვისით, მით უკეთესი თქვენთვისაც და ჩვენთვისაც!

**პატივისცემით,**
**ირინე გოგოსაშვილი**

# „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა“...

## 27 maiss saqarTvelos politikur cxovrebaSi axali etapi iwyeba



ასეთი ბიძინა ივანიშვილი საქართველომ პირველად ნახა — მაგრად შეკრული მუშტი ზეაღუმართავს და საქართველოს მოქალაქეებს სთხოვს 27 მაისს, დღის 3 საათზე თავისუფლების მოედანზე გამოცხადდნენ.

არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ არა რუსთაველზე, არა პარლამენტის წინ, არა რიყეზე, არა იპოდრომზე, არამედ აუცილებლად თავისუფლების მოედანზე უხმობს იგი თანამემამულეებს.

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა, დროშები ჩქარა!“

დროშებიც ბევრი იქნება 27 მაისს თავისუფლების მოედანზე...

**„მე ვარ ერთადერთი თავისუფალი ადამიანი ამ ქვეყანაზე“, — თქვა ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში და ზოგიერთმა ცუდად გაიგო, უფრო ზუსტად, ვერ გაიგო, რისი თქმა უნდოდა მას ამ სიტყვებით.**

საქმე იმაშია, რომ ისეთ ნახევარ კოლონიურ, ავტოკრატიულ-პოლიციური რეჟიმის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, თითქმის არავინ არ არის თავისუფალი, მათ შორის თვით ხელისუფლება, რომელიც თავის მხრივ, იმ საერთაშორისო ძალების მონაა, რომლებსაც ის ხელისუფლებაში მოჰყავთ.

ძალაუფლების ვერტიკალი, რომელიც ზემოდან ქვემოთ მოდის, ერთმანეთზე გადაბმულ მონობის უწყვეტ ჯაჭვს ქმნის.

მონობაში გადიდკაცებულები „მართავენ“ დღეს ქვეყანას, ხოლო მათი ძალაუფლების ხანგრძლივობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ სასტიკად და ულმობლად მოექცევიან ისინი საკუთარ ხალხს და საკუთარ სამშობლოს.

სწორედ ამიტომ არის საიკაშვილი და მისი სახელისუფლო გუნდი ასეთი ცივსისხლიანი და გულქვა საკუთარი მოქალაქეების მიმართ.

ეს არ არის ხელისუფლება, ეს არის მონებით დაკომპლექტებული სადამსჯელო-საეგზეკუციო რაზმი.

ჯერ კიდევ როდის თქვა პოეტმა — „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“.

სამწუხაროდ, ჩვენს ზნემორღვეულ და კონფორმიზმით დაავადებულ საზოგადოებაში, თავისუფლების ძებნაში სიკვდილს მონობაში გადიდკაცება ურჩევნიათ, რაც თავისთავად სიკვდილია, ოღონდ ზნეობრივი და მორალური სიკვდილი, როცა ცოცხლობს ხორცი, სული კი მკვდარია.

ბიძინა ივანიშვილი თავისუფლებისთვის იბრძვის, ოღონდ არა მხოლოდ საკუთარი თავისუფლებისთვის, არამედ ყველას თავისუფლებისთვის, საყოველთაო თავისუფლებისთვის, რადგან მან შესანიშნავად იცის, რომ შიშზე და მორჩილებაზე აწყობილ მონურ საზოგადოებაში ვერც ბედნიერი იქნები და ვერც თავისუფალი.

**—„ჩემი ოჯახიც, სხვა ქართული ოჯახებივით, ორი წლის განმავლობაში ჩურჩულით ველაპარაკებოდით ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთის იმედით და თანადგომით შიში ვძლიეთ.**

**შიშის და ჩურჩულის დრო დამთავრდა — ახლა ხმამაღლა, მთელი ხმით, მთელი საქართველოს და მთელი მსოფლიოს გასაგონად ლაპარაკის დროა, რომ მთელ საქართველოს, მთელ მსოფლიოს მივაწვდინოთ ჩვენი სიმართლე“. — ამბობს ბიძინა ივანიშვილი.**

თავისუფლებისკენ ლტოლვა იწყება იქ, სადაც მთავრდება შიშის და ჩურჩულის დრო.

თავისუფლება უმაღლესი ზნეობრივი კატეგორიაა, რომლის გარეშეც ადამიანის სიცოცხლეს აზრი არა აქვს.

თავისუფლების ცნება ბევრს გაუკუღმართებულად ესმის და მას ქცევის უკონტროლობასა და მორალურ-ზნეობრივი კატეგორიების უგულებელყოფასთან აიგივებს.

არადა, თავისუფალია მხოლოდ ის, ვინც უფალია საკუთარი თავისა, ვინც საკუთარ თავს ფლობს და ვინც საკუთარ ბედს თვითვე განაგებს.

**ქართველთა დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, დიდ პატივს სცემს ბიძინა ივანიშვილს და გულწრფელად უყვარს იგი, თუმცა ამასთან ერთად ეჭვის თვალითაც უყურებს მას: — რაში სჭირდებოდა მილიარდერ კაცს პოლიტიკურ ბატალიებში ჩაბმა და ბრძოლა? მას ხომ ყველაფერი აქვს, რატომ იტკივებს აუტკივარ თავს, რატომ რისკავს?**

მიზეზი ამ კითხვების გაჩენისა, იმ გარემოსა და იმ მენტალობაშია, საიდანაც ქართველი კაცი, ჯერჯერობით, ვერ გამოსულა.

ის ვერ ასხვავებს ერთმანეთისგან მსოფლმხედველობასა და ფსიქიკას იმ ორი ადამიანისა, რომელთაგან ერთმა მილიონები საკუთარი შრომით, ნიჭიერებით, სიბეჯითით და წესიერებით იშოვა, მეორემ — ყაჩაღობით, ძალადობით, ქურდობით, პარვით.

მისთვის ორივე მილიონერია და ორივეს წინაშე, უფრო ზუსტად, ორივეს ფულის წინაშე მდაბლად იხრის თავს, ეს იმ დროს, როცა ერთისთვის ბიზნესი და ფულის გამომუშავება საქმიანობის ისეთივე ფორმა და სახეობაა, როგორც მევენახისთვის მევენახეობა, მეცხვარისთვის მეცხვარეობა, ინჟინრისთვის ინჟინრობა, მეორისთვის კი კრიმინალი.

ერთი თავისი შრომით გამოიმუშავებს ფულს, მეორე — შოულობს.

**სამწუხაროდ, როგორც ზემოთ ვთქვით, ქართველი კაცი, ჯერჯერობით, ფულის გამომმუშავებელს და ფულის მშოვნელს შორის დიდ განსხვავებას, ვერ ხედავს, რაც იმ საბჭოთა პერიოდის „დამსახურებაა“, რომელმაც უმახინჯესი დაღი დაასვა ადამიანების ფსიქიკას.**

ერთ მილიარდერს, მგონი, წარმოშობით იაპონელს, ჰკითხეს: — როგორია თქვენი დღის გრაფიკი?

— დილით 7 საათზე ვდგები და ღამის 12 საათამდე ვმუშაობ, — უპასუხა მან.

— კი, მაგრამ, რატომ მუშაობთ ამდენს? თქვენ ხომ მილიარდერი ხართ?

— მე რომ შრომა შევწყვიტო, ჯერ ერთი ჩემს სიცოცხლეს აზრი დაეკარგება, მეორეც, თავისუფლებას დავკარგავ და საკუთარი თავის მონად და ქვეშევრდომად ვიქცევი.

შემთხვევითი არ არის, „კაცია-ადამიანი“ სწორედ რომ საქართველოში დაიწერა და დაიწერა ქართველზე.

ქართულ ხასიათში მართლაც ბევრია თათქარიძისეული შტრიხები და იმდენი სიკეთე თქვენ, რამდენიც თათქარიძის ბედს და თათქარიძეობას ნატრობს.

ასეთ ქვეყანაში სულაც არ არის გასაკვირი, რომ ზოგიერთს ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, ბოლომდე იბრძოლოს როგორც საკუთარი, ასევე

### დროშები ჩქარა!

gaTenda. cecxlis mze aenTo, acurda...
droSebi Cqara!
Tavisufleba suls ise moswyurda,
viT daWril irmebis gunds - wyaro ankara...
droSebi Cqara!

dideba xalxisTvis wamebul raindebs,
vinc Tavi gaswira, vinc sisxli daRvara.
maT xsovnas qveyana sanTlebad ainTebs...
droSebi Cqara!

dideba, vinc kidev gvabrZolebs imediT,
vinc medgrad daxvdeba mtris risxva-muqaras...
gaTenda! SeerTdiT, SeerTdiT, SeerTdiT!
droSebi, droSebi... droSebi Cqara!

*galaktioni*

სხვების თავისუფლებისთვის, სრულიად გაუგებარია.

* * *

**ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია ბიძინა ივანიშვილს, ვინც ერთხელ მაინც დალაპარაკებია მას, დამეთანხმება, რომ ის საოცრად უბრალო, გულღია და უშუალო პიროვნებაა.**

**მასთან საუბრისას ვერ იგრძნობ, რომ მილიარდერი გელაპარაკება. მას სიმდიდრის, დიდი ფულის თი, არამედ, უბრალოდ, ბიძინათი მოიხსენიებენ და ეს ზედმეტი სითამამით და უტაქტობით კი არ მოსდით — ისინი მას თავის მეგობრად თვლიან.**

ამ ნახევრად ფეოდალურ, ნახევრად ბატონყმურ გარემოში ეს სულაც არ გახლავთ უმნიშვნელო ამბავი — ივანიშვილი ურთიერთობისას კომპლექსებს გიხსნის და გათავისუფლებს, რადგან თვითონაა თავისუფალი.

ქართველი, რომელსაც მილიონები და მილიარდები კი არა, ასი ლარით მეტი აქვს მეორე ქართველზე, ზემოდან დაჰყურებს იმ მეორეს და ჰგონია, რადგან ასი ლარით მეტი აქვს,

ამის დასტურად თუნდაც ბოლო პერიოდის „მშენებლობები“ კმარა.

არაფრის შენებას არ აქვს აზრი, როცა იმ ხერხემალს ანგრევ, რაზეც სახელმწიფოა აგებული.

ჩვენ დღეს ვაშენებთ შენობებს, ვაშენებთ გზებს და ხიდებს, მაგრამ ვანგრევთ სახელმწიფოს, რადგან თავისუფლები არ ვართ და არც ის ვიცით, რა არის თავისუფლება და როგორ და რანაირად მოვიპოვოთ იგი.

* * *

— 27 მაისს თავისუფლების მოედანზე კი მოვალთ, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ, რისთვის უნდა მოვიდეთ? — სვამს კითხვას ობივატელი.

რისთვის უნდა მოხვიდე და რატომ უნდა მოხვიდე, ეს თუ არ იცი, მაშინ ძალიან ცუდად ყოფილა საქმე.

რაც გჭირს და რაც იცი, იმაზე მეტი რა უნდა იცოდე, ძვირფასო ობივატელო, თუმცა მაინც გეტყვი: —

**თავისუფლებისთვის ომში გიხმობენ, ოღონდ ეს ისეთი ომია, ერთ დღეში და ერთ კვირაში რომ ვერ მოიგებ და სადაც გამარჯვების მისაღწევად მხოლოდ გაუმარ-ჯოს! ძახილი არ კმარა.**

ეს ის ომია, რომელიც, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავთან ბრძოლაში უნდა მოიგო.

ერთი ანეგდოტი გამახსენდა და უნდა მოვყვე.

გურული დგას ხატთან და ღმერთს ეუბნება: — რომ ხარ, ვიცი! რა მინდა, იცი! აბა, შენ იცი!

ამ ლაკონურად მეტყველი გურულივით ხომ არ გვჭირს



**`me, biZina ivaniSvili, koalicia `qarTuli ocnebis~ lideri, 27 maiss 15:00 saaTze, gelodebiT aq, Tavisuflebis moedanze, rom erTad daviwyoT saqarTvelos gaerTianebis procesi da yvelam erTad avixdinoT `qarTuli ocneba~!**

**ტვირთი აბსოლუტურად არ ამძიმებს, არ ბოჭავს და არ თრგუნავს, როგორც ეს ძალიან ბევრს ემართება.**

ის აბსოლუტურად თავისუფალი ადამიანია, რომელიც პირველი წუთებიდანვე ერთ რამეს გთხოვს: ბატონობით ნუ მომმართავ, უბრალოდ, ბიძინა დამიძახეო.

**თუ დააკვირდებიხართ, მასზე გაცილებით ახალგაზრდა ადამიანები ტელე თუ რადიოგადაცემებში ივანიშვილზე საუბრისას რაღაც მომენტში და მას არა ბატონო ბიძინა-**

რაღაცით აღმატებულია მასზე.

ის, რასაც ბიძინა ივანიშვილი ამკვიდრებს ადამიანური ურთიერთობების ნორმად, ერთგვარი გარღვევაა ამ ამპარტავნულ-ამბიციური და ქედმაღლური სიბრიყვით და ყეყეჩობით გაჯერებულ ყოფაში.

**თავისუფალი ქვეყანა, თავისუფალი სახელმწიფო შეუძლიათ აშენონ მხოლოდ თავისუფალმა ადამიანებმა და არა მონებმა.**

**მონებს ნგრევა ეხერხებათ და არა შენება.**

**ისინი ანგრევენ მაშინაც კი, როცა რაღაცას აშენებენ.**

დანარჩენ ქართველებსაც — ხან ღმერთს, ხან სხვა ვინმეს ხომ არ გადავაბარებთ ხოლმე ყველაფერს და — აბა, შენ იციო, — ვამხნევებთ და ვაქეზებთ შორიდან.

* * *

27 მაისს, დღის 3 საათზე, თავისუფლების მოედანზე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ეტაპი უნდა დაიწყოს, მაგრამ მოხდება თუ არა ეს ასე, ეს მხოლოდ ბიძინა ივანიშვილზე კი არა თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული.

არასოდეს იკითხო, ვის უხმობს ზარი? — ის გიხმობს შენ!

## მონობა ადვილია, თავისუფლებაა ძნელი!

მონობა ადვილია,
თავისუფლებაა ძნელი!
მონობა ადვილია —
გზაც მოზომილი გაქვს
და სივრცეც,
მიხვალ გზას ბოლომდე
და უკან დაბრუნდები,
რადგან იცი,
იქით წასვლა არ შეიძლება,
მონობა ადვილია —
წინასწარ გაგაფრთხილეს
რომელი სიტყვების
წარმოთქმის
უფლება გაქვს
და ისიც უწყი,
მათ იქით რა იგულისხმება.
მონობა ადვილია —
მათრახი — ბრძენი
მასწავლებელი,
უცებ აგიხსნის
ყველაფერს,
რომ ფიქრებმა
არ გაგაბეზრონ.
მონობა ადვილია,
თავისუფლებაა — ძნელი,
როცა შენ თვითონ
უნდა გამოსტაცო
წყვდიადს სინათლე
და იპოვო მიწა,
რომელიც არ
გიღალატებს
და ნათესს ყანად
გამოგიზრდის.
თავისუფლებაა ძნელი,
როცა ამ ურიცხვი
სიტყვიდან
უმთავრესი და უმართლესი
სიტყვა
შენ თვითონ უნდა
ამოარჩიო.
რომ დააპურო
იმ ერთი სიტყვით
მილიონები.
თავისუფლებაა ძნელი —
თითქოს უდაბნოს
ქვიშნარში გზა გაგყავს,
მოიხედავ და გზა არ არის,
ქარს წაუსილავს,
წინ არის გზა და უკან არა
და იმით შინ ვერ
დაბრუნდები.
მონობა ადვილია,
თავისუფლებაა ძნელი!
მონა მონობით
შოულობს ლუკმას,
მონა მონობით
შოულობს სამოსს
და მორჩილებით
შოულობს შვებას,
ქედის მოდრეკით
წყალობას იძენს.
თავისუფლებაა ძნელი,
არწივივით მშიერ-მწყურვალი
ცის ხრიოკებში რომ
ეხუტები
და ამ ცხოვრების
ძვალ-ტყავი ზურგზე,
ამაოდ ეძებ ხორცის
ნაფლეთს
ჩანგრეული ჭაობიდან
წყლის თვალი იმზირება.
ამღვრეული, ავადმყოფი,
სნეული,
შენი სამოსი ქარი არის
და შენი სახლი
ცისქვეშეთი,
უკედლებო, ფარღალალა,
გამოქარული,
თავისუფლებაა ძნელი,
როცა შენ თვითონ
უნდა შექმნა,
შენი სიმღერა
და შენი ჰიმნი.
და შენი ღერბიც თვითონ
უნდა დახატო, მარტომ
და შენი დროშაც თვითონ
უნდა შეკერო, მარტომ.
თავისუფლებაა ძნელი,
როცა თვით უნდა
გადაწყვიტო
ვინ გიყვარდეს,
ვინ უნდა გძულდეს,
მონობა ადვილია.
რადგან მონას არჩევანის
უფლება არა აქვს,
ის უნდა უყვარდეს,
ვისი სიყვარულის
უფლებაც ნებადართულია.
მონობა ადვილია,
რადგან სხვისი მონაა,
თვითონაც უნდა
ჰყავდეს მონა,
რომ თავისი მონობა
გაამართლოს,
მონის მონა
მონის მონის მონა
და ასე შემდეგ,
რა გრძელი ბორკილია.
რა სასტიკი და
ულმობელი.
ყველა მონა
და ყველა ერთმანეთის
მონა
და არავინ თავისუფალი;
მონობა ადვილია,
თავისუფლებაა ძნელი...
მონობა ადვილია...

***vaxtang xarCilava***
***1989 w.***

# rogor arigeben qarTul gvarebs RvTismsaxurebi da vis interesebSia patriarqis diskriminacia?



სანამ დედა პარასკევა კიდევ ერთ (მაპატიოს უფალმა და...) გამოცხადებას ნახავდა, სანამ ირან-რუსეთ-სომხეთის სამომავლო ინტერესებზე დაიწყებდნენ საუბარს და სანამ პოპულისტ-ლეიბორისტი შალვა ნათელაშვილი ბურების ნაცვლად ფერეიდნელების ჩამოსახლების ინიციატივით წარმოჩინდებოდა, მანამდე „საერთო გაზეთის" ფურცლებიდან მოვითხოვდით ჩვენი თვისტომისთვის სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცათ.

დაბრუნდნენ და რა? ჯერ კიდევ ზურაბ ჟვანიას პრემიერობის პერიოდში ჩამოიყვანეს პირველი ნაკადი. ცისარტყელაში გაძრომას (მათი წინაპრები ამბობდნენ, თუ ცისარტყელაში გაძრომას მოახერხებ, მაშინ უთუოდ დაბრუნდები სამშობლოშიო) ულოცავდნენ ერთმანეთს. ჯერ იყო და ჩვენი პრეზიდენტის უჩვეულო, უფრო ზუსტად უსაშველო ღრეობამ გააოგნა, ხოლო შემდეგ ბევრი რამ ნახეს საოცარი. „წლები დავკარგეთ უქმად ყოფნაში. ვთაკილობდით ირანელებთან სამსახურს და მოვედით აგერ აქამდე, ზოგიერთი ჩვენგანი უმუშევარია, ზოგი კაპიკებზე მუშაობს და ნაწილი უფრო ჭკვიანი გამოდგა, რომ გაგვიჭირდა, ირანელებთან დაიწყეს თარჯიმნად მუშაობაო" — ამბობს ერთ-ერთი მათგანი (გვარსახელებს შეგნებულად არ ვაქვეყნებთ)

ცნობისათვის: თურმე, აქ ჩამოსული სპარსებიც გაეშმაკებულან, გაუგიათ აქაური მუშაობა-ანაზღაურების პირობები და კაპიკებზე ამუშავებენ ქართველობას. ასე მაგალითად, ერთ-ერთ ქარხანაში დილის 9 საათიდან ღამის 9 საათამდე მუშახელი 300 ლარად ჰყავთ დაქირავებული. ამათ გამოვექეცით და ისევ როგორღა დავემონოთო — წუხან ფერეიდნელი ქართველები.

ჩამოხიზნულ ქართველობას დედა ეკლესია უწევდა თურმე მფარველობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. მერე კი, მერე....უფალმაც ხომ გამოარჩია ერთ-ერთი ყველაზე ცოდვილი ქალი მარიამ მაგდალინელი... და მაინც, დღემდე ვერ მივმხდარვარ, რატომ შეიკედლეს ჩამოსულებს შორის უფრო სუსტი ნებისყოფის და მეტად მცონარეები? ისე, უთქვამთ კი, ერთ-ერთი განაწყენებული ფერეიდნელისთვის — რა პრინციპია და ის, რომ უფალს სუსტი ნებისყოფის, ცოდვილი უფრო ებრალებაო. მეტად მფარველობს მათ თუნდაც იესოს ცხოვრებიდან ნახავთ ამის მაგალითებსო. თუ ასეა, არავის აქვს საწინააღმდეგო, მაგრამ...ისევ ამ „ძლიერ" და ზოგიერთი დედაოებისგან გარიყულ ბიჭებს უნახავთ, როგორ ისტუმრებდნენ ისინი მართლაც გაჭირვებულ, უპოვარ ავადმყოფებს, არ გვაქვს წამალი, არ გვაქვს თქვენთვის არაფერი, მაშინ როცა დიდი სიამოვნებით შეეწეოდნენ საკუთარ ნათესავ-ნაცნობ-მეგობრებს.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, პატრიარქი კი განურჩევლად სწყალობს ფერეიდნელ ქართველებს და მათ ასეთ გასაოცარ დიფერენციაციას არ ემხრობა. სწორედ პატრიარქის საწინააღმდეგო კამპანიას უდგას სათავეში თურმე ზოგიერთი (ისევ ღმერთმა მაპატიოს და... დედაო) საკუთარი რჩეული ჰყავთ თურმე თეთრ სამღვდელოებაში და მის გაკათოლიკოსობაზე მარტო ფერეიდნელები რას მიქვია, სრულიად საქართველოს დაქსაქსავენ, როგორც ჩანს.

ახლა ზოგიერთ მათგანს დედაოდ წოდებულს ახალი „ნიჭი" გახსნია თურმე, ნიჭი ქართული გვარ-სახელების უპრაგონოდ დარიგებისა. არ დაიბნეთ, უფრო კონკრეტულად გეტყვით: აი, ირანიდან ჩამოდის კაცი, განუზრახავს საქართველოში დაფუძნება, მით უფრო იქ დღე-დღეზე ამერიკასთან ომის გამძვინვარებას მოელიან. ჰოდა, ეს დედაო „ნიჭიერი" გამოუძებნის რომელიმე ქართულ გვარს და... შენ დაუკარ....აქაური ხელისუფლება კი არა, შაჰ აბასი, რომ გააცოცხლო, ვეღარ გაუგებს თავ-ბოლოს, ვინ ქართლ-კახეთიდან აუყრია და ვინ ნაღდი ირანელია. ახლა ჩვენ პოლიტიკოსებს რომ არ უყვართ მომავლის განჭვრეტა და არაპოპულარულად, ლამის ქაჯობადაა მიჩნეული ეროვნული ღირსების დაცვა, ესეც ფაქტია. აი, წლების შემდეგ, რა შედეგს გამოიღებს ზოგიერთი ქრისტიანის ასეთი „ღვაწლი", ესეც საკითხავია.

რამდენიმე წლის წინ ვწერდი, საპატრიარქოს მიწები განუკითხავად მიუტოვებია, რაც წარმოიდგინეთ და სააკაშვილის ხელისუფლებამ გადასცა საჩუქრად, ისიც უყაირათოდ იყო მიგდებული, არ ამუშავებდნენ-მეთქი. ახლა ამ დედაოებმა მიჰყვეს ხელი და სხვებსაც ასწავლიან მცონარობას. უფრო მეტიც, შუღლს და განხეთქილებას თესავენ სამოყვროდ ჩამოსულ თვისტომში. „სიბრალულის ნიშნით" ამორჩეულებს მეტად სწყალობენ. ზოგი მათგანის ბინის ქირასაც კისრულობენ თურმე.

ვინც მოწოდებულია მიწები იქონიოს, ოჯახს მოეკიდოს და საკუთარი შრომით შექმნას მომავალი, ისინი გაურიყავთ სწორედ. არადა, ზუსტად ამ „დაჯგუფებაშია" გამრჯე და ჭეშმარიტი ქართველი. ვინც ოთხი საუკუნის წინ ტრამალის გზას გაუყენა შაჰ-აბასმა. არადა, სწორედ მათ უნდა შექმნან ჭეშმარიტად ქართული ოჯახები. ისინი ხომ საუკუნეები არ აღრეულან ადგილობრივ სპარსებში და საკუთარ მიწა-წყალზე მითუმეტეს ეგების მათი დასახლება. და როცა ერთ-ერთ განაწყენებულ ფერეიდნელს უთქვამს დედაოსთვის უპრაგონოდ რატომ არიგებთ ქართულ გვარებსო, პასუხად ამ უკანასკნელს კინაღამ ანათემასთვის გადაუცია, შენ ვინ ციციკორე ხარო.

# Tu ar dabadebul xar, arc mokvdebi...

მას შემდეგ, რაც კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ყოველი მესამე ბავშვის მონათვლის ინციატივა გამოიჩინა, შობადობამ აშკარად იმატა. თუმცა სააკაშვილი ამ მატებას თავად მიიწერს და ხშირად განუცხადებია კიდეც, ბოლო რამდენიმე წელიწადია შობადობამ იმატა, რადგან უკეთეს პირობებში გაცხოვრებთო. სანამ მიშას „ეშხით" ქართველებს ტყუპების გაჩენასაც დააყვედრიდნენ და მერე უკვე შობადობის მატება-გაორმაგებასაც წამოგვაძახებდეს, შევამოწმოთ, არის კი, რეალურად, ის პირობები, რომ ქართველობამ შვილები, როგორც უწინ გვჩვეოდა, მრავლად გავაჩინოთ და რა საკვირველია, აღვზარდოთ კიდეც. აღზრდაც ხომ ფინანსებთან არის დაკავშირებული. მით უფრო, სწორედ სააკაშვილის პირობებში, როგორც წინასწარმეტყველებენ და ამას ვანგად ყოფნა არც სჭირდება, სულ მალე უფასო სასწავლებელი აღარ იარსებებს.

თუმცა ფაქტი ჯიუტია და ამ ფაქტებს ამჯერად სტატისტიკის დეპარატამენტი გვთავაზობს: 2009 წელს დაბადებულა 63 377, 2010 წელს -62 585, 2011- 58 014. ასეთია ბოლო წლების მონაცემები. აღსანიშნავია,



თუ მშობიარეს ექიმის აყვანა უნდა 300 ლარიც ზევიდან უნდა იქონიოთ.

დავით გაგუას სამშობიაროში ფასები იმაზეა დამოკიდებული, რა მომსახურებას და როგორ პალატას ირჩევს მელოგინე. კერძოდ, თუ ოთხადგილიან პალატას აირჩევს, ფიზიოლოგიური მშობიარობის ფასი 650 ლარია, სპინალური გაუტკივარების შემთხვევაში 150 ლარი ემატება. საკეისრო კვეთა 995 ლარია. ორადგილიან პალატაში ფიზიოლოგიური მშობიარობის ფასი 850 ლარია, საკეისრო კვეთა-1095. ექიმის აყვანა აქაც ფასიანი, თუ მშობიარე დავით გაგუას აირჩევს, მაშინ 280 ლარი ე.წ. ჰონორარის სახით უნდა გადაუხადოს. ხოლო რიგითი ექიმების ჰონორარი 190-235 ლარამდე მერყეობს.

საკ-

მა-

# ratom ver vmravldebiT qarTveloba da rogor gagvilaRdnen miwa-wyalze ucxotomelebi

მას შემდეგ რაც საპატრიარქომ ინიციატივა გამოიჩინა ბოლო წლები შობადობამ იმატა, თუმცა, როგორც სტატისტიკამ გვიჩვენა ბოლო სამ წელში მაინც კლებისკენ წავსულვართ. დგება საშიშროება, ხომ არ ჩავდგებით ე.წ. ბებერი ერების რიცხვში( როცა გარდაცვალება ჭარბობს შობადობას) და როგორც პრეზიდენტს უყვარს ამ მონაცემებით კი ნამდვილად დავიკავებთ ერთ-ერთ პრიორიტეტულ ადგილს ევროპაში.

არცთუ დამაიმედებელ პროგნოზებს გვაწვდიან ექსპერტებიც. ასე, მაგალითად, ალექსანდრე რუსეცკის თქმით, თუ არსებული ტენდენცია არ შეიცვალა, ქართველები საკუთარ ქვეყანაში უმცირესობაში აღმოვჩნდებით. (აი, აქ კი მიშას ღვაწლი აშკარაა, რადგან საქართველოში მოდად იქცა ქართველობის ქსენოფობიაში დადანაშაულება და ამ გზით დისკრიმინაცია, მაშინ როცა აგერ აქამდე ლაღად ვაცხოვრებთ ყველა ერის და რჯულის წარმომადგენელს) ისიც ფაქტია, სააკაშვილის პირობებში მოსახლეობას კი არ მოემატა საარსებო წყარო, არამედ ხალხის ძარცვა-გატყავებით იშოვეს ნაცებმა მილიონები კი არადა, მილიარდები. რიგითი ქართველისთვის კი შვილის ქვეყნად მოვლინება ერთგვარ ფუფუნებას წარმოადგენს უკვე.

"საერთო გაზეთმა" არ დაიზარა და მშობიარობის ფასები გაგირკვიათ:

ღუდუშაურის საავადმყოფოში ფიზიოლოგიური მშობიარობა 575 ლარი ღირს, საკეისრო კვეთა-997 ლარი.

სამშობიარო სახლ „ჰერაში" ფიზიოლოგიური მშობიარობა 850 ლარი ჯდება, საკეისრო კვეთა 1000 ლარია. ოდ მაღალი ფასები აქვს ჩაჩავას კლინიკასაც. ტარიფები კომფორტის მიხედვით იზრდება, ანუ 550 ლარიდან იწყება და 2950 ლარს აღწევს, საკეისრო კვეთა 1150-3550 ლარამდე ჯდება. ექიმის აყვანისთვის 250-500 ლარი გინდათ დამატებით.

ასეთი „მომხიბვლელი" ტარიფებია ჩვენს სამშობიაროებში და სურათი შედარებით ცნობილი კლინკების ფონზე წარმოვადგინეთ. ეს მაშინ, როცა ხალხს 200 და 300 ლარი აქვს საშუალოდ ხელფასის სახით. როგორღა უნდა იყოლიონ მრავალშვილიანი ოჯახები, როცა ერთის გაჩენაც უკვე ერთგვარ ფუფუნებად იქცა და ამისათვის ოჯახები საგანგებოდ ემზადებიან, ანუ აგროვებენ თანხას მშობიარობისთვის, ახალშობილისთვის და ასე გაჭირვებით უმკლავდებიან საარსებო პირობებს.

რუსული რომანსის არ იყოს "ესლი ვი ნე ჟივიოტე, ტო ვამ ი ნე პომირატ" და შობადობის კლებაში იქნებ, ეს ერთგვარი ""პოზიტივი" აღმოაჩინოთ. სანამ ამ დემაგოგ ხელისუფლებას დაუსწრია და ჩვენდა "სასიკეთოდ" ეს მოტივებიც კი, გამოუყენებია. თუ, რა თქმა უნდა, რუსული ესტრადის პოპულარიზაციის მცდელობისთვის ჯარიმას და ციხეს გადავრჩებით. ანკი რაღატომღა დაგვიჭერენ, თვალები გავახილოთ და დავინახოთ, ისედაც ხომ ციხეში ვართ, ხალხო?!

ხოლო თუ ვინმე დღესდღეობით მაინც მრავალშვილიანობისკენ მოგიწოდებთ, გირჩევთ რეალობაში დაბრუნოთ ...

**გვერდი მოამზადა**
**ნათია ერაძე**



# rogor `amxels~ TavisuflebaaRkveTil general-maiors `mtredi, romelsac gaTxoveba unda~

# Tamaz TamazaSvilis saqme strasburgSi igzavneba?

პოლიტპატიმარ თამაზ თამაზაშვილს უკვე მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 3 წლითაა და 6 თვით. ეს ამბავი ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში ერთი „რიგითი", აბსურდული ბრალდებით, პირადი ინტერესითა და ბოღმით მოტივირებული სამარცხვინო დაჭერა იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება: თამაზ თამაზაშვილი საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" ყოფილი ხელმძღვანელის, ბიძინა ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირის, ირაკლი ღარიბაშვილის მეუღლის ნუნუ თამაზაშვილის მამაა.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა: როდესაც მოვალთ ხელისუფლებაში, თამაზ თამაზაშვილი სერიოზულ თანამდებობას დაიკავებს შს სამინისტროს სტრუქტურაში, რადგან მას აქვს საკმაო გამოცდილებაო.

მიუხედავად იმისა, რომ გენერალი თამაზაშვილი დღეს სასჯელს იარაღის უკანონო ტარება-შენახვის ბრალდებით იხდის, იგი, ცხადია, პოლიტიკური პატიმარია.

გასულ კვირას „კურიერ **P.S.**-ში დავით კიკალიშვილმა, რომელსაც ფეისბუქში „კოხტაპრუწას" და „მტრედს, რომელსაც გათხოვება უნდას" ეძახიან, მოჭუტა თვალები, გაწკიპა ტუჩები და ჩამოთვალა თამაზაშვილის „კრიმინალური" ისტორიები.

როგორც ცნობილია, პოლიციის სამმართველოში დაკავებულ თამაზაშვილს განუცხადეს, რომ მის ავტომანქანაში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩინეს, რომელიც ექსპერტული დათვალიერების შემდეგ დაჟანგული და ნახევრად მწყობრიდან გამოსული აღმოჩნდა. ბინის ჩხრეკისას კი ბავშვის კარადაში ხელყუმბარა იპოვეს.

დაკავებიდან ერთ თვეში დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ლენინოვკაში თამაზ თამაზაშვილის საცხოვრებელ სახლს, როგორც „მაცი ხვიტიაშია", ცეცხლი გაუჩნდა, ხოლო სახანძრო-დახმარების მანქანა 1 საათის შემდეგ მივიდა შემთხვევის ადგილზე.

დავით კიკალიშვილი თავის „**P.S.**"-ში კი თამაზ თამაზაშვილის კრიმინალებთან მეგობრობაში, ნარკორეალიზატორებთან თანამშრომლობაში, ადამიანების გატაცებაში „ამხელს". იმ თამაზ თამაზაშვილს, რომელიც 30 წელიწადი შს სტრუქტურებში მუშაობდა, იყო შს კახეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი, არის გენერალ-მაიორი.

ბოლოს და ბოლოს დავით კიკალიშვილს რომ თავი დავანებოთ, რადგან ის ამ „ბრალდებაში" უმნიშვნელო პაიკის და მხოლოდ ბოსების სურვილის გამხ-



მოვანებლის როლის შემსრულებელია, თვით დამკვეთები, ვინც ამ საცოდავ, ფულზე და ფეშენ-გლამურულ ცხოვრებაზე დახარბებულ კიკალიშვილს აბსურდულ სისულელეებს ალაპარაკებდნენ, არ ფიქრობდნენ იმაზე, რომ კაცი 30 წელიწადი შს სტრუქტურაში მუშაობდა და ასეთი მძიმე დანაშაულები თუ ჰქონდა ჩადენილი, რაღას ელოდებოდნენ იმ დღეს, როცა ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლის სურვილს გამოამჟღავნებდა?

ამიტომაც ჩნდება ეჭვები და ეს საქმეც თეთრი ძაფით ნაკერს იმიტომაც ჰგავს, რომ თამაზ თამაზაშვილის სიძე ირაკლი ღარიბაშვილია.

საინტერესოა, რომ გენერალი თამაზ თამაზაშვილი, რომელიც არის აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომების მონაწილე, დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის ორდენით, ღირსების ორდენით, მხედრელი მამაცობის მედლით, მინიჭებული აქვს შსს დამსახურებული მუშაკის წოდება, 45-ჯერ არის დაჯილდოებული შსს-ს მადლობებითა და სიგელებით. ასეთი დამსახურებების მქონე ადამიანს შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე უსჯიან თავისუფლების აღკვეთას და კატეგორიული წინააღმდეგნი არიან საპროცესო გარიგებისა მაშინ, როცა მრავალი მართლაც კრიმინალი საპროცესო შეთანხმებით არის გათავისუფლებული ნაცბანდასთან ფარული თუ აშკარა ალიანსების გამო, მაგრამ მოვეშვათ ამას და დავსვათ კითხვა: კიკალიშვილის მიერ კრიმინალად, ნარკობარონად, ადამიანების გამტაცებლად გამოცხადებულ თამაზაშვილს რატომ აჯილდოებდა ხელისუფლება, თუ ასეთი საშიში დამნაშავე იყო და საზოგადოებისგან მისი იზოლირება აუცილებლობას წარმოადგენდა?!

როგორც ცნობილია, თამაზ თამაზაშვილი არის ის ადამიანი, ვინც გონივრულად დაგეგმილი ათეულობით სპეცოპერაციის საშუალებით კახეთის რეგიონი გაწმინდა უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისგან, „ნაციონალების" ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც დღეს თავს პატიოსნად წარმოაჩენს, პანკისის ხეობაში სწორედ ნარკორეალიზატორობის გამო იყო მძევლად აყვანილი, პურსა და წყალს რომ მიირთმევდა და საქონლის გამცილებლის მოვალეობა რომ ეკისრა, სწორედ თამაზ თამაზაშვილმა გამოიხსნა მძევლობიდან, სხვათა შორის, როგორც ამბობენ, მიხეილ სააკაშვილის ნათესავებსაც ჰქონიათ პანკისში პრობლემები და აქაც თამაზ თამაზაშვილი დახმარებია მიხეილ სააკაშვილს...

მეტისმეტად ბევრი ხომ არ იცის ამათ შესახებ თამაზ თამაზაშვილმა და, აქედან გამომდინარე, ხომ არ ემუქრება მას რაიმე სახის საფრთხე კალმახელიძის სატუსაღოში? ეს ხომ ამ ხელისუფლებისთვის ჩვეულებრივი ამბავია?!



რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში ირაკლი ღარიბაშვილმა მიმართვა გაავრცელა, რომლის ფინალურ ნაწილში იგი მიმართავს „P.S.-ის წამყვანს დავით კიკალიშვილს: „ბატონო დავით, არათუ სამართლებრივად, არამედ, უბრალოდ, მორალური უფლებაც კი არ გაქვთ, რომ მსგავსი უსაფუძვლო, ყოველგვარ ფაქტებს მოკლებული უმძიმესი ბრალდებები წაუყენოთ ასეთ უდანაშაულო პატრიოტ ადამიანს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის დღეს პოლიტპატიმარია! თქვენ ადამიანს ცილს სწამებთ საშინელ დანაშაულებებში... თქვენ მიზანმიმართულად თამაზაშვილის სახელის, პატივის და ღირსების შემლახველი დეზინფორმაციული გადაცემა გაუშვით და თამაზაშვილის ოჯახს მიაყენეთ უდიდესი მორალური ზიანი, რისთვისაც მე, ირაკლი ღარიბაშვილი, თქვენ აუცილებლად გიჩივლებთ სასამართლოში!"

ირაკლი ღარიბაშვილმა ამას წინათ განაცხადა, რომ თამაზ თამაზაშვილის საქმე აუცილებლად გაიგზავნება სტრასბურგში და რადგან საქართველოში ვერ პოულობენ სამართალს, ევროსასამართლოს განაჩენს დაელოდებიან.

არსებობს ასეთი ქართული მონათქვამი: „ისეთმა ფურმა ჩამწიხლოს, ჩემზე მეტს რომ იწველისო".

სამწუხაროა, ამ ბოლო დროს ჟურნალისტების ერთი ნაწილი ბრალმდებლად იქცა და არა სიმართლის „გამომძიებლად", ხოლო თავად ამ ბრალმდებლებს ქვეყნის საკეთილდღეოდ, რომ იტყვიან, ერთი აგურიც არა აქვთ დადებული და უსირცხვილოდ კი ესვრიან ლაფსა და ტალახს ღვაწლმოსილ ადამიანს... დაფიქრდით, რამდენი ასეთი შემთხვევა გაგახსენდებათ!...

ქვეყანაში, რომელიც მიხეილ ამაოხრებელმა თავის წარმოსახვაში შექმნა, არავინაა დაცული, არც თვით მერაბიშვილი და ადეიშვილი. ხელშეუხებელია მხოლოდ სააკაშვილი, რომელიც, როცა უნდა, მაშინ დააჭერს თითს ღილაკს და ისევე გააქრობს ნებისმიერ ადამიანს, როგორც ეს არაერთხელ გაუკეთებია. ხოლო ჰქვია თუ არა ასეთ წყობას დემოკრატიული, თქვენ თვითონ განსაჯეთ...

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ra sargebloba moaqvs nacmoZraobas saqarTvelosTvis?

ძველი ქართული ანდაზა ამბობს: ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო”. ყველაფერი ქართულის, იგივე ანდაზის მართებულობაც “ნაცებზე” რომ არ ვრცელდება, ამაში არაერთხელ დავრწმუნდით. მარტო “სოფლის მეურნეობის აღმშენებელ” ბაკურ კვეზერელს თუ დავუჯერებთ, შესაძლოა, “ორი ხარის ერთად დაბმის” შემთხვევაში, “დედალი და მამალი ხარი”, ან “მეწველის ძროხის” მაგალითზე ახლა უკვე “მეწველი ხარიც” კი მივიღოთ. “პოლიტიკური ფერისა” და სექსუალური ორიენტაციის შეცვლაც დღევანდელ საქართველოში ისეთივე ჩვეულ ამბად იქცა, როგორც ყოველი მორიგი სახელისუფლებო ცვლილებების წინ პოლიტიკოსთაგან პოზიციების ცვლა და ახალ ბანაკში გადაბარგება. თუმცა “ნაციონალთა სახეებს”, რომელთაც “ნაციონალური ხეირის ნახვის” შედეგად “სისულელეების განცხადების იძულებითი რეჟიმი” აქვთ გამწესებული, იციან რა, სისულელეს ამბობენ, სხვა გზა აღარ დარჩენიათ, გარდა ჯერ კიდევ პრეზიდენტის რანგში მყოფი სააკაშვილის ყველა მორიგ სისულელეზე კვერის დაკვრისა. მარტო “ნაციონალ სახეებზე” რომ იყოს საქმე, კიდევ არა უშავდა, მაგრამ იგივე “შავ დღეში” ის “ვითომ ოპოზიციური პარტიებიც” იმყოფებიან, რომლებმაც პარლამენტში მოხვედრასა და “კვალიფიციურ სუბიექტობას” ანაცვალეს “ოპოზიციურობის ნიშა”. აგერ “ნაციონალების” დანამატი “მოქრისტიანო დემოკრატების” ინიციატივით არაერთხელ “გაუპატიურებულ” სახელმწიფოს უმაღლეს კანონში — კონსტიტუციაში, მერამდენედ აპირებენ ცვლილებების შეტანას. ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ გიორგი თარგამაძემ სააკაშვილს მორიგ უჭკუობაზე გამოტანილ გადაწყვეტილების გამო, (ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებით), ნამუსი მოწმინდოს და ისევ პარლამენტში მოახვედრონ. იმის ნაცვლად, რომ საქართველოში დაბადებული ყველა მოქალაქის კონსტიტუციური მოთხოვნის შესრულება მოითხოვოს, გიორგი თარგამაძე კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით გამოვიდა. მართალია, “ნაცების მეორე დანამატი”- “ედპ” ამის წინააღმდეგია. სამაგიეროდ პოლიტიკური აქტივობის დასაფიქსირებლად, რეგიონში ჩასული “ედპ-ს” თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა იმ ქალბატონებისთვის, ვინც არ მუშაობს და შვილებს ზრდის “დიასახლის სტატუსის” შემოღების ინიციატივით გამოვიდა. თითქოს მანამდე, დედას და ქალს საქართველოში, შვილების გამზრდელსა და მეუღლეს, რომელის მხრებზეც ქართული ოჯახის მთელი სიმძიმე გადადიოდა- მანამდე სხვა სახელწოდება ჰქონოდეს. “ნაციონალების კომპეტენტური სახის”- წიკლაურის განცხადებით, ხელისუფლება, საქართველოს კავკასიაში მისი წამყვანი ისტორიული ფუნქციის დაბრუნებას უპირებს. “სისულელეების განცხადების იძულებით რეჟიმში გადასულმა” წიკლაურმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ კავკასიაში საქართველოს წამყვანი ფუნქცია, სწორედ “ამერიკული სომხური ლობის” დავალებით მოსულმა “ნაციონალებმა” დააკარგვინეს. კავკასიაში რუსეთის გავლენის შესრულების სანაცვლოდ, ამერიკული გავლენის გაძლიერება მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებაში გვარგადაკეთებული სომხური წარმომავლობის ხელისუფლების მოყვანას შეეძლო. ამით კავკასიაში წამყვან ფუნქციას არმენიის მხარე აიღებდა. აქედან კი “დიდი არმენიის” სანუკვარი ოცნების განხორციელებას უკვე ვეღარაფერი უნდა დადგომოდა წინ. გამომდინარე აქედან, თუ ვინმემ საქართველოს კავკასიაში წამყვანი ფუნქცია დაუკარგა — ეს მხოლოდ და მხოლოდ ე.წ.“ნაციოლნალები” არიან. წიკლაურის ბჟუტური კი ისევ და ისევ ისტორიაში გაურკვეველ მასაზეა გათვლილი.



ივანიშვილის პოტენციალის ბიზნესმენი გყავდეს და მხოლოდ სკამის დაკარგვის შიშით ხალხს ტრამპის ბიზნესმენობით “უჭამდე ტვინს” — ეს მხოლოდ „ნაცებს” შეუძლიათ. “ვეიქისა“ და „სევდა ფართის” (ვაკე და პანაშვიდი) შემდეგ, შესაძლოა გაჩნდეს ტერმინები: „ტრაპმლიორი” (ტრამლიორიოს ნაცვლად), „ტრამპკვილიზატორი” (ტრანკვილიზატორის ნაცლად). მით უფრო ეს საშუალება ჭკუიდან გადამდგარი სააკაშვილის გონებას “მალამოსავით ამშვიდებს” და რეალური სამყაროდან ვირტუალში ყოფნის საშუალებას აძლევს. “ტრამპლინის” ტერმინი, როგორც თხილამურებით სიგრძეზე ხტომის საშუალება, “აყვავებული ტურიზმის ქვეყანაში”, ალბათ, დარჩება. მართალია, მიშას “კარიერულ ტრამპლინს” უკვე ვეღარ გამოადგება. ვეღაც უცხოპლანეტელი პერსონაჟებით გავსებული “ქეთო დ კოტეს” რუსთაველის სცენაზე დადგმა უშველის. სააკაშვილი საქართველოსთვის იმ “უცხოპლანეტელად” თავად იქცა, რომელიც უფრო მეტს დაფრინავს, ვიდრე დადის და პრეზიდენტის ფუნქციას თავის კაბინეტში ასრულებს. არსებულ საარჩევნო კოდექსშიც გათვალიწინებული არ არის იმ პირთა არჩევნებში მონაწილეობის საკითხი, რომლებიც საქართველოში ყოფნისა და სამსახურებრივი მოვალეობისთვის განკუთვნილ ძირითად დროს ჰაერში ატარებენ და არა კაბინეტში. თორემ სააკაშვილს დიდი ხანია მოქალაქეობაც და არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც ჩამორთმეული უნდა ჰქონდეს. პრეზიდენტისთვის არცაფსიქიატრიული შემოწმებაა განსაზღვრული. კანონი მხოლოდ ნარკოლოგიურ შემოწმებას და ისიც საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისთვის ითვალისწინებს. პრეზიდენტობის კანდიდატს და მოქმედ პრეზიდენტს კი ფსიქიატრიულ და ნარკოლოგიურ შემოწმებას, აბა, ვინ გაუბედავს?! რადგან შემოწმების გარეშეც ორივე დიაგნოზი სახეზეა და არც სათანადო უწყების კომისიის დასკვნას საჭიროებს. მართალია დიაგნოზის რომ არ გამწვავდეს და “ბიჭი დროზე ადრე არ გაგიჟდეს”, ქუთაისში “ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის” გახსნაზე წასაყვანად ყვითელი ავტობუსი აღარ დატოვეს თბილისში — იმდენი ადამიანი ჩაიყვანეს დარბაზის შესავსებად. თუმცა მიშას დაალებით, სწრაფი ტემპითა და “ტრამპა-ცუმპით” გარემონტებულ თეატრში გამართულ სპექტაკლზე ოღონდ მიშას წამოსვლის შემდეგ, ისევე როგორც, მის გახსნილ სხვა ობიექტებზე, სახურავი კი შერჩა, მაგრამ “ნიფნიფის სახლივით” წვიმა მაინც ჩავიდა. მიშამ კი “ინდუსტრიის, ტურიზმისა და ეკონომიკის ცენტრად” გამოცხადებულ ქუთაიში” და შემდეგ ბათუმში ისევ რაღაც ახალ ეკონომიკური ზონის იდეა დააბრეხვა. (“იდეების დეგენერატორია” და რა ჰნას?) ახლა მთელი “მმართველი”, უფრო სწორედ აშშ-დან “მართული გუნდი” იმის თავის მტრევაშია, ამ “რაღაც ზონას”, რომელზეც პირველად გაიგეს, გამართლება და ახსნა მოუნახონ და სააკაშვილის მორიგი იდეა “გააპრავონ”. ვინაიდან “უთავო მხედარის” უთავბოლო იდეებს თუ გამართლება არ მოუნახეს, თავად დარჩებიან ან ფეხმომტვრეულნი, ან “უთავოდ”. მიშასაც თავი, იმ გამოთქმის არ იყოს, ხომ მხოლოდ იმისთვის ადგას, რომ მისგან გარემონტებული შენობების მსგავსად, წვიმა არ ჩაუვიდეს, თორემ თავადაც და “ნაციონალებმაც” დიდი ხანია უკვე “თავიც დაკარგეს” და ის მხარდაჭერაც, რითიც ხალხის მოტყუებით მოვიდნენ. ამიტომ “მათ პოლიტიკასა და ერთიან გუნდშიც” დღეს ისევე “კოკისპირულად წვიმს”, როგორც ქუთაისის თეატრში წვიმდა. ალბათ “ენდიაის” გამოცდილებითა და განათლების სიტემაში შემოღებული უნარ-ჩვევების მიხედვით, “ევროატლანტიკურად დაწუნებული” გერმანული განათლების სიტემის მოდელისგან განსხვავებით, მიშა “პროცენტებსაც ამერიკულად” ანგარიშობს. სკოლაშიც რომ არაფრად ვარგოდა, იქედანაც გამოჩნდა, როგორც დიდუბეში “ეროვნული გამოცდების საგამოცდო ტესტებივით” გამოიყვანა პროცენტები— 90 %- პოლიციას, 90- ეკლესიას, 90%-ი კი შეირაღებას ჰქონია მხარადჭერა?! რაც, საერთო ჯამში, ჩამოთვლილი ინსტიტუციების 90+ 90+ 90 = 270 %-ს ნიშნავს. ასეთი არითმეტიკის შემდეგ რა გასაკვირია, ყოველ არჩევნებზე ნაციონალების ამხელა პროცენტით გამარჯვება? არჩევნების შედგების დათვლასაც ხომ პროცენტების გამოყვანა სჭირდება? არც ამათ და არც “ენდიაიმ” კი, სჩანს, არ იციან, ეს როგორ კეთდება! “ნაციონალური მათემატიკით” 2+2= 5— მიშას საარჩევნო ნომერს, „მიშა მაგარია” და საქართველო “აყვავებული ქვეყანაა”. ჩვენ კი ამ ყველაფრის უცოდინარ, უეროვნებო და უჯიშო არსებებთან დიდი ბრძოლა გველის. ყველამ პორცენტების გამოყვანის ძველ — “ტრადიციულ ქართულ მეთოდს” უნდა მივმართოთ — “ერთი დიდი მტერი”, ნაციონალური მოძრაობა” თავისი “ვითომ ოპოზიციით” მარტივ მამრავლებად კი არ უნდა დაიშალოს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა განულდეს და დიდი მინუსი დაეწეროს! “5-იანის” ნაცვლად კი მათი საარჩევნო ნომერი “666”-ით უნდა განისაზღვროს და საარჩევნო პოლიტიკური სიიდანაც ამოშლილი იქნას. რადგან არჩევანი ერთი გვრჩება — ან ულმერთობა, გარყვნილება და გადაგვარება, ან ქრისტესმიერი გზით სიარული და საქართველოსა და ქართველების გადარჩენა. მიშასაც უკვე ისე ეშინია ყველას და ყველაფრის, რომ მერაბიშვილი განცხადებამ პარლამენტში: “პოლიციას ნაციონალურ მოძრაობაზე მაღალი რეიტინგი აქვსო”, ვანოსთვის ორდენით დაჯილდოებისკენაც უბიძგა.მემანდ, “თავში ჩემი ჩამოგდება არ გაივლოსო”. “ბათუმში გამართულ პოლიცის აღლუმზე პოლიციელმა გონება დაკარგაო”, - წერდნენ “ფეისბუქზე”. “ჭკუა-გონება” პოლიციამ მაშინ დაკარგა, უიარაღო მშვიდობიან მომიტინგეებს ჯერ აკძალული აკუსტიკური იარაღით, მერე რეზინის ტყვიებით და გაზით რომ “გაუმასპინძლდა”. 26 მაისს კი საერთოდ დახოცა უიარაღო ადამიანები. გონებადაკარგული პოლიციელიც, რომელიც, ეტყობა, უვახშმოდ იყო, მასზე ვანო აუცილებლად იზრუნებს. მიშასგან განსხვავებით, რომელსაც საკუთარი სტომაქისა და დროსტარების მეტი არავინ ახსოვს, მერაბიშვილი, როგორც ამბობენ თავისი სამსახურის თანამშრომლებს პირადად კითხულობს და დაბადების დღესაც კი ულოცავს ხოლმე. ამაში უდეში დაბადებული “მერაბიშვილის ჭკუა” თბილისში დაბადებული სააკაშვილისას— ნამდვილად სჯობნის. უდედან, ბიძაშვილთან ყოვლად უხამსი ფაქტის გამო, სოფლის მიერ მერაბიშვილის გამოდგების ისტორია ბევრს მიავიწყდა.

როგორც გაირკვა, ყველაფერი, რასაც “ნაციონალები” თავის გაკეთებულად ასაღებდნენ- ბიძინა ივანიშვილის გაკეთებული ყოფილა! მაშინ, „რა სარგებლობა მოაქვს ნაციონალურ მოძრაობას” საქართველოსთვის? რა სარგებლობა მოაქვს და ფილმ „იმერული ესკიზებისა“ არ იყოს, „ჩინჩლავს“.

**ბაია ამაშუკელი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# qarTuli opoziciis perspeqtiva

საქართველოს პოლიტიკური სპექტრი 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. პოლიტიკურმა გიგანტებმა – ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების მმართველმა პარტიამ „საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერ ასლან აბაშიძის „საქართველოს დემოკრატიული აღორძინების პარტიამ“ – არსებობა შეწყვიტეს.

2004-2011 წლებში მმართველ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ არ გააჩნდა რეალური ალტერნატივა, რომელიც ხელისუფლებას ჩაანაცვლებდა. პრეზიდენტ სააკაშვილს მხოლოდ 2008 წელს გაუჩნდა ალტერნატივა გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერის – ლევან გაჩეჩილაძის სახით, მაგრამ ეს შესაძლებლობა ბოლომდე ვერ გამოიყენეს – სააკაშვილმა საპრეზიდენტო რბოლა პირველსავე ტურში დაასრულა.

პოლიტიკურ არენაზე მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ რადიკალურად შეცვალა ძალთა განლაგება. მან პროდასავლურად განწყობილ პოლიტიკურ ძალებთან – რესპუბლიკურ პარტიასა და თავისუფალ დემოკრატთა კავშირთან ერთად შექმნა კოალიცია.

ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების რესპუბლიკური პარტია ინტელექტუალებითა და საბჭოთა დისიდენტებით არის დაკომპლექტებული. ბიძინა ივანიშვილის მეორე მოკავშირეა თავისუფალი დემოკრატების პარტიის ლიდერი ირაკლი ალასანია – გაეროში საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი. ეს პარტიაც ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების მქადაგებელია.

მილიარდერის კოალიციაში გაერთიანებულია აგრეთვე ეროვნული ფორუმი, რომელსაც სათავეში უდგას კახა შარტავა – აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, აფხაზი და მოხალისე ჩრდილოეთკავკასიელების ხელით 1993 წლის სექტემბერში სოხუმში მოკლული ჟიული შარტავას ვაჟი. ეს პოლიტიკური ძალა კონსერვატიული მიმართულებისაა.

ბიძინა ივანიშვილმა თვითონვე ჩამოაყალიბა საკუთარი პოლიტიკური ძალა – „ქართული ოცნება“ და ჩამოთვლილ ორგანიზაციებთან კოალიცია შექმნა.

### სხვა პოლიტიკური ძალები

პარლამენტში წარმოდგენილი არიან ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა და ლეიბორისტული პარტია. პირველს მხარს აქტიურად საზოგადოების კლერიკალური ფენა უჭერს. რაც შეეხება ლეიბორისტებს, მათ პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადეს და მის მუშაობაში არ მონაწილეობენ.

არასაპარლამენტო ოპოზიცია არაერთგვაროვანია. პარლამენტის ექს-სპიკერის – ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური პარტიის რეიტინგი მნიშვნელოვნად დაეცა და საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანს არაფერს აკეთებს.

### ექსპერტები ივანიშვილის შესახებ

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს მიაჩნია, რომ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს გამარჯვების ძალიან დიდი შანსი აქვს.

„ადრე ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, რომლის შედეგები არ გამოგვიქვეყნებია. შევადგინეთ პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატთა სია, რომელშიც ბადრი პატარკაციშვილი და ბიძინა ივანიშვილი შევიყვანეთ. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ ივანიშვილს ჰქონდა“, – ამტკიცებს ექსპერტი.



ქართული ენის სახელმწიფო პალატის ყოფილი თავმჯდომარე ლევან ღვინჯილია ამბობს: „ივანიშვილი ან ერის ლიდერი უნდა გახდეს, ან მას „შავი მისია“ აკისრია – გაანადგუროს ქართველი ხალხის უკანასკნელი იმედი. სხვა დანარჩენს დრო გვიჩვენებს“.

სხვა ქართველი ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი კი ამბობს, რომ ივანიშვილს დიდი ამბიციაც გააჩნია და საამისო საფუძველიც – ეს ყველაფერი მის პოტენციალს შეესაბამება. მისი აზრით, აქამდე ოპოზიციური ძალების უმეტესობა მიზერულ შედეგებს სჯერდებოდა.

### ურთიერთსაყვედურები

ერთმანეთს დაპირისპირებულია ორი პოლიტიკური ბანაკი – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნება“. სამთავრობო ტელევიზიები და ბეჭდური მედია დღემდე ივანიშვილის კაპიტალის წარმომავლობას იკვლევენ. სააკაშვილი ამტკიცებს: ივანიშვილის გამოჩენა კარგია, რადგან ჩვენ ფორმაში გვამყოფებსო. ახლახან კი, მანვე, შემოდგომაზე დაგეგმილ არჩევნებს „გენერალური ბრძოლა“ უწოდა. ამ კონტექსტში უნდა გავიხსენოთ პუტინის ამასწინანდელი განცხადება – თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობას საქართველოში ჩატარებული არჩევნები განსაზღვრავსო.

ივანიშვილის ბანაკის წარმომადგენლები ხელისუფლებას ადანაშაულებენ ავტორიტარიზმსა და ტერიტორიების დაკარგვაში და ამის მთავარ მიზეზად ნატოში შეუსვლელობას ასახელებენ.

ივანიშვილი ოფიციალურად გმობს საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტის დაკარგვას: – სააკაშვილის დაუფიქრებელ საქციელს რუსეთის მხრიდან კიდევ უფრო დაუფიქრებელი ნაბიჯები მოჰყვა. მისი აზრით, ახლა საქართველო ბრეჟნევისდროინდელ უძრაობის ეპოქას, ხოლო სააკაშვილი ბრეჟნევს გვახსენებს.

როგორც გაზაფხულის შემოსვლას ვერ შეაჩერებს პრეზიდენტი, ასევე ვერ შეაჩერებს იგი ხალხის სწრაფვას თავისუფლებისკენ. რაც უნდა მოხდეს, მოხდება თავის დროზე და კანონიერად – ასე მიაჩნია ივანიშვილს.

თავის მხრივ, მემარჯვენე ცენტრისტები და ლეიბორისტები აქტიურად აკრიტიკებენ ხელისუფლებასაც და „ქართულ ოცნებასაც“ და მათ საქართველოში რუსული და ამერიკული ინტერესების გატარებას აბრალებენ.

საპარლამენტო არჩევნების გამო საქართველოს „ცხელი შემოდგომა“ ელოდება. არჩევნებამდე დარჩენილ დროში კი „კომპრომატების“ სერიოზული ომია გაჩაღებული.

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში რეალურად გამოჩნდა ერთპარტიული საპარლამენტო უმრავლესობის კოალიციად ტრანსფორმაციის შესაძლებლობა. ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში, პოლიტიკური სპექტრის დაპირისპირებული ძალების ყველაზე „დიდი კოალიციის“ ჩამოყალიბების ანალოგი არსებობს.

# rogor arTmevs saxelmwifo saqarTvelos moqalaqeebs qonebas

საქართველოში ობიექტების უმრავლესობა საკუთრების უფლებების დარღვევით შენდება, ვკითხულობთ **The New York Times**-ში გამოქვეყნებულ წერილში. მისი ავტორი იყენებს **Transparency International**-ისა და სამი არაკომერციული ორგანიზაციის ახლახან გამოქვეყნებულ მოხსენებას. „ბოლო 5 წლის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით (განსაკუთრებით კი იმ ადგილებში, სადაც მთავრობა ახალი ობიექტების მშენებლობით არის დაინტერესებული) მიწის მეპატრონეები მოულოდნელად აღმოაჩენდნენ ხოლმე, რომ მათი საკუთრება სახელმწიფოს ხელში გადადის, არცთუ იშვიათად – უსიამოვნო გარემოებებში“, – წერს გამოცემა.




უკანონო მოქმედებები სრულიადაც არ არის აუცილებლობით გამოწვეული: ხელისუფლებას შეეძლო გამოეყენებინა არსებული კანონები, რომლებიც კერძო საკუთრების იძულებით გასხვისების უფლებებს არეგულირებს. ასე რომ მომხდარიყო, საქართველოს განვითარების ტემპი შენელდებოდა. „თუმცა ეს როდი ნიშნავს იმავე ფასეულობების (დემოკრატია, კაპიტალიზმი და კორუფციასთან ბრძოლა) დაცვას, რომლებსაც საქართველო თავისი რეპუტაციის ღერძად მიიჩნევს“, – წერს ავტორი.

მოხსენების მიხედვით, დაზარალდა ასობით მიწის მეპატრონე. იყენებდნენ სხვადასხვა მეთოდს: მაგალითად, სახელმწიფოს ელექტრონულ ბაზაში, სახელმწიფო საკუთრებად შეჰქონდათ მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც, ასე ვთქვათ, „ქაღალდის დოკუმენტებით“ ფიზიკურ პირებს ეკუთვნის. როცა ქონებადაკარგული და დაზარალებული მოქალაქეები სასამართლოს მიმართავდნენ, გადაწყვეტილებას თითქმის ყოველთვის სახელმწიფოს სასარგებლოდ იღებდნენ.

ხშირად ხდება, რომ მიწის მეპატრონეები ნაკვეთებს ჩუქნიან სახელმწიფოს ან ფორმალურად „მიაგდებენ“ ხოლმე. „უმეტესწილად, ეს ყველაფერი სახელმწიფოს წარმომადგენელთა ძალადობითა და მუქარის სახით ხდება“.

**Transparency International**-ის იურისტები განმარტავენ შექმნილ სტანდარტულ ვითარებას: მიწის მეპატრონესთან მიდის საგადასახადოს ინსპექტორი და გადაუხდელ გადასახადებს აღნუსხავს. როცა მიწის მფლობელი მათ გადახდას ვერ ახერხებს, ქონებას გირაოში უდებენ. შემდეგ სცენაზე ჩნდება პროკურატურის თანამშრომელი და მოსახლეს განუმარტავს, რა ჯოჯოხეთი ელოდება, თუკი მიწაზე უარს არ იტყვის. ეს ხალხი ისეა დაშინებული, რომ ჟურნალისტებსაც კი არ მიმართავენ დასახმარებლად.

**The New York Times**

# Tanamgzavruli antenebi _ protestis simbolo saqarTveloSi

საქართველოს სამხრეთ რეგიონში – ქვემო ქართლში კომპანია **Global TV**-ის ანტენების დამონტაჟება ხელისუფლების საწინააღმდეგო საპროტესტო განწყობის სიმბოლოდ იქცა, იტყობინება **ÂÇÃËßÄ**-ის კორესპონდენტი. ამის შესახებ სხვა მედიასაშუალებებიც ავრცელებენ ცნობებს.

ეს მედიაკომპანია ოპოზიციონერი მილიარდერის – ბიძინა ივანიშვილის ძმას ეკუთვნის და ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მოსახლეობას შეღავათიან ტარიფებს სთავაზობს.

მას შემდეგ, რაც მოსახლეობისთვის ანტენების უფასოდ დადგმა დაიწყეს, პოლიცია გააქტიურდა და იმ პირთა პირადი მონაცემების დაზუსტება დაიწყო, ვინც საჩუქარი მიიღო. ისინი მოსახლეობისგან „თეფშების“ დემონტაჟს მოითხოვენ.

მიუხედავად ამისა, მათ, ვინც ანტენები მიიღო, პროტესტის ნიშნად, თეფშები კიდევ უფრო გამოსაჩენ ადგილზე დაამონტაჟეს.

შეგახსენებთ, რომ არცთუ დიდი ხნის წინ, სამთავრობო ტელეკომპანიებმა – „რუსთავი 2“-მა და „იმედმა“ **Global TV**-ის თავისი გადაცემების ტრანსლირება აუკრძალეს. ახლა სწორედ ამ კომპანიის მეშვეობით მაუწყებლობს ბიძინა ივანიშვილის „მე-9 არხი“, აგრეთვე – ზოგიერთი რუსული ტელეარხი.

**vz.ru**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

# facebook

# xalxis azriT

კრიზისების მართვის ცენტრის არარსებობა, საგანგებო სიტუაციათა მართვის სამთავრობო საბჭოს ფორმალური არსებობა, ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის კატასტროფების პრევენციის სტრატეგიის არქონა, მომავალშიც დაგვაყენებს ასეთი განსაცდელების წინაშე

მისახურია ყველა ტელევიზია -თბილისი წყალს მიჰქონდა და მათ ტკბილად ეძინათ.... მოსახსენელია ყველა სინოპტიკოსი, ასეთი რამ გველოდა და არც გაგვაფრთხილეს... და ბოლოს, უგულავას თამადობით და სამადაშვილით გაგრძელებული დასახურ-მისახურ-დასალუქ-დასათხოვ-გასაუქმებელია ეს რაღაც ფულის ტომარა - მერია და საკრებულო..

ერთი თავსხმა წვიმის პირობაზე ასეთი დიდი მსხვერპლია და იმის მაგივრად, ახლა მაინც ეყოთ კაცობა და თვითკრიტიკულები იყვნენ,ერთი-ორ მინისტრს დაუცაცხანოს ან ჩაიცვას ბოტები და სპეცფორმა და ხალხს ფიზიკურად დაეხმაროს, ესა ბარაკებში რომ ჩასახლდით, იმისი ბრალიაო, აი, სოფლიდან რომ არ ჩამოსულიყავით, ქალაქელობა რომ არ მოგენდომებინათ, ახლა მშვენივრად იქნებოდითო! ღმერთო, ძალა და თმენის ნიჭი მომეცი, რომ ამ ყველაფერს გავუძლო!

ცოტა ხნის შემდეგ გამოაცხადებენ.. ესა და ეს პატიმარი გარდაიცვალა ტუპერკულიოზით, გულის შეტევით, თავი ჩამოიხრჩო.. და ათას რამეს მოიგონებენ.. დარწმუნებული ვარ, პატიმრებს არ დაადგებოდათ კაი ამბავი.. მითუმეტეს, რომლებიც მიწისქვეშა საკნებში ''კრიტში''იმყოფებიან.

იქნებ ალიევი თავისი ქვეყნის უფრო დიდი პატრიოტია და მიწების შემოერთებასა და საზღვრების გაფართოებაზე უფრო მეტად ფიქრობს, მით უფრო როდესაც საქართველოს ისტორიაში ავბედითი ხანაა დაწყებული, ტერიტორიებს განუწყვეტლივ ვკარგავთ ბედოვლათი მთავრობის ხელში. ალიევი მიშას ძმობას მხოლოდ ''ტახტის'' შენარჩუნებაში გაუწევს, რომ კავკასიაში პრეცედენტი არ მოხდეს პრეზიდენტის ჩამოგდებისა და ამით მის ტახტსაც საფრთხე არ დაემუქროს. სხვამხრივ ის თავისი ქვეყნის პატრიოტია და სულაც არა ჰგავს ჩვენს დაშნაკურ მთავრობას. მეორეც აზერბაიჯანელებს პრეტენზია აქვთ დავით გარეჯზე და ეს ახალი ამბავი არ არის, მესაზღვრეებს ყოველწლიურად ჩვენი ტერიტორიის შიგნით აადგილებენ და მას მიშა უბატონოდ ხმას ვერ სცემს! ასე, რომ თვითდამშვიდების დრო ნამდვილად არ არის, რეალურ საფრთხეებზეა საუბარი

შარშან რიკოთზე ჩინელების ტბა ჩამოიშალა და იმსხვერპლა 4 თუ 5 ადამიანი, წუხელ ბენდუქიძის ტბა ჩამოიშალა და იმსხვერპლა 5 ადამიანი. ვინ უნდა აგოს პასუხი ამაზე? მე? მამა ზეციერმა? თუ ვინ? ბენდოს რომ კიდია, ვიცი, მაგრამ ხალხს???? არაფერი წესიერად არ კეთდება!!! უსაფრთხოების ზომები არც ერთ ობიექტზე არ არის დაცული, შენდება ხუშტურზე!!

ვაიმე, ქვეყანა თავზე გვექცევა და ეს მართლა უსინდისო პრეზიდენტი სლოვენიაშია წასული და სულელივით იკრიჭება იმის მაგივრად, რომ ამ დაზარალებული და გაუბედური ხალხის გვერდით იყოს ვითომ ქართულ ფეხბურთის ბედი აინტერესებს ერთობა: (მგონი, სლოვენიაში წასვლა ცანცარობაა, როცა ნახევარ საქართველოს სტიქიური უბედურება დაატყდა თავს და არიან გარდაცვლილები.

ჭეშმარიტად ელექტრონულია ჩვენი პრეზიდენტი, ყველაფერს ასწრებს - ორთაჭალაში ტირილსაც და სლოვენიაში სიცილსაც...უფ! შენ გენაცვალე!! ვითომ ხუთი უდანაშაულო გვამი კი არა 5 ოსკარი აეღოს ამ უსინდისოს!!!!

საცხოვრებლად გადაკეთებულ ავტოფარეხებში 4 ადამიანი დაიღუპა...შეუნდე უფალო და დაუმკვიდრე სასუფეველი....ჩვენც შეგვინდე უფალო, ერთმანეთს ფარეხებში საცხოვრებლად რომ ვიმეტებთ(:

ოთხ კედელში დავიძინე სამ კედელში გავიღვიძე... რატომ? ვინცხა ძაან დაახლოებულს არხი არ მოწონებია და ამოუვსია... მერიის ნებართვით!!!!!!! გამოვა ახლა უგულავა და დაღვრის ნიანგის ცრემლებს... კედელს ვინ ჩივის, ხალხია დაღუპული... მიუსამძიმრებენ, ალბათ და დაკრძალვის ხარჯებასც გაიღებენ....

ციციკორესავით გამომივა ნათქვამი, მაგრამ მაინც ვიტყვი: არ შეიძლება ასე უხეში ჩარევა ბუნებაში, დაირღვა ეკობალანსი. ამდენი გვირაბი, ამდენი წყლის კალაპოტის შეცვლა, ამდენი ელექტროსადგურის აშენება... გაუძლებს მთაგორიანი ქვეყანა ასეთ ცვლილებებს? ანდა ჭაობში გაგონილა ქალაქის აშენება? ღმერთო, მშვიდობა მოგვეცი ბრიყვთა ხელში ჩაცვენილებს!

სანიაღვრე სისტემაზე ფიქრი პიარისთვის არ ვარგა! მაგრამ სერიოზულად თუ ზრუნავ ქალაქზე და ქვეყანაზე შადრევნებს ბევრად სჯობს.... უგულავა უნდა გადადგეს ... სამი ადამიანი დაიღუპა ამათი უნიათობის გამო... კმარა!!!!!!!

მაშინ, როცა თბილისი წყალს მიაქვს და არც ერთი ტელევიზია არ გადმოსცემს ინფორმაციას, ჟურნალისტები აღარ გქვიათ, აღარც ტელევიზია ხართ, საერთოდ, რა არის თქვენი პროფესიული დანიშნულება? ეს ისწავლეთ, რომ მხოლოდ რუპორის ფუნქცია გქონოდათ? კერძო ტელევიზიებს რა უნდა მოსთხოვო, მაგრამ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას მივმართავ, მოგვეცით ინფორმაცია, ეს ჩვენი ტელევიზიაა, ჩვენ უფლებაა, მივიღოთ უახლესი ინფორმაციები, თუ ვერ ასრულებთ წადით თანამდებობებიდან.

# `aRmosavleTis eqspresi~, anu ganwiruli Taoba



**(სოციალურად დაუცველი საშუალო ასაკის მოსახლეობის ბედ-იღბალი არავის აინტერესებს.. საითკენ მიაქანებს რეფორმებით თავმომწონე ხელისუფლება საქართველოს? საგანგაშო კითხვაა..)**

საერთაშორისო სამართალში არსებობს უნივერსალური ნორმა, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოებს ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოვეთაო პატივისცემასა და დაცვას, რაც თანაბრად გულისხმოსხბ, როგორც ''შრომის, სამუშაოს თავისუფლალი არჩევის, შრომის სამართლიანი, ხელსაყრელი პირობების, აგრეთვე უმუშევრობისგან დაცვის უფლებას''(ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია).

ცივილურ სამყაროში მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის ქვეშ იგულისხმევა კანონმდებლობით განსაზღვრული ეკონომიკური, სოციალური, იურიდიული გარანტიებისა და უფლებების ერთობრიობა., რომლებიც ჰქმნიან მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების არსებობისა და სოციალური რისკებიდან დაცვის პირობებს. სოციალურ რისკებს განეკუთნება ავადმყოფობა, ტრამვა, უმუშევრობა, მიგრაცია, საცხოვრებლისა და მარჩენალის დაკარგვა, ხანდაზმულობა, სიღარიბე .

<u>მე-3 ჯგუფის ქვეყნებს</u> განეკუთნება ნიდერლანდები და იტალია, სადაც წარმოდგენილია სოციალური უზრუნველყოფის შერეული სისტემა.

სამწუხაროდ, მთელი ცივილური სამყაროსა განსხვავებით, XXI საუკუნის საქართველო წარმოადგენს ერთადერთ ქვეყანას, სადაც სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ფაქტიურად მთლიანად მოშლილია. მართველი, თუ სატელიტი ''ელიტა'' ვერ გრძნობს ვერანაირ პასუხისმგებლობას საკუთარ მოქალაქეთა სოციალური უზრუნვეყოფის თვალასაზრისით.

საქართველოს შრომითი კოდექსის ამოქმედებას თან მოჰყვა 2001 წლის 28 ოქტომბრის „დასაქმების შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმება, ხოლო 2009 წელს დაიშალა შრომის ბირჟა. ამდენად, საქართველოში დღეს ფაქტიურად არ არსებობს არც კანონი არც დაწესებულება, რომელიც განსაზღვრავდა უმუშევართა სოციალური დახმარების თუნდაც მინიმალურ პაკეტს: სტატუს, შემწეობას, სამედიცინო დაზღვევას, უფასო პროფესიულ გადამზადებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების (საქართველოს პარლამენტის მიერ რადიფიცირებულია ''ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია'' (15.09. 1991), საერთაშორისო პაქტი ''ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ'' (25.01. 1994წ), ''ევროპის სოციალური ქარტია (01.07. 2005) უხეშ დარღვევას.

ხელისუფლება და ოპოზიცია დაკავებულია საარჩევნო სიების ''დაზუსტებით'' და საერთოდ არ ადადრდებთ დაუსაქმებელ ადამიანთა გეომეტრიული პროგრესიით მზარდი სიები. ქვეყანაში საერთოდ არ არსებობს უმუშევართა ობიექტური სტატისტიკური მონაცემები, რაც ართულებს საპასუხო გადაუდებეილი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობებსა და მდგომარეობიდან გამოსავალის მიგნებას.

ხელისუფლება სარ-



გებლობს რა მოსახლეობის განათლებისა და სამართლებრივი განვითარების დაბალი დონით, სხადასხვა თალლითური სქემების გამოყენებით უარს აცხადებს აღიაროს ბედის ანაბრად მიტოვებული უმუშევარი მოსახლეობის: სტატუსი და უფლებები, აღმოუჩინოს მათ თუნდაც სიმბოლური მხარდაჭერა უფასო სამგზავრო ბარათების სახით. ისმის სრულიად ლოგიკური კითხვა უმუშევარმა ადამინმა საზოგადოებრივი ტრანსპორტით არ უნდა იმგზავროს? არ უნდა ისარგებლოს სამედიცინო მომსახურეობით?.

ხელისუფლება აცხადებს, რომ სექტემრიდან დააზღვევს 5 წლამდე და 65 წელს გადაცილებულ მოსახლეობას. რითი უშველოს თავს 5 დან - 65 წლამდე ასაკის მქონე მოსახლეობამ? იმის მაგივრად, რომ განათლების სამინისტრომ იგრძნოს თუნდაც მცირე პასუხისმგებლობა და ქვეყნის განვითარების მიმდინარე და პერპექტიულ მოთხოვნათა გათვალისწინებით, ორგანიზება გაუწიოს უმუშევართათვის უფასო პროფესიულ გადამზადების კურსებს, თავს იწონებს სწავლის საფასურის 70% დაფინანსებით. საიდან უნდა მოიძიოს დაუსაქმებელმა ადამიანმა თუნდაც დარჩენილი 30%?. უმუშევართა მიმართ სახელწიფოს ასეთ აგდებულ დამოკიდებულებას ვერცეთ ნორმალურ ქვეყანაში ვერ შეხვდებით.

ქალაქის მერია, რაიონული გამგეობები , ჯანდაცვის სამინისტრო ყველას: უმუშევარს, ღატაკს, სოციალურად დაუცველს, შრომისუნარიან, თუ უუნაროს ''სიღარიბის დაძლევის'' ყბადაღებულ პროგრამაში მონაწილეობისკენ მიუთითებს. უნებლიედ ნოდარ დუმბაძის ''თეთრი ბაირაღები'' მახსენდება, როგორ სთავაზობს სასჯელაღსრულების დაწესებულების ექიმი სხვადასხვა სიმპტომებით დავადებულ პატიმრებს ''ლუმინალის'' აბებს.

სიღარიბის დაძლევის პროგრამა არის ამერიკული და ევროპული სოციალური დაცვის სისტემის ''პასიური ფორმა'' ანუ ფრაგმენტულად დამახინჯებული ანალოგი, რომელიც განკუთვნილია მოსახლეობის არაქმედითუნარიან, უკიდურესად ღატაკ ნაწილზე და არაფერი აქვს საერთო ქმედითუნარიან უმუშევარ ადამიანთა სოციალურ უზრუნველყოფასთან.

მოსახლეობის „ყველაზე დიდი სეგმენტი“ საშუალო ასაკის ხალხი, ბედის ანაბარადაა მიტოვებული. უდიდეს ნაწილს ჩაკეტილ სივრცეში უწევს ყოველდღიური ბრძოლა არსებობისთვის, ყველგან იდევნებიან, უკარგავენ საზოგადოებაში ინტეგრირების შანსს, ვერ ამჩნევენ მათ სულიერ ტკივილს, ფაქტიურად ართმებევენ სრულფასოვნად ცხოვრების ყველანაირ სესაძლებლობას.

ამასობაში ხელისუფლება კვლავ განაგრძლობს სავადმყოფოების მშენებლობასა და „სიღარიბის დაძლევის“ გზით სიარულს და გვარწმუნებს, რომ უამრავი ქვეყანა სწავლობს საქართველოს რეფორმების მოდელს.

საითკენ მიექანება საქართველო? რა ბედი ელის უახლოეს მომავალში? შევნარჩუნდებით კი, როგორც ერი, კულტურა ამ ცივილიზაციათა დიდ ქარტეხილში?

რა შეიძლება ამ ყოველივეს ეწოდოს, მოსახლეობის ბუნებრივი გადარჩევა?.. ქვეყნის „ბედნიერი მომავლისათვის“ გაღებული მსხვერპლი?.. თუ ერის გენოციდი?

**ირაკლი კიკიანი**

**ქ. თბილისი,**

**2012 წლის 04 მაისი**

**დავით ფაცაცია:** ბატონმა ივანიშვილმა მოუწოდა ხალხს, ერთად აღგვენიშნა დღესასწაული 27 მაისს, რადგან 26-ში არ მოგვეცა ამის საშუალება. მინდა შარშანდელი მდგომარეობა გავიხსენო, როდესაც ხელისუფლებამ სიხისტე გამოიჩინა და 26 მაისს აღლუმი პარლამენტის შენობასთან ჩაატარა. რაც მოხდა 26 მაისს, ეს არის ტრაგედია ყველა ქართველისათვის, რადგან დაიღუპა რამდენიმე ადამიანი. ეს ადამიანები ამ ხელისუფლების რეპრესიებს შეეწირნენ. ამ ყველაფერზე, რაც ხდება ქვეყანაში, პასუხისმგებელი არის ერთი ადამიანი. თუმცა დღეს სხვა რეალობა გვაქვს უკვე. ხელისუფლება ყოველდღიურად უკან იხევს. ის მხოლოდ ერთ რამეს უწევს ანგარიშს,



ხალხის ძალას. ხალხის ეშინიათ და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ 26 მაისს აღლუმის ჩატარება ქუთაისში გადაწყვიტეს. ანუ აღმოჩნდა, რომ სულაც არ ყოფილა პრინციპული პარლამენტის წინ აღლუმის ჩატარება. ამით ვრწმუნდებით, რომ ეს ხალხის გამარჯვებაა, რომელიც დიდი გამარჯვებით დასრულდება. დარწმუნებული ვარ, შემოდგომაზე სხვა ჟამი დადგება. ხალხი გააკეთებს არჩევანს და გამარჯვება იქნება გარდაუვალი, ისევე როგორც 27 მაისს, როცა ხალხი ჩაიბარებს აღლუმს და იქნება საერთო დღესასწაული. გახსოვთ ალბათ, ორი წლის წინ, ჩნნ - მა გადმოსცა, როგორ ჩიბარა ქართველმა ხალხმა აღლუმი სტადიონზე, ხოლო სააკაშვილმა - სასაფლაოზე. ახლაც სააკაშვილი გაიქცევა იქ, სადაც უსაფრთხოდ მიაჩნია. ხალხის ძალას ვერავინ გააჩერებს. დარწმუნებული ვარ 27 მაისს აქციაზე ბევრი ადამიანი გამოვა. ეს ხელისუფლება ხალხმა მოიყვანა და ხალხივე გაისტუმრებს. ეს დღე იქნება ზეიმი, ჩვენი ერთობის მნიშვნელოვანი გამოხატულება და იმის დემონსტრირება, რომ ხელისუფლება ხალხის ხელში უნდა იყოს და არა პირიქით. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ახალგაზრდები იქნებიან წინა პლანზე წამოწეულნი, ისინი აქტიურად იქნებიან ჩართულნი აქციაში, უფრო სწორად ეს არის უფრო ზეიმი. ახალგაზრდული ენერგია და გამოცდილ ადამიანთა ერთობა შექმნის უნიკალურ სიმბიოზს, რაც მიგვიყვანს საბოლოო გამარჯვებამდე. ან ქვეყანა გადარჩება, როგორც სახელმწიფო, ან განწირულები ვართ დამარცხებისთვის, ამიტომ ერთობით უნდა გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა, ერთობით უნდა გამოვხატოთ სვლა გამარჯვებისაკენ. გადავარჩინოთ ქვეყანა, ისე როგორც 89 წელს, გადავარჩინოთ ქართული ენა, ისევე როგორც- 78 წელს.

თუ ჩვენ დღეს არ ვიმოქმედებთ, რათა ქვეყანაში განვავითაროთ ქართული პროდუქცია, სოფლის მეურნეობა, მაღალი ტექნოლოგიები, ღირსეული განათლება მივცეთ ახალგაზრდებს და უნივერსიტეტი დავამსგავსოთ ნამდვილ ცოდნის სამჭედლოს, ძალიან გაგვიჭირდება.

აუცილებლად მოხდება ქვეყნის დეოკუპაცია, ოღონდ ჯერ ჩვენი ქვეყანა უნდა გავათავისუფლოთ ამ ხელისუფლებისგან და ავირჩიოთ ღირსეული ადამიანები, რომლებიც ჩაიბარებენ ქვეყანას.

ყველა ქართველმა, ვისაც გული უძგერს თვისი ქვეყნისთვის, უნდა გამოხატოს პროტესტი ამ ხელისუფლების მიმართ, ეს იქნება სამსახურში, სასწავლებელში, სოციალურ ქსელებში, გაზეთში და ა.შ. რათა ეს ხელისუფლება ან გავაკეთილშობილოთ, ან გავხადოთ კეთროვანი, როგორც იყო 89 წელს. ქუჩის აქციები ამ შემთხვევაში მხოლოდ ხელისშემშლელი შეიძლება იყოს.

ხელისუფლებას უეჭველად გავისტუმრებთ. ივანიშვილი არის ადამიანი, რომელიც იტყვის და ორჯერ მეტს აკეთებს. მოვუწოდებ ყველას, ვისაც გული უძგერს და თვლის, რომ ქვეყანა გადასარჩენია, ერთად ვიმოქმედოთ. 27 მაისს ხელისუფლებას უნდა დავანახოთ, რომ არ გვეშინია.

**მანანა კობახიძე:** როდესაც პირველად გაჟღერდა ინფორმაცია კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ, პირადად ბატონმა ბიძინამ და კოალიციამ მკვეთრი პოზიცია გამოხატეს, რამეთუ არ შეიძლება ერთი ადამიანის გამო იცვლებოდეს ქვეყნის ძირითადი კანონი, რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ეს ადამიანი. ხელისუფლებამ კანონიერი გზით ვერ მოახერხეს ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭება და ახლა მანიპულაციების გზით ცდილობენ ვითარებიდან გამოსვლას. ეს უკვე სასაცილოა, ისიც ვერ გაურკვევია ხელისუფლებას, როდიდან ცხოვრობს ივანიშვილი საქართველოში. იუსტიციის სამინისტროს ხომ შეუძლია დაადგინოს, როდის გაიცა მასზე პირადობის მოწმობა და როდიდან ითვლება ბატონი ბიძინა მუდმივად მცხოვრებად. ხელისუფლება თავად არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის ნებისმიერი შესწორება ბიძინა ივანიშვილზეა გათვლილი.



დაველოდოთ, ხვალ კიდევ რას მოიფიქრებენ და რა აფსურდამდე მივა საპარლამენტო უმრავლესობა. ივანიშვილი ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში მუდმივად ცხოვრობდა. ზუსტად ვიცი, თუმცა აქვე უნდა დავამატო, რომ მუდმივად ცხოვრება იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანმა ქვეყანა გარკვეული დროით არ დატოვოს. აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილება მხოლოდ ივანიშვილზე რომ იყო გათვლილი, ამას საზოგადოებაც თვალნათლივ ხედავს, მანამდე მსგავსი კანონის მიღება თავში აზრადაც კი არ მოსვლით, ვფიქრობ, მათ დეტალურად აქვთ შესწავლილი და ისეთ პუნქტს არ ჩადებენ, რომელიც ივანიშვილზე გათვლილი არ იქნება. კონსტიტუციისადმი ასეთი დამოკიდებულება ნიშნავს, მაპატიეთ და, თავზე დაახიო საკუთარ მოსახლეობას კონსტიტუცია, რომელიც უბრალო ქაღალდად აქციეს.

ქრისტიან-დემოკრატები ახმაურებენ ხელისუფლების ნაზრევს, ამ ცვლილებების ინიცირებაც ამას მიუთითებს. ქრისტიან-დემოკრატებმა და ხელისუფლებამ თვისი თავი წარმოაჩინეს ერთ ხმაზე, უნისონში მოლაპარაკე სუბიექტებად.

ჩვენ არ ვერევით სიტუაციაში, ველოდებით მოვლენების განვითრებას თუ ხელისუფლება ამ ცვლილებებს მიიღებს, ამით, რა თქმა უნდა, ბატონ ბიძინას საშუალება ექნება ჩაერთოს




არჩევნებში, თუმცა ჩვენი პოზიცია ისევ მყარია, ჩვენთვის მიუღებელია კონსტიტუციის შეცვლა ერთი ადამიანის გამო.

თუმცა ვვარაუდობთ, რომ გარკვეული გათვლები სხვა მხრივაც ჰქონდათ, ორი კურდღლის დაჭერის მომენტთან გვაქვს საქმე. ალბათ, გათვლებს აკეთებენ ევროკავშირის მოქალაქეებზე, რომლებიც საქართველოში დაიბადნენ, რათ მათი ხმების მობილიზება გააკეთონ ნაცმოძრაობის სასარგებლოდ. იგივე ითქმის 21 წლის ასაკამდე ასაკობრივი ზღვარის დაწევაზე; ჩემის აზრით, ბევრ 21 წლის ნიჭიერ, მოტივირებულ, პატრიოტ ახალგაზრდას მეტის გაკეთება შეუძლია თავისი ქვეყნისთვის, ვიდრე 44 წლის სააკაშვილს. ამიტომ აქ რაღაც პრინციპულ კატასტროფას ვერ ვხედავთ. თუმცაღა ეს ცვლილებაც გათვლილია იმაზე, რომ ხელისუფლებამ მოტივაცია გაუჩინოს ახალგაზრდებს, ოღონდ თავის სასარგებლოდ. თუმცა ეს ახალგაზრდები არ გახსენებია ხელისუფლებას მაშინ, როცა 10000 სტუდენტი უმაღლესი განათლების გარეშე დატოვა, სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო. როცა შენ მხოლოდ არჩევნების წინ გახსენდება სტუდენტიც და პენსიონერიც, ეს არის მანიპულაცია და სხვა არაფერი. თუმცა დარწმუნებული ვარ, საზოგადოებამ კარგად ნახა, რა მდგომარეობამდე მიიყვა ამ ხელისუფლებამ ჩვენი ქვეყანა და სამართლიან არჩევანს გააკეთებს.

რაც შეეხება ევროკავშირის მოქალაქეებისათვის ხმის უფლების მიცემას, რითიც, როგორც მედია იუწყება, 30000 უკონტროლო ხმა შეიძლება დაგროვდეს, მე, არა მგონია, ძალიან ბევრი იყოს ისეთი ადამიანი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოში ბოლო 5 წელი, ჩვენ ყველანაირ ბერკეტს გამოვიყენებთ. რომ ეს იყოს გადამოწმებული და ისევე გავაკონტროლებთ ამ პროცესს, როგორც გავაკონტროლებთ ყველა უბანს, სიებს, ქართული დიასპორის მონაწილეობას უცხოეთში. ხელისუფლება ყველა ხრიკით ეცდება ამ ხმების მოპარვას, მაგრამ ჩვენი დასავლელი პარტნიორების დახმარებით, მონიტორინგის ჯგუფის დახმარებით შევძლებთ ხმების დათვლას, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ ეს ხელისუფლება წავიდეს სათავიდან.

რაც შეეხება პარტიის უპრობლემოდ რეგისტრაციას, ჯერ ერთი ყველა საბუთი იყო წესრიგში, მეორეც ხელისუფლება იძულებული გახდა გაეთვალისწინებინა ქართველი ხალხის მოთხოვნა, ასევე გაითვალისწინა დასავლელი პარტნიორების მითითებები თანასწორი საარჩევნო გარემოს შექმნის შესახებ. მათ ვერ გაბედეს უკანონოდ შეეშალათ ხელი პარტიის რეგისტრაციისათვის. ჩვენ უკვე ვიწყებთ აქტიურ შეხვედრებს. 27 მაისის მერე კიდევ უფრო აქტიურად გაიშლება რეგიონებში კოალიციის მუშაობა.

რას ფიქრობს ბობოხიძე 27 მაისის აქციის შესახებ, ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ, აქციაც და მანიფესტაციაც არის კონსტიტუციური და საერთაშორისო კონვენციით მინიჭებული უფლება ამ უფლებით ჩვენ ვსარგებლობთ. ეს არ არის აქცია იმის მოწოდებით, რომ სააკაშვილი გადადგეს; არა, ბატონებო, ეს არის აქცია, სადაც მოვლენ ჩვენი მხარდამჭერები, რათა ერთად გამოვხატოთ ჩვენი სურვილი, რომ ოქტომბერში კონსტიტუციური გზით გავისტუმროთ ეს ხელისუფლება, ქართული ოცნება მოვიდეს ამ შემადგენლობით და რეალურად დავიწყოთ ქვეყნის გამთლიანების და სამართლიანობის აღდგენის პროცესი ქვეყანაში. სხვა პერსპექტივა, უბრალოდ, აღარ გვრჩება. ასე რომ 27 მაისი აქცია სრულებით არ არის დაკავშირებული დესტრუქციასთან, სახელმწიფოს საწინააღმდეგო ქმედებასთან. უბრალოდ, დარბაზი, სტადიონი ვერ დაიტევს ჩვენი მხარდამჭერების რაოდენობას. 27 მაისს ჩვენ გავაცნობთ პროგრამის ძირითად წინადადებებს, რაც ითვალისწინებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, ჯანდაცვას და განათლებას, ასევე ყოველი მოქალაქის დაზღვევას დაბადებიდან სიცოცხლის ბოლომდე. ამ პროგრამაზე მუშაობდა ძალიან ბევრი ადამიანი. გვაქვს კონკრეტული გეგმა, რომელიც დაფუძნებულია აბსოლუტურად რეალურ მონაცემებზე და მკაფიოდ გათვლილ პროგრამას ვთავაზობთ ჩვენს ამომრჩეველს.

კოალიცია ამ ფარგლებში მივა არჩევნებამდე და რაიმე ტიპის გაფართოებას არ გეგმავს.

**ზურაბ ბიგვავა:** 27 მაისი აქცია არის „ქართული ოცნების" სერიოზული განაცხადი. ნებისმიერ ძალას, როცა ის მოდის პოლიტიკაში, აქვს რამდენიმე მიზანი. მან უნდა დაანახოს საზოგადოებას, რომ არის ძლიერი და უნიკალური ძალა. ამ სიტუაციაში, ეს არის ძლიერი განაცხადი, ძლიერის განაცხადი და სიძლიერის მაჩვენებლი. თუმცა, როგორც ითქვა, პირველად ხდება, რომ პოლიტიკური ძალა ასეთი სახით მოდის საქართველოში, ანუ მშვიდობიანი, არასაპროტესტო აქციით. თუმცა ახლა ძალიან ბევრი რამ ხდება პირველად. პირველად არის, რომ ასეთი მონაცემების ადამიანი უდგება სათავეში ოპოზიციურ ძალას, პირველად არის, რომ მთელი ოპოზიციური სპექტრი აძლევს სანქციას, რომ მან წაიყვანოს ეს პროცესი. ბევრი რამეა პირველად და სრულიად უნიკალურად. მე იმედი მაქვს, რომ მთელი ეს აქტივობაც უნიკალურ შედეგს მოიტანს და ოპოზიცია მიაღწევს დასახულ მიზანს.

საარჩევნო ყუთამდე ჯერ კიდევ შორია და ქართველებისთვის დამახასიათებელი მოუთმენლობა აქაც ვლინდება. ჩვენ ამ ახალი ძალისგან სულ ვითხოვთ სისწრაფეს და გააქტიურებას. ქვეყანაში არსებულ სიტუაციას გადავხედოთ, რასთანაა დაკავშირებული გააქტიურება, ყველამ ვიცით. ჩემის აზრით, გააქტიურება, მესამე ტალღის აგორება, პიარაქციების, პროგრამების სააშკარაოზე გამოტანა ჯერ კიდევ ადრეა. მართალია, ხალხის ინტერესი ძალიან დიდია, ამიტომ ინტერესი რომ არ განელდეს შეიძლება პატარ-პატარა დოზებით მიეწოდოს საზოგადოებას ძირითადი მესიჯები იმ პროგრამიდან, რომელიც ბიძინა ივანიშვილს და მის გუნდს აქვს მომზადებული.

ეს ძალა უკვე განსხვავებულია ხელისუფლებისაგან თავისი მენტალობით. დღეისათვის უამრავი კვლევა ტარდება, რას აქვეყნებენ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც კარგად იცის, რა სჭირდება საზოგადოებას. ამ კვლევების მიზანია დაფიქსირდეს საზოგადოების ინტერესი, გამოწვევები და მოთხოვნა. ამ თვალსაზრისით, ოპოზიციასაც და სახელისუფლებო ძალასაც თავის პროგრამებში ერთიდაიგივე მოტივები ექნება, მაგრამ არის სხვადასხვა ისტორია. უკეთესი ისტორია აქვს ოპოზიციურ პარტიას, რომელიც მოდის კრიტიკით და ცუდ მდგომარეობაშია მმართველი პარტია, რადგან ის იყო რვა წლის განმავლობაში ხელისუფლებაში და მის პასუხიმგებლობის ქვეშაა უარყოფითი მომენტები, რაც ამ პერიოდში საკმაოდ ბევრი დაგროვდა. აქედან გამომდინარე, განსხვავება აუცილებლად იქნება პროგრამებში, იმიტომ, რომ განსხვავება გვაქვს მენტალობაში. ხელისუფლება მხოლოდ გვპირდება და არ ან ვერ ასრულებს დანაპირებს. ანუ აქ საქმე გვაქვს პროგრამის რეალისტურობასთან, ასევე რამდენად სიტყვის კაცია ესა თუ ის ლიდერი თუ ძალა, რამდენად ენდობიან მას, რომელ ძალასთან აკეთებს იდენტიფიკაციას საზოგადოება. როგორც ჩანს, მაინც ახალ ძალასთან აკეთებს იდენტიფიკაციას საზოგადოება უფრო მეტად, ვიდრე ხელისუფლებასთან. ამიტომაც არის ასეთი აჟიოტაჟი და ეიფორია ხელისუფლებაში, რადგან, კარგად იციან, როგორია ადამიანების დამოკიდებულება და ამ დამოკიდებულების შეცვლა სურთ. სწორედ ამიტომ ისმის უამრავი ახალი დაპირება, ახალი ინიციატივა, მიდის ახალი მშენებლობა.

პრეზიდენტის, მმართველი პარტიის აქტიურობა ეს არის რეაქცია ოპოზიციის არამარტო ახლანდელ



ქმედებებზე, არამედ პოტენციურ ქმედებებსა და ეფექტზე. როცა ოპოზიცია ამოქმედდება, მერე უკვე გვიანი იქნება ნაცმოძრაობისთვის, ამიტომ ამათ ჯერ კიდევ რამდენი ხნის წინ დაიწყეს წინასაარჩევნო კამპანია. რატომ ერთი წლის წინ არ იქნა გახსენებული ყველა ის პრობლემა, რომელსაც დღეს ასე ჩქარ-ჩქარა წყვეტენ?! იმიტომ რომ ეს არის წინასაარჩევნო კამპანია ყველა ნიშნის მიხედვით. ეს არის რეაქცია იმაზე, რასაც ელიან. რადგან იციან, რომ ოპოზიცია რომ დაიწყებს წიანსაარჩევნო კამპანიას, მძიმე სიტუაცია შეექმნებათ, პასუხების გაცემა საკმაოდ რთული იქნება ამათთვის.

რაც შეეხება ბატონი ივანიშვილის მიმართ თითქოსდა დამოკიდებულების შეცვლას, აქ სიტუაცია შეიქმნა ერთგვარი, მიენიჭებინათ მოქალაქეობა ივანიშვილისთვის, წაგებულები აღმოჩნდებოდნენ, არ მიენიჭებინათ - მაინც წაგებულები იქნებოდნენ. ყველა კვლევა ადასტურებდა, რომ 70%-ზე მეტი უჭერდა მხარს ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭებას. ეს იყო ძლიერი ფიგურის ძლიერად შემოსვლა ქართულ პოლიტიკაში მთელი თავისი შლეიფით და რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, ქართულ ოცნებას რეიტინგი დაბალი აქვს, ჩვენ კი მაღალიო, ეს ყველაფერი არის ყურით მოთრეული. რეალურ ფაქტებს თუ შევხედავთ - ცვლიან კონსტიტუციას, ჩამოიყვანეს ახალი დამკვირვებლები - ეს იმას მიანიშნებს, რომ აქვთ შიში, მსოფლიო საზოგადოების თვალში არ გამოჩნდეს ივანიშვილი უფრო მეტად დაჩაგრული. საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე ამათი რეიტინგი ძალიან დაბალ ნიშნულამდე დავარდება. ახლა ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილი უნდა მონაწილეობდეს ამ არჩევნებში, რომ მას დაბალი რეიტინგი აქვს და სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს, თუმცა ამის საპირისპიროდ ძალიან აქტიურობენ, რადგან ეშინიათ, რომ კოალიცია აუცილებლად გაიმარჯვებს არჩევნებში.

# საკვები და მხედველობა

***„გაუფრთხილდი თვალის ჩინს, თუ გსურს სამყარო მუდამ ლამაზი გეჩვენებოდეს“.***

***მწერლის ოდესღაც თქმული მოსაზრების ჭეშმარიტებაში მაშინდა ვრწმუნდებით, როცა მხედველობას სიმახვილე, საგანთა კონტურებს კი სიმკვეთრე აკლდება.***

***თვალი, ისევე როგორც სხეულის ნებისმიერი ორგანო, ზრუნვას, მოვლასა და გაფრთხილებას საჭიროებს. მხედველობის გაფრთხილების ღონისძიებათა კომპლექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალურია ორგანიზმის იმ საკვებით მომარაგება, რომელიც დადებითად მოქმედებს თვალსა და მხედველობაზე.***

***მხედველობის ორგანოსთვის აუცილებელ და მასტიმულებელ პროდუქტთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, თუმცა თვალის საყვარელ საკვებთა შორის ერთპიროვნულ ლიდერობას შავი მოცხარს ვერავინ ეცილება.***

## შავი მოცხარი

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში ანტიკური ხანის მეცნიერებმა პლინიუსმა და დიოსკორიდემ იცოდნენ, რომ შავი მოცხარი საგრძნობლად აუმჯობესებს მხედველობას სიბნელეში, აძლიერებს მხედველობის სიმახვილეს, უზრუნველყოფს მხედველობის ველის გაზრდასა და ამცირებს თვალების გადაღლას.

მეორე მსოფლიო ომის დროს, ინგლისელი მფრინავები, ღამით მხედველობის გაუმჯობესების მიზნით, ყოველი აფრენის წინ შავ მოცხარს ან მის მურაბას მიირთმევდნენ.

იტალიის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებმა ექსპერიმენტულად დაამტკიცეს, რომ თვალის ყველაზე მთავარ ოპტიკურ ნაწილში — ბადურაში, აღდგენით პროცესებს ერთიათად აჩქარებს შავი მოცხარი და ამით საგრძნობლად ამცირებს ახლომხედველობას.

დღეს ეს გემრიელი კენკრა კოსმონავტების სავალდებულო მენიუში შედის, რასაც ძირითადად მისი შესანიშნავი სამკურნალო თვისებები განსაზღვრავს. ბიოფლავონოიდების ჯგუფის ანტიოქსიდანტებით მდიდარი მოცხარი აქტიურად ახორციელებს ორგანიზმის ანტიოქსიდანტურ დაცვას, ხელს უწყობს ღამის მხედველობას, აუმჯობესებს უჯრედული მემბრანების მდგომარეობას, აღადგენს მხედველობის ორგანოში დარღვეულ მიკროცირკულაციას სხვადასხვა დაავადებისას, მათ შორის — ათეროსკლეროზისა და დიაბეტისას.

შავი მოცხარის ფლავონოიდები ბადურას კაპილარებს მეტად მედეგსა და ამტანს ხდის, რადგან ასტიმულირებს თვალის პიგმენტ როდოფსინის რეგენერაციას — სწორედ იგი უზრუნველყოფს მხედველობას მცირე განათებისას ან სიბნელეში.

## ვიტამინები

თვალისთვის ხელსაყრელი დიეტის შედგენისას ვიტამინებიც არ უნდა გამოგრჩეთ. ვისაც დაქვეითებული მხედველობა აქვს, რაც შეიძლება დიდი რაოდენობით უნდა მიიღონ მოწითალო-ნარინჯისფერი ხილი, კენკრა და ბოსტნეული. ასეთი ფერის საკვები ხელს უწყობს თვალში სისხლმომარაგებას.

**C, A** და **E** ვიტამინების, აგრეთვე თუთიის შემცველი პროდუქტების გამოყენება ხანდაზმულ პაციენტებს საშუალებას აძლევს, თავიდან აიცილონ ბადურის ასაკობრივი დისტროფიით გამოწვეული დაავადება და მისი თანმხლები მხედველობის დაქვეითება.



ყველაზე ხელმისაწვდომი და ამავდროულად **A** ვიტამინით მდიდარი პროდუქტია სტაფილო, რომელიც კვებავს და ამაგრებს თვალს; ამიტომ აუცილებელია წელიწადში ერთხელ ყველმა ხანშიშესულმა ერთი თვის განმავლობაში ყოველდღიურად ერთი ჭიქა ახალგამოწურული სტაფილოს წვენი დალიოს.

ვიტამინ **A**-ს დიდი რაოდენობით შეიცავს: პომიდორი, ღვიძლი, წიწიბურა, წიწაკა, ხენდრო, მარწყვი, ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი, გარგარი, ნესვი.

ვიტამინების დიდი შემცველობის გამო თვალის დიეტაში საპატიო ადგილი უკავია: ყვავილოვან კომბოსტოს, მწვანე წიწაკას, ისპანახს, მჟაუნას, მწვანე ხახვს, კამას, სალათს, ახალ მწვანე ბარდას, ასკილს, წითელ მოცხარს, მარწყვს, თხილს, არაქისს, გოგრას, ასკილს, კუნელს, სიმინდსა და ბრინჯს.

## თევზი — თვალების საყვარელი საკვები

ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავებით მდიდარი ზღვის ნობათი და განსაკუთრებით კი ცხიმიანი თევზი, თვალების საყვარელი საკვებია, რომელსაც უნარი შესწევს თავიდან აგაცილოთ ყველაზე გავრცელებული მიზეზებით გამოწვეული მხედველობის დაქვეითება.

კვირაში ორჯერ თევზისა და ზღვის სხვა პროდუქტთა მირთმევით 40 პროცენტით მცირდება მაკულას დისტროფიით გამოწვეული მხედველობის დაქვეითება.

თევზეული, ცხიმოვანი მჟავების გარდა, სასარგებლოა **D** ვიტამინის უხვად შემცველობის გამოც; თევზეულის გარდა, ამ ვიტამინს დიდი რაოდენობით შეიცავს ნაღების კარაქი, კვერცხის გული... ასე რომ, ნუ იტყვით მათზე უარს და კვირაში ორჯერ აუცილებლად მიირთვით.

ახლომხედველთა რაციონი განსაკუთრებით მდიდარი უნდა იყოს ვირთევზას ღვიძლით.

## ბოსტნეულის წვენი

ბოსტნეულს შორის განსაკუთრებით ოხრახუშის წვენია სასარგებლო, რადგან ხელს უწყობს მხედველობის სიმახვილის აღდგენას. იგი მხედველობის ორგანოს სისხლძარღვთა გამამაგრებელი უნიკალური საშუალებაა.

კარგია თუ პატარებს მიაჩვევთ და წვნიან კერძს ყოველთვის ოხრახუშმოყრილს აჭმევთ.

თვალებს ასევე ძლიერ უხდება ჭარხლის წვენიც.

# რატომ შეიცვალა ხმა?

სახმო აპარატის დაზიანება ნებისმიერი ადამიანისთვის მტკივნეული პროცესია, მათთვის კი, ვისთვისაც ხორხი „სამუშაო ორგანოა“, ეს კატასტროფის ტოლფასია. საბედნიეროდ, მკურნალობის თანამედროვე ფონიატრიული მეთოდები პაციენტებისთვის ეფექტიანი დახმარების აღმოჩენისა და ხმის სრულად აღდგენის საშუალებას იძლევა.

ხმის სრული „დაკარგვა“ და ხმის ჩახლეჩა — სამედიცინო პრაქტიკაში სახმო აპარატის დაზიანების ყველაზე მეტად გავრცელებული პათოლოგიებია.



## ხმის „დაკარგვა“

ხმის „დაკარგვის“ ყველაზე ხშირი მიზეზი **მწვავე ლარინგიტია** — გაცივების, დიდი რაოდენობით ცხელი ან ცივი საკვების, წყლის, სხვადასხვა აირის მოქმედების, კვამლისა და ჰაერში არსებული მავნე მინარევების შესუნთქვის შედეგად განვითარებული ხორხის ანთება. სწორედ ამ დროს ხმა იხლიჩება ან საერთოდ იკარგება. დროული მკურნალობის პირობებში რამდენიმე დღეში ხმა ჩვეულებრივ ხმიანობას უბრუნდება, უყურადღებოდ დატოვებისას კი, მწვავე ლარინგიტი ქრონიკულ ფორმაში გადადის. ხანგრძლივად მიმდინარე სახმო იოგების ანთება და ყელის ლორწოვანი გარსის გაღიზიანება სახმო აპარატზე კეთილთვისებიანი სიმსივნეებს ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, ვითარდება: ფიბრომები, პოლიპები, კისტები, კვანძოვანი წარმონაქმნები, რომლებიც სახმო იოგების ერთმანეთთან მიახლოებას ართულებს, რაც ხმის დაკარგვის მიზეზი ხდება;

ხმის შეცვლის მიზეზი შესაძლოა გახდეს **ზოგიერთი სხვა დაავადებაც,** მათ შორის — ქრონიკული სურდო, ადენოიდები, ცხვირის პოლიპები, ცხვირის დანამატ წიაღთა დაავადებანი, ტრაქეის, ბრონქებისა და ფილტვებში მიმდინარე პათოლოგიური პროცესები, რომლებიც ასევე მოქმედებს ხმისწარმომქმნელ აპარატზე;

ხმის დაკარგვის მიზეზი, არცთუ იშვიათად, **ნევროზია.** ლაბილური ნერვული სისტემის მქონეებში საკმარისია ძლიერი შიში ან სხვა სახის მოულოდნელი ნერვული ბიძგი, რომ ადამიანმა მყისიერად ხმა დაკარგოს. ეს ის შემთხვევაა, როცა გადაძაბული ნერვული სისტემა კარგია ნიადაგია ხმის დასაკარგად და დაავადება ეგრეთ წოდებულ „გამშვებ მექანიზმს“ ელის;

ხმის ცვლილებით მიმდინარეობს ორგანიზმის ზოგიერთი **გარდამავალი ფიზიოლოგიური პერიოდიც** — 11-იდან 15-წლამდე მოზარდებს ხმის ცვლილება ახასიათებთ, ვიდრე ის საბოლოოდ ჩამოყალიბდება.

ხმის ცვლილებით მიმდინარეობს მენოპაუზის პერიოდიც.

## ხმის ჩახლეჩა

ხმის ჩახლეჩის უამრავ მიზეზს შორის ოთხი ძირითადია.

**პირველი** — ვირუსული ინფექციები;

**მეორე** — თამბაქო და ალკოჰოლი. ეს ხმის ჩახლეჩის ყველაზე გავრცელებული მიზეზია. თამბაქოს წევისას საკმაოდ მაღალი ტემპერატურის კვამლი შეისუნთქება, რომლიც წვავს ხორხისა და სასუნთქი გზების ლორწოვან გარს, თამბაქოს კვამლში არსებული ყველა მავნე მინარევის სისხლძარღვებით შეწოვის შემდეგ ვითარდება შეშუპება, ზიანდება საკუთრივ სისხლძარღვები და სახმო იოგები, მათზე სიმსივნურ წარმონაქმნთა განვითარება იწყება, რაც ცვლის ხმას. ეს სერიოზული ცვლილებებია, რომლებიც ხშირად ხახისა და ხორხის კიბოს გაჩენის საწინდარი ხდება;

**მესამე** — ყვირილი. ყვირილისას სახმო იოგები ძლიერ იჭიმება და ერთმანეთს უახლოვდება, შეხებით აზიანებს ერთმანეთს;

**მეოთხე** — სახმო აპარატის გადაძაბვა. ის ყველაზე ხშირად მასწავლებლების, მსახიობების, მომღერლების, აღმზრდელების, ორატორების, დიქტორების პროფესიული პათოლოგიაა.

## გაუფრთხილდით ხმას

თუ გსურთ, ხმას არასოდეს მოაკლდეს ჩვეული ხმიანობა და დამაჯერებლობა, იზრუნეთ მასზე — მუდმივად ისუნთქეთ ცხვირით და იზრუნეთ სასუნთქი გზების სიჯანსაღეზე;

კვების ხასიათი და რეჟიმი — საკვებით გადავსებული კუჭი აწვება დიაფრაგმას, რაც მექანიკურ წინააღმდეგობას ქმნის სუნთქვისა და ხმის წარმოქმნისთვის, სწორედ ამიტომ საკვები უნდა მიიღოთ „სიტყვით გამოსვლამდე“ 2-3- საათით ადრე. „ხმოვან პროფესიათა“ წარმომადგენლებმა უნდა შეზღუდონ ცხარე სანელებლები. ერთნაირად არასასურველია როგორც ძლიერ ცივი, ისე ძლიერ ცხელი საკვები, სახმო იოგებს განსაკუთრებით ალკოჰოლი „წყენს“;

ხმისთვის „საშიშია“ სიმღერა ცივ ამინდში. ასეთ დროს ჰაერი ვერ ასწრებს გათბობას და აზიანებს სახმო აპარატს; თუმცა მეტისმეტად ცხელი ჰაერიც ზედა სასუნთქი გზების ფუნქციათა დაქვეითებას იწვევს, რაც უარყოფითად ისახება ხმაზე;

ზამთარში თბილი შენობიდან სიცივეში გასვლისას ან პირიქით, რამდენიმე წუთის განმავლობაში ხმას ადაპტირების საშუალება მიეცით, ტემპერატურის ნებისმიერი მკვეთრი ცვლილებისას ეცადეთ, თავი არიდოთ ხმამაღალ ლაპარაკს, მით უფრო — ყვირილს;

ხმის დაკარგვის, ჩახლეჩის თუ ნებისმიერი სხვა ცვლილებისას, აუცილებლად უნდა დაადგინოთ მიზეზი. თუ ეს სახმო აპარატის გადაძაბვაა, მას დასვენება სჭირდება — რამდენიმესაათიანი დატვირთვის შემდეგ ყოველთვის დაასვენეთ აპარატი, ასეთ დროს ტელეფონზე საუბარიც კი გეკრძალებათ;

ხმის ჩახლეჩის განმეორებისას დაუყოვნებლივ მიმართეთ სპეციალისტს მიზეზის დასადგენად და მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად.

განმეორებადი ხმის დაკარგვისას ან ჩახლეჩისას თავი არიდეთ ყოველგვარ თვითმკურნალობას, ტრადიციული სავლები პროცედურებით მხოლოდ ცხვირ-ხახას მისწვდებით, ხორხსა და სახმო იოგებს კი — ვერა, შინაური ინჰალაციებით მხოლოდ გაცივებას თუ დაამარცხებთ. გვერწმუნეთ, საკუთარი ძალებით ვერაფერს გააწყობთ, რადგან ამ მდგომარეობას სჭირდება კომპლექსური მკურნალობა ფიზიოპროცედურებით, სპეციალური გამორეცხვებით, ინიექციებითა და მკურნალობის სხვა მეთოდებით, რომელთა დანიშვნა და წარმართვაც მხოლოდ სპეციალისტის კომპეტენციაა.

**გვერდი მოამზადა**
**ზვიად ღონღაძემ.**

# `...da Rmer Tma Seqmna~ ... qar Tve l i qa l i...

**ქალები, ქალურობა და საერთოდ ქალის ფსიქოლოგია მუდმივი თემაა, მაგრამ ახლა ვისუბრებთ პრობლემაზე, რაც ესოდენ აქტუალურია უკვე არაერთი ათეული წელია და არც ისე სერიოზულად აღიქმება. კერძოდ, რატომ მოხდა, რომ ქართველი ქალი, რასაც ჰქვია ქალი — გაიხსნა და გამოჩნდა უცხოელ მამაკაცთან?**

ეს კითხვა არაერთგზის დაისვა და განიხილა მას მერე, რაც დაინგრა საბჭოთა კავშირი, გაიხსნა საზღვრები და ჩვენმა მანდილოსნებმა "კორდონს" იქით დაიწყეს გამგზავრება. გამგზავრებაცაა და გამგზავრებაც; ამ ყველაფერს მოჰყვა საკმაოდ სერიოზული ცვლილებები და გადატრიალებები ქართველი ქალის ფსიქიკასა და ცხოვრების წესში, მათ დაიწყეს სექსუალური ცხოვრება უცხოელ მამაკაცებთან, ბევრმა მალევე შექმნა ოჯახი, ბევრმა იქაური საყვარელი გაიჩინა, ბევრმა უბრალოდ, "მოიარა", ზოგმა აქაური ოჯახიც დატოვა და კიდევ რა ჩამოთვლის, რა არ ხდებოდა. 90-იანი წლების დასაწყისში სადღეგრძელოც კი გაჩნდა — „ყველა ქართველ ქალს გაუმარჯოს თურქეთში ნამყოფებს გარდაო" და ა. შ. მერე ამას მოჰყვა საბერძნეთი, იტალია, ერთი სიტყვით, ევროპა და განივრცო საზღვრები. ეს რაც შეეხება ბოლო ორ ათწლეულს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს პროცესი სსრკ-ის დანგრევის დროს არ დაწყებულა. როგორც ჰყვებიან, არც მანამდე იყო იშვიათი მსგავსი რამ. მოსკოვლენინგრადიდან ჩამოსულები ჰყვებოდნენ თუ როგორ "იშვებდნენ" ქართველი გოგონები და ქალები საბჭოეთის დიდ ქალაქებში ადგილობრივ მცხოვრებლებთან თუ ჩამოსულ ტურისტებთან. და იყო და არის ეს თემა განსჯა-განხილვის საგანი. „საზღვარგარეთ თავისუფლებაა, არავინ გიცნობს, დიდ მეგაპოლისებში არავის აინტერესებს, რა ცხოვრებით ცხოვრობ, რას აკეთებ, მიეცემოდნენ თავისუფალ ცხოვრებას, აბა, რა!"— ამბობდნენ ერთნი, "გაუჭირდა ხალხს, ფინანსურმა პრობლემებმა, ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ მიიყვანა აქამდე, აბა, შვილებს რომ მშიერს დატოვებ, ყველაფერზე წამსვლელი ხარ, ბევრი ასე შოულობს ფულს", — ამბობდნენ მეორენი. ძირითადად, ეს ორი მოსაზრება იყო ყველაზე მყარი დასაბუთება, მაგრამ არის კი ეს საკმარისი მიზეზი საიმისოდ, რომ აიხსნას ქართველი ქალის სექსუალურობა უცხოელ მამაკაცთან? არავითარ შემთხვევაში.

თავისუფალი, უცხო გარემო და მეორეს მხრივ, ფინანსური კრიზისი თავის როლს თამაშობს, მაგრამ იქნებ ქართველ კაცშიც არის პრობლემა? იქნებ ქართველმა ქალმა იმ უცხოელში ისეთი რამ ნახა, ჰპოვა, რამაც სულ დაავიწყა თავისი თანამემამულეები და მათ კაცებად საერთოდ აღარ აღიქვამს? ალბათ, ეს უნდა დასახელდეს უპირველეს მიზეზად და არა გარემო და სხვა რამ. ტრადიციები კი, ბატონო, მაგრამ ყველაფრისადმი ტრადიციული მიდგომა უკვე გადამლაშებაა და ბევრი უარყოფითი მხარე გააჩნია. ტრადიციული სექსი უკვე მარაზმად იქცა. ქართველი ქალი უნდა გათხოვილიყო აუცილებლად ქალიშვილი, ქმართან სექსში თავისუფალი არ უნდა ყოფილიყო, არ უნდა ჰქონოდა პრეტენზიები, როცა ინტიმი სრულ თავისუფლებას და უკომპლექსობას მოითხოვს. ქართველი კაცი თუ ამ თავისუფლებას იგრძნობდა, სულ სხვა აზრები უტრიალებდა თავში. დადებითად კი არ განეწყობოდა თავისი, თანამეცხედრის მიმართ, არამედ შეიძლებოდა სულაც გაჰქრობოდა ყველანაირი სექს-განწყობა და დაკითხვა დაეწყო — ეს საიდან იცი და ამას რატომ აკეთებო. აქედან გამომდინარე, ქართველ მამაკაცსაც ექმნებოდა პრობლემა, თავის მხრივ ისე, რომ ვერც აცნობიერებდა. გარბოდა უცხოტომელ ქალებთან და პირველ რიგში, არა იმიტომ, რომ მათზე ძალიან "ეცემოდა", უბრალოდ, უფრო გახსნილი იყო, თავისუფალი, ამასვე მოითხოვდა მისგან და რაც მთავარია, ყველაფერს პატიობდა და ღირსებად უთვლიდა. ქართველი ქალისთვის კი ამგვარი კომპლიმენტი უცხო იყო. წინა თაობებში უამრავ ქალს ნახავდით და ნახავთ, რომელთაც წარმოდგენა არ აქვთ, რა არის ორგაზმი, მათთვის უცხოა ინტიმური ლექსიკონი და თვლის, ქალი იმიტომაა, რომ დაალაგოს, გარეცხოს, სადილი მოამზადოს, დახვდეს ქმარს, რომელსაც შეიძლება სხვა ქალის სუნამოს სურნელი მოჰყვებოდეს, მაგრამ მოიფიქრებს რაიმეს, ოჯახი რომ არ დაენგრეს და მშვიდობიანად დამთავრდება ყველაფერი. და არ იცის, რომ უნდა იყოს ქალი, სექსუალური, მიმზიდველი, მომთხოვნი, ქალური ღირსებების მქონე, ეს მცნება ბევრი თაობისთვის უცხო იყო.



ბევრი ცუდი მოიტანა შეცვლილმა დრომ, მაგრამ ქართველ ქალს აუხილა თვალი, სამწუხაროდ, უცხოელი მამაკაცების დახმარებით. ეს, ალბათ, აუცილებელიც იყო იმისთვის, რომ ჩვენს კაცებსაც შეცვლოდათ მენტალიტეტი, თუმცა ეს პროცესი არც ისე სწრაფად მიდის, როგორც გვგონია, კომპლექსი და უცხოელებთან გახსნილობა დღემდე რჩება პრობლემად. ქართველი ქალების უმეტესობა ისევ და ისევ უცხოელთან ქორწინებაშია ბედნიერი, ქართველი კაცი კი ისევ უცხოელს პატიობს წარსულს, კიდევ ბევრ სხვა რამეს და სცემს პატივს. ამ პრობლემას საზოგადოებრივი დონის ამაღლება და ბევრი რაიმეს შესწავლა, ცოდნა უნდა. იქნებ ოდესმე მოგვარდეს ეს საკითხი, ქართველი ქალისა და მამაკაცისგან შედგეს ინტიმური წყვილი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ალბათ, ასეც მოხდება, ჯერჯერობით კი უბრალოდ, ვისაუბროთ ამ თემაზე.

**გ. რ.**

— მეკითხებით რატომ მოხდა ამგვარი რამ ჩვენთან და რატომაა ეს პრობლემა დღესაც 21-ე საუკუნეში აქტუალური? პირველ რიგში, გიპასუხებ, რომ ეს თავის დროზე ბევრ ქვეყანას დაემართა. აზიურ და მუსულმანურ ქვეყნებს რომ თავი დავანებოთ, რაღაც მსგავსი ევროპაშიც მოხდა, ამას თავის დროზე სექსუალური რევოლუცია დაერქვა.

რაც შეეხება ადგილობრივი კომპლექსებისგან განთავისუფლებას და უცხო მხარეში გახსნას, ანალოგიური დაემართათ მუსულმან ქალებს, როცა მათ ევროპაში ჩადრები მოიხსნეს, მოკლე კაბები ჩაიცვეს, პირველივე შემხვედრ მამაკაცს ლოგინში უწვებოდნენ.

**— ალბათ მათაც ანალოგიური პრობლემები ჰქონდათ თავიანთ თანამემამულე მამაკაცებთან, როგორც ჩვენს ქალებს . . .**

— არის ქვეყნები, საზოგადოებები, სადაც სერიოზული ზეწოლა ხდება პიროვნებებზე ოჯახის, ქვეყნის, რელიგიური პრინციპების მხრიდან. როცა ასეთი საზოგადოებიდან გამოსული ადამიანი უცბად თავისუფლდება მარწუხებისგან, ყველაფერზე წამსვლელია, მთავარია, მაქსიმალურად მიიღოს ის, რაც მანამდე აკლდა.



ევროპაში რომ ჩახვალთ, უმალვე გამოარჩევთ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩასულებს ადგილობრივებისგან ჩაცმულობით, მანერები. ადგილობრივები იცმევენ სადად, თავისუფლად, ჩასულები გამოდიან მოკლე კაბებით, გამომწვევი მაკიაჟით. რატომ? იმიტომ რომ სამშობლოში ვერ იცმევდა და ვერ ილებებოდა ისე, როგორც სურდა, ვერ იქცეოდა თავისუფლად და ა. შ. ამაში გარკვეული პროტესტიც გამოიხატება იმ ტრადიციის მიმართ, რის მიხედვითაც გაზარდეს. აადამიანი ამას ქვეცნობიერად ებრძვის. ქქალიც და კაციც, სხვათა შორის. ეეს ჩვეულებრივი გასავლელი პროცესია. ძველის ნგრევა ქვეცნობიერიდან იწყება. მაგალითად, მუსულმანური ქვეყნებიდან ჩასული ქალი ასეთი მანერებით და ჩაცმულობით ამბობს: „მთელი ცხოვრება დაჩაგრული ვიყავი, ჩადრით დავდიოდი და აი, სინამდვილეში რა მაგარი ვარ!" გავა დრო და მერე ეს მაგრობაც გადაივლის. ეს ხომ სინამდვილეში თავისუფლება არაა, თავისუფლება სხვა რამეა.

**— ამ ყველაფერს სხვა ნიუანსები ემატება, სხვისი რა მოგახსენოთ და ქართველი კაცის ხასიათიდან გამომდინარე, ქართველი ქალი არ უნდა ყოფილიყო სექსში თავისუფალი. (ალბათ, მიხვდებით რომ იგულისხმება ორალური და ანალური სექსი)**

— ჯერ ერთი, თუ ადამიანი გიყვარს, იქ ორგანიზმს მნიშვნელობა არ აქვს, სხეული ერთი მთლიანობაა, იმის იქით დანარჩენი კომპლექსია, ამისგან განთავისუფლება კი ჩვენი მენტალიტეტის ადამიანებისთვის ძალიან ძნელია, დამიჯერეთ. მე მაინც ეს ყველაფერი ინდივიდუალურ პრობლემად მიმაჩნია, პიროვნებები უნდა განვითარდნენ, ძლიერი უნდა იყო, ცხოვრება უნდა მიიღო ისეთად, როგორიც არის. ისევ ვიმეორებ: ჩვენ უკვე სხვებისგან გავლილ გზას გავდივართ, სამწუხაროდ არც ისე წარმატებულად, მაგრამ გავდივართ იმას, რაც, მაგალითად, ევროპამ უკვე გაიარა, დიდი ხანია განთავისუფლდა, ამერიკა უკვე გახრწნილებაში გადავიდა. ერთსქესიანი ქორწინების დაკანონება უკვე თავისუფლება აღარაა, ამას სხვა რამე ჰქვია. თავისუფლება გარყვნილებაში არ უნდა გადავიდეს.

**დ. კ.**

— ქართველი ქალი რომ უცხოელთან იხსნება, ამას არაერთი მიზეზი აქვს და ერთ-ერთი ის გახლავთ, რომ თვით მასშიც არის პრობლემა. ემიზეზთა შორის უპირველესად დავასახელებდი ჩვენს მენტალიტეტს, რამაც შექმნა ქალიშვილობის ინსტიტუტი. ეს არის სისულელე, ფარისევლობა, რაც ესოდენ გამჯდარი იყო ჩვენს ცნობიერებაში ამდენი ხნის მანძილზე და დამიჯერეთ, დღესაც აქტუალურია.

**— მე მგონი, დრომ ცოტათი შეცვალა სიტუაცია . . .**

— არც ისე რადიკალურად, როგორც გვგონია. მე მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელსაც ორი თუ სამი ათეული წლის წინ ჰქონდა ადგილი: წარმოიდგინეთ 30-35 წლის სიმპათიური ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც მოსწონს თავისი ასაკის ქალი და მისგანაც გრძნობს სიმპათიებს. ხვდებიან და საქმეზე საქმეზე როცა მიდგა, ანუ ინტიმის დრო რომ მოვიდა, განმარტოვდნენ საწოლ ოთახში, ქალი თანახმაა, მაგრამ უეცრად კატეგორიულად აცხადებს, რომ "იქ" არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, სხვაგან ყველგან.

ახლა რაც შეეხება კონკრეტულად უცხოელ მამაკაცთან გახსნილობას: ეს სავსებით ბუნებრივია. ქალიშვილობის ინსტიტუტზე უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ კიდევ უმთავრესი მიზეზი ამისა არის ის, რომ ჩვენში არ არის სექსუალური აღზრდა. ერთი შეხედვით ბევრ საუბრობენ ამაზე, მაგრამ არ არსებობს სექსუალური აღზრდის კულტურა. ტელევიზიით ათასგვარ საზიზღრობას უჩვენებენ, დღის საათებში ამდენ აღვირახსნილობას ევროპის ტელევიზიებში ვერ ნახავთ, მაგრამ სექსოლოგიაზე ნორმალურად დამლაპარაკებელი არავინაა.

**თამუნა ქადაგიძე**

## facebook
## xa l xis az r iT

რა ხდება, ხალხნო!!! დაიწყო მიშამ ტერიტორიების დარიგება?გარეჯიც გააჩუქეს ამ ურჯულოებმა?

მარტო ელექტრონული მთავრობა რა არის, ელექტრონული ოჯახიც გაასწორებს... ვთქვათ გინდა დედა აგინო სიდედრს ან .... (მე ეგ ბედნიერება არა მაქვს), დააჭერ ღილაკს, ამოხტება მოცულობითი სიდედრი, აგინებ, აფურთხებ და უცებ, დელეტე და ისე ქრება, პასუხსაც ვერ გცემს !!!!!!!!!

მინისტრებს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიგიქარავთ. დღეს აღმოვაჩინე, რომ 30 თუ 40 წარმომადგენელს აგზავნით ბრაზილიაში გარემოს დაცვის კონფერენციაზე დიდი სტენდის მოსაწყობად. ბიჭებს და გოგოებს ბრაზილიაში გასეირნება მოენატრათ. მოდით, საქართველოში გაისეირნეთ ცოტა მეტი ბიჭებო და გოგოებო. ხომ არ წარმოიდგინეთ, რომ მართლა ემირატების შემოსავლები გვაქვს ან უკვე სინგაპური გვაქვს? გარშემო წარმოუდგენელი გაჭირვებაა. საზოგადოების 20 % დღეში დაახლოებით, 2 დოლარზე ნაკლებად ცხოვრობს, თუ არ ჩავთვლით ჩვენს სოციალურ დახმარებას. რა დროს აქეთ-იქეთ სეირნობაა?

არჩევნების უმოწყალო გაყალბება დაუსჯელი აღარ დარჩება. 20 წელია აყალბებენ, ერთადერთი სამართლიანი და გაუყალბებელი არჩევნები კომუნისტებმა ჩაატარეს და მაშინ ზვიად გამსახურდიამ გაიმარჯვა. მას შემდეგ საქართველოში ყველა არჩევნები გაყალბებული იყო.

**ჯემალ დავლიანიძე**

### პოლიტიკოსები, მეფეები და ყბადაღებული დემოკრატია

# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

თუ მსოფლიო მმართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობის საქმიანობას, მათ ნახელავს, ნააზრევს, გეგმებს გადავხედავთ — სამწუხარო სურათს დავინახავთ: თითქმის ყველგან დემონური მმართველობაა!

კაცობრიობა დგას უდიდესი საფრთხის წინაშე და ეს საფრთხე დემონურია!

ისინი ერთმანეთთან საქმეებს არჩევენ და ქვეყნებს ერთმანეთს უპირისპირებენ ომებით, ცეცხლით, მახვილით!

საკმარისია ორი დემონური ქვეყნის ორმა დემონმა ერთმანეთში მოილაპარაკონ ან, ვითომც ვერ მოილაპარაკონ, რომ ორი სახელმწიფო ერთმანეთს ეტაკება და უბრალო, სრულიად უდანაშაულო ადამიანებისგან შემდგარი არმიები სისხლს აქცევენ.

ომის წამომწყებნი კი სიამტკბილობით განისვენებენ მყუდრო სასახლეებში, ცივი მზერით შესცქერიან ხოცვა-ჟლეტის მიმდინარეობას. დროდადრო გამოდიან ტელევიზიით და მოუწოდებენ მშობლიური მიწის დაცვისაკენ...

ბოლოს და ბოლოს, სრულდება კონფლიქტი და დემონები ზავდებიან, მორიგდებიან. მსოფლიოს თვალწინ მართავენ ცერემონიალს — ხელს აწერენ სამშვიდობო მოლაპარაკებას და ძმურადაც კი ეხვევიან ერთმანეთს.

ამის შემყურე, ომით დაღლილი ადამიანები კი სიხარულის ცრემლს ღვრიან და ტაშის გრიალით აჯილდოვებენ იმათ, ვინც გაამწარა, რადგან დიდი სიხარულის გამო, აღარ ახსოვთ, ომი რომ ამ პიროვნებებმა წამოიწყეს!

ამგვარია სქემა კაცობრიობის ძირითადი ცხოვრებისა... მსოფლიო ბორგავს! უამრავი ეროვნების მაჯის ფეთქვას განაგებენ პოლიტიკოსები, რომლებიც არასოდეს არ აკეთებენ ხალხის საქმეს, არ ეთანხმებიან ხალხის ნებას, თუმც მუდამ ხალხის სახელით სპეკულანტობენ!

მაინც, რა კატეგორიის ადამიანები მიილტვიან პოლიტიკური საქმიანობისკენ?

პოლიტიკოსები, თანამედროვე გაგებით, როგორც ჩანს, უბრალო, რიგითი ადამიანებისაგან საკმაოდ განსხვავებული ზნეობრიობით და სინდისიერებით ცხოვრობენ.

პოლიტიკოსთა კასტა, რომლებიც მეფეთა დინასტიების დამხობის შემდგომ გამოჩნდნენ არენაზე, უფრო ხშირად, ვერაგი, უნიჭო, გაიძვერა, ფარისეველი, უწიგნური, უზნეო ადამიანებისაგან შესდგება!

ისტორიულად, ამა თუ იმ ქვეყნის მეფენი, უმეტესად არისტოკრატიულ, ყოველმხრივ განათლებულ ოჯახებში იზრდებოდნენ... წინაპრები წინდაწინვე ზრუნავდნენ მომავალი პატრონისათვის ფართო ცოდნა-განათლება მიეცათ და ცხოვრებისეული გამოცდილებისათვის ეზიარებინათ!

ეს იყო წინათ, როცა ხალხი მეფეს ღვთის მოვლენილად თვლიდა და როცა თვით მეფეს ადამიანები მიაჩნდა შვილებად, მამებად, დედებად, ნათესავად — თავისი ოჯახის წევრად!

მერე მოვიდა დრო, - ადამიანთა გარკვეულმა, ავანტიურისტულმა ფენამ ხალხის თვალში მეფეთა კრიტიკა დაიწყო, რაც გადაზარდეს საყოველთაო არეულობაში ანუ რევოლუციებში! დედამიწის მრავალ ქვეყანაში საშინლად გაუსწორდნენ მეფეთა დინასტიებს, ზოგან პირწმინდად ამოწყვიტეს და მიიტაცეს ხელისუფლება, თუმც საშინელი ხოცვა-ჟლეტის, ტანჯვა-წამების მეტი არაფერი მოუტანიათ.

მათ თავისებური პროპაგანდა გააჩნდათ. აქცენტს ხალხზე და ხალხის ნებაზე აკეთებდნენ. ფარისევლურად ცდილობდნენ დაერწმუნებინათ, რომ ნებისმიერ ადამიანს: მეტყევეს, ფერმერს, მწველავს, მეღორეს, სანტექნიკს, სპორტსმენს, პედაგოგს, მძღოლს, მენაგვეს და ა.შ. შეეძლო კენჭი ეყარა არჩევნებზე, გამხდარიყო პრეზიდენტი და გაძღოლოდა ქვეყანას.

და, საიდუმლო ორდენთა მესვეურები კიდეც ახორციელებდნენ ამგვარ მოწოდებებს — გაიხედავდი და ყოფილი ფერმერი, მიიწევდა წინ, კარიერის კიბეზე, ხდებოდა დეპუტატი, კონგრესის წევრი... იყვნენ კინომსახ-



იობები, ყოფილი ჯარისკაცები, მეზღვაურები. ამას დაარქვეს დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე მიღწეული გამარჯვება! იმდენი ჰქნეს, რომ მსოფლიოში დემოკრატიის კულმინაცია რომ ეჩვენებინათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტად ფერადკანიანიც კი აირჩიეს.

აბა, ბიჭებო, დავცხოთ ტაში! ფეხზე ავუდგეთ დემოკრატიას... უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — ქედი მოვიხაროთ ამერიკული დემოკრატიის წინაშე, რადგან...

როცა სჭირდებათ, დემონები პრეზიდენტებსაც ხელის აუკანკალებლად ხოცავენ!

როცა სჭირდებათ — დემოკრატები ინდიელებს ანადგურებენ, ტყე-ღრეში ერეკებიან!

როცა სჭირდება ამერიკულ დემოკრატიას — იაპონიაში ატომურ ბომბებს ჰყრიან!

როცა დასჭირდათ — ერაყში ატომურ იარაღს აკეთებენო და საშინელი ომი წამოიწყეს, ქვეყნის პრეზიდენტისთვის, გენერალ სადამ ჰუსეინისათვის ტყვიაც, დახვრეტაც არ გაიმეტეს, სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეს!

როცა დასჭირდათ — ავღანეთში შეიჭრნენ და სულაც დაავიწყდათ ამგვარი ქმედების გამო, რუსეთს რომ აძაგებდნენ და ამუნათებდნენ!

ჰა? როგორია ბიჭებო ევროამერიკული დემოკრატია?

ანდა, რა საფუძვლები გახლდათ ყბადაღებული დემოკრატიისა ევროამერიკაში?

### პოლიტიკოსები და მსოფლიო ჯანყი

ხომ არ გადავხედოთ რამდენიმე ათეული წლის წინ გამოშვებულ მსოფლიო რუკებს, სადაც თითქმის მთელი მსოფლიო კოლონიალური გახლდათ?

დიდი ბრიტანეთი მწვანედ გამოიყურებოდა? ასეთივე ფერი იყო მსოფლიოს თითქმის მესამედი!

საფრანგეთი ვარდისფრად ღვიოდა — ამ ფერი გახლდათ უამრავი კუნძული თუ კონტინენტი...

რა დღეში გახლდათ ახალი ზელანდია, ავსტრალია, ინდოეთი, სამხრეთ ამერიკა, აფრიკა?

არის საჭირო ევროამერიკულ დემოკრატიაზე საუბარი?

ააა? დღეს უკვე სულ სხვანი არიან?

დღეს უკვე საბაზრო ეკონომიკა, მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი და გლობალური ძმობაა?

აი ასე, ძმებო, ელეთ-მელეთით, ზიგზაგებით, ჭრიჭინ-ჭრიჭინით, ოხვრა-კვნესით, სისხლის ქცევით მიგორავს მსოფლიო პოლიტიკური ურემი, რომლის კოფოზე საიდუმლო აგენტი, დემონთა წარმომადგენელი ზის!

ამიტომაა ქვეყანაზე გაუთავებელი უბედურება, სისხლი, გაჭირვება, ომი და დანაშაული!

არის საშველი?

სად არის გამოსავალი?

ხომ არ მოვა ერთი მშვენიერი (იქნებ არამშვენიერი?) დღე, მსოფლიოს მოსახლეობას ყელში ხომ არ ამოუვა ამდენი უბედურების მომტანი პოლიტიკოსები, ტოტალურად ხომ არ დაესევიან და პირწმინდად ხომ არ ამოწყვეტენ?

ეს როდის შეიძლება მოხდეს, არავინ იცის!

მოდით და აქ შევჩერდეთ, მაგრამ...

ხომ არ არის საამისო ნიშნები? ეს ტერორისტული ჯგუფები, ინდივიდები, კამიკაძეები, რაო, თავისით, უმიზეზოდ ჩნდებიან? ადამიანი ჩვეულებრივად იზრდება, მუშაობს, ცხოვრობს და უცბად, თავისით, უნებურად ალეძვრება თვითგვემა და ბომბების აფეთქება?

იქნებ საყოველთაო ნევროზია? იქნებ შიზოფრენიაა და გაფანტული სკლეროზია?

აჰა! აგრესიული ფსიქოზია?

თვითონ რომ ამბობენ — პოლიტიკოსთა მაფიის საწინააღმდეგო მოძრაობის წარმომადგენლები ვართო?

უჰ! ბოდიში! მე სულაც არ ვარ ტერორიზმის მომხრე. უკვე დამაჯერეთ, რომ ისინი უბრალოდ სისხლის მწყურვალი ადამიანები ყოფილან!

მაგრამ... მაინც ჩამესმის თავის მოსაკლავად განწირული ქალის კივილი: რატომ შემოუსიეს ჩემს ქვეყანას ჯარი? რატომ მომიკლეს შვილი და ქმარი? რატომ გააცამტვერეს ჩემი სამშობლო? რატომ ამოჟლიტეს მოსახლეობა? მერე რატომ მეხვევიან ძმურად? რატომ გვაცხადებენ უბედურების ზონად? რატომ გვეხმარებიან? რატომ აგზავნიან სხვადასხვა მისიას? რატომ გაიძახიან ჰუმანიტარული დახმარების შესახებ? რატომ მილოცავენ განთავისუფლებას ამდენი ჭირ-ვარამის შემდეგ? რატომ შემიცვალეს ხელისუფლება?

რატომ და რატომ?

ავდგეთ და ამ ქალის კითხვას, თვით მსოფლიოს ე.წ. წამყვანმა ქვეყნებმა უპასუხონ! მაგრამ... კითხვაა ასეთი: რამდენიმე ათეული წლის შემდგომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აბორგებული ხალხი ერთმანეთს რომ დაუკავშირდეს და ტოტალურად აჯანყდეს, მეორედ მოსვლა ხომ არ იქნება?

### რატომ შევარდნაძე და არა ზვიად გამსახურდია?

შევარდნაძე ბავშვობიდანვე ავთვისებიან სიმსივნედ მოევლინა ჩვენს ქვეყანას. იგი მსოფლიო კომუნისტად უპარტბილეთოდაც ითვლებოდა და პარტბილეთითაც.

ასე ამჯობინა მსოფლიო პოლიტიკოსთა მაფიამ, შევარდნაძეს ემართა საქართველო და არა ზვიად გამსახურდიას. ძალიან კი გაუჭირდათ და საწადელი ბოლომდე მაინც ვერ აისრულეს — საქართველოში ვერასგზით ვერ ამოძირკვეს ქრისტიანულ-ეროვნული სახელმწიფოს აშენების მომხრენი და მათ ზვიადისტები უწოდეს. „ზვიადისტი" სალანძღავ სიტყვად აქციეს. ევროამერიკის კომპიუტერულ ისტორიაში ზვიად გამსახურდია მოათავსეს, როგორც პროვინციული ფაშიზმის დამნერგავი.

მე ზვიად გამსახურდიას შესახებ მომიწევს საუბარი მხოლოდ იმიტომ, რომ შეუძლებელია მისი გვერდის აქცევა. საქართველოში ევროამერიკამ თავისი ჩანაფიქრი ისე ოსტატურად განახორციელა, რომ ყველაფერი რუსეთს დაბრალებოდა და თვითონ კი ჩრდილში დარჩენილიყო. რუსეთი ერთადერთი აგრესორის როლში გამოიყვანეს, თვითონ კი ათასი უბედურების შემდგომ, ვითომც მშველელებად მოგვევლინნენ.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ წინამდებარე წიგნში ზვიად გამსახურდიას ცხოვრების ქება-დიდებას სულაც არ ვაპირებ. მით უმეტეს, არც ადვოკატობას ვფიქრობ, მაგრამ... როცა საქართველოს ისტორიის იმ მონაკვეთზე ვსაუბრობთ, ევროამერიკამ საქართველოში შევარდნაძე რომ გამოგზავნა, როცა ეროვნული ხელისუფლება ცეცხლით და მახვილით დაამხეს, როცა ჩემი ხალხი ჯვარს აცვეს და მამული ჩემი დაანაწევრეს, ზვიად გამსახურდიას ვერაფრით მხარს ვერ ავუქცევ...

მთავარი კითხვა ამგვარია:

-რატომ ამჯობინა ევროამერიკამ კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს ყოფილი კომპარტიელი და გადამდგარი ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი და საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროს წევრი?!

მთელმა მსოფლიომ იცის თუ რა უბედურება მოჰყვა 1991-1992 წლის სამხედრო გადატრიალებას და მას შემდეგ, როგორ იტანჯება ქართველობა!

საქართველოს დღევანდელი დღე, ყოველი ეს ტანჯვა-წამება და ტერიტორიული დაქუცმაცება, სწორედ იმ დროიდან იწყება.

ამიტომ ვერავინ ვერ აუვლის გვერდს იმ დროის მოვლენებს და რაღა მე უნდა ვიყო გამონაკლისი?

### მართლმადიდებლური ქვეყნები უნდა დანაწევრდნენ...

დავიწყოთ იქიდან, რომ ევროამერიკას კავკასიაში სულაც არ ეპრიანებოდა ქრისტიანულ-ეროვნული საქართველოს არსებობა, რომელსაც თავის ყველა მეზობელთან და მათ შორის, რუსეთთანაც, კეთილმეზობლური ურთიერთობა ეწადა.

მთელმა მსოფლიომ იცის, ევროპამ და ამერიკამ რა შავ დღეში ჩააგდეს იუგოსლავია. ქვეყანა, რომელიც თაივის გზით მიდიოდა და არც არავისზე ნაკლებად არ ცხოვრობდა. შუაგულ ევროპაში მართლმადიდებლური იუგოსლავია ძილს უკარგავდა ბნელეთის ძალებს, იმდენი ილვაწეს, იმდენი იმუშავეს, რომ ხალხი ერთმანეთს წაჰკიდეს, სარწმუნოებრივი ომი გააჩაღეს, მერე გამშველებლად მოევლინნენ, ნატოს ჯარები გამოიყენეს და კოსოვოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

იუგოსლავია დღეს აღარ არსე-

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14-22

ბობს. სამაგიეროდ დანაწევრებულია ქრისტიანული ქვეყანა.

ევროამერიკამ ჩანაფიქრი აისრულა!

მერე უკვე კავკასია ამოიღეს მიზანში. სანამ ქართველები საბჭოთა კავშირიდან გამოყოფას ვცდილობდით, ამერიკაც და ევროპაც საქმით თუ არა, სიტყვით მაინც ჩვენსკენ გადმოიხარა!

არა, არა! რა თქმა უნდა, სულაც არ ეპიტნავებოდათ ზვიად გამსახურდიას ფრთის ხელისუფლებაში მოსვლა, საამისოდ დიდად გაისარჯნენ და ჩუმჩუმად საქართველოს იმდროინდელ პარლამენტში მოკალათებული კომპარტიის წევრებისკენაც კი დადგნენ, მაგრამ ამაოდ. დაინახეს, რომ ქვეყანა წელში გასწორდა. მრეწველობამ, სოფლის მეურნეობამ მუშაობა გააგრძელა და რაც მთავარია, ყოველივე ეს ეროვნული გამოღვიძების უდიდეს ფონზე წარიმართა!

ერთმანეთს დაკავშირებულმა ევროამერიკულმა ძალებმა დამოუკიდებელ საქართველოში იწყეს საკუთარი ემისრების გამოგზავნა. აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი, ნიქსონიც კი ესტუმრა ზვიად გამსახურდიას!

ძირითადად, მათ აინტერესებდათ, რა ტიპის სახელმწიფოს შექმნას აპირებდა მაშინდელი მართლაც ეროვნული ხელისუფლება!

როცა პასუხი არ ესიამოვნათ, რჩევა-დარიგებები დაუწყეს. მაინც, ხომ საინტერესოა, რაზე იქნებოდა საუბარი?



რა თქმა უნდა, ევროამერიკულ სივრცეში ყოფნაზე, ნატოში გაწევრიანებაზე, რუსეთთან და აღმოსავლეთის იმ ქვეყნებთან დაპირისპირებაზე, სადაც შემდგომ ამერიკამ ომები წამოიწყო!

ზვიად გამსახურდიას გაგონებაც კი არ სურდა — საქართველო რომელიმე ზესახელმწიფოს საბაზო ქვეყანა გამხდარიყო. მისი პასუხი ცალსახა იყო — მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან კეთილმეზობლური, კულტურული, ეკონომიკური ურთიერთობა!

პოლიტიკურ წინდახედულობასაც იჩენდა და სწორედაც იმის გამო, რუსეთს არ ეფიქრა — საქართველო ჩემთან მტრულად განწყობილ ქვეყანათა რიგში ჩადგაო, არ გამორიცხავდა გარკვეული ვადით „ესენგეშიც“ შესულიყო.

აქ მაშინვე ამუშავდა შევარდნაძის მიერ მართვადი ე.წ. მაშინდელი ოპოზიცია — ზვიად გამსახურდია მოღალატეობრივ გზას ადგას, კვლავ რუსეთის მფარველობაში აბრუნებს ქვეყანასო.

დაიწყო უსასრულო მიტინგები.

გამსახურდიამ თავი შეიკავა „სნგ“-ში შესვლაზე.

თუმც, მანამდე, იმდენს მიაღწია, რომ რუსეთის პრეზიდენტი ელცინი, დაითანხმა ყაზბეგში ჩამოსვლაზე... პირველ ხანებში, ზვიად გამსახურდიამ როგორღაც შეძლო ბორის ელცინის დარწმუნება, რომ რუსეთს ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, რითაც, რუსეთი, შეიძენდა მეგობარს, რომელიც მომავალში მრავალჯერ გამოადგებოდა და დასჭირდებოდა.

ზვიად გამსახურდიას ეს შორსმჭვრეტელური წინადადება ჭეშმარიტი რუსი ხალხისათვის გასაგები და სასარგებლო უნდა ყოფილიყო. ბორის ელცინი, ერთი შეხედვით, ყაზბეგიდან გახარებული, კმაყოფილი წავიდა. დამშვიდობებისას, კაცი ეჭვს ვერ შეიტანდა, რომ საქმე სხვაგვარად შებრუნდებოდა, მაგრამ თავი წამოჰყო რუსეთში თავშეფარებულმა ბნელეთის წარმომადგენლობამ! ამუშავდა ედუარდ შევარდნაძე! უფრო სწორად — აამუშავეს ედუარდ შევარდნაძე! სწორედაც არარუსულმა ე.წ. დიასპორებმა, ხელისუფლებაში მრავალი საუკუნის წინ ჩანერგილმა მსტოვართა შთამომავლებმა, რომლებიც თვით რუსეთისათვის დღესაც უკურნებელ სენად ქცეულან, უკუღმა ააბრუნეს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის ბედის ბორბალი!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# biZina ivaniSvili moagvarebs yvelafers, magram bevri barieris gadalaxva mouwevs...

***დღევანდელი ნომრის სტუმარი კვლავ უცნობი ნათელმხილველი გახლავთ, რომელიც თავის ვინაობას არ ასახელებს. გამომდინარე აქედან, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ შინაურები და ახლო მეგობრები თათულის ეძახიან.***

***მის შესახებ შემთხვევით შევიტყვე და განსაკუთრებით იმან დამაინტერესა, რომ მისი სიზმრები თუ ხილვები (როგორ დავარქვა, არ ვიცი, თვითონაც ასე ამბობს) ხშირად ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებზეც მიანიშნებს.***

***მიუხედავად ასეთი უნარისა, რეალურ ცხოვრებაში არ აქვს ხილვები და არც არასოდეს უმკითხავია, ყველაფერი თავისით ხდება, დანარჩენს თვითონ მოგვითხრობს:***

— არაფრით გამორჩეული არ გახლდით, არც ინტუიცია მქონია განსაკუთრებით გამახვილებული და არც მკითხაობის უნარი. უბრალოდ, ერთხელ მოხდა უცნაური რამ: 16 წლისა ვიყავი, ღამე იყო, ვიწექი, გვერდზე გადაბრუნებულს მიყვარს ძილი, უკვე ვთვლემდი, რომ უცბად ვიგრძენი ვიღაცამ მხარზე ხელი როგორ მომითათუნა, თავი წამოვწიე და ვხედავ თავზე მადგას შავებში ჩაცმული მაღალი ქალი, უფრო სწორედ მისი აღნაგობიდან გამომდინარე მივხვდი, რომ ქალი იყო, თორემ სახეს ვერ ვხედავდი, არც შემშინებია, რამდენიმე წამი იდგა ჩუმად, მერე გაბრუნდა და მომეჩვენა, რომ ვიღაცასთან, ლანდისმაგვართან ერთად გავიდა. მეორე დილით გავიგე, რომ ბებია გარდაცვლილიყო.

მოვყევი ჩემი ხილვა და ამიხსნეს, რომ ბებიას გარდაცვალება მინახავს და შავებში ჩაცმული ქალი კი მისი რომელიმე გარდაცვლილი ახლობელი ან ნათესავი იქნებოდაო, რომელმაც გაიყოლია, ანუ ის აჩრდილი ბებიას სული ყოფილა.



გაიარა ორმა წელმა. ამ ხნის განმავლობაში სხვა მნიშვნელოვანი ხილვა არ მქონია, მაგრამ ერთ დღეს თუ ღამეს, ზუსტად მახსოვს, 1986 წლის აპრილის დასაწყისი იყო. მეგობართან ვიყავი სტუმრად რაიონში. რა თქმა უნდა, კარგი დრო ვატარეთ, გვიან დავწექით დასაძინებლად, ისეთი დაღლილი ვიყავი, მეგონა, მკვდარივით ჩამეძინებოდა, ასეც მოხდა, მაგრამ გამთენიისას წყურვილმა გამაღვიძა, დავლიე წყალი, შევიბრუნე ძილი და ვხედავ: ვიმყოფები სადღაც პარკში, რომელსაც დიდი გალავანი ერტყა ერთი მხრიდან, ხალხი სეირნობდა, კარგი ამინდი იდგა, ცა მოწმენდილი იყო, ერთი ქულაც არ ჩანდა.

მაგრამ მოულოდნელად ჰორიზონტზე გამოჩნდა დიდი შავი ღრუბელი, რომელიც ნელ-ნელა ახლოვდებოდა და თანდათან შავკაბიანი ქალის ფორმას იღებდა. (ისევ შავებში ჩაცმული ქალი) რომ მოახლოვდა, მარჯვენა ხელი წინ შუბივით გაიშვირა, ხალხს შეეშინდა, შეიქნა არეულობა, ყველა გარბოდა და გამორბოდა, თავშესაფარს ეძებდნენ, მე დავიბენი, გალავანს მივეყრდენი და ბედს მივენდე, უცბად ვხედავ ტიპიური რუსული გარეგნობის ადამიანს, რომელსაც უცნაური ტანსაცმელი ეცვა, კოსტიუმზე რუკა ჰქონდა მოხატული, მასაც უნდოდა გაქცევა, მაგრამ წესიერად ფეხს ვერ ადგამდა, ბორძიკობდა. ქალის ფორმის ღრუბელი ძალიან მოახლოვდა და ზუსტად ამ კაცს დაადგა თავზე, წინ გაწვდილი მარჯვენა ხელიდან უეცრად ელვა გამოვარდა, რუს კაცს თავში მოხვდა და იმ საცოდავს თავი ჩაუდნა, დაიწყო დაპატარავება და უცბად გამეღვიძა კიდეც. ერთიანად ვკანკალებდი, ამ ხილვის გახსენებაც შიშის ზარს მცემდა. ახლობლებს მოვუყევი, ერთხმად მითხრეს, არც ამას ნახავდი ტყუილადო. გაიარა ერთმა, ორმა კვირამ, არაფერი მოხდა. უკვე მავიწყდებოდა კიდეც ეს საშინელება, მაგრამ გათენდა 26 აპრილი და მთელმა საბჭოთა კავშირმა შეიტყო ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შესახებ. ჩემს თაობას კარგად ახსოვს ის პერიოდი. ჯერ ზედაპირულად საუბრობდნენ ოფიციალური წყაროები ამაზე, მაგრამ ეს ისეთი მასშტაბის ავარია იყო, როდემდე დამალავდნენ, მსოფლიო გამოეხმაურა, მაშინ გაიჟღერა“ რეიგანის ცნობილმა ფრაზამ “ბოროტების იმპერია” და დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლა — აიხსნა ჩემი სიზმარი. შავი მრისხანე ღრუბელი მოსალოდნელ საშიშროებას მოასწავებდა, რუსი მამაკაცი რუკამიხატული კოსტიუმით საბჭოთა კავშირის სიმბოლო იყო, ელვა, რომელმაც ეს ადამიანი დაადნო — სსრკ-ს დაშლა.

გამსახურდია შევარდნაძემ რომ შეცვალა, მაშინ ვნახე სიზმარი: ვხედავ, ძალიან ცხად სიზმარს, დავდივარ რომელიღაცა ქალაქში, ლამაზ ქუჩებში, ყველაფერი თითქოს სადღესასწაულოდ არის მორთული, ხალხი სეირნობს. უეცბად შორიდან ისმის საშინელი ყვირილი: თავს უშველეთ! გაიქეცით! აირია ყველაფერი, ხალხი გაიქცა, შეიქმნა ქაოსი, მესმის ყვირილი, კივილი, ბავშვების ტირილი... ლამაზი სიზმარი კოშმარად იქცა; აგვისტოში აფხაზეთის ომი დაიწყო.

ვარდების რევოლუცია ახალი მომხდარი იყო, რომ ზედიზედ რამდენჯერმე ვნახე სიზმარში ქუჩაში ბევრი ხალხი და მძიმე ტექნიკა, მალევე დაიწყო ისევ მიტინგები და გამოსვლები. 2008 წლის მაისში კიდევ ვნახე თბილისის ქუჩები ჯარისკაცებით იყო სავსე, ალყა შემოგვარტყეს, ვითომ იმათი მეთაური ჩემთან ახლოს იდგა, დავუწყე ხვეწნა დაგვინდეთ-მეთქი. მაღალი, ხმელ-ხმელი, სამხედრო აღნაგობის კაცი იყო. მახსოვს, დავუჩოქე კიდეც. ხმა არ ამოუღია, მაგრამ სიზმარში რაღაც ტელეპატიური განცდა მაცნობებდა, რომ შინაგანად მეთანხმებოდა. აგვისტოში კი დაიწყო რუსეთთან ომი და მართლაც დადგა საკითხი ისე, რომ არ ვიცოდით, თავი მხრებზე შეგვრჩებოდა თუ არა.

ახლა რაც შეეხება ჩემს ბოლო ხილვას. ძალიან მღელვარე პერიოდია და უჩემოდ ხომ არ ჩაივლიდა? *(იცინის.)* არც მეტი-არც ნაკლები, ბიძინა ივანიშვილი ვნახე. მკაფიოდ მახსოვს: შევდივარ რაღაც დიდ შენობაში, შევედი თუ არა, აღმოვჩნდი დარბაზში, შუაგულში მაგიდა დგას და ამ მაგიდასთან ზის ივანიშვილი, გარშემო ხალხი მიდი-მოდის, ხმადაბლა ლაპარაკობენ, მაგრამ ყველას ყურადღება ჩუმად მისკენაა მიპყრობილი, ყველა და ყველაფერი შავ-თეთრ ფერებში იყო. ივანიშვილმა უცბად დიდი რაოდენობის ფული დადო მაგიდაზე და დაიწყო დათვლა, ითვლის, თან რაღაცას ნერვიულობს, უცბად ვხედავ, ამ ფულს წამლის ტაბლეტები შეერია, ეს ტაბლეტები გვერდით გადადო, თითქოს მისი სახის გამომეტყველება ამბობდა, მერე გამოვიყენებო და საქმე გააგრძელა, თითქოს რაღაცას ეჭვობდა და ნერვიულობდა. რადგან უკვე გამოცდილება დამიგროვდა და შემიძლია სიმბოლურად ავხსნა ჩემი ხილვები, გეტყვით, რომ მის საქმეს, ჯერჯერობით, დასტაბილურება არ ელოდება, პირიქით, შეიძლება პატარა არეულობასაც ჰქონდეს მის გარშემო ადგილი; ფულის თვლაში ხლაფორთი და სირთულეები გამოიხატება, ჭრელი საზოგადოება მის გარშემო ინტრიგას ნიშნავს, ტაბლეტების შერევა კიდევ იმას, რომ, შესაძლოა, ვინმემ მოტყუება სცადოს ან ცდომილებაში შეიყვანოს, მაგრამ რადგან არც ის ტაბლეტები არ გადაყარა, ეს ნიშნავს, რომ ამდაგვარ ხალხს და ასეთ მომენტებსაც მომავალში სათავისოდ შემოაბრუნებს და გამოიყენებს კიდეც. ანუ აქვს უნარი, მტერიც გამოიყენოს. მოაგვარებს ყველაფერს, მაგრამ ბევრი ბარიერის და ადამიანებისგან გაწბილების გადატანა მოუწევს.

**თამუნა ქადაგიძე**

## ევროზონის ეკონომიკაში 0-პროცენტიანი ზრდა ფიქსირდება

ოფიციალური მონაცემებით, ევროზონამ მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში 0-პროცენტიანი ზრდით, რეცესია თავიდან აიცილა.

ბიბისის ინფორმაციით, ეს, მეტწილად, გერმანიის ეკონომიკის 0.5-პროცენტიანი ზრდის დამსახურებაა.

2011 წლის ბოლო მეოთხედში ევროზონის ეკონომიკა 0.3 პროცენტით შემცირდა და ანალიტიკოსები შემცირებას კიდევ ვარაუდობდნენ.

საფრანგეთის ეკონომიკამ პირველ მეოთხედში 0-პროცენტიანი ზრდა დააფიქსირა, მაშინ როდესაც იტალიის ეკონომიკა 0.8 პროცენტით შემცირდა.



ევროსტატის მიხედვით, ესპანეთის ეკონომიკა 0.3 პროცენტით შემცირდა.

წინა წლის იმავე მეოთხედთან შედარებით, გერმანიის ეკონომიკამ 1.7-პროცენტიანი ზრდა განიცადა.

გერმანიის სტატისტიკის სააგენტოს მონაცემებით, აღნიშნული ზრდა ექსპორტის ზრდამ და მაღალმა შიდა მოხმარებამ განაპირობა.

ზრდასთან დაბრუნება ნიშნავს, რომ გერმანიამ თავიდან აიცილა ე.წ. ორმაგი რეცესია, რითიც გარკვეული ექსპერტების ვარაუდები გააქარწყლა.

„გერმანიამ დანარჩენ ქვეყნებზე უკეთ გაართვა თავი მდგომარეობას, თუმცა არ მგონია, რომ ამ სიჩქარით განაგრძობს პრობლემის დაძლევას”, - განაცხადა იორგ კრაემერმა.

გერმანიისგან განსხვავებით, საფრანგეთმა მოლოდინი არ გაამართლა და ზრდის მაჩვენებელი 0.2 პროცენტიდან 0.1 პროცენტამდე შემცირდა.

**„მედიანიუსი“**

## მოგზაურობა სამშობლოში

*სოფელ გვერძირეთში, იქ, სადაც მოზრდილი ციხე-კოშკია შემონახული, მდინარე ძამას მისი ერთ-ერთი სათავე-შენაკადი — სათიბისწყალი უერთდება. თავის მხრივ სათიბისწყალს ასევე დასავლეთიდნ ბნელეთისხევი მოერთვის. მთელ ამ გაყოლებაზე მდინარე ძამის ჩრდილოეთით, ყელეთის წყალგამყოფ სერსა და მტკვარს შორის, საკმაოდ ვრცელი ტერიტორიაა მოქცეული. იგი სოფელ დამჩხერალიდან იწყება და სამწევრისთან სრულდება. მართალია, XVII საუკუნიდან ეს მიწები საციციანოში შედიოდა, მაგრამ მკვეთრი ბუნებრივი საზღვრების გამო, უფრო ძველ დროში რომელიღაც მიკროქვეყანა ანუ ადმინისტრაციული ოლქი უნდა ყოფილიყო. ამის ირიბი დადასტურებაა 1526 წელს მომხდარი ამბავი: ქართლის მეფე ლუარსაბ პირველმა თავის სიმამრს — იმერეთის მეფე ბაგრატ მესამეს მტკვრის სამხრეთ სანაპიროზე ზუსტად ეს რაიონი გადასცა (ქართლმა იგი მალევე დაიბრუნა). ამ მიკროქვეყნის სახელი ვახუშტი ბატონიშვილისთვის უცნობია, ადგილობრივთაგან კი ზოგიერთი გვერდისძირად მოიხსენიებს. მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლში გვერდისძირად სხვა ტერიტორიაა ცნობილი (ლეხურისა და ლიახვის ხეობებს შორის არსებული მიწები), მეტი გამოსავალი არ გვაქვს — ამ მიკროქვეყანასაც იგივე სახელი უნდა შევურჩიოთ.*





# წოროს ცრემლები

## საციციანოს გვერდისძირი



ამ მხარეში ჩვენ ორი მოგზაურობის წინ „შეგვიცდა“ ფეხი, როცა სამწევრისიდან სანებელსა და ვედრებაში შევიარეთ. სანებლიდან თუ დასავლეთით გავაგრძელებთ გზას, სოფელ სუქითში მოვხვდებით, რომელიც ქარელისა და ხაშურის რაიონების საზღვარზეა. სოფლის ცენტრიდან 300 მეტრში, სასაფლაოზე დგას ნაეკლესიარი, რომელიც ადგილობრივების თქმით „სამება“ ყოფილა. ეკლესია თავის დროზე საკმაოდ მოზრდილი ყოფილა დარბაზული საყდრების პიროზე — მას სამი მხრიდან ჰქონია მინაშენები. ამიტომაც არის ჩრდილოეთ კედელში გაჭრილი კარი. ერთი ასეთი კარი საყდარს დასავლეთ მინაშენთანაც დააკავშირებდა, მაგრამ ახლა დასავლეთისა და სამხრეთის კედლები სრულიად დაქცეულია. **შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლები, რომლებიც ზოგად წარმოდგენას გვიქმნიან ტაძარზე. უხეშად, ზოგან კი სუფთად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით ნაგები ეკლესია (12X7 მ) IX საუკუნის ძეგლია.** ეს ის პერიოდია, როცა უმეფოდ დარჩენილ ქართლზე, რომელსაც დიდი და მცირე აზნაურები (ფეოდალები, ხევისთავები) განაგებდნენ, თვალი ეჭირათ დასავლეთ საქართველოს მეფეებს (გიორგი I, ბაგრატ II, კონსტანტინე III) და ხშირად ისაკუთრებდნენ კიდეც.

სუქითიდან დასავლეთით, სულ რაღაც 3 კილომეტრში, არის სოფელი წრომი და მისი დიდებული ტაძარი, მაგრამ ჩვენ იგი მოგზაურობის ბოლოსთვის შემოვინახეთ და გადაწვყვიტეთ შორიდან მოგვევლო. ამიტომ სამხრეთით გავწიეთ და დიდ ყელეთში ავედით.

ისტორიული საციციანოს სოფლების ერთი ნაწილი XIX-ს-ში ხელახლაა დასახლებული — ზოგან იმერეთიდან და ზოგან სამაჩაბლოდან მოსული ოჯახებია. ყელეთში, ჩემდა გასაკვირად, კახელებს შევხვდი, გასაკვირად იმიტომ, რომ ისინი იშვიათად და ისიც ძალდატანებით თუ აიყრებოდნენ ხოლმე ძველი მამულიდან. საქართველოს სხვა კუთხეში კომპაქტურად დასახლებულ კახელებს აქამდე მხოლოდ ჯავახეთში, სოფელ კოთელიაში შევხვედრივარ, და აი, ახლა ყელეთიც... ყელეთი ორია: დიდი (ზემო) და პატარა (ქვემო). სოფლებს ასეთი სახელი იმიტომ ჰქვიათ, რომ მტკვრისა და ძამის წყალგამყოფი ქედის იმ მონაკვეთში მდებარეობენ, სადაც მეზობელი ხეობიდან ვიწრო გზა მოემართება. დიდი ყელეთიდან, სახელდობრ **წვერსაყდრის** მიდამოებიდან, მშვენივრად მოჩანს ძამის (ზოვრეთის) ციხე და ხეობა. უფრო მეტიც, საცალფეხო ბილიკით აქედან პირდაპირ შეიძლება ორთუბანში დაშვება. სერის ჩრდილოეთ ფერდებს ყელეთელები და წრომელები თიბავენ, სამხრეთისას — ორთუბნელები, ზღუდრელები, ელბაქიანელები და გვერძინეთელები.

ბუნებრვია, მკითხველი ეკლესიის სახელწოდებიდან გამომდინარე (წვერსაყდარი წმინდა გიორგისა), იოლად მიხვდება, რომ ეკლესია მაღალ ადგილზეა. მას ქარშხლებისგან იქვე ამოსული უზარმაზარი რცხილა იცავს.

წვერსაყდარი მცირე დარბაზული საყდარია (7,7X5,4 მ) და ნაგებია თეთრი ქვიშაქვის უხეშად დამუშავე-



ბული მცირე ქვებით. კალატოზს წყობის თარაზულობა შეძლებისდაგვარად დაუცვია. გარდა იმისა, რომ საუცხოო ადგილზეა, ეკლესია რაიმე ხუროთმოძღვრული ნიშნით ყურადღებას არ იპყრობს.

აქედან ჩრდილო-დასავლეთით, 1,5 კმ-ში და სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით 1 კმ-ში, კიდევ ერთ გორაკზე, რომელსაც **ლალიჯვარს** უწოდებენ, გვიანი შუასაუკუნეების 3 ძეგლია შემონახული. ერთი მორღვეული კოშკია და ორიც ასეთსავე მდგომარეობაში მყოფი ეკლესია: **„წმინდა გიორგი“** და **„ღვთისმშობელი“**. ორივე ნაეკლესიარი დაახლოებით ერთნაირი ზომისაა. განსხვავება ისაა, რომ „ღვთისმშობელს“ სამხრეთიდან მიშენებული ჰქონია ორსართულიანი სამრეკლო, რომელიც იმავდროულად ეკლესიის კარიბჭის მოვალეობასაც ასრულებდა. გარდა ამისა „წმ. გიორგი“ თავიდან ბოლომდე ფლეთილი ქვიშაქვითაა ნაგები, „ღვთისმშობლის“ კედლებში კი დიდი ლოდები და აგურიც ურევია.

**წრომის ტაძარი: ფასადი სამხრეთიდან, კიბის უჯრედი, პატრონიკე და სტეფანოზის წარწერა**

ამ ეკლესიასთან დაკავშირებით სოფელში ასეთი რამ მიამბეს: ერთხელ, თურმე, რომელიღაც ქვედა სოფელში სტუმარი ბავშვი დაკარგულა. ახლომახლო სოფლებში რომ უშედეგოდ უძებნიათ, ერთ დედაბერს ურჩევია —ლალიჯვარში შესთხოვეთ ღვთისმშობელს და ის გიშველითო. მეორე დილით, თურმე, იქ ასულან სავედრებლად და უნახავთ, რომ გოგონას ღვთისმშობლის საკურთხეველში ეძინა! რამ ამოიყვანა 7 წლის ბავშვი ამ სიშორეზე ისე, რომ არავის უნახავს გზაზე, ვერ დაუდგენიათ. გოგონას მხოლოდ ის უთქვამს, რომ ნადირის ხმა გაუგია და შეშინებული ეკლესიაში შესულა.

... დიდი ყელეთის მერე პატარა ყელეთი ჩამოვიარეთ თუ არა, წინ წრომის დიდებული საყდარი დაგვიხვდა.

სახელი წრომი, შეიძლება წოროდან მომდინარეობდეს, რომელიც სულხან-საბას განმარტებით ერთ-ერთი ხის ჯიშია. მისი სრული ახსნა „სიტყვის კონის“ ორტომეულშია: **ქართლში, მთიულეთში და ხევში წორო (მწორო) ცირცელს ნიშნავს. მისი ნაყოფიც ხომ მწარეა, ანუ მწოროა... ერთი სიტყვით, წრომი, მგონი, წოროს კორომია (წორომი).**

წრომში ჯვარს აცვეს და ისრებით დაცხრილეს საქართველოს ეკლესიის პირველმოწამე რაჟდენი — ვახტანგ გორგასლის სპარსი მეულლის მამამძუძე, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო და უმტკიცესად იდგა რჯულზე.

რაჟდენის სისხლი და ცრემლი წოროს მარცვლებივით ეპკურა მიწას.

სავარაუდოა, რომ, სანამ ნიქოზის დიდ ტაძარში გადაასვენებდა ერთგული თანმებრძოლის ნეშტს, გორგასალს იგი მანამდე აქვე, წრომში აგებულ მცირე საყდარში უნდა დაეკრძალა.

ჩვენამდე მოაღწია ბერმონაზონ ნიკოლოზ თბილელის მიერ რაჟდენ პირველ მოწამისადმი მიძღვნილმა იამბიკომ:

**„მთიებ საჩინოდ, მნათობად**
**შიდა ქართლის**
**რაჟდენ დაუსვი ლამპარი**
**წრომს მოღუაწე.**
**გუერდ განლახრული,**
**ქრისტეს ესერების**
**თრევით მტუერსა განჰყრის,**
**მახუილს იმანიაკებს,**
**სიზმართა ჰსცუალებს**
**სუფევად საუკუნოდ“.**

საფიქრალია, რომ ახლანდელი დიდი ტაძარი 625-635 წლებში სწორედ V საუკუნის მცირე საყდრის ადგილზე ააგეს ქართლის ერის მთავარ სტეფანოზ II-ის ბრძანებით, იმ სტეფანოზისა, რომელმაც მანამდე მცხეთის ჯვრის აგება დაასრულა. ფიქრობენ, რომ ტაძრის სამხრეთ ფასადის მთავარ სარკმელთან არსებულ 3-სტრიქონიან დაქარაგმებულ ასომთავრულ წარწერაში ნახსენები სტეფანოზი სწორედ იგია. რაკი სიტყვა წარწერაზე ჩამოვარდა, ისიც უნდა ითქვას, რომ ტაძართან კიდევ ერთი, ოღონდ IX საუკუნის ორი წარწერა აღმოაჩინეს. ისინი ქვაჯვარზეა ამოკვეთილი. ერთი წარწერა საყდრის მამასახლისს ეკუთვნის **(„ესე ჯუარი ქრისტეისი. მე მამასახლისმან გრიგოლ ზედა ავმართე სალოცველოდ ჩუენდა, მოსახსენებელად სულისა კურთხეულისა მამისა ჩუენისა“)**, მეორე — ხელოსნებს **ათანასესა** და **იოვანეს**, რომელთაც ქვაჯვარი 3 აგვისტოს დაუდგამთ.

წრომის ტაძარი ზედმიწევნით არის შესწავლილი. ამიტომ სიტყვას ძალიან არ გავაგრძელებ და რამდენიმე წინადადებით შემოვიფარგლები:

წრომის „ამაღლება“ ქრონოლოგიურად შუაში უზის მცხეთის ჯვარსა და ატენის სიონს, ისიც მათსავით კვადრატში ჩახაზული ჯვარგუმბათოვანი ტაძარია, მაგრამ აქვს მინაშენები და ხსენებულ საყდრებზე საკმაოდ დიდია. პერანგი აქაც თლილი ქვიშაქვის კვადრებითაა ნაკერი, მაგრამ რელიეფური ქანდაკებები არა აქვს და თავიდან ბოლომდე სადაა. სანაცვლოდ ეს პერანგი, მეტადრე კი შიდა, ვირტუოზულია. ინტერიერში ტაძარს 3 გამორჩეული ღირსება აქვს:1) **საკურთხევლის კონქში შემორჩენილია საყდრის თანადროული (VII ს-ის I ნახევარი) მოზაიკური პანოს კვალი, რომლის ფრაგმენტები, ეროვნულ მუზეუმში ინახება. მოზაიკური პანო სხვადასხვა ფერის კენჭებით ქრისტეს დიდების სცენას გამოხატავდა და ქვემოდან ფოთლოვანი არშიით ყოფილა დასრულებული. 2) ეპოქალური მნიშვნელობისაა გუმბათის ყელის ოთხ დამოუკიდებელ სვეტზე აღმართვის პრინციპი. 3) მკვეთრ გამოხატულებას პოულობს მეორე სართული. უნდა ითქვას, რომ უმაღლესი იერარქიული კლასისთვის განკუთვნილი ასეთი მასშტაბური პატრონიკე და ხვეული ქვის კიბის უჯრედი მოაქჟამამდე არცერთ ქართულ ტაძარს არ ჰქონია. მას მხოლოდ ახლაღა აჯობა გრანდიოზულმა სამებამ.**

ვინ იცის, რამდენჯერ დაუნგრევია მტერსა თუ მიწისძვრას წრომის ტაძარი, რა მძიმე დღეები გადაუტანია! ამის სიმბოლოდ გამოიყურება აღმოსავლეთ ფასადზე დიდ ნიშებში შემორჩენილი ფოლადის ლესვის კვალი. დაღესტნელ მეკობრეთა შემოსევების დროს ქართველობა, თურმე, წრომის გალავანს აფარებდა თავს და ხმალსაც იქ ლესავდა...

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

**სუქითის და წვერმაღალას საყდრები**





ამ რვა წლის განმავლობაში ბათუმში ბევრი არაფერი შეცვლილა. ყველაფერი, რაც აქ კეთდება, კვლავ ერთი ადამიანის გემოვნებაზეა მორგებული. აჭარა და ბათუმი ისევე, როგორც აბაშიძის პერიოდში, ახლაც რჩება მმართველი პარტიის საარჩევნო ''ვოტჩინად''. არჩევნებისას, სავარაუდოდ, ზუსტად იგივე მეთოდებს გამოიყენებენ, მართალია, მცირე ვარიაციებით, მაგრამ მაინც.

ამ რამდენიმე თვის წინ ენთუზიასტთა ჯგუფმა ბათუმში პატარა სოციალური გამოკითხვა ჩაატარა. სოციალურ საკითხებზე მიძღვნილ გამოკითხვაში, კითხვაზე შეიცვალა თუ არა უკანასკნელი წლების განმავლობაში თქვენი და თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესობისაკენ? რესპონდენტთა 52,7%–მა უპასუხა – არა (ამათგან 22 %–მა განაცხადა, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა). მხოლოდ 22,3%–მა განაცხადა, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა (ამათგან 57%–მა განაცხადა, რომ გაუმჯობესდა მხოლოდ უმნიშვნელოდ). რესპონდენტთა 13 %–მა აშკარად თავი შეიკავა კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემისაგან, ხოლო 12%–ს გაუჭირდა მასზე პასუხის გაცემა.

დებული, ამ კომპანიებში, ფაქტობრივად არ მოქმედებს. ბათუმელების აზრით, ამ ყველაფრის ატანა გაცილებით ადვილი იქნებოდა, რომ არა ამ ''ინვესტორების'' ადგილობრივი მოსახლეობისადმი აგდებული დამოკიდებულება. ბათუმის ერთ–ერთ ცენტრალურ ქუჩაზე თურქმა ინვესტორმა შეისყიდა საკმაოდ დიდი ფართობი და ხსნის სასადილოს. რამდენიმე დღის უკან მისი ბრძანებით, რამდენიმე ადგილობრივ მაცხოვრებელს, რომლებსაც საკაბელო ტელევიზიის კაბელები ფასადის მხრიდან ჰქონდათ გამოყვანილი, მათდა დაუკითხავად, ინვესტორის ბრძანებით, გადაუჭრეს. დღემდე არავის შეუწუხებია თავი, რომ აღდგენოდათ საკაბელო მაუწყებლობა. თითქოს ეს არაფერიაო, მაგრამ, ნათქვამია, ''ზღვა კოვზით დაილიაო''.

პოლიტიკურად არც ისე სტაბილურია ბათუმი. აპოლიტიკური და სტუმართმოყვარე ბათუმელი, სავსებით შესაძლებელია, უახლოეს მომავალში ქსენოფობად იქცეს. ჯერ ერთი, აქ რამდენიმე პოლიტიკური მიმართულება უპირისპირდება ერთმანეთს: მართალია, მოსახლეობაში ჯერჯერობით პროდასავლური შეხედულებები უფრო სჭარბობს, მაგრამ იზრდება თურქო და რუსოფილური განწყობილებებიც. ამაზე ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტი

# baTumSi rostom-xani dabrunda



მართალია, დროისა და სახსრების უქონლობის გამო გამოიკითხა მხოლოდ 150 რესპონდენტი, მაგრამ ციფრები მაინც დამაფიქრებელია. რვა წელიწადი საკმარისია იმისათვის, რომ მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ნაწილი ცოტათი წელში გამართულიყო.

მართალია, ბათუმი ლამაზდება, მაგრამ რა ფასად? დასრულებული მრავალბინიანი სახლები წლობით დგას და მაცხოვრებლების შესახლებას ელოდებიან. ბათუმელი რამდენიმე მიზეზს მოიყვანს იმისა, თუ რატომ არ შედის ამ ახლადაშენებულ ბინებში. პირველი – ეს არის ბინების ფასი, ერთი კვადრატული მეტრი ახლადაშენებულ სახლში 450–დან 1500 დოლარის ფარგლებში მერყეობს. გააჩნია უბანს, სადაც ეს სახლია აშენებული. მეორე – ბათუმელების უმრავლესობა არ იღებს იპოთეკურ სესხებს იმის გამო, რომ არ არიან დარწმუნებულნი ხვალინდელ დღეში. მოვიტან მხოლოდ ერთ მაგალითს: ბათუმის პორტში, რომელიც აგერ უკვე რამდენიმე წელია ყაზახურ კომპანიას გადაეცა მმართველობაში, რამდენჯერმე მოხდა შემცირება და ეს შემცირება, ძირითადად, მუშა პერსონალს შეეხო. ასეთი მაგალითები მრავლად მოიპოვება. რაც შეეხება ბათუმში ჩადებულ ინვესტიციებსა და ინვესტორებს, ინვესტორთა ძირითად მასას ჩვენი მეზობელი თურქები შეადგენენ. ამასთან, საკმაოდ დიდი პრივილეგიებითაც სარგებლობენ. თურქულ კომპანიებში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეები პრაქტიკულად, კაბალურ ვითარებაში მუშაობენ. ჯერ ერთი სამსახურიდან დათხოვნა ყოველ მათგანზე დამოკლეს მახვილივითაა ჩამოკიდებული. მეორე, ანაზღაურება იმაზე გაცილებით დაბალია, ვიდრე იმავე პოზიციაზე მომუშავე თურქი მოქალაქისათვის. ამას გარდა, ქართული სახელმწიფოს მიერ დაკანონებული სადღესასწაულო დღეები, რომლებიც უქმე დღეებადაა გამოცხა-

მოქმედებს: თურქული, განსაკუთრებით საკვები და პირველადი მოხმარების პროდუქცია, გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე ანალოგიური ადგილობრივი წარმოების საქონელი. და საერთოდ, როგორც ჩანს, ბათუმი ყველაზე ძვირი ქალაქია საქართველოში და ეს ზაფხულის სეზონის დადგომასთან ერთად იგრძნობა. ყოველწლიურად ამ პერიოდისათვის საკვებ პროდუქტებზე ფასი მინიმუმ 20%–ით იმატებს. ეკონომისტები ამას ტურისტული სეზონის დაწყებას უკავშირებენ. მაგრამ სეზონის დასრულებისათვის ფასები მხოლოდ 10%–ით თუ იკლებს. ამაზე უკვე არავინ არაფერს არ ამბობს.

ძალიან ბევრი კითხვა დაუგროვდა ბათუმელებს, მაგრამ ერთი დღემდე პასუხგაუცემელია: რა ბედი ეწია საქართველოს საზღვაო სანაოსნოს 56 ხომალდს? არადა, თითოეულ მათგანს ყოველწლიურად სახელმწიფო ხაზინაში საშუალოდ 70 მლნ. აშშ.დოლარი შემოჰქონდა თავის დროზე. ეს კი, საერთო ჯამში, 4 მლრდ. დოლარამდე შეადგენდა. ამას გარდა, მეზღვაურებსაც დასაქმებასთან დაკავშირებით პრობლემები არ ექმნებოდათ. დღეს კი დღევანდელი პერიოდი თავის დროზე როსტომ ხანის მმართველობას მაგონებს: ერთის მხრივ, ამ ადამიანმა, თითქოსდა ქართლი ეკონომიკურად გააძლიერა. მაგრამ მეორეს მხრივ, ირანის შაჰის ყურმოჭრილი მონა იყო და მისი პოლიტიკის აქტიური გამტარებელი. ისლამის სარწმუნოებამიღებულმა ქართლის კათოლიკოსი მოაკვლევინა. ყველგან და ყველაფერში შეთქმულებას ხედავდა.

დღევანდელობა ბევრით არ განსხვავდება იმ პერიოდისაგან. დღესაც სხვის დაკრულზე ვცეკვავთ და თანაც უნიჭოდ.

**ზაზა პატარავა,**

**სპეცილურად ,,საერთო გაზეთისთვის.**

**ბათუმი.**

# erTaderTi alternatiuli Zala, romelic xelisuflebas daupirispirdeba `qarTuli ocnebaa~

15 მაისს, პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო კანონპროექტი კონსტიტუციის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის შეცვლის თაობაზე, რაც საპარლამენტო ასაკის 25-დან 21 წლამდე დაყვანას ითვალისწინებს. შეხვედრაზე განსაკუთრებით ''ქართული ოცნების'' წარმომადგენლები აქტიურობდნენ. მათი მოწონება კანონპროექტის ვერც მეორე პუნქტმა დაიმსახურა, რომელიც საქართველოში ევროკავშირის მოქალაქისათვის პოლიტიკური აქტივობის უფლების მინიჭებას ითვალისწინებს. ამ და სხვა თემებზე ''საერთო გაზეთს'' ქუთაისში კოალიცია ,,ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ესაუბრნენ.

**ომარ ნიშნიანიძე, პროფესორი, ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ქუთაისის წარმომადგენელი**

-შეხვედრაზე, განხილვის თემა საკონსტიტუციო ცვლილებები იყო. უარყოფითი პოზიცია დავაფიქსირეთ. პირველ რიგში, მიზანშეუწონელად მიმაჩნია კონსტიტუციის ასე ხელაღებით შეცვლა, თუნდაც ეს ბიძინა ივანიშვილის გამო ხდებოდეს. გაუგებარია, რატომ უნდა შეცვალო ქვეყნის მთავარი კანონი და ამ ფორმით მისცე მას პოლიტიკურ სივრცეში შემოსვლის საშუალება, როდესაც მარტივად, მოქალაქეობის აღდგენით, შეიძლება ამის გაკეთება. სამწუხაროდ, ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება. არ უნდოდათ, რომ ივანიშვილისთვის მოქალაქეობა მიეცათ და თამაშში ''ქრისტიან-დემოკრატები'' შემოიყვანეს. ეჭვიც არ მეპარება, რომ ''ქრისტიან-დემოკრატები'' და ხელისუფლება ერთ თამაშს თამაშობენ. რაც შეეხება მეორე საკითხს, საპარლამენტო ასაკის 21 წლამდე დაწევას,მე ამის წინააღმდეგი ვარ, რადგან 21 წლის ახალგაზრდა, ჩვენს ქვეყანაში, მითუმეტეს, პოლიტიკურად მოუმწიფებელია. დღეს ერთი ადამიანის ხელშია ხელისუფლების სამივე შტო – აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო. ამ კანონპროექტის ინიციატორები პოლიტიკურ სპეკულაციას ეწევიან, ჩვენ გვეუბნებიან, რომ თქვენ არ გინდათ რომ ახალგაზრდები ჩავრთოთ საქვეყნო საქმეში, ჩვენ ახალგაზრდებისათვის ვაშენებთ ამ ქვეყანას, ჩვენ წინ მიგვყავს ეს ქვეყანა და თქვენ უკან ექაჩებითო და ა.შ. მათ სხვა არგუმენტაცია არ აქვთ. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში საპარლამენტო ასაკი შეიძლება მართლაც დაბალი იყოს, მაგრამ იქ პოლიტიკური დონეა მაღალი, მოსახლეობაც უფრო გათვითცნობიერებულია.



**-რამდენად აქტიურად მუშაობს ქუთაისში თქვენი პარტია?**

-ქუთაისში ჩვენი პარტიის სახეს წარმოადგენენ ქალაქისათვის ცნობილი და დამსახურებული ადამიანები მანანა მიქაძე პროფესორი, წერეთლის უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომელი, გია ქობალიანი წერეთლის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის ყოფილი დეკანი, მანუჩარ ახვლედიანი ისტორიკოსი, მერაბ დანელია. უამრავი მსურველი მოდის, ჩვენს პარტიაში გასაწევრიანებლად. სულ მალე მასიურად შემოგვიერთდებიან. ამ მომენტისათვის ერთადერთი ალტერნატიული ძალა, რომელსაც შეუძლია რომ ხელისუფლებას დაუპირისპირდეს არის 'ქართული ოცნება''. ეს იცის ხელისუფლებამაც და ამიტომაც არ უნდა, რომ პოლიტიკურ სივრცეში შემოიყვანოს ივანიშვილი და ყოველმხრივ აფერხებს მას. ნორმალური არჩევნების პირობებში გარწმუნებთ ივანიშვილი გაიმარჯვებს. მაგრამ ხელისუფლება ემზადება რადიკალური ზომებისათვის...

**-რა გაძლევთ არჩევნებში გამარჯვების იმედს? ჩვენ ბევრი მსგავსი განცხადება მოვისმინეთ წინა წლებში...**

- მაშინ მასიურად გააყალბეს არჩევნები. გარდა ამისა, მაშინ არ არსებობდა ძალა, რომელიც ამას დაუპირისპირდებოდა. ოპოზიცია დაქსაქსული იყო და ხელისუფლება ახერხებდა მათ ერთმანეთისათვის გადაკიდებას, საბოლოო ჯამში კი გამარჯვებული თვითონ რჩებოდა. დღეს ივანიშვილი თავისი რესურსებით, თუნდაც ფულადი რესურსებით შეძლებს ამას. თუმცა ის ფულს არ ფანტავს, განსხვავებით პატარკაციშვილისაგან, ის ძალიან მომჭირნეა, როგორც მე შევატყვე. მას აქვს შესაძლებლობა, პოლიტიკური წონა, დასავლეთის მხარდაჭერა და ქვეყნის შიგნითაც მას მხარს უჭერენ. მე ასე ვფიქრობ, რომ ივანიშვილი თანდათან აწევს პოლიტიკურ ტემპერატურას, ის არ ხარჯავს ყველა რესურს ერთდროულად, ნელნელა მიდის მიზნისაკენ.



როდესაც ივანიშვილი დადებს პარტიის პროგრამას, მას ხალხი უკვე მასიურად დაუჭერს მხარს.

***ნატო ქათამაძე ,,რესპუბლიკური პარტიის“ ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, კოალიცია ''ქართული ოცნების'' წევრი***

-შეხვედრა ეხებოდა საკონსტოტუციო ცვლილებების პროექტს. უნდა ყოფილიყო კითხვა-პასუხის რეჟიმი, მაგრამ იყო კითხვები და არა პასუხები. თითქოს ჩვენ უნდა მოგვწონდეს ის, რომ ამ ცვლილებით მაინც მიეცემა ბიძინა ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება, მაგრამ ჩვენ სხვა საშიშროებას ვხედავთ,რასაც კონსტიტუციის ერთი კაცისათვის შეცვლა წარმოადგენს. ფაქტობრივად, სასაცილო მდგომარეობაში იგდებს მთავრობა თავს, მე არ მეგულება არც ერთი ცივილური ქვეყანა და ვერც მათ დამისახელეს, სადაც უცხო ქვეყნის მოქალაქე იყოს პრეზიდენტი ან პარლამენტის თავმჯდომარე. ბუნებრივია, ასეთ პოსტზე მყოფმა პირმა უნდა იზრუნოს ქვეყნის ინტერესებსა და უსაფრთხოებაზე. როცა ის სხვა ქვეყანასთან ანგარიშვალდებული პირი იქნება, ეს დიდ უხერხულობას გამოიწვევს. ისინი ამბობენ, რომ ჩვენ ევროკავშირი იმიტომ ავირჩიეთ, რომ გვინდა მისი წევრობა, დალოცვილო, ჯერ გახდი ევროკავშირის წევრი ქვეყანა და შემდეგ ილაპარაკე ამ ცვლილებებზე.

რაც შეეხება ასაკს, ძალიან მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში ის, რომ საქართველოში არის 12 წლიანი სწავლება და სკოლას 18 -19 წლისანი ამთავრებენ. ბუნებრივია, 21 წლის ახალგაზრდებს, მესამე, მეოთხე კურსელებს, არ შეიძლება ჰქონდეთ საკმარისი კომპეტენცია, რომ კანონებზე იმუშაონ. გამოცდილება აუცილებელია, მარტო ,,პატრიოტიზმი“ არ შველის საქმეს, მითუმეტეს საკანონმდებლო ორგანოში. მან უნდა იცოდეს, რა ხდება ქვეყანაში და არ იყოს რომელიმე პოლიტიკური ძალის რუპორი.

**ირინა მაკარიძე**

**სპეცილურად ,,საერთო გაზეთისთვის.**

**ქუთაისი**







## თავსატეხი

ვერტიკალურად: ავალო, ბაჭია, გოშია, ელიტა, ეკზი, ვიური, ზუშბა, იამბი, ისაკი, კიდერ, ნანტა, ოდისი, პითია, ტიბრი, ჩალმა, ცვარი, წყრია, ჩვილა.

ჰორიზონტალურად: ავალა, ანერია, აქცია, ასიდლა, ბუღეტა, ეცრიძე, თაოხილე, იურთი, ლინკე, მაკნე, ქესტა, ფანტა, რეზზი, ქვიბი, ლაობი, ყალბი, შოშია, წუმბე, ჯარგია, პინდი.

## სამიდან ერთი

ვერტიკალურად: 1. კოლოფი, კვიცი, კარიტა. 2. სილაცი, სკიპრი, სულელი. 3. ნოკიბა, ბელონი, ზარანი. 4. ქუსლი, ხიზკი, ტოლმა. 5. ზარბა, რიგზი, კორტი. 6. მუსლი, პოსტა, შარია. 11. სტასელი, რეკლამა, კონდისა. 12. ტყე მალი, პროტონი, პლანერი. 13. ზედაშე, კაზუსი, პაპუტი. 14. სურამი, ტუტუცი, მონეტა. 15. ტარიფი, რიტორი, ფურელა. 16. ნოქარი, ძუძრი, ნიკალა.

ჰორიზონტალურად: 3. მინარეთი, ნიშარეში, ჭალადიდი. 7. ვასიკი, სოფელი, დონარი. 8. ფედერტონი, კანავარი, სოლოველი. 9. მურანი, ვილელა, ვიოლა. 10. ბარბოვა, ხაირიტი, კოსმოსი. 13. ჭედილა, ფილადი, კამერა. 17. სკარეტი, სარქელი, პასტელი. 18. ზაზუნა, ზენიტი, ზეფირი. 19. ტროპიკი, კრაზანა, კარცერი. 20. სიტარა, სუფლეტი, საღარი. 21. კრამერი, პლუზერი, პლატინა.

## შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 18 | ■ | 10 | ■ | 11 | 5 | 16 | 5 | 30 | 7 | 5 |
| 27 | 7 | 1 | 6 | 3 | 21 | ■ | 28 | ■ | 21 | ■ | 24 |
| ■ | 8 | ■ | 11 | ■ | 12 | 5 | 14 | 12 | 7 | 1 | 5 |
| 33 | 28 | 4 | 6 | 13 | 6 | ■ | 2 | ■ | 12 | ■ | 9 |
| ■ | 30 | ■ | 29 | ■ | 2 | 28 | 7 | 9 | 28 | 30 | 7 |
| 22 | 7 | 8 | 28 | 4 | 7 | ■ | 4 | ■ | 30 | ■ | ■ |
| 16 | ■ | 6 | ■ | 21 | ■ | 20 | 7 | 20 | 7 | 9 | 7 |
| 9 | 7 | 25 | 5 | 30 | 5 | ■ | ■ | 5 | ■ | ■ | 26 |
| 28 | ■ | 28 | ■ | 13 | ■ | 31 | 6 | 17 | 28 | 30 | 7 |
| 19 | 5 | 30 | 19 | 7 | ■ | 7 | ■ | 6 | ■ | ■ | 13 |
| 7 | ■ | 7 | ■ | ■ | ■ | 6 | ■ | 30 | 5 | 32 | 5 |
| ■ | 23 | ■ | 3 | 16 | 6 | 9 | 10 | 6 | ■ | 16 | ■ |
| 33 | 28 | 19 | 5 | ■ | ■ | 13 | ■ | ■ | ■ | 5 | ■ |
| ■ | 4 | ■ | 4 | ■ | 2 | 5 | 30 | 13 | 5 | 4 | 7 |
| 2 | 28 | 30 | 7 | 5 | ■ | 7 | ■ | ■ | ■ | 6 | ■ |

| | |
|---|---|
| ა-5 | ს |
| ბ | ტ |
| გ | უ 6 |
| დ | ფ |
| ე-28 | ქ |
| ვ | ღ |
| ზ | ყ |
| თ | შ-18 |
| ი 7 | ჩ |
| კ | ც |
| ლ | ძ |
| მ | წ |
| ნ | ჭ |
| ო-21 | ხ |
| პ | ჯ-24 |
| ჟ | ჰ |
| რ 30 | |

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ვმუშაობ კერძო დაწესებულებაში. შვებულებით უკვე ვისარგებლე, მაგრამ, ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, მსურს ვისარგებლო უფასო შვებულებით. დღევანდელი კანონმდებლობით ეს შეიძლება?**

— შეიძლება.

— დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით წელიწადში 15 კალენდარულ დღემდე.

ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას თქვენ გაკისრიათ ვალდებულება, 2 კვირით ადრე გააფრთხილოთ დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

* * *

**— ვმუშაობ კერძო ფირმაში. ვარ ფეხმძიმედ! მეკუთვნის თუ არა შვებულება?**

— რა თქმა უნდა, გეკუთვნით.

ორსულობისა და ბავშვის მოვლის პერიოდში ქალი სარგებლობს დამატებითი უფლებებით.

დასაქმებულ ქალს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო — 477 კალენდარული დღის ოდენობით. კანონმდებლობით მიხედვით, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადია 126 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში — 140 კალენდარული დღე. შვებულება დასაქმებულს თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია, გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე.

ხშირ შემთხვევაში, ბავშვის მოვლა დამატებით ყურადღებას და დროს მოითხოვს. ამასთან, გასათვალისწინებელია დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო.

ქალს, თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო — 12 კვირის ოდენობით. აღნიშნული შვებულება ეძლევა მანამდე, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელიწადში არანაკლებ 2 კვირისა. აღნიშნული წესი ვრცელდება თქვენზე, მიუხედავად დაწესებულების ხასიათისა და ტიპისა.

* * *

**— დარეგისტრირებული ვარ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ვიღებ საარსებო შემწეობას. შეგაქვს სარჩელი სასამართლოში. მექნება თუ არა შეღავათები სახელმწიფო ბაჟის გადახდისას.**

— რადგან თქვენ რეგისტრირებული ხართ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ღებულობთ საარსებო შემწეობით, სასამართლოში სარჩელის შეტანისას მთლიანად თავისუფლდებით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამასთან, აუცილებლად უნდა დაურთოთ სარჩელის შესაბამისი ცნობა.

* * *

**— შემიძლია თუ არა განქორწინების შემდეგ დავიტოვო მეუღლის გვარი?**

— შეგიძლიათ.

განქორწინებისას მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა დაქორწინების დროს, უფლება აქვს, განქორწინების შემდეგაც დაიტოვოს იგივე გვარი, ან დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი.

* * *

**— განქორწინებას ვაკეთებთ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში. უნდა გადავიხადოთ თუ არა სახელმწიფო ბაჟი?**

— თქვენ გადაიხდით მომსახურების საფასურს 45 ლარის ოდენობით.

* * *

**— მამაჩემი ბრმაა. მას სურს ანდერძის შედგენა. როგორ მოხდება ეს?**



— ანდერძი აუცილებლად ნოტარიუსთან უნდა შედგეს სამი მოწმის თანდასწრებით, რის შესახებაც უნდა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი, რომელიც წაეკითხება მოანდერძეს. ამ დროს არ შეიძლება, ანდერძის ჩამწერიც და მისი წამკითხველიც ერთი და იგივე პირი იყოს. ჩანაწერში უნდა მიეთითოს, ვინ გააკეთა ჩანაწერი და ვინ წაუკითხა მოანდერძეს. ჩანაწერს ხელი უნდა მოაწერონ მოწმეებმა და დაადასტუროს ნოტარიუსმა.

* * *

**— მამაჩემმა ქონება ანდერძით ჩვენს დედინაცვალს დაუტოვა. გვეკუთვნის თუ არა ჩვენ, მის შვილებს ამ ქონებიდან წილი?**

— გეკუთვნით სავალდებულო წილი. დაგიკონკრეტებთ:

ანდერძის არსებობის შემთხვევაში, ქონებას იღებენ უშუალოდ ის პირები, რომლებიც მოხსენიებულნი არიან ანდერძში (თქვენს შემთხვევაში, დედინაცვალი) და მემკვიდრეთა კანონით დადგენილი რიგითობა მხედველობაში აღარ მიიღება. მაგრამ არსებობს მხედველობაში აღარ მიიღება. მაგრამ არსებობს გამონაკლისის. კერძოდ: თუნდაც არსებობდეს ანდერძი და თუნდაც მის შესაბამისად მამკვიდრებლის (მამათქვენის) ქონება მთლიანად გარეშე პირზე ან პირებზე იყოს განაწილებული, I რიგის მემკვიდრეები, ანუ მამკვიდრებლის მეუღლე, შვილი და მშობლები, მაინც იღებენ გარკვეულ წილს ქონებიდან, რასაც ეწოდება სავალდებულო წილი. სავალდებულო წილის ოდენობაა იმ წილის ნახევარი, რასაც მემკვიდრე მიიღებდა, ანდერძი რომ არ ყოფილიყო დატოვებული მამკვიდრებლის მიერ.

* * *

**— არის თუ არა მემკვიდრე ქორწინების გარეშე შობილი ბავშვი?**

— ქორწინების გარეშე შობილი ბავშვი არის მემკვიდრე, თუ მამობა აღიარებულია ნებაყოფლობით ან დადგენილია სასამართლო წესით.

* * *

**— ჩემმა მშობლებმა ჩემს დაბადებამდე იშვილეს გოგონა. შემდეგ მე დავიბადე. ნაშვილები გოგონა გათხოვდა. მე, როგორც ვაჟი, ოჯახში დავრჩი და მყავს ცოლშვილი. ჩემი მშობლები გარდაიცვალნენ. მემკვიდრეობის მიღებისას მე, როგორც ჩემი მშობლების ბიოლოგიურ შვილს, მაქვს თუ არა უპირატესობა ნაშვილებთან შედარებით?**

— არა.

ნაშვილები გოგონა თქვენი შვილების ისეთივე კანონიერი მემკვიდრეა, როგორც თქვენ. ის მიიღებს ქონებას თქვენი წილის შესაბამისად.

* * *

**— არ ვარ საქართველოს მოქალაქე, მაგრამ უკანასკნელი 12 წლის მანძილზე კანონიერად ვიმყოფები საქართველოს ტერიტორიაზე. შემისრულდა საპენსიო ასაკი. მაქვს თუ არა უფლება, მოვითხოვო სახელმწიფო პენსიის დანიშვნა?**

— გაქვთ ამის უფლება.

დაგიკონკრეტებთ:

პენსიის მიღების უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს. მას ვინც არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან, საერთოდ არ გააჩნია არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა, მაგრამ განცხადების შეტანამდე, ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება კანონიერად, გააჩნია პენსიის მიღების უფლება.

* * *

**— შეიძლება თუ არა არასრულწლოვანს სასჯელის სახით დაენიშნოს ჯარიმა?**

— შეიძლება. ასეთს ითვალისწინებს სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

დაგიკონკრეტებთ:

— თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.

dasasruli. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #20–22

დაინახა რა, რომ თვითმფრინავი კვლავ თბილისში დაფრინდა, ყველაზე ახალგაზრდა ტერორისტმა ჩათვალა, რომ ყველაფერი ჩაიშალა და აღელვებულმა თავი მოიკლა.

ფაქტები არასახარბიელო იყო: ეკიპაჟის ორი წევრი და მგზავრი დაჭრილი იყვნენ, დაღუპული იყო სტიუარდესა და ძმები პირველიდან (ივერიელი-ლეკიშვილი) ერთი, კობიძემ თავი მოიკლა, მეორე ძმა პირველი (ივერიელი-ლეკიშვილი) დაჭრილი იყო.

თვითმფრინავის გაჩერებისთანავე ეკიპაჟმა იგი დატოვა:. კაბინაში დარჩა დაღუპული მექანიკოსი და კისერში დაჭრილი საფრენოსნო-შტურმანთა განყოფილების უფროსის მოადგილე. ამ დაჭრილის ევაკუაცია შექმნილ ვითარებაში, უბრალოდ, დარჩათ, რა და რამდენი წაიღეს თან თვითმფრინავში?!“ ჩვენ არ ვიცოდით ზუსტად, რა იარაღით იყვნენ აღჭურვილი დამნაშავეები, რაც ვიცოდით, მხოლოდ ეკიპაჟის წევრებისგან ვიცოდით, მათ კი ცოტა რამ იცოდნენ. ჩვენი ჩამოსვლაც საიდუმლოდ არ დარჩენილა. სპეციალური მოსასმენი




# `alfa~ TbilisSi mifrinavs~

შეუძლებელი იყო.

მგზავრების მიმართ ანგარიშსწორების მუქარით, დამნაშავეები მოითხოვდნენ თვითმფრინავის საზღვარგარეთ გაფრენას.

ასეთი იყო ვითარება აეროპორტში, თბილისში ჩვენი ჯგუფის ჩამოფრენის დროს.

ვიმყოფებოდი რა მუდმივად მეთაურის გვერდით, საშუალება მქონდა დაუყოვნებლივ გავცნობოდი ყველა ინფორმაციას, რაც შტაბში შემოდიოდა. ეს ინფორმაცია განსაკუთრებული ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლეოდა.

დამნაშავეთა პიროვნებები უკვე დადგენილი იყო. ჩემზე და სხვა „მოსკოველ სწრაფმტაცებზე“ გვარებს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენიათ, მაგრამ შტაბის წევრები მათ გაგონებაზე შესამჩნევად ნერვიულობდნენ.

თუ ვისთან გვქონდა საქმე, მე შემთხვევით გავიგე. შტაბში ბანდიტების ფოტო გამოვართვი და ჩემი ბიჭებისთვის წავიღე, რომ მოიერიშე ჯგუფის წევრებისთვის მეჩვენებინა — მათი სახეები კარგად რომ დაემახსოვრებინათ. ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის გვერდით ჩავლისას მან შემაჩერა:

— რა გაქვს ხელში?

ვუპასუხე, რომ ეს თვითმფრინავის გამტაცებელი ტერორისტების ფოტოებია. გადაარჩია რა ფოტოები, შევარდნაძემ ყურადღება წერეთლის ფოტოზე შეაჩერა.

— დიახ, ის მამამისს ძალიან ჰგავს!

როგორც მომეჩვენა, გულწრფელი მწუხარებით ნათქვამი ამ ფრაზით ნათელი იყო თუ ვისი აყვანა მოგვიწევდა.

ტერორისტების სახლებში და აგარაკებზე ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებულ იქნა იარაღი, ხელყუმბარები, მათ შორის ტანკსაწინააღმდეგო, აღმოჩენილ იქნა ნატყვიარები კარებზე. რთული არ იყო დასკვნის გამოტანა: ისინი ძალიან სერიოზულად ემზადებოდნენ ამ აქციისთვის, მოიმარაგეს იარაღი, ვარჯიშობდნენ სროლაში, შესაბამისად მათი მიზნებიც სერიოზული იყო. მახსოვს მომენტალურად გავიფიქრე: „რადგან სახლში ამდენი იარაღი

აპარატის მეშვეობით ვუსმენდით ტერორისტების საუბარს. როდესაც გატაცებული თვითმფრინავის გვერდით ძრავების ხმაური გაისმა, ერთ-ერთმა დამნაშავემ თქვა: „აი, მოსკოვიდან თვითმფრინავი ჩამოფრინდა კომიტეტის ჯალათებით“.

იმ დროს ინფორმაცია ჩვენი ჯგუფის შესახებ სრულიად საიდუმლოდ იყო და ჯგუფის არსებობის შესახებ კომიტეტშიც კი პირთა შეზღუდულმა წრემ იცოდა. საინტერესოა, ინფორმაცია ჩვენს შესახებ როგორ აღმოაჩნდათ დამნაშავეებს?

ნათელი იყო, რომ ეს თვითმფრინავი საზღვარგარეთ ვერ გაფრინდებოდა. ორმხრივმა სროლამ, ფრენისას მიღებულმა გადატვირთვამ და ასაფრენ-დასაფრენ ბილიკზე მძიმედ დაშვებამ თვითმფრინავის კორპუსი სერიოზულად დააზიანა.

ეს არგუმენტები დამნაშავეებს წარუდგინეს, მაგრამ მათ კატეგორიული უარი განაცხადეს სხვა თვითმფრინავში გადასვლაზე და მოითხოვდნენ იმავე ლაინერის გარემონტებას, რომელშიც ისხდნენ.

ერთადერთი, რაზეც დათანხმდნენ მიეღოთ მედიკამენტებით სავსე ჩანთა და რამდენიმე ჩაიდან სასმელი წყალი იყო. ბანდიტებმა წყლის დალევაზე უარი თქვეს, შეეშინდათ, მასში რაიმე პრეპარატი არ ყოფილიყო შერეული. რადგან სამედიცინო განათლება ჰქონდათ, დეტალურად შეისწავლეს აფთიაქი, რომელიც დაჭრილთათვის გადაეცათ. თავის დაჭრილ თანამოსაქმეს მიწოდებული მედიკამენტები არ მისცეს.

თვითმფრინავში არსებულ ვითარებაში გარკვევის, ტერორისტების, მოთხოვნებისა და განზრახულობების გაცნობის, მოლაპარაკების დაწყების მიზნით მათ შესთავაზეს ბორტზე მომლაპარაკებლის მიღება. დამნაშავეები დაგვთანხმდნენ, მაგრამ გაგვაფრთხილეს, რომ მომლაპარაკებელი თვითმფრინავიდან ორმოცდაათ მეტრში უნდა შეჩერებულიყო, უნდა გაეხადა ტანსაცმელი წინდების ჩათვლით და მხოლოდ ამის შემდეგ დაიშვებოდა სალონში.

**დავით არაბიძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# როგორი დიასახლისი იყო მარგარეტ ტეტჩერი



რკინის ლედი ხშირად იმეორებდა, რომ ქალის ადგილი სამზარეულოშია. მარგარეტ ტეტჩერის აზრით, კარგი დიასახლისი ყველა საქმეს კარგად გაუძღვება.

თვით მარგარეტ ტეტჩერს იცნობდნენ, როგორც „სისხლიან ქალბატონს“. მას აკრიტიკებდნენ ხმის გამო, რომელიც ძალიან მკვეთრად ითვლებოდა. ჩაცმულობის გამო, რომელზეც ამბობდნენ, უგემოვნოაო, და თვით კბილების გამოც.

მარგარეტ ტეტჩერი პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი იყო, რომელმაც არჩევნებში სამჯერ ზედიზედ მოიგო, დაამარცხა ინფლაცია დიდ ბრიტანეთში და შეამცირა გადასახადები. იგი ბედნიერი იყო ქორწინებაშიც, აღზარდა ორი შვილი და თავისი ხელით უმზადებდა ქმარს სადილს.

მარგარეტს არასდროს შეუცვლია აზრი, რომ ქალის ადგილი ოჯახში, სამზარეულოში იყო.

როცა ის ცოლად გაჰყვა დენის ტეტჩერს 1951 წელს, დენისი მაშინ უკვე იყო ბიზნესმენი და ომის ვეტერანი, ჰქონდა ჯილდოები, მარგარეტზე 10 წლით უფროსი იყო და სოციალურ საფეხურზეც მასზე მაღლა იდგა. მარგარეტმა მას ორი შვილი მარკი და კეროლი გაუჩინა და მოახერხა ის, რომ შეექმნა დენის ტეტჩერისთვის წყნარი და წესრიგიანი ოჯახი ჩელსიში. მანვე ამოარჩია სკოლა ბავშვებისთვის, ამზადებდა საუზმეს ქმრისთვის, როგორც წესი, ყოველთვის ნახევარფაბრიკატებისგან, რომელსაც ყიდულობდა სუპერმარკეტში „მარკი და სპენსერი“.

როდესაც ტეტჩერი პრემიერ-მინისტრი გახდა, ოჯახური ცხოვრების წესი არ მიუტოვებია. „იყო პრემიერ-მინისტრი, ეს ნიშნავს, იყო მარტოდმარტო. შეუძლებელია მართო ხალხის მასა ისე, რომ გენდონ ისინი. დენისთან ერთად მე არასდროს მიგრძვნია თავი მარტო. ის არის ადამიანი, ქმარი, მეგობარი“.

როცა მარგარეტ ტეტჩერი პრემიერი გახდა, იძულებული შეიქნა საკუთარ გარეგნობაზე სხვანაირად ეფიქრა. დაიწყო ინტენსიური დიეტა.

პირველი კვირა პრემიერის პოსტზე ატკინსის დიეტით დაიწყო, რომელიც კვირაში 28 კვერცხს, ბიფშტექსს, სალათს და მის საყვარელ ვისკის შეიცავდა. ტეტჩერის მიზანი იყო 9 კილოგრამის ჩამოცილება, რომ ყოფილიყო კარგ ფორმაში.

საუზმედ ორ კვერცხს მიირთმევდა, ერთ ცალ გრეიფრუტს და სვამდა შავ ყავას ან ჩაის. სადილად კვერცხს პომიდვრით, ან სტეიკს. ვახშმად სალათს.

კრემლში სტუმრობისას სიამოვნებით მიირთმევდა რუსულ ბლინს ხაჭოსთან ერთად.

# მელანქოლიური ხასიათი ბავშვობის გამოძახილია



უფროსი ასაკის ადამიანების უმრავლესობამ, რომლებიც დეპრესიის კლინიკური გამოხატულებით იტანჯებიან, ამის მიზეზი მოზარდობის ასაკში უნდა ეძებონ.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დეპრესია ყოველ წელს ახალგაზრდავდება და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციების კვლევის ერთ-ერთ მთავარ საკითხად და პრობლემად რჩება.

პროფესორი მარკ უილიამსი პროფესორებთან იან რასელთან და რებეკა კრან ბენგერთან ერთად დიდხანს სწავლობდა ასაკს, თუ როდის ემართებათ პირველად დეპრესია და როგორია ამ დაავადების კავშირი ფსიქიკურ აშლილობასა და სუიციდის სიმპტომებთან. კვლევაში 275 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, რომლებიც ხშირად განიცდიდნენ დეპრესიის განმეორებით ეპიზოდებს.

აღმოჩნდა, რომ მათ კი 48 პროცენტი პირველად დეპრესიას 18 წლის ასაკში შეეჯახა. მაგრამ დეპრესიის ყველაზე გავრცელებულ პერიოდად მაინც 13-15 წელი ითვლება.

მეცნიერები ახლა სწავლობენ მიზეზებს, რამ შეიძლება მიიყვანოს დეპრესიამდე ამ ასაკის მოზარდი.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**

# ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – თქვენ გაგიჭირდებათ მიმდინარე მოვლენების გაკონტროლება. თუმცა კვირის ბოლოსთვის მოგეცემათ შანსი, წამოიწყოთ ახალი საქმეები.

**კურო** – თქვენი პროტესტი არსებული უსამართლობისა და დრომოჭმული სტერეოტიპების მიმართ, შეიძლება სამსახურებრივი დაპირისპირების მიზეზად იქცეს.

**ტყუპები** – მოგეძალებათ სურვილი, რადიკალურად შეცვალოთ თქვენი ცხოვრება. აუცილებლად აკონტროლეთ სიტუაცია. მომგებიანი აღმოჩნდება ის საქმე, რომელიც უცხოეთთან კონტაქტს უკავშირდება.

**კირჩხიბი** – საკუთარ თავში შემოქმედებით მონაცემებს აღმოაჩენთ. შეეცდებით ყველას მიმართ სამართლიან იყოთ, რაც სერიოზულ უთანხმოებებს შეგიქმნით. თავადაც ძალიან მგრძნობიარე იქნებით, რის გამოც ადვილი იქნება თქვენი წყენინება.

**ლომი** – ეცადეთ, ხშირად გამოჩნდეთ საზოგადოებაში და მოახდინოთ საკუთარი მონაცემების დემონსტრირება. ოჯახური პრობლემები ხელს შეგიშლით დასახული მიზნების მიღწევაში.

**ქალწული** – რომანტიკული შეხვედრები იმედგაცრუებას და ზედმეტ ხარჯებს მოგიტანთ. თქვენ ძალიან დატვირთული იქნებით ამ კვირაში, რის გამოც ოჯახის წევრებთან უთანხმოება გარდაუვალი იქნება.

**სასწორი** – შეცვალეთ თქვენი გეგმები. დროა, სერიოზულად დაფიქრდეთ დასვენებაზე. საჭირო ინფორმაციას მეგობრები მოგაწვდიან.

**მორიელი** – ნუ ეცდებით, შეცვალოთ შექმნილი სიტუაცია. ეს მხოლოდ სტრესამდე მიგიყვანთ. კვირის ბოლოს მოსალოდნელია ფინანსური გართულებები.

**მშვილდოსანი** – შექმნილი პრობლემები და კონფლიქტები სასურველია დიპლომატიური გზით მოაგვაროთ. ამ უსიამოვნებების მიზეზი თქვენი წინდაუხედავი საქციელი იქნება.

**თხის რქა** – ყურადღების ცენტრში მოექცევით. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევთ ბიზნესში. მთავარია, მოინდომოთ და საქმიანი კავშირები აუცილებლად მოგიტანთ მოგებას.

**მერწყული** – თქვენით ბევრი მოიხიბლება. დაამყარეთ საქმიანი ურთიერთობები. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახს და ახლობლებს.

**თევზები** – დაიძაბება თქვენი ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, რადგან სწორედ ოჯახი დააბრკოლებს თქვენს შემოქმედებით თვითრეალიზაციას. სამწუხაროდ, ვერც საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან გექნებათ ჰარმონიული დამოკიდებულება.

## ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:

### სკანვორდი

1.შორტრეკი. 2. სტიმული. 3. სახრავი. 4. მუხრან. 5. უწყინარი. 6. კევლუცი. 7. ყუა. 8. ფოლადი. 9. ტანტალი. 10. ორბელიანი. 11. დეუ. 12. კვადრატი. 13. ფოიერვერკი. 14. ცხიმი. 15. მანიო. 16. დიაკონი. 17. ვენდისპანსერი. 18. ხორცმეტი. 19. კრაველი. 20. ედემი. 21. ამსა. 22. კრინტი. 23. მორფინი. 24. ვერცხლი. 25. რობიკო. 26. დისპუტი. 27. მადანი. 28. ტურე. 29. როდეო. 30. სირი. 31. პალანკინი. 32. ლივლივი. 33. ზემფირა. 34. ნიდერლანდები. 35. ჯიბრი. 36. სოკერი. 37. აყლაყუდა. 38. ყანა. 39. სარი. 40. კეიპტაუნი. 41. კეისარი. 42. კირასარი. 43. ექსპერტი. 44. სმიტი. 45. ცეხი. 46. ალპები. 47. მონიკა. 48. ქორო. 49. მონასპა. 50. პაბი. 51. ტრენერი. 52. ტრიტონი. 53. ციმბირი. 54. ცირცელი. 55. კონკია. 56. ერიკ. 57. ლაცკანი. 58. კავალერი. 59. კოკარდა. 60. ნატი. 61. ანუკ. 62. იუტა. 63. ცელი. 64. ცაცია. 65. კანი. 66. კროუ. 67. ლიანგი. 68. პირანია.








ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!